ოძვრის სიმდიდრე – სიკვდილს გადარჩენილი ცხრა სიცოცხლე

ცხელი წიგნები

სახლში მიგანიო ფასნამატის გარეშე!

www.elva.ge
ტელ.: 38-26-73; 38-26-74

„მსოფლიოს დიდი ომები"
ფორმატი: 27X34 სმ
გვ. რაოდ.: 176
ფერი: ბეჟური
ფასი: 32.99
სრული სურათი ლეგენდებით შემკეს ფურცელი: ილუსტრაციები და ინფორმაციული ტექსტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ომებზე, ისტორიული ფაქტების სანდოობით!



„365 ფასდაკლება და 365 ფასი ყველაზე"
ფორმატი: 20X22 სმ
გვ. რაოდ.: 176
ფერი: ფერადი
ფასი: 24.99
 წიგნში შეკეთილი ფასდაკლებიანი ოფიციალური, ოჯახისთვის, ტანსაცმლის, ელექტროტექნიკის, ავეჯის, ფეხსაცმლის, ბავშვთა საქონლის, ხელოვნების შემკეს

„ადამ ქარიფეტეს"
ავტორი: ეკატერინე ბარამიძე
ფორმატი: 20X25 სმ
გვ. რაოდ.: 327
ფერი: ბეჟური
ფასი: 20.99
ქარიფეტეს ეპიზოდის ცხოვრების „ერი ოფის ფსიქოლოგია ბიოგრაფიის ოფიციალური სიტყვა და ლეგენდა, ოფის ბალი და ბიბლიოთეკა."

– ბეჭდვა

„ბიბლიოფილი ადამ ბალი ბიოგრაფია ბიბლიოფილი..."
ფორმატი: 15X21 სმ
გვ. რაოდ.: 487
ფერი: ბეჟური
ფასი: 9.99
ლიტერატურული, ბიბლიოფილური, ისტორიული ნაკეთები, ეთიკური ბიოგრაფიაზე – ბიბლიოფილ ფიზიკოსი ბიბლიოფილ ისტორიკოსი ადამ.

„ეს ხანდაზმა ბიბლიოფილია"
ფორმატი: 15X21 სმ
გვ. რაოდ.: 295
ფერი: ბეჟური
ფასი: 6.50
ქართული ბიბლიოფილ ფიზიკოსი ბიბლიოფილ ეროვნული ეროვნული ბიბლიოფილ ეროვნული ეროვნული ბიბლიოფილ ეროვნული ეროვნული ეროვნული

№25 (471)
18 - 24 ივნისი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

არამყითხე მოამბე

ფაქტები

თუ ხოლოლი ვინმდეს, ნუ ვეწყინება. ხოლოლებს ყოველთვის ემარილები.

ინსულტაცია

39

■ მინიატიურები
გაეროს „ბოლო ზარი“ საქართველოში ანუ „წადით ახლა და დამტიეთ მარტო ჩემს ზურიკელასთან“ 5
■ პროტესტი
„პოლიციელებმა უბრალოდ, ძალები ვერ მოზომეს“... 6
■ ფაქტი და კომენტარი
„ამერიკა და ევროპა დაიღალნენ ჩვენი პრობლემებით და შეგვატოვეს რუსეთს ხელში“ 8
■ პოლიტიკა
„გაეროს მისიის არარსებობის შემთხვევაში რუსეთს აფხაზეთში ხელ-ფეხი კიდევ უფრო გაეხსნება“ 9
■ გვიმრავლოს!
მაღლიანი ოჯახის სიმდიდრე და სიკვდილს გადარჩენილი ახალი სიცოცხლეები 10
■ პერსონა
რუსეთან კერვალიშვილს ოჯახში სერიოზული ოპონენტი ჰყავს 12
■ ჟურნალისტის როლში
„პოდიუმზე პოლიტიკა ავიდა...“ ბრძოლა ქართული მოდის გადასარჩენად 15
■ მეტამორფოზა
„გარეგნობით ყოველთვის გამოვირჩეოდი“... 17
■ თემა
ტელეეკრანი — სარკმელი სამყაროში თუ მრუდე სარკე 20
■ ერუდიტი
ვინი რომ განათლების მინისტრი იყოს 24
■ ადამიანი, რომელიც არასდროს დამავიწყდება
ტაში მოყვარული ფეხბურთელის წინასწარმეტყველება და გოგლა ლეონიძისთვის ნასროლი პომიდორი 26
■ სასიძო
„გაგვიმართლა, შეყვარებულები რომ არ გვყავს...“ 28
■ საპატარძლო
„ჩემი ძმისთვის სწორედ მარიკასნაირ მეუღლეს ვისურვებდი“ 29
■ ანტიდეპრესანტი 30
■ ადგილი ცხოვრებაში
მეოცნებე ყმაწვილი კაცის მძიმე წარსული და მისთვის მისაბაძი ადამიანის რჩევები 30

მადლიანი ოჯახის სიმდიდრე

„17 წლიდან ეკლესიაში დავდივარ, მორწმუნე ვარ და შესაბამისად, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას ვიცოდი, რომ საკუთარი შვილის კი არა, ცხოვრებაში არავის მოკვლაზე არ ვიფიქრებდი“.

10

„დათო ქიფიანი მეგობარზე მეტი იყო...“

დათომ თითქოს საკუთარი მომავალი იწინასწარმეტყველა: თბილისის „დინამოში“ ვითამაშებ, საუკეთესო ფეხბურთელი გავხდებიო, — უწერია თემურისადმი მიწერილ წერილში.

26

ჩითაია ფეხსაცმელი

— ნია, ეს რა ჩაიდინე? — მეორე დილით შეშფოთებულმა მაკამ დაურეკა, — ხომ გთხოვე, კახას გვერდიდან არ მოშორდე-მეთქი. არ მეგონა, ასე თუ გამწირავდი!

ნიამ იცოდა, დაქალი სცენებს რომ გაუმართავდა, ამიტომ პასუხი წინასწარ მოამზადა.

— ჰო, მართალი ხარ, მაკა, საღამო იმაზე ადრე დამთავრდა, ვიდრე გვეგონა.

82

■ ადამიანი
„ბედნიერიც ვყოფილვარ და უბედურიც... მაგრამ ცხოვრების ბოლო წლებს ასეთ პირობებში თუ გავატარებდი, არ მეგონა“... 32
■ მოზაიკა 36
■ ჯანმრთელობა
რკინადეფიციტური ანემია 36
■ ჟურნალი ჟურნალში
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ ნამდვილი ამბავი
მხიარული ქვრივი 71
■ ემიგრანტები
თაღლითების მახეში გაბმულები 72
■ რომანი
ვაჟა გიგაშვილი. ერთი ვინმე ყაფლანიშვილი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ რჩევები ქალებს — ანუ იყავით ერთადერთი და განუმეორებელი 80
✓ ალუბლის ღვეზელი 81
■ სასიყვარულო რომანი
სვეტა კვარაცხელია. წითელი ფეხსაცმელი (გაგრძელება) 82
■ ბიოგრაფია
იოზეფ გებელსი — „დიდი სიცრუის პატარა გიგანტი“ 86
■ ვარსკვლავები 89
■ სცენა
თუთიყუშ ქაკოს მეგობრების „მოგზაურობა რუკაზე“ 91
■ თინეიჯერული პონტები
მოდურად ჩაცმული ქაჯები და უსახსრობის გამო დაჩაგრულები 92
■ დაიჯესტი 94
■ ტაძარი
✓ წმინდა მინა და დაკარგული ქართული სავანეები 96
✓ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის უწყებით დაარსებული სავანე 97
■ შეუცნობელი
გადარჩენის საზღაურად მოვლენილი უნარი და გზააბნეული წინასწარმეტყველი 98
■ ფავორიტები
რეკორდები ტრანსფერებში და მძიმე ტვირთი, რომელიც ზიზუს რონალდუმ ჩამოართვა... 102
■ ავტო 103
■ სპანფორდი 104
■ ასტროლოგია 105
■ დედათბილისი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„ბედნიერიც ვყოფილვარ და – უბედურიც...“

„ეჰ, ერთ დროს ჩემი შვილები მართლა კარგი ბიჭები იყვნენ. საცოდაობაა მათი ამ დღეში ყოფნა. „თავდაცვას“ ნორმალური ხელმძღვანელი რომ ჰყოლოდა, ასეთ ბიჭებს უსაქმოდ არ ამყოფებდა. არც მე ვიყავი გადასაგდები კაცი“.

32

მხიარული ქვრივი...

ამ დროს მაშიკოც შემოქაქანდა. ხელში ხილით სავსე უზარმაზარი ლანგარი ეჭირა:

— ხაჭაპურიც ცხვება, დასხედით და ახლავე შემოგიერთდებით! — გვითხრა და კარადიდან შინნახადი არყით სავსე ბოთლი გადმოიღო. — აბა, ჰე, არ მოიწყინოთ, შეიქციეთ თავი...

71



გაერის „ბოლო ზარი" საქართველოში

ანუ „წადით ახლა და დამტიეთ მარტო ჩემს ზურიკელასთან"

ეს კვირა ისეთი სავსე იყო პოლიტიკური სიურპრიზებით, რომ სულ გადაფარა, რაც წინა კვირებში მოხდა და უეჭველია, დემოკრატიის ზეობის კვირის სახელით შევა ისტორიაში: ჯერ ხომ ოპოზიციის მომხრეებმა და პოლიციელებმა უტარეს ერთმანეთს დემოკრატიის ტრენინგები, უფრო სწორად, ნატოს წვრთნები ხელჩართულ ბრძოლაში და მერე კიდევ, საგარეო პოლიტიკურ არენაზეც კვირის გმირები ვიყავით და შედეგმაც არ დააყოვნა. თუმცა ამაზე, მოდი, ცოტა დავკონკრეტდეთ:

ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო, როცა „ორსათაურიანი" კაცი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. მგონი, თვითონაც ვერ გაურკვევია, რა ჰქვია სინამდვილეში და პასპორტით — ბან კი მუნს, მოფერებით, პან გი მუნს ვეძახით. პრინციპში, აწი გინდ, ერთი დაუძახე და გინდ — მეორე, „დალია გაეროს მანდატმა ჩაილურის წყალი"! ჰოდა, გამოვიდა ეს ვიწრო მხედველობის კაცი (ამ სიტყვის პოლიტიკური და ანატომიური გაგებით) და ისეთი „რეჩი" დაატაკა რამდენიმე თვის წინ, რომ რუსეთის მთელი ბიუჯეტი არ ეყოფოდა სამაღარიჩოდ: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ქართველებს გეკუთვნით, მაგრამ — არ გეკუთვნითო... ამის მერე შენ დააბამდი რუსეთს?!

ეს ფორმალური და ვითომ საქმის გამკეთებელი ორგანიზაცია 60 წელია, არსებობს და ჯერ არც ერთი კონფლიქტი და სერიოზული პრობლემა არ მოუგვარებია მსოფლიოში. შესაბამისად, არც ჩვენ გვქონდა დიდი იმედი, რომ ლანგრით მოგვაგებებდა ჩვენივე სისულელითა და მეზობლის რუდუნებით დაკარგულ კუთხეებს. თავიდან კიდევ, გულს უხაროდა, მაგათი თეთრი ჯიპები რომ დაქროდა საქართველოს გზებზე, როცა ჩვენ ჯერ კიდევ „მოსკვიჩებსა" და „შესტებს" დავაგორებდით, თორემ დღეს ვის უკვირს ჯიპი?! ნებისმიერი პარლამენტარის მთელ სანათესავოს ჯიპები ჰყავს და ბოლოს და ბოლოს, სარეცხი მანქანასავით, განვადებით გამოიყვან, როცა გინდა. უბრალოდ, პრინციპის საკითხია, რუსეთმა კიდევ ერთხელ რომ დაატრიალა მთელი მსოფლიო საკუთარი თითის გარშემო.

საქართველოს სტრატეგია ბოლო წლების მანძილზე, განგაშის ზარის ატეხა და დაძინებული მსოფლიოს გამოღვიძება იყო, — მიშველეთ, მცემენო! ჰოდა, იმათაც გამოუშვეს თავიანთი დამკვირვებლები, რომლებიც მშვიდობის გარკვეულ გარანტებს წარმოადგენდნენ აქ ყოფნით, თორემ რა დაკვირვება უნდა, როცა ყველამ იცის, სადამდე გვაქვს რუსეთის ხელი სულში ჩაყოფილი და როგორ გვიფათურებს?!. ისიც ცდილობს, მზრუნველი დედის როლი მოირგოს და პრინციპით — „დედის ხელი ტკბილია" — სილას სილაზე გვ აწნის. ჯერ იყო და, ეუთოს მისიას ჩაულაგა ჩემოდანი, ახლა კიდევ, სულ ფეხის წვერებზე დაიკიდა ამერიკისა და ევროპის 10 წამყვანი ქვეყნის ნება და ერთი ხმით ვეტო დაადო გაეროს დამკვირვებელთა მანდატის გაგრძელებას საქართველოში. მოკლედ, ოლღა ბებიასი არ იყოს, — წადით ახლა და დამტიეთ მარტო ჩემს ზურიკელასთანო, — ისე დაახვევინა გაეროელებს. ყველას ბებიაა თურმე რუსეთი და აღარ ყოფილა საშველი. ატეხე, აწი რამდენიც გინდა განგაში, არა აქვს უფლება და ვინ გიშველის?! ჩვენმა მომხრე ათიე ქვეყანამ კი დაგმო ჩურკინის აწეული ხელი, ვეტო დავადეო, რომ გაიძახოდა, მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა: რუსეთმა ამით ვეტო ჩვენც და მთელ მსოფლიოსაც კიდევ ერთხელ დაგვადო...

გული არ გავიტეხოთ, ძმებო, რაღაცას მოვიფიქრებთ. ახლა მთავარია, არ დაგვეტყოს, რომ მორალურად „ჩავისვარეთ", თორემ დაგვცინებენ. პირიქით, კარგი „ბოლო ზარის" ზეიმი მოვუწყოთ გაეროს წარმომადგენლებს: ბოლო-ბოლო, 16 წელი გაატარეს ჩვენთან. ის „ნახევარქათამა" ბან კი მუნიც თუ გი მუნიც დავპატიჟოთ და ისეთი პატივი ვცეთ, საკუთარი გვარი და სახელი გაახსენდეს. მერე პერანგებზე სამახსოვრო ნახატები და წარწერები დავუტოვოთ და ყველანი შადრევანში გადავყაროთ.

ასე რომ, მშვიდობით, გაერო! კარგად გაგვახსენდება შენთან ერთად გატარებული 16 წელიწადი: ჰუმანიტარული, კუბოკრული საბნები გახსოვს? რამდენჯერ საჩუქრად აგვიღია და გაგვიყიდია; რამდენი რძის ფხვნილი და სარეცხი ფხვნილი მოგიტანია და ვერ გაგვირჩევია, რომელი იყო რძის და რომელი — სარეცხი! ბევრი დასახელების პროდუქტი და საქონელი გვახსოვს შენგან. ან კი, რა დაგვავიწყებს, სწორედ მაშინ წამოვჭიმეთ კომერციული „ბუტკები" — ეეჰ, „ნეტავ იმ დროს"!..

ახლა კი დაცარიელდა დამკვირვებლებისგან ქვეყანა: აღარც ეუთოა, აღარც — გაერო, დავრჩით მარტო მოხუცები, ბავშვები და ევროკავშირის მისიის წევრები. ახლა მაგათი იმედიღა გვაქვს, სიტყვა რომ წაგვაშველონ. თუმცა გავიგე, სექტემბერში მაგათი მანდატის გაგრძელებაც უნდა დამტკიცდესო და კიდევ კარგი, რომ ევროკავშირის წევრი არაა ეს ჩვენი მეზობელი, მაგრამ ხომ შეიძლება, მანამდე მიიღონ?! აი, მაშინ კი მართლა გავუწირივართ ყველას და ევროკავშირმა კი არა, ჩვენ — ქართველებმა უნდა ჩავალაგოთ ჩემოდნები და სადმე, სხვა პლანეტაზე გადავსახლდეთ. ვიცი, მკითხავთ, იქ ხომ სიცოცხლე არ არისო?! — მაგრამ კარგად მომისმინეთ: თუ სიცოცხლე არ არის, ე.ი. პუტინი, ჩურკინი, ჟირინოვსკი და მედვედევიც არ არიან და სადაც ეგ არგასახარებლები არ არიან, იქაა ჩვენთვის სიცოცხლეც და ბედნიერებაც...

P.S. მთავრობის სხდომაზე:

— რა ხდება ვაშინგტონში, დაურეკეთ ლომაიას?

— მგონი, რუსეთმა ვეტო გამოიყენა. ლომაიას რომ დავურეკე და ვუთხარი, — ალექსანდრე მინდა-მეთქი, დამემალა, — კახა ვარო.

— არა უშავს, რუსეთმა შეიძლება, გაეროს მისია შეწყვიტოს, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშლება; შეიძლება, მსოფლიოს ინვესტიციების ჩადებაში შეუშალოს ხელი, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა არ ჩამოიშლება; შეიძლება, ჩვენი ეკონომიკა მთლად ჩამოშალოს, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა მაინც არ ჩამოიშლება!..

პროვოკატორი

„ბოდიში საქმეს არ უშველის!“

თბილისის პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის შედეგად, საპროტესტო აქციის 37 მონაწილე და ჟურნალისტია ნაცემი. ჩვენს კოლეგებს მიკროფონები წაართვეს, ოპერატორებს — ვიდეოკამერები... დაშავებულებს შორის არიან: „ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე, მოძრაობების — „9 აპრილი“ და „რატომ“ — წარმომადგენლები. აქციის მონაწილეების, ოპოზიციონერებისა და ჟურნალისტების გარდა, პოლიციელთა ხელკეტებს ვერც შემთხვევით გამვლელები გადაურჩნენ. ამ ინციდენტთან დაკავშირებით, ოპოზიციური პარტიების იმ ლიდერებმაც კი უკიდურესად მწვავე განცხადებები გააკეთეს, რომლებიც მუდამ ზომიერი და დიპლომატიური სიტყვა-პასუხით გამოირჩევიან.

„პოლიციელებმა უბრალოდ, ძალები ვერ მოზომეს“...

ხათუნა ბახტურიძე

ირაკლი ალასანია:

— ზურაბ აბაშიძეზე, დავით გამყრელიძესა და ათეულობით მშვიდობიან მომიტინგეზე პოლიციის თანამშრომლების თავდასხმა ბოლო თვეების განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების გაგრძელებაა და ეს განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკოსების მიმართ მიზანმიმართულ ტერორად უნდა შეფასდეს. ხელისუფლების მხრიდან ჩადენილ, ძალადობის მრავალრიცხოვან ფაქტს განვიხილავთ, როგორც პასუხს ჩვენს არაერთ მოწოდებაზე — ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყების თაობაზე. ის ფაქტი, რომ დღემდე არ არის გამოძიებული 200-ზე მეტი მშვიდობიანი მომიტინგის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების არც ერთი შემთხვევა და არ არიან გამოვლენილი და დასჯილი კონკრეტული დამნაშავეები, მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება პოლიტიკური კრიზისის ძალადობრივი, 7 ნოემბრის მეთოდებით „გადაწყვეტის“ გზას დაადგა. ეს არის გზა გარდაუვალი სამოქალაქო დაპირისპირებისკენ, რომლის პასუხისმგებლობა პირადად მიხეილ სააკაშვილს ეკისრება.

ზურაბ ტყემალაძე:

— პოლიციის სამმართველოსთან განვითარებულ მოვლენებს ტერორად ვაფასებ. არ შეიძლება, ქვეყანაში ასეთი დარბევები და სისასტიკე მიმდინარეობდეს იმ ორგანოების მხრიდან, რომლებსაც კანონის დაცვა ევალებათ. მომხდარი ფაქტები საერთაშორისო მასშტაბით უნდა იქნას გამოძიებული და ყველა ის პირი დაისაჯოს, ვინც ადამიანების დარბევაში მონაწილეობდა.

პოლიციელთა მიერ მომიტინგეების დარბევას არც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები იწონებენ, თუმცა მომხდარის სხვაგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ.

ნუგზარ წიკლაური:

— ეს არის ისეთი ფაქტი, რომელსაც დადებითად ვერავინ შეაფასებს. განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას გამოვხატავ ჟურნალისტების ცემის გამო. ჩემი აზრით, ჟურნალისტებს ნებისმიერ სიტუაციაში უნდა ჰქონდეთ საშუალება, ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ ხალხს. ასეთი ქმედებები მომავალში აღარ უნდა განმეორდეს. მივესალმები იმ ფაქტს, რომ შს სამინისტრომ ბოდიში მოუხადა ჟურნალისტებსა და დაზარალებულ ადამიანებს. მათ ბოდიშს მეც ვუერთდები.

— ფიქრობთ, რომ ბოდიში საკმარისია?

— არა, ბოდიში არ არის საკმარისი. როგორც ვიცი, შს სამინისტრომ დარბევაში მონაწილე თავის თანამშრომლებს საყვედური გამოუცხადა.

— ამ ადამიანებისთვის მხოლოდ საყვედურის გამოცხადება რამდენად მართებულად მიგაჩნიათ? სისხლის სამართლის საქმე არ უნდა აღიძრას?

— გამოძიება ყველაფერს დაადგენს, მაგრამ ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ: ჟურნალისტების წინააღმდეგ მიზანმიმართული ქმედება არ ყოფილა განხორციელებული, უბრალოდ, იქ ძალიან ბევრი ხალხი იყო და შეხლა-შემოხლა მოხდა. სავსებით შესაძლებელია, რომ ჟურნალისტები მხოლოდ იმიტომ დაზარალდნენ, რომ პოლიციელებმა უბრალოდ, ძალები ვერ მოზომეს.

— ცნობილია, რომ ჟურნალისტებსა და ოპერატორებს მიზანმიმართულად დასდევდნენ და მიკრო-

ფონებსა და კამერებს ართმევდნენ.

— სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ამ ფაქტს დადებითად არავინ შეაფასებს. შს სამინისტრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. გამოძიება მიმდინარეობს და მალე გამოჩნდება, ვის როგორ დასჯიან.

იმის შესახებ, თუ როგორ „ვერ მოზომეს პოლიციელებმა ძალები“, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი, ევროპის პრესსააგენტოს ფოტოკორესპონდენტი ზურაბ ქურციკიძე და საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ოპერატორი თორნიკე ზეზიაშვილი გვიამბობენ. დარბევის შედეგად, ირმა ინაშვილს მარჯვენა ხელის მყესი აქვს დაზიანებული, ნიკაპთან და კისერზე კი ე.წ. კასტეტისა და რეზინის ხელკეტის ნაკვალევი ამჩნევია, ზურაბ ქურციკიძეს სახეზე სისხლნაყღენთები აღენიშნება, ხოლო თორნიკე ზეზიაშვილს ხელი და ზურგი აქვს დაზიანებული.

ირმა ინაშვილი:

— სამმართველოს შენობასთან სხვადასხვა პერიმეტრზე გადანაწილებული ვიყავით. „ობიექტივის“ 3 კამერა მუშაობდა და სამივე განადგურებულია. მე სამმართველოს შესასვლელ კართან ვმუშაობდი და ეზოში შეკრებილი პოლიციელების სახეებს ვიღებდი. სიცრუეა შს სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია, თითქოს აქციის მონაწილეებმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. პოლიციამ მშვიდობიანი აქციის დარბევა კანონის დარღვევით დაიწყო. მათ არავინ გაუფრთხილებიათ, რომ დარბევას აპირებდნენ. აქცია თითქმის დასრულებული გახლდათ, უკვე ვიშლებოდით, როცა უეცრად, რამდენიმე წამში გაისმა — უუუუუუ (დაგუდული ხმა)!.. ხელკეტებითა და კასტეტებით შეიარაღებული, დაახლოებით 300-400 ადამიანი სწრაფად გამოემართა აქციის მონაწილეებისკენ. მათ შორის იყვნენ ნიღბიანები, უნიღბო ფორმიანები და უფორმო ძალოვნები. ალყაში მოგვაქციეს. მერე უკვე აქციის მონაწილეები სხვადასხვა მიმართულებით ქაოსურად გარბოდნენ.

ზურაბ ქურციკიძე:

— მოვლენების შუაგულში ვიყავი, როცა რამდენიმე პირი მომვარდა. კამერა წამართვეს და მერე ფიზიკურადაც გამისწორდნენ.

— კამერა თუ დაგიბრუნეს?

— კი, კამერაც დამიბრუნეს და ბოდიშიც მომიხადეს, მაგრამ სახსოვრად, სახეზე დაჟეჟილობები დამიტოვეს...

— ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, პოლიციას ჟურნალისტები მომიტინგეებში აერიათო. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

თორნიკე ზეზიაშვილი:

— ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს მომიტინგეებში ავერიე, იმიტომ, რომ აქციაზე ცოტა დაგვიანებით მივედი და ცოტა მოშორებული ადგილიდან ვიღებდი. ხელში კამერა მეჭირა და ვმუშაობდი... ხელკეტი სრულიად მოულოდნელად მომხვდა. ისიც კი ვერ დავინახე, საიდან დამარტყეს ან რამდენი კაცი მომვარდა.

ირმა ინაშვილი:

— პირადად მე, მიზანმიმართულად მირტყამდნენ: ჟურნალისტია, ხელზე დაარტყი, რომ თავის სიცოცხლეში ვეღარაფერი გადაიღოსო!.. როცა წავიქეცი, ნიკაპთან კასტეტი მომაჭირეს, თითქოს მახრჩობდნენ კიდეც. მერე კამერა წამართვეს და თავიც დამანებეს. ეს არ არის ის ძალა და ის პოლიცია, რომელიც შევარდნაძის ან ზვიად გამსახურდიას დროს იყო. ესაა მერაბიშვილი-სააკაშვილის რეჟიმის მსახური, მოტივირებული, კრიმინალური ძალა, რომელიც ნებისმიერ დავალებას უყოყმანოდ შეასრულებს. პარადოქსია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ როდესაც აგრესიულად განწყობილი სპეცრაზმელები მომშორდნენ, ვიღაც სხვა ნიღბიანმა სპეცრაზმელმა ხელი ჩამჭიდა, ამომეფარეო, — მითხრა და რაღაც პერიმეტრი ისე გამატარა, თითქოს მირტყამდა, რომ ამით ჩემთვის სხვისი დარტყმები აერიდებინა.

ტელეკომპანიებმა — „კავკასიამ“ და „მაესტრომ“, პროტესტის ნიშნად, მაუწყებლობა დროებით შეწყვიტეს. „მაესტროს“ გენერალურმა პროდიუსერმა მამუკა ღლონტმა დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს გაერთიანებისა და ჟურნალისტთა უფლებების დაცვისკენ მოუწოდა.

მამუკა ღლონტი:

— ასეთი გაერთიანების შექმნით, ისინი უზრუნველყოფენ ჟურნალისტთა უსაფრთხოებას. იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტების საქმიანობაში კიდევ ჩაერევიან, პირადად დავუკავშირდები ყველა მედიასაშუალებას და ყველა მათგანი, ჟურნალისტების დაცვის მიზნით, შეწყვეტს გამოცემას და მაუწყებლობას. ქვეყანა სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდება.

— ფიქრობთ, რომ საზოგადოებრივი არხი, „რუსთავი 2“ და „იმედი“ თქვენს მოწოდებას გამოეხმაურებიან?

— არა, და სწორედ ამიტომ, ჩვენ მხოლოდ დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს მოვუწოდებთ მხარდაჭერისკენ.

— შს სამინისტროს მხრიდან ბოდიშის მოხდას როგორ აფასებთ?

— ბოდიში საქმეს არ უშველის. იმისთვის, რომ ასეთი პრეცედენტი აღარ განმეორდეს, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. ჩვენი ტელეკომპანია შსს-ს სასამართლოში უჩივლებს.

სიტყვის თავისუფლება საფრთხეშია!

ვგმობთ ძალადობას და სოლიდარობას ვუცხადებთ კოლეგებს!!!

ჩვენ, საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები და მათი ჟურნალისტები ვუერთდებით პროტესტს და ვგმობთ გუშინ, შს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან განხორციელებულ ძალადობას. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და მათზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები, რის გამოც დაზარალდა არაერთი ჩვენი კოლეგა. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ვითარების გამო პასუხისმგებელია ხელისუფლება და, პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ფასადურად ხშირად საუბრობს ჟურნალისტების უფლებების, დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების პრინციპების დაცვაზე.

მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს ამ ფაქტების სასწრაფო გამოძიებისა და დამნაშავეების დასჯისაკენ. ვთვლით, რომ მოქალაქეებისა და ჟურნალისტების სასტიკი ცემის ფაქტების გამოუძიებლობა და დაუსჯელობა ახალისებს საქართველოში დაუსჯელობის სინდრომს და მოძალადეებს.

გაზეთი „ალია“; გაზეთი „ასავალ-დასავალი“; გაზეთი „ახალი თაობა“; ჟურნალი „გზა“; გაზეთი „ვერსია“; გაზეთი „კვირის პალიტრა“; გაზეთი „კვირის ქრონიკა“; ჟურნალი „თბილისელები“; გაზეთი „რეზონანსი“; ჟურნალი „სარკე“; ჟურნალი „რეიტინგი“; გაზეთი „ყველა სიახლე“; გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“.

— იმედი გაქვთ, რომ განაჩენს თქვენს სასარგებლოდ გამოიტანენ?

— კი, ამჯერად სხვა გზა არ ექნებათ: მათ საჯაროდ მოიხადეს ბოდიში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დანაშაულს აღაირებენ. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს დისკი, სადაც დაფიქსირებულია, თუ როგორ ართმევენ „მაესტროს“ ოპერატორს კამერას და როგორ შეაქვთ პოლიციის განყოფილებაში. ასეთი მოქმედება კანონით ისჯება.

დავით აძუბარდია, *ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელი:*

— „კავკასია“ ეურთდება „მაესტროს“ მოწოდებას. ჩვენ მათთან ერთად ვიბრძოლებთ თავისუფალი აზრის მხარდასაჭერად.

— ხელისუფლების ბოდიშს არც თქვენ იღებთ?

— არა. მომხდარს რომ წავუყრუოთ, მსგავს უკანონობას კიდევ ჩაიდენენ და მერე ისევ ბოდიშს მოგვიხდიან. სააკაშვილმა ძალიან საინტერესო რამ თქვა: ტელეკომპანიების საშუალებით, ჩხუბისა და გაწევ-გამოწევის ჩვენება ქვეყანას მილიონობით დოლარს აკარგვინებსო. გამოდის, რომ ჩვენს პრეზიდენტს პრობლემა არ აქვს, თუ მოხდება შეტაკება ან შეხლა-შემოხლა პოლიციასთან, — მთავარია, ეს კადრები მსოფლიომ არ ნახოს. ეს არის დემოკრატიის შეზღუდვა და ჟურნალისტთა უფლებების შელახვა. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროსაც კი არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეთერი გაეთიშათ. ერთადერთი შემთხვევა, ჩვენი ოპერატორის შეურაცხყოფა იყო. მაშინ კახა თარგამაძემ და სოსო ალავიძემ მრავალჯერ მოიხადეს ბოდიში.

ჟურნალისტებისა და საპროტესტო აქციის მონაწილეთა დარბევის ფაქტი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმაც დაგმეს. „წელიწად-ნახევარია, საფრანგეთის საელჩო საქართველოში მედიამონიტორინგს ახორციელებს. ჩვენი სურვილია, ჟურნალისტები იყვნენ დაცულები, ეს არის მესიჯი, რომელიც ჟურნალისტებისთვის მინდოდა მეცნობებინა. გუშინდელი ინციდენტი სამწუხაროა, რადგან მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელების საშუალება არ მიეცათ“, — განაცხადა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ერიკ ფურნიემ.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელიც ახორციელებს უკანონო დაკავებას, სიტყვის თავისუფლების ხელყოფას, ადამიანთა დევნას, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფას, ჟურნალისტებისთვის მათ პროფესიონალურ საქმიანობაში ხელის შეშლას. ქართველი საზოგადოება და მედია დიდი ინტერესით ელოდება, უზრუნველყოფს თუ არა ხელისუფლება კანონის დაცვას და დაისჯებიან თუ არა დამნაშავეები. ■

„ამერიკა და ევროპა დაილალნენ ჩვენი პრობლემებით და შეგვაგროვეს რუსეთს ხელში“

„ფულიანი ადამიანებისთვის კანონი არ მოქმედებს...“

გასული კვირა მნიშვნელოვანი მოვლენებით საკმაოდ დახუნძლული გახლდათ. ჯერ იყო და, სხდომის ჩაშლის მიზნით, ოპოზიციის ახალგაზრდა წარმომადგენლები პარლამენტთან შეიკრიბნენ და უმრავლესობის წევრებს კვერცხები დაუშინეს; მოგვიანებით კი ამ ინციდენტის გამო დაპატიმრებული ახალგაზრდების გათავისუფლების მიზნით, ოპოზიციის წარმომადგენლები პოლიციის სამმართველოს შენობას „ეწვივნენ“, რასაც მათი სასტიკი დარბევა მოჰყვა. ცხადია, საზოგადოების უმრავლესობა სწორედ ამ ფაქტმა აღაშფოთა.

ნათია ქივიძე

ნანა ხორგუანი, *ექიმი, 43 წლის:*

— ჩემი აზრით, საქართველოში გაერომაც და ეუთომაც თავიანთი მისია უკვე ამოწურეს და ამიტომაც მიდიან. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, უნდა გამიხარდეს თუ მეწყინოს. თუ წავლენ, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსთან კავშირს სამუდამოდ შეწყვეტენ და ჩვენს თავს რუსეთს გადაულოცავენ. მირჩევნია, ჩვენი მეგობარი ქვეყანა რუსეთი იყოს, რადგანაც მეზობელია და ჩვენს მენტალიტეტთანაც უფრო ახლოსაა, მაგრამ ცუდი ისაა, რომ მათ მეგობრობა-მეზობლობა ბატონყმობაში ერევათ. ძალიან მეშინია, ამის შემდეგ, ისევ ომი არ წამოიწყონ... აღმაშფოთა პოლიციის სამმართველოსთან მომხდარმა ფაქტმა. ოპოზიციის წარმომადგენლები იქ ნამდვილად, მშვიდობიანი მისიით მივიდნენ, პოლიციამ კი ხალხის ცემა დაიწყო და ჟურნალისტებიც აღარ დაინდეს. საინტერესოა, თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ, ნებისმიერი სახის დანაშაულის ჩადენის შემდეგ სახალხოდ გამოვიდნენ, ბოდიში მოიხადონ და სიტუაციიდან ასე გამოძვრნენ, რატომ არ შეიძლებოდა, პოლიციის სამმართველოს გალავანზე გადაძრომისთვის გია გაჩეჩილაძისთვისაც ეცლიათ ბოდიშის მოხდა და მისთვის ნეკნები არ ჩაემტვრიათ?!. ანდა, გირგვლიანისა და სხვა ახალგაზრდების მკვლელები სასჯელს მხოლოდ ბოდიშის მოხდით უნდა იხდიდნენ?!. ვიღაცამ მერიიდან წყლით სავსე ცელოფანის პარკი რომ ისროლა და მერე თავი იმართლა, — ვიხუმრეო, ოპოზიციონერების ხუმრობა რატომღა არ მოეწონათ, როცა უმრავლესობის წარმომადგენლებს ისინიც გეხუმრნენ და წყალი შეასხეს?..

ვასილ დეკანოიძე, *მათემატიკოსი, 65 წლის:*

— სალომე ზურაბიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი ძალიან მომეწონა, მაგრამ ხელისუფლების სიტყვაში თავიდანვე ეჭვი მეპარებოდა და მართალიც აღმოჩნდი. ქალბატონ სალომეს დაჰპირდნენ, შს მინისტრის მოადგილედ დაგნიშნავთო, მაგრამ მერე გადაიფიქრეს. რატომ?.. მხოლოდ იმიტომ, რომ ზურაბიშვილმა მიტინგზე განაცხადა, — ყველა იმ საქმეს გამოვიძიებ, რომელიც აქამდე გაუხსნელი იყოო. დიახ, სწორედ ამ სიტყვებმა შეაშინა ხელისუფლება და ამას არც მალავს. გოკა გაბაშვილმა ხომ განაცხადა, — თუ მინისტრის მოადგილეობა სურს, ისეთი უნდა იყოს, როგორიც ჩვენ გვინდაო...

ელენე მიგინეიშვილი, *62 წლის, ქიმიკოსი:*

— გასულ კვირას, გაეროს შენობასთან გამართული მიტინგის მონაწილე ქალბატონებს ახალგაზრდებმა მანქანით გადაუარეს და „სასწრაფოს“ გამოძახება დაგვჭირდა. ამ ფაქტმა ძალიან აღმაშფოთა. ცხადია, ეს საქციელი თავზე ხელაღებულმა ახალგაზრდებმა ჩაიდინეს და ამას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ძალიან მაინტერესებს, სად იზრდებიან ასეთი ბავშვები?! ნუთუ, მათ ოჯახში არაფერი ასწავლეს?! ასეა, გენაცვალე, ფულიანი მამიკოები შვილებს დაბადებიდანვე ანებივრებენ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეებისთვის ძვირად ღირებულ მანქანას ყიდულობენ, ბავშვებს კი ეს ყველაფერი თავში უვარდებათ. საბედნიეროდ, ის ქალბატონები სიკვდილს გადაურჩნენ და კიდევ კარგი, ამჯერად მაინც, პოლიციამ ოპერატიულად იმუშავა და ის ახალგაზრდები დააკავა. თუმცა ფულიანი მამიკოები შვილებს საკანში ჯდომას ხომ არ აკადრებენ! ალბათ, ფულს გადაიხდიან, მათ ციხიდან გამოიყვანენ და მერე, „სასწავლებლად“, საზღვარგარეთ გაუშვებენ. აი, ასეთ საშინელ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ფულიანი ადამიანებისთვის კანონი არ მოქმედებს და ასეთებს არც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ადარდებთ.

ვახტანგ ძოლური, *46 წლის, მშენებელ-ინჟინერი:*

— იმაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება?! ჯერ გავამართლებ ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებმაც პარლამენტის შენობასა და დეპუტატებს კვერცხები დაუშინეს. მაგრამ ხელისუფლებაც იმავეს არ აკეთებს?! აბა, მითხარით, ხალხის ცემა — ნორმალური საქციელია?! თანაც, რომ ველარ გაარჩიეს ქართველები და უცხოელები, ყველას ერთნაირად დერივნენ. ამერიკა და ევროპა დაიღალნენ ჩვენი გაუთავებელი პრობლემებით, ჰოდა, ერთმაც აიკრა გუდა-ნაბადი და მეორემაც. მისია ამოვწურეთო, — განაცხადეს და წაბრძანდნენ. შეგვატოვეს რუსეთს ხელში და ახლა რაც მოხდება, საკუთარ თავს დავაბრალოთ... ჩვენი პრეზიდენტი კი ვერც საგარეო პოლიტიკას აგვარებს და ვერც — საშინაოს. მხოლოდ ის შეუძლია, გამოვიდეს და 2 საათი იმაზე ილაპარაკოს, თუ რამდენი ქარხანა გახსნა, რამდენი ადამიანი დასაქმა(?!). მოკლედ, საქმე ისე ცუდადაა, რომ არ ვიცი, საით გავიქცე. ნამდვილად არ მინდა, მე ან ჩემი ოჯახის რომელიმე წევრი ვინმეს სკამს შევეწიროთ... ■

„გაეროს მისიის არარსებობის შემთხვევაში რუსეთს აფხაზეთში ხელ-ფეხი კიდევ უფრო გაეხსნება“

ამ რამდენიმე წლის წინ, აფხაზეთის კონფლიქტურ ზონაში მიმდინარე მოვლენებზე მასალის მომზადებისას, გალის რაიონში გადასვლა დამჭირდა. კონფლიქტურ ზონაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის მანქანით ჩავედით. გზაში არც ერთ პოსტზე არ გავუჩერებივართ, რუსებიც და აფხაზებიც მანქანას ხელის აწევით ატარებდნენ. საუბრისას გავარკვიე, რომ ორგანიზაციის თანამშრომლები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დეტალებში საკმაოდ კარგად იყვნენ გარკვეული და არც იმის თქმა მორიდებიათ, რომ ეს ომი რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული. დაბოლოს, როცა კონფლიქტების დარეგულირების საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების როლს შევეხეთ, არც ის დაუმალავთ, რომ ეს უბრალოდ, მათი სამსახურია და კონფლიქტის მოგვარება მათ ინტერესებში სულაც არ შედის...

რა სარგებლობა მოჰქონდა გაეროს?

ლალი პაპასკირი

გაერო საქართველოს კონფლიქტურ ზონებში სამშვიდობო მისიას 1994 წლიდან ახორციელებდა. 16 ივნისს კი ამ მისიას მანდატი შეუწყდა. გაეროს უშიშროების საბჭომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც რუსეთმა 7 ქვეყნის მიერ მომზადებულ რეზოლუციის პროექტს ვეტო დაადო. საბჭოს 15 წევრი ქვეყნიდან რეზოლუციის სასარგებლოდ ხმა 10-მა მისცა, 4-მა კი თავი შეიკავა. ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც აღნიშნული მისიის გაგრძელების წინააღმდეგ წავიდა — რუსეთი იყო. გაეროში რუსეთის ელჩის, ვიტალი ჩურკინის განცხადებით, რეზოლუციის პროექტი საქართველოში არსებულ ახალ რეალობას არ ასახავს.

არჩილ გეგეშიძე:

— რუსეთის გადაწყვეტილება გეოპოლიტიკური ინტერესებით იყო მოტივირებული. მას სურდა, შარშან აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგად მიღწეული სტრატეგიული პოზიციები შეენარჩუნებინა. სწორედ ამიტომ აღიარა ცალმხრივად, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ყველამ და მათ შორის ამ რეგიონების სეპარატისტულმა ხელმძღვანელობამ კარგად იცის, რომ რუსეთთან ასეთი ურთიერთობის პირობებში, მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოების სტატუსი მხოლოდ ფორმალურად ექნებათ. რუსეთს სურდა, რეზოლუციის ტექსტში ისეთი ტერმინები შეეტანათ, რომლებიც ხელს შეუწყობდა, ერთბაშად თუ არა, თანდათანობით მაინც, დე ფაქტო რეალობის აღიარებას. რადგანაც მან ეს ვერ შეძლო, ერთადერთი გზა დარჩა — დაებლოკა დასავლეთის ქვეყნების მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი.

— გაეროს მისიის შეწყვეტით, რეალურად, რა ზიანი გვადგება? როგორც ცნობილია, ბოლო დროს მათი საქმიანობის ეფექტი ბევრჯერ დადგა ეჭვქვეშ...

— ცალკე საკითხია, რამდენად ეფექტის მომტანი იყო მათი საქმიანობა. გაეროს უშიშროების საბჭო, როგორც ტრიბუნა, ისევ იქ არის, მას ეს ფუნქცია არ დაუკარგავს; ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე საუბარი მომავალშიც შეგვეძლება, უბრალოდ, რადგანაც ეს მისია საქართველოში არსებობდა — გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი, წელიწადში ორჯერ ანგარიშს აკეთებდა და უშიშროების საბჭოს, რეგიონში არსებულ მდგომარეობას აცნობდა. მისიის შეწყვეტის შემდეგ, პან გი მუნი გაეროს საბჭოს სხდომაზე მოხსენებებს საქართველოში არსებულ ვითარებაზე აღარ გააკეთებს და შესაბამისად, არც რეზოლუციები მიიღება იმავე სიხშირით, როგორითაც ეს ადრე ხდებოდა.

— რამდენად რეალურია საფრთხე, რომ გალის რაიონის მოსახლეობის ცხოვრების პირობები კიდევ უფრო დამძიმდება?

— საქმე ის არის, რომ ეს ორგანიზაცია თავის ფუნქციას საკმაოდ არაეფექტიანად ასრულებდა, თუმცა მის წარმომადგენელთა იქ ყოფნა ქვეყნისთვის იმ თვალსაზრისით იყო მომგებიანი, რომ ამ ორგანიზაციის საშუალებით, რუსეთის აგრესიული ქმედებების შესახებ ინფორმაციას საქართველოს მეგობარ ქვეყნებს ვაწვდიდით... რაც შეეხება, აფხაზეთის რეგიონში ვითარების გაუარესებას, — ყველაზე მთავარი და ცუდი ის არის, რომ რუსეთს კიდევ ერთხელ, ამჯერად ბოლომდე გაეხსნება ხელ-ფეხი და აფხაზეთში თავის ჭკუაზე იმოქმედებს — ანუ მოახდენს ამ რეგიონის მილიტარიზაციას.

— თუმცა აქამდეც ხდებოდა...

— შეიძლება, ასეც ითქვას, მაგრამ მისიის იქ ყოფნის მინიმალური შედეგი ის იყო, რომ არსებობდა უსაფრთხოებისა და შეზღუდული შეიარაღების ზონები, ამასთანავე, უშუალოდ ენგურის 12-კილომეტრიან ზოლში აკრძალული იყო მძიმე შეიარაღების შეტანა. ამიერიდან კი რუსეთი იმ რაოდენობის შეიარაღებულ ძალებს შეიყვანს აფხაზეთში, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევს და ენგურისპირა ზოლშიც ისეთი ტიპის სამხედრო ტექნიკას განალაგებს, როგორსაც მოისურვებს. ანუ ამ შემთხვევაში, ბურთი და მოედანი მას რჩება და მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან არანაირი შეზღუდვის დაწესება არ ემუქრება.

— საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის მიმართ ამ შემთხვევაშიც, საყვედურებით შემოიფარგლება და კრიტიკაც ამით ამოიწურება?..

— დიახ, სამწუხაროდ... მისი მისამართით უამრავი კრიტიკა გამოითქმება, მაგრამ ეს რუსეთს არ ანაღვლებს.

— გამოდის, თავისი ენერგო-რესურსებით ის დანარჩენი მსოფლიოს მართვას აგრძელებს? თუ ეს უბრალოდ, ქართული დიპლომატიის მარცხია?

— ზოგადად, რუსეთი ჩვენთვის პრობლემური ქვეყანაა, მაგრამ მისი ამბიციურობა ბოლო დროს მკაფიოდ გამოიკვეთა. მას კავკასიაზე სრული კონტროლის მოპოვება სურს და ამ ამოცანის განხორციელებას ყველაზე მეტად, საქართველო უშლის ხელს, რომელიც დასავლურ ორგანიზაციებში გაწევრებისკენ ისწრაფვის და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ჰეგემონობას ეღობება. სწორედ ამიტომ ცდილობს, ყველა მექანიზმი გამოიყენოს და საქართველო მასზე მაქსიმალურად დამოკიდებული გახადოს... გაეროს მისიის შეწყვეტაზე ბევრად უარესი იქნებოდა, უშიშროების საბჭოს, რუსეთის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი რომ დაემტკიცებინა: ამ დოკუმენტში, გაეროს მისიის დასახელებაში მისი გეოგრაფიული მდებარეობაც კი არ იყო აღნიშნული და მას „გაეროს მისია სტაბილიზაციისთვის“ ერქვა... რაც შეეხება ქართული დიპლომატიის მარცხს: ამ შემთხვევაში, დიპლომატიის მარცხთან არ გვაქვს საქმე. რუსეთმა ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფსონი დადო — მან მხოლოდ საქართველოს კი არა, საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციებიც არ გაითვალისწინა და მაინც თავისი გაიტანა. ■

ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ

ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡᲬᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲚᲘ

ღმერთმა მაჩუქა მათი თავი და რაც მთავარია, ჯანმრთელები არიან

წმინდა გიორგის სახელობის ვაკის ეკლესიაში მოღვაწე მამა გიორგის ოჯახში 9 ბავშვი (5 გოგო და 4 ბიჭი) იზრდება. როდესაც მათ ვესტუმრე, დიასახლისი — ქალ-ბატონი ირმა ღიმილით შემომეგება, ოთახში შესულს კი პატარა ბიჭები შემომეხვივნენ და ინტერესით შემათვა-ლიერეს. შორიახლოს 2 გოგონაც შევნიშნე, რომლებიც უმცროს დაიკოს ხელში არწევდნენ და უმღეროდნენ. მათ მივუახლოვდი, საოცრად პატარა არსებას შევხედე და მომინდა, ხელში ამეყვანა, მაგრამ მისი დაიკოები ისე მიყურებდნენ, მივხვდი, ამ „ვარდისფერი სათამაშოსთვის“ ხელიც არ უნდა მეხლო. რვათვიანი გოგონა — ქეთევანი სულ რამდენიმე დღისაა, მაგრამ და-ძმების სიყვარული უკვე „დაიმსახურა“ და მისი ყველაზე უფროსი დაიკო მზადაა, მის გამო სწავლასაც კი დაანებოს თავი, რათა პატარის გაზრდაში მეტი წვლილი შეიტანოს. ბუნებრივია, მშობლები ამის უფლებას არ აძლევენ.

„ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲐ...“

ᲚᲘᲙᲐ ᲥᲐᲧᲐᲜᲘᲐ

ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ:

— ღმერთმა ინება, ბევრი შვილი მყოლოდა და მეც ვალდებული გახლავართ, ღვთის ნაბოძებ საჩუქარზე უარი არ ვთქვა. მშობელმა შვილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოკლას!.. მე ასე ვფიქრობ და არ ვიცი, ამ თემასთან დაკავშირებით ირმა რა აზრისაა (*იცინის*).

ᲘᲠᲛᲐ:

— შენს აზრს რომ არ ვიზიარებდე, მრავალშვილიანი დედა არ ვიქნებოდი.

ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ:

— წესით, 10 შვილი უნდა გვყოლოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ერთი ახალშობილი გარდაგვეცვალა.

— ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲧᲝᲚᲐᲖᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲘᲗ �თᲣ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲐ?

ᲘᲠᲛᲐ:

— მე მრავალშვილიანი ოჯახიდან გახლავართ. ჩემს მშობლებს 6 შვილი შეეძინათ. მართალია, მაშინ ცხოვრება ძალიან ჭირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავს მაინც ბედნიერ ადამიანებად ვგრძნობდით. როცა ოჯახის ყველა წევრი მაგიდას შემოვუსხდებოდით, ზოგჯერ საჭმელი „შუა გზაზე“ გვითავდებოდა და სუფრიდან ნახევრად მშივრები ვდგებოდით, მაგრამ მერწმუნეთ, ამის გამო ბავშვებს არასდროს დაგვიწუწუნია. საერთოდ, მორიდებული ბავშვი გახლდით, სხვის სახლში საჭმელს არაფრით შევჭამდი, მაგრამ როცა სათამაშოდ ჩემს ერთ-ერთ კლასელთან მივდიოდი, რომელიც ასევე მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო (მის მშობლებსაც 6 შვილი ჰყავდათ), ცდუნებას ვერ ვუძლებდი და საჭმელს იქაც მივირთმევდი, რადგანაც ჩვენი სახლის მსგავსად, სუფრას ბევრნი უსხდნენ. საერთოდ, როცა ოჯახში ბევრი ადამიანია, სულ სხვანაირი სითბო, სიყვარული იგრძნობა და ამიტომაც, არასდროს მინდოდა, მხოლოდ 1 შვილი მყოლოდა. ვფიქრობდი, — 4 ბავშვი მაინც უნდა გავაჩინო-მეთქი.

— და ახლა უკვე 9 შვილი გყავთ...

— დიახ, ღმერთმა მაჩუქა მათი თავი და რაც მთავარია, ჯანმრთელები არიან.

ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ:

— 17 წლიდან ეკლესიაში დავდივარ, მორწმუნე ვარ და შესაბამისად, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას ვიცოდი, რომ საკუთარი შვილის კი არა, ცხოვრებაში არავის მოკვლაზე არ ვიფიქრებდი.

ᲘᲠᲛᲐ:

— 23 წელია, რაც ოჯახი შევქმენით და უკვე 10 შვილი გავაჩინე. ბავშვების გაზრდა სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ქალის მოვალეობაა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, მორწმუნე ადამიანებმა თუ არ გავაჩინეთ შვილები და მუცლადმყოფი პატარა მოვკალით, სხვას რა უნდა მოვთხოვოთ?!.

— ᲖᲝᲒᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲐᲛᲐᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲕᲔᲠ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲡᲘᲫᲜᲚᲔᲔᲑᲘ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲗ...

ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ:

— როცა მხოლოდ 1 შვილი — მარიამი გვყავდა, რომელიც უკვე 22 წლისაა, მაშინაც ამ ბინაში, ამავე პირობებში ვცხოვრობდით. ახლა 9 შვილი გვყავს და ხომ ხედავთ, ბევრი არაფერი გაგვაჩნია. ჩვენი სიმდიდრე შვილებია, რომლებიც, მიუხედავად გაჭირვებისა, შიმშილით არ დაგვიხოცავს.

ᲘᲠᲛᲐ:

— არ მჯერა იმ ქალების, რომლებიც ამბობენ: შვილებს იმიტომ არ ვაჩენთ, რომ მატერიალური პრობლემები გვაქვსო. ისინი სხვა რაღაცის გამო იკეთებენ აბორტს და მერე, უსახსრობას იმიზეზებენ.

ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ:

— სამაგიეროდ, დადიან სალონებში, ძაღლის სეირნობასა და მის კვებაში იხდიან ბევრ ფულს და ა.შ. მოკლედ, საკუთარი სიამოვნებისთვის ფული არასდროს გამოელევათ.

ᲘᲠᲛᲐ:

— ზოგს არანაირი მატერიალური პრობლემა არ აქვს, მაგრამ შვილს მაინც კლავს. მართალია, დღეს თითქმის ყველას გვიჭირს, მაგრამ მერწმუნეთ, თუ ადამიანი ხელს გაანძრევს, შვილი შიმშილით არ მოუკვდება. როცა ღმერთი შვილს გაჩუქებს, მისი გაზრდის შანსსაც გაძლევს.

ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ:

— უფალი მშიერს არ დაგვტოვებს, გაჭირვებაში არასდროს მიგვატოვებს!..

ᲘᲠᲛᲐ:

— ბოლო ფეხმძიმობისას ძალიან გამიჭირდა. მეგონა, ცუდი რაღაც მოხდებოდა, მაგრამ ღვთის მადლით, 8 თვემდე მივაღწიე და ჩემი გოგონაც დაიბადა. მოკლედ, ღმერთმა მეც გადამარჩინა სიკვდილისგან და ჩემი პირმშოც. მჯერა, უფალი იმის ძალასაც მომცემს, რომ ის ნამდვილ ქართველ მორწმუნე ქალად აღვზარდო...

ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ:

— მართალია, ჩვენი შვილები ფასიან, ე.წ. პრესტიჟულ სკოლებში არ სწავლობენ, რადგან ამის საშუალება არ გვაქვს (იქ გადასახადი თვეში 200-300 დოლარს შეადგენს), მაგრამ ვისაც სწავლა უნდა, უფასო სასწავლებელშიც ისწავლის, არ დაიჩაგრება.

— როცა სახლში ბევრი ბავშვია...

— (*მაწვეტინებს*) ხომ გაგიგონიათ, — ბევრი შვილი, ბევრი ჭირიო (*იცინის*).

ᲘᲠᲛᲐ:

— მაგრამ ბევრი შვილი ბევრი სიხარულიცაა. როცა ოჯახში რამდენიმე პატარა იზრდება, ისინი ერთმანეთის (და არა მარ-

ტო ერთმანეთის) მიმართ განსაკუთრებულად მოსიყვარულეები არიან. მაგალითად, ჩემმა შვილებმა არ იციან, პატარა დაიკოს რით ასიამოვნონ, მის მოვლაში ერთმანეთს ეცილებიან...

— ალბათ, 9 შვილის მოვლა მაინც გიჭირთ.

— არც ისე, რადგანაც უფროსები პატარებს უვლიან და ნათესავებიც შეძლებისდაგვარად, გვეხმარებიან.

მამა გიორგი:

— მატერიალურად, მრევლიც გვეხმარება.

— როცა უცნობი ადამიანები იგებენ, რომ 9 შვილის მამა ხართ, როგორი რეაქცია აქვთ?

— ზოგი გაოცებული მიყურებს, ზოგი კი აღტაცებას ვერ ფარავს და ამბობს, — აუ, რა კარგიაო!.. ჰო, კარგია, რომ მრავალშვილიანი მამა ვარ და ერს ვამრავლებ, მაგრამ ამაზე თავადაც უნდა ზრუნავდნენ.

ირმა:

— ჩვენ იმისთვისაც ხშირად ვიბრძვით, რომ ქალებმა ცოდვა არ ჩაიდინონ, საკუთარი შვილი არ მოკლან და, სხვათა შორის, ბევრი სიცოცხლე გადაგვირჩენია.

— ამას როგორ ახერხებთ?

— როცა მრევლისგან შევიტყობთ, რომ ვიღაც აბორტის გაკეთებას აპირებს, ფეხმძიმეს ვურეკავთ და ამაზე უარის თქმას ვურჩევთ, მის გადარწმუნებას ვცდილობთ. მადლობა ღმერთს, უმეტესობა გონს მოდის და აბორტს აღარ იკეთებს.

მამა გიორგი:

— ხალხო, გაითვალისწინეთ, აბორტი არის იგივე მკვლელობა, საკუთარი შვილის მკვლელობა!!!

ირმა:

— ეს საშინელებაა. თქვენ კლავთ უცოდველ, ცოცხალ არსებას... სამწუხაროდ, ზოგიერთ ქალბატონს ამ ცოდვის ჩადენა არაფრად მიაჩნია და წელიწადში შეიძლება, 5-6 აბორტიც კი გაიკეთოს. ასეთი მანდილოსნების მორჯულება ძნელია. თუ ბავშვის გაჩენა არ გინდა, საქმე დაფეხმძიმებამდე არ უნდა მიიყვანო.

— ვთქვათ, ახალგაზრდამ დაუშვა შეცდომა და საყვარელი ადამიანისგან დაფეხმძიმდა...

— შეცდომის გამოსწორების მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს — მან შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს და ეს ცოდვა მიეტევება.

მამა გიორგი:

— ბათუმში არსებობს დედათა და ბავშვთა სახლი, სადაც ასეთ გზააბნეულებს აუცილებლად დაეხმარებიან. თუ ფეხმძიმე ქალს საკუთარი თავის მოვლის საშუალება არ აქვს, მას დახმარებას გაუწევენ, ბოლოს კი ამშობიარებენ და თუ ქალის სურვილი იქნება, მისი პატარის აღზრდასაც იკისრებენ იმ დრომდე, ვიდრე დედას შვილის შინ წაყვანის სურვილი გაუჩნდება.

— მაგრამ ზოგს ეშინია, რომ თუ ბავშვს გააჩენს, მშობლებს ან საყვარელ ადამიანს სამუდამოდ დაკარგავს...

— ჯერ ერთი, ადამიანი, როგორც გოგონა, ისე ვაჟი, ქორწინებამდე უბიწო უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენში უბიწოება მხოლოდ გოგონებს მოეთხოვებათ. მოკლედ, ღმერთისგან მოცემული ეს მცნება დარღვეულია და ესაა ყველა უბედურების სათავე. მაგრამ როცა უგუნურებით, შეცდომას დაუშვებ, მას მეორე ცოდვა — მკვლელობაც არ უნდა დაამატო. ბავშვის მამამ მისი მოვლა-პატრონობა უნდა იკისროს, შეცდენილი წყვილის მშობლებმა კი შვილებს ყველაფერი უნდა აპატიონ და მათი პატარაც უნდა მიიღონ — ამით საკუთარ პირმშოს კიდევ ერთი მძიმე ცოდვის ჩადენისგან იხსნიან... თუ უკვე ცოდვაში ფეხჩადგმული გოგონა მშობლებს ვერაფერს გაუმხელს და ბავშვის მამასაც ვერაფერს შეაგნებინებს, პატარა მაინც უნდა გააჩინოს, მერე კი, თუ მის აღზრდას ვერ იკისრებს, ის ბავშვთა სახლში დატოვოს. რა თქმა უნდა, შვილის მიტოვებაც ცოდვაა, მაგრამ მკვლელობას ეს სჯობს.

— თქვენთან რომ მოვიდეს ადამიანი და გთხოვოთ, რომელიმე ბავშვი მომაშვილეთო, რას ეტყვით?

ირმა:

— ჩვენ გასასხვისებლად ვერც ერთ შვილს ვერ გავიმეტებთ და ჩემი აზრით, ყველა ნამდვილი დედა ასე მოიქცევა.

მამა გიორგი:

— გაშვილება კი არა, ამას წინათ მოვისმინე, რომ არსებობს სახელმწიფო პროგრამა — თუ პატარას იშვილებ და 18 წლამდე უპატრონებ, სახელმწიფო მის აღზრდაში მატერიალურად დაგეხმარება. მაშინ გადავწყვიტე, ერთი პატარა მეც ამეყვანა, მაგრამ ახლა ქეთევანი გვყავს და ამას ველარ შევძლებთ... სხვისი შვილის გაზრდა დიდი მადლია.

კარგია, რომ მრავალშვილიანი მამა ვარ და ერს ვამრავლებ

— არსებობენ ისეთი ოჯახები, რომელთაც შვილი არ ჰყავთ, მაგრამ ბავშვის აყვანისგანაც თავს იკავებენ. ეშინიათ — რომ ავიყვანო, რა ვიცი, ვისი გენისაა და როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდებაო?!.

— ისინი არასწორად ფიქრობენ. მთავარი — ბავშვის აღზრდაა. არის შემთხვევები, როცა დედ-მამა განათლებული, პატიოსანი ხალხია, მათი შვილი კი სასტიკი პიროვნებაა.

ირმა:

— როცა სხვისი შვილის აღზრდას იკისრებ, შესაძლოა, უფალმა საკუთარი შვილითაც დაგაჯილდოოს.

მამა გიორგი:

— ირმა მართალია და არაერთი მსგავსი მაგალითი ვიცი. ვიცნობ წყვილს, რომელსაც შვილი 10 წლის განმავლობაში არ

ჩემმა შვილებმა არ იციან, პატარა დაიკოს რით ასიამოვნონ, მის მოვლაში ერთმანეთს ეცილებიან...

გაუჩნდა და ამიტომაც, პატარა იშვილეს. ამ ამბიდან ზუსტად 1 წლის შემდეგ, მათ საკუთარი შვილიც შეეძინათ...

— შვილებს მკაცრად ზრდით?

— ვფიქრობ, ძალიან მკაცრი მამა არ ვარ. ჩემი დასჯის მეთოდი ასეთია: თუ გამაბრაზებენ, ლოგინში უნდა ჩაწვნენ. მხოლოდ უფროს გოგონას ვერ ვერევი, თორემ დანარჩენებს დღემდე ასე ვსჯი. სხვათა შორის, ეს კარგი მეთოდია: ამ დროს მეც ვისვენებ და ბავშვიც ისჯება — პატარებს ლოგინში წოლა არ უყვართ (*იცინის*).

— ბავშვის მკაცრად დასჯა დასაშვებია?

— თუ დააშავებს, უნდა დაისაჯოს. ის კი არა, ზოგჯერ შემოლაწუნებაც აუცილებელია.

— მამა გიორგი, თქვენ თქვით, რომ მორწმუნე 17 წლიდან გახდით. მანამდე როგორ ცხოვრობდით?

— წარმოშობით გურიიდან ვარ. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვედი და სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. დედაქალაქში პირველად ვიყავი ჩამოსული და ბუნებრივია, მისი დათვალიერების სურვილი გამიჩნდა. სწორედ მაშინ აღ-

მოვაჩინე, რომ თურმე თბილისში არსებობს სიონის ტაძარი, სადაც სწორედ იმ დროს შევედი, როცა ახალდანიშნული პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II წირვას აღავლენდა და გავოცდი. ამის შემდეგ გადავწყვიტე, მეც უფლის მსახური გავმხდარიყავი.

— მანამდე მორწმუნე არ იყავით?

— მორწმუნე კი არა, მანამდე მღვდელი

საკმაოდ ვიწროდ ვცხოვრობთ და ამიგომაც, რამდენიმე ბავშვი სოფელში, ჩემს მშობლებთანაა

მხოლოდ ფილმებში მყავდა ნანახი, სადაც მუდამ გაშარჟებული ჰყავდათ და, რა თქმა უნდა, სამღვდელოებაზე ცუდი წარმოდგენა მქონდა... გურიაში მოქმედი ეკლესია არ იყო. ჩემი სახლიდან რამდენიმე კილომეტრში ჯიხეთის დედათა მონასტერი მდებარეობდა, მაგრამ არც კი ვიცოდი, იქ ბერმონაზვნები თუ ცხოვრობდნენ. იქაურობაც მხოლოდ სტუდენტობის დროს მოვილოცე...

— თქვენს ოჯახს ახლა რა პრობლემა აქვს?

— ძალიან გვინდა, ყველანი ერთად ვცხოვრობდეთ, მაგრამ ამის საშუალება არ გვაქვს. როგორც ხედავთ, საკმაოდ ვიწროდ ვცხოვრობთ და ამიტომაც, რამდენიმე ბავშვი სოფელში, ჩემს მშობლებთანაა.

ირმა:

— ხან იქით გავრბივართ, ხან — აქეთ გამოვრბივართ.

— როგორც ვიცი, ფონდმა „იავნანამ“ ბინა თქვენს ოჯახსაც აჩუქა.

— კი, მაგრამ ეს არის მშენებარე ბინა და ჯერ მხოლოდ რამდენიმე სართულია აშენებული... „იავნანა“ და პაატა ბურჭულაძე დიდ საქმეს აკეთებენ. ცნობილმა ადამიანებმა მას რომ მიჰბაძონ და ერთ ოჯახს მაინც დაეხმარონ, კარგი იქნება.

— მშენებლობა როდისთვის უნდა დასრულდეს?

— დაახლოებით, 1 წელიწადში. რა ვიცი, ადრე თუ გვიან, ხომ აშენდება ის კორპუსი და ჩვენც გვეღირსება ერთად ცხოვრება.

ირმა:

— საწოლები ერთმანეთზე გვაქვს შედგმული, მაგრამ ყველანი მაინც ვერ ვეტევით. ძალიან გვიჭირს იმ პატარების გარეშე ყოფნა, რომლებსაც ბებია-ბაბუა უვლის, მაგრამ რას ვიზამთ?..

— ალბათ, მთელი თქვენი ყურადღება ქეთევანზე გაქვთ გადატანილი. უფროსები არ ეჭვიანობენ?

მამა გიორგი:

— რატომ უნდა იეჭვიანონ? ჩვენ თითოეულ შვილს ვეფერებით და ყურადღებას არც ერთს არ ვაკლებთ.

ირმა:

— შვილები არ უნდა გამოარჩიო, თორემ ამას დანარჩენები უეჭველად იგრძნობენ და ბავშვებს შორის ცუდი ურთიერთობა დამყარდება... ჩემს შვილებს შორის მსგავსი რამ არ იგრძნობა. ის კი არა, ამას წინათ უფროსმა გოგონამ მითხრა: უნივერსიტეტში სწავლას თავს დავანებებ და ქეთევანს გავზრდიო (*იცინის*).

უფროსებთან საუბრის შემდეგ, რამდენიმე კითხვა ბავშვებსაც დავუსვი, მაგრამ ისინი ძალიან მორცხვები აღმოჩნდნენ. პატარებმა მხოლოდ საკუთარი ოცნებები გამიმხილეს. გოგონები ტელევიზორზე ოცნებობენ, რათა ახალი ამბები მოისმინონ და საბავშვო გადაცემების ყურების საშუალება ჰქონდეთ, პატარა ბიჭები კი პულტიან თვითმფრინავს, მანქანასა და პისტოლეტს ნატრობენ... ბოლოს, როცა მათი ოჯახიდან წამოსვლას ვაპირებდი, 6 წლის **მაშუკა** *წინ გადამიდგა და სიცილით მითხრა:*

— იცი, როცა გავიგე, რომ „იავნანას“ ჩვენთვის ბინა უნდა მოეცა, დედას ვკითხე, — კი, მაგრამ ჩვენ დაზარალებულები ვართმეთქი? მეგონა, ბინას მხოლოდ დაზარალებულ ოჯახებს აძლევდნენ; ჩვენ დაზარალებულები კი არა, ბევრნი ვართ, რაც კარგია. ჩემს ერთ ძმას პოლიციელობა უნდა, მეორეს — რაღაცის ხელოსნობა, მე კი ჯერ არაფერი გადამიწყვეტია.

— შენ მითხარი, პულტიანი მანქანა მინდაო.

— ჰო, ასეთი მანქანა არასდროს მქონია. ალბათ, უფლის ნებით, ოდესმე ეს სათამაშო მეც მეღირსება (*იცინის*).

P.S. თუ ამ ოჯახთან დაკავშირების სურვილი გაგიჩნდებათ, გთხოვთ, დაგვირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8(58) 25-60-81 ან მოგვწეროთ ელფოსტით:

საწოლები ერთმანეთზე გვაქვს შედგმული, მაგრამ ყველანი მაინც ვერ ვეტევით

ლალი ფაცია

— როგორ ბრძანდებით?

— ღმერთის წყალობით, არა მიშავს. დღეს სულთმოფენობაა, ძალიან მიყვარს ეს დღესასწაული... ამიტომ, წავედი ჩემების საფლავზე, ტირიფების ტოტები და ვარდები მივიტანე, მაგრამ იქ მისვლა დედამ დამასწრო...

— დღეს საქართველოში რთული პოლიტიკური სიტუაციაა. როგორც პარლამენტის წევრი, რას განიცდით ამ პერიოდში?

— ვფიქრობ, 1991 წელთან შედარებით უკეთესი სიტუაციაა. მიმაჩნია, რომ საფრთხეები ყველამ ერთად დავძლიეთ და გადავლახეთ... დილა რომ თენდება, ღმერთს ვეხვეწები, რომ ჩვენი, ყველას ნაბიჯები დალოცვილი და ერთმანეთისკენ მეტად სავალი იყოს.

— როგორც ოპოზიცია ამბობს, სამოქალაქო დაპირისპირებას მხარს არ უჭერს. ნუთუ დღეს 1991 წელთან პარალელების გავლება შესაძლებელია?

— არც მაშინ იყვნენ იმის მსურველები და მხარდამჭერები, რაც მოხდა, მაგრამ ყველაფერი სიტუაციამ მოიტანა... დღეს, როდესაც საქართველოში, დედაქალაქიდან 28 კილომეტრში რუსის ჯარი იმყოფება, ქვეყნის ტერიტორია ოკუპირებულია, არსებობს ომის საფრთხე, პარალელების არგავლება შეუძლებელია. განა რუსეთი არ იდგა იმ ყველაფრის უკან მაშინაც?! მაგრამ მე იმას ვამბობ, რომ დღეს საზოგადოება გაზრდილია, რადგანაც აქვს წარსულის მწარე გამოცდილება და მაგალითები... საქართველო ჩვენიც არის და იმ უფრო დიდი, მომავალი საქართველოსიც, რომელიც ფეხს ახლა იდგამს, დამოუკიდებლობის ნაბიჯებს დგამს...

— ვიცი, რომ პროფესიით ექიმი-გინეკოლოგი ბრძანდებით და წარსულში საკმაოდ წარმატებული კარიერა გქონდათ...

— კი, მართალია. სხვათა შორის, რეპროდუქტოლოგი გახლდით...

— ასე რომ, უსარგებლო შრომა არასდროს გაგიწევიათ, მაგრამ სანამ თქვენი პროფესიული მეტამორფოზა მოხდებოდა და ბიზნესლედი გახდებოდით, მიმაჩნია, რომ უფრო სასარგებლო საქმეს აკეთებდით...

— იმედი მაქვს, რომ ჩემს პირველ პროფესიას მომავალშიც მივუბრუნდები... მაგრამ ის მეტამორფოზა სწორედ იმ წლების გამოც მოხდა, რომელზეც ვილაპარაკე. ალბათ მაშინ ბევრმა ადამიანმა შეიცვალა პროფესია, ცხოვრების სტილი, წესი და გზაც... სულიერად ყველაზე კომფორტულად და ბედნიერად მაშინ ვგრძნობდი თავს, როდესაც ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურებოდი... წარმოიდგინეთ, მაშინ ვაკეთებ-

რუსუდან კერვალიშვილს ოჯახში სერიოზული ოპონენტი ჰყავს

ცხოვრებამ გამოცდა ბევრჯერ მოუწყო, მაგრამ შინაგანად მტკიცე ბუნების აღმოჩნდა, ყველაფერს ღირსეულად შეხვდა. ამასთან, არაერთხელ დაამტკიცა, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ დიდი საქმეების კეთება... ოჯახმა, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა, შრომა და სიყვარული ასწავლა და ამ ტრადიციებზე აღზრდილმა სხვანაირი ცხოვრება ვერასდროს შეძლო. ამიტომაც არის, რომ დღეს რუსუდან კერვალიშვილი ერთ-ერთი წარმატებული ქართველი ქალბატონია... მას ორი კვირის წინ, ზუსტად სულთმოფენობის დღესასწაულზე შევხვდი.

დი იმას, რისთვისაც მანამდე ვემზადებოდი... სამედიცინო ინსტიტუტში სწავლა, შემდგომ, ექიმობა, პაციენტებთან ურთიერთობა ცხოვრებაში ბევრ რამეს გასწავლის და გმატებს. ეს განსაკუთრებული აკადემია და უდიდესი ფილოსოფიაა; ჰიპოკრატეს ფიცს დებ და სწავლობ ადამიანების სიყვარულს. ამიტომ არ შემიძლია, მათ, ვისაც ადამიანის სიცოცხლე აბარია, გულგრილად შევხედო... არავინ იფიქროს, რომ საავადმყოფოში არასდროს მოხვდება. თითოეული ჩვენგანი არის ადამიანი და ეს ყველას უნდა გვახსოვდეს; განსაკუთრებით კი მათ, ვის ხელშიც დღეს ძალაუფლებაა. დიდი მოფრთხილება უნდა ჯანდაცვის სფეროს...

— ვის მიიჩნევთ თქვენს პედაგოგად?

— შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ცხოვრების მასწავლებელი იყო იმ კლინიკის განყოფილების გამგე, სადაც ვმუშაობდი, — მიშა ფრიდმანი. იგი ამჟამად ლოს-ანჯელესში მოღვაწეობს. საქართველოდან იმის გამო წავიდა, რომ მისი შვილები უცხოეთში ძალიან წარმატებულები არიან — ერთი BBC-ში მუშაობს, მეორე — ექიმია. აქედან ბევრი ქართველისა და საქართველოში მცხოვრები არაქართველის გული, გაბედნიერებული ოჯახის ლოცვა წაიღო. საოცრად გულისხმიერი პიროვნებაა, უყვარს ადამიანები საერთოდ, და თავისი პაციენტები. მასთან მუშაობის პერიოდი ჩემს ცხოვრებაში გამორჩეული იყო. მის თანამშრომლებს (სულ ქალბატონები ვიყავით), მთელ განყოფილებას, „ფრიდმანის გოგოებს“ გვეძახდნენ. ერთმანეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა. ეროვნული მოძრაობის დროს, ჩვენი პატარა კოლექტივი ძალიან ვბობოქრობდით, დიდი აზრთა შეჯახება, დაპირისპირება გვქონდა, მაგრამ ამავე დროს — ერთმანეთის დიდი სიყვარულიც.

ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩემი ცხოვრება ასე არ გაგრძელდებოდა...

— ისე, თავიდან რეპროდუქტოლოგობა რატომ გადაწყვიტეთ? მედიცინაში ამ მიმართულებით რატომ წახვედით?

— ბავშვის გაჩენა საოცარი შეგრძნება და ღვთის მოცემული მადლია. ამ ქვეყანაზე ამაზე დიდი სიხარული და ჯილდო არ არსებობს. ამიტომ, ჩემი პროფესია ადამიანებისთვის სიხარულის მომტანია. წარმოიდგინეთ ოჯახი, რომელიც წლების მანძილზე შვილის შეძენის მოლოდინშია და შენ მას რაღაცაში ეხმარები... მერე ფეხმძიმე ქალს რომ უყურებ, გული გიჩქროლდება...

— თქვენს პაციენტებს დღეს თუ ხვდებით?

— ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სიხარულია, როდესაც ჩემს პაციენტებს ვხვდები. მათ უკვე საკმაოდ დიდი შვილები ჰყავთ.

— მართლაც, საოცარი განცდაა, როდესაც ადამიანის ამქვეყნად მოვლინებაში გარკვეული როლი მიგიძღვის...

— ძალიან მცირედი, მაგრამ მაინც... საოცარი რამ არის, როცა ამ ბედნიერებისა და სიხარულის თანაზიარი ხდები. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იმ დედამთილს განსაკუთრებით ვცემ პატივს, რომელიც საოცრად უვლის თავის რძალს, როდესაც ის შვილს ელოდება.

— მედიცინიდან ბიზნესში როგორ გადაინაცვლეთ?

— მამაჩემი მშენებელ-ინჟინერია, ამასთანავე, ენერგეტიკოსიც. ჩემი და — მაია არქიტექტორი. ადრეულ წლებში, მუდმივად აქტიური ურთიერთობა მქონდა მაიას მეგობრებთან. მათი საქმიანობა საოცრად მომწონდა. თავისთავად სასარგებლო რამ არის მშენებლობა, ეს ხომ სიკეთის ქმნაა. როდესაც ჩემი ექიმი და პედაგოგი — ბატონი მიშა საქართველოდან წავიდა, მუშაობის ხალისი გამიქრა. იმ პერიოდში ჩვენში შენობების პრივატიზაცია დაიწყო. ჰოდა, ასეთი იდეა გამიჩნდა — ერთ ადგილას, ბანკის შენობა იდგა, რომელსაც პირველი სართული არ ჰქონდა. ვიფიქრე — ეს ფართობი შენობად

რომ იქცეს, გალამაზდეს, უფრო გაიზრდება და იქაურობა ნაგვისგანაც გათავისუფლდება-მეთქი. როდესაც ეს აზრი გამოვთქვი, დამცინეს, შენ რა შუაში ხარო. მაგრამ მე ამან არ დამაფრთხო. ამ საქმეში ბევრი რამ ვისწავლე, კონსულტაცია გავიარე და საქმეც დავიწყე...

— ექიმობისთვის საბოლოოდ თავის დანებება ადვილად შეძელით?

— არა... სხვათა შორის, დღესაც კი, სიზმარში ექიმი ვარ. კავშირი მედიცინასთან სულ მაქვს, არ გამიწყვეტია. ამასთან, ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აღარ მივეცი თავს მუშაობის უფლება.

— რატომ?

— ის საქმე საკეთებლად ბევრად მსუბუქი იყო ჩემთვის, იმასთან შედარებით, რასთანაც მერე მომიწია შეხებამ. საკუთარ თავს მეტი მოვთხოვე... თუ ოდესმე შევძლებ, ისეთი განყოფილება შევქმნა, სადაც შესაძლებელი იქნება მოვლა ისეთი ავადმყოფებისა, რომლებთანაც ადრე ვმუშაობდი, სახელმწიფოსთვისაც პრიორიტეტული გახდება და ბევრად მნიშვნელოვანიც იქნება.

— მეუღლე, ბატონი ზაზა დარასელი ახსენეთ, რომლის ამაგს ვერ ივიწყებენ მისი აღზრდილი თაობები. როგორც ვიცი, მისი კვალი თქვენს ცხოვრებაშიც საკმაოდ დიდია...

— ...ზაზა ჩემ გვერდით რომ იყოს, ალბათ ბევრს დამცინებდა იმის გამო, რასაც ახლა ვაკეთებ. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩემი ცხოვრება ასე არ გაგრძელდებოდა... მაგრამ ვიცი, ის დღესაც სულ მაკვირდება, მაფასებს. ამას ვგრძნობ და რა ვქნა, რითი ვიმართლო ხოლმე თავი, აღარ ვიცი...

— რატომ? თქვენ ხომ სასარგებლო საქმეს ემსახურებით?

— ვცდილობ, სასარგებლო იყოს ის საქმე, რომელსაც ვემსახურები. ყველაფრის შეთავსება ძალიან ძნელია, ამასთან, მარტოობის შეგრძნებაც. მაგრამ ძალიან დატვირთული რომ ვარ, ეს ყველაფერს ანეიტრალებს. სახლში, რომელშიც ჩემს მეუღლესთან ერთად ვცხოვრობდი, ვცდილობ, არ ვიყო ხოლმე, რადგანაც ბოლომდე გასიგრძეგანება იმისა, რომ ცხოვრებაში რაღაც ეტაპი დამთავრდა, ძალიან მტკივნეულია. ვეგუები იმ აზრს, რომ მე და ზაზა ახლა ასეთი ფორმით ვარსებობთ: მე ასე, როგორც ვარ და ზაზას მდგომარეობა — სხვაა. ის ამ ქვეყნიდან სუფთა ხელებით წავიდა. მის მერე უფრო მეტი სირთულის გადალახვა მომიხდა. უფალს ვთხოვ, შემაძლებინოს, იმდაგვარად წავიდე ამ ქვეყნიდან, როგორც — ზაზა. ეს არ არის ადვილი.

— თქვენს შვილზე — ნინოზე რას იტყვით?

— ნინო მამას ჰგავს ხასიათით, ჩემი არაფერი აქვს... სულ ვკამათობთ. ჩემი სერიოზული ოპონენტია. ნინო კი მიიჩნევს, რომ მე ვარ მისი ოპონენტი. ასე რომ, ერთმანეთთან მეგობრულ-ოპონენტური ურთიერთობა გვაქვს. მაგრამ სრული კომფორტი მაქვს ჩემს უფროს შვილიშვილ ზაზუკასთან. ის რაღაცნაირად მიფრთხილდება და მეც ასეთივე დამოკიდებულება მაქვს მასთან. როდესაც ბაბუამისი ამ ქვეყნიდან წავიდა, 6 წლის იყო და მაშინ 6 ძალიან საინტერესო მოთხრობა დაწერა (არც მანამდე და არც მერე აღარაფერი დაუწერია). საერთოდ, ისეთი ბავშვია, რომ ნაკლებად ამჟღავნებს თავის განცდებს. მაშინ კი, როდესაც ბაბუის გარდაცვალების შესახებ შეიტყო, ხელი მომკიდა და მითხრა: — ყველას თავისი ზაზა ჰყავს და მე ვიქნები შენი ზაზაო...

— ერთხელ ისე მოხდა, რომ დედათქვენს არმაზში, თქვენს სახლში ვეწვიე. თბილი, ყურადღებიანი, მშრომელი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა... თქვენს დიდ ოჯახში ადამიანებს ერთმანეთთან გამორჩეული ურთიერთობა გაქვთ. როგორ ახერხებთ ამას?

შვილთან და შვილიშვილთან ერთად

— ჩვენ თუ დღეს, ამ ცხოვრებაში რამეს წარმოვადგენთ, ეს უფლის ნებაა, ამასთან, ჩვენი შრომის შედეგიც. ჩვენი — ჩემი და მაიას ბებია (მამის დედა), ამ ქვეყნიდან 90 წლის ასაკში ისე წავიდა, რომ ჭურს სხვას არ არეცხვინებდა, უქმად არ ჩერდებოდა. შვილებისთვის არაფერი უთხოვია, პირიქით, იქით ეხმარებოდა. ეს მაგალითი, იცით, რატომ მომყავს? ჩვენს ოჯახში ოდითგანვე შრომისა და სიყვარულის კულტი იყო გამეფებული. ამ ტრადიციებზე გავიზარდეთ. ადამიანების არსებობა სხვა არაფერია, თუ არა სიყვარული. მე უფლის მადლიერი ვარ, რომ გავჩნდით საქართველოში და იმ დროს, როდესაც საქართველოს ღმერთმა მისი უწმინდესობა, ილია II მოუვლინა; მოვესწარით იმ დროს, როცა ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა... ჩემი წინაპრები ამას ვერ შეესწრნენ. ამ ოცნებით წავიდნენ. მეორე ბებიამ დამიბარა, საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდება, საფლავთან მოდი, არ დაგეზაროს და ჩამომძახე ამის შესახებო... თავს იმდენი რამ დაგვატყდა, რომ ამის გააზრების უნარიც აღარ გვაქვს. რისი მეშინია, იცით? რომ ადამიანებმა არ დავკარგოთ ერთმანეთის გატანისა და სიყვარულის უნარი. ჩვენს მატერიალურ არსებობას აზრი არ ექნება, თუ სიყვარულის შეგრძნება დავკარგეთ... ომის დროს, როდესაც არმაზში, სახლში ჩავედი, ბევრი ადამიანი იქიდან გასული იყო, ჩემი ნივთებიც გაეტანათ სახლიდან, იქაურობა დაცლილი იყო. რა ხდება-მეთქი? — ვიკითხე. რუსის ჯარი მოდისო, — მიპასუხეს. — მერე, მოვიდეს, აქ უნდა დავხვდე-მეთქი... სად უნდა წახვიდე შენი ქვეყნიდან? მართლაც სად წახვალ შენი სამშობლოდან?! ან რომც წახვიდე, უცხო ქვეყანაში ვერ პოულობ იმ ბედნიერებას, რომელსაც შენს მიწაზე განიცდი.

— ცნობილია, რომ ქველმოქმედებას თქვენს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია...

— სამწუხაროდ, ველარ... ეს ერთი წელია, უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა და ამიტომ აღარ არის იმის საშუალება, რომ ადამიანებს ასე ვთქვათ, „ბალახი გავუზიარო“. თუმცა წყლისა და ბალახის გაზიარების უნარი ყველაზე დიდი სიხარულია, რაც შეიძლება, ადამიანს უფალმა მოგანიჭოს.

— როგორ გგონიათ, მოხდა თუ არა თქვენი პოლიტიკოსად ჩამოყალიბება?

— უპირველესად, მე ვარ ქალი, დედა და ჩემი პოლიტიკაა, როგორც ოჯახი, ჩემი სამშობლო იყოს მშვიდობიანად, კარგად! ეს გახლავთ მთელი ჩემი პოლიტიკა. სხვა ნატვრა არაფერი მაქვს. ეროვნულ ერთიანობაზე ყველამ ერთად, მუდმივად უნდა ვიფიქროთ. დიდაქტიკურად არ მინდა, გამომივიდეს, მაგრამ იმ ასაკის ვარ, რომ უკვე ბევრს ვფიქრობ, თუ ვინ ვიყავით, რანი ვართ და საით მივდივართ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ყველამ უნდა გააცნობიეროს... ■

„პოდიუმზე პოლიტიკა ავიდა...“

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ია კიწმარიშვილი
რესპონდენტი – ზალიკო ბერგერი

საზაფხულო კოლექცია „იმიჯ-ცენტრისა“ და სააგენტო „ნატალის“ მოდელების მონაწილეობით; ჰაერო-ვანი, ფერადი, ჭრელი სამოსი, უმეტესად — ყოველდღიური, თუმცა შიგადაშიგ საცურაო კოსტიუმებიც, ორიგინალური ვარცხნილობები და კოლექციას თან დართული დიზაინერის მიერ შექმნილი აქსესუარებიც (ძირითადად საყურეები) — შეიძლება, ასე დახასიათდეს ზალიკო ბერგერის მიერ, გასულ კვირას მოწყობილი ახალი კოლექციის ჩვენება, რომელიც დიზაინერმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გამართა. ჩვენებამდე ერთი დღით ადრე, ის ჩვენს რუბრიკაში, „იმიჯ-ცენტრის“ ხელმძღვანელ — ია კიწმარიშვილთან ერთად დიზაინერ მადონა ხარატიშვილის სალონში ჩავწერე.

ბრძოლა ქართული მოდის გაღასარჩევად

— ზალიკო, სად იყავი ამდენ ხანს? ერთ საათი, ქორწილის დღეს, ჩემს მეუღლეს არ დავლოდებივარ...

— ეს რას ნიშნავს, მე უფრო პატივისცემაში ვარ (*იცინის*)? ცნობილი მეუღლის პატრონისთვის, ზალიკო ბერგერისთვის ლოდინი რამდენად ღირს?.. ხუმრობა იქით იყოს და, ხომ იცი, რომ ჩვენებისთვის ვემზადები?! ისიც იცი, რომ რეპეტიციები მიმდინარეობს და ამ საქმეების გამო შევყოვნდი. ის კი არა, რეპეტიციაზეც დავაგვიანე (*იცინის*)... დაგვიანებასთან დაკავშირებით, გენიალური რაღაც გამახსენდა: ერთხელ მოსკოვში, ინტერვიუზე სამი დღით დავაგვიანე. ოთხშაბათს, სამ საათზე ვიყავი დაბარებული და პარასკევს, საღამოს, 7 საათისთვის მივედი.

— დაგხვდნენ?

— დამხვდნენ... ვუთხარი: — მე ის ვარ, ოთხშაბათს რომ უნდა მოსულიყო-მეთქი (*იცინის*). რაკი იქ გამივიდა და გამოვძვერი, მას მერე, ეტყობა, გავთამამდი...

— ზალიკო, ამ ჩვენებზე ჩვენ თანამშრომლობა გვიწევს, რადგანაც ჩემი სააგენტოს გოგოები მონაწილეობენ. ისე, ეს ჩვენი პირველი პარტნიორობა არ არის. პირველად ერთობლივი პროექტი წლების წინ, „ჯოიში“ წარმოვადგინეთ. არაჩვეულებრივი ჩვენება გვქონდა, ძალიან ეფექტური. მეორედაც ვითანამშრომლეთ. ახლა კი თანამშრომლობა მესამედ გვიწევს.

— კი, მართალია, ახლოს მაშინ გაგიცანი და დავრწმუნდი, როგორი ორგანიზებული მუშაობა იცი... მაგრამ ამ პოლიტიკური სიტუაციის გამო, ხანგრძლივი პაუზა გამომივიდა, დიდი ხანია, ჩვენება არ მქონია; ამიტომ, ამ ჩვენების წინ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს პირველად ვაწყობდე „პაკაზს“; თითქოს მოდაში ვბრუნდები და მინდა, ჩემმა „დაბრუნებამ“ პოლიტიკურ სიტუაციაზე დადებითად იმოქმედოს. იქნებ ხალხი მოდაზე გადაერთოს და პოლიტიკაზე ნაკლები იფიქროს?..

— მეც ამის იმედი მაქვს...

— ამ ქვეყანაში ჯიბგირის ადვოკატი უფრო ხშირად გამოდის ტელევიზიით, ვიდრე მაგალითად, ჩვენი სფეროს წარმომადგენლები... ისე მოხდა, რომ პოდიუმზე დღეს პოლიტიკა ავიდა. ხალხი მასობრივად პოლიტიზებულია...

— მინდა, კომპლიმენტი გითხრა იმისთვის, რომ ამ ურთულეს ვითარებაში საკუთარი თავისა და ძალების მობილიზება მოახდინე, არ შეუშინდი სიტუაციას და ჩვენებას მართავ. უკვე კარგია, რომ მოდის სფეროს წარმომადგენლები რაღაცნაირად ცდილობენ, გამოასწორონ და გამოაცოცხლონ სიტუაცია... ზალიკო, როგორ ტიპაჟს აირჩევდი შენი სალონისა თუ მოდის სახლის სახედ?

— გააჩნია... სხვანაირად არ გამიგო და ძალიან მომწონს შენნაირი ტიპები; ამასთან — მოვლილი ქალები, ლამაზი ღიმილით, ყველაფერი რომ უხდებათ, დღის ტანსაცმელიც რომ იციან და საღამოსიც ანუ თანამედროვე ბიზნესლედები. ასეთი ქალისთვის ტანსაცმელს უფრო სიამოვნებით შევკერავდი, ვიდრე ბოტასიანი ჰიპისთვის...

— უპირატესობას რა სტილის სამოსს ანიჭებ ანუ რა ტიპის ჩასაცმელი გირჩევნია?

— პრაქტიკული: ჯინსი და ფეხზე მორგებული ფეხსაცმელი. მიყვარს ასევე ისეთი ტანსაცმელი, რომელსაც ბევრი ჯიბე აქვს...

— სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთან გიწევს ურთიერთობა. როგორ ფიქრობ, რამდენად გემოვნებიანია დღეს ქართველი საზოგადოება?

— ბევრს მატერიალური საშუალება არ აქვს და ამის გამო უგემოვნოდ აცვია.

— მაგრამ შეძლებული უგემოვნო ადამიანებიც ხომ გინახავს?

— კი, შეძლებული უგემოვნოებიც არიან. საერთოდ, იმთავითვე მიიჩნევდნენ, რომ ამიერკავკასიაში ქართველებს ყველაზე გემოვნებიანად ეცვათ. ამის გამოა, რომ უმეტესობას, მაინც გემოვნებით აცვია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ნაცნობი საზოგადოების 60%-ს მაინც... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მიბაძვა მაინც იციან. თუმცა შეიძლება, ზოგს უხეში მიბაძვაც გამოუვიდეს.

— მასის ჩაცმულობაზე რას იტყვი?

— ბოლო დროს, ჩვენში მასა ძალიან გაუფერულდა. დღეს მას მგონი, მხოლოდ პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს... ხალხი ამ პოლიტიკური სიტუაციის გამო, ისეთ მდგომარეობაშია, რომ ადამიანს ეჭვიც კი გიჩნდება, მასა, საერთოდ, ჩაცმაზე ფიქრობს თუ — არა.

— კარგი და, ამ პერიოდში, რაზე „ფიქრობს“ ქართული მოდა?

— თვითგადარჩენაზე, რომ ისტორიას არ ჩაჰბარდეს... რომ პოლიტიკურმა ტალღამ მთლიანად არ ჩაყლაპოს და როგორც შეუძლია, იბრძვის...

— ზალიკო, როგორ გგონია, შენთან მეგობრობას თუ მოინდომებდნენ დოლჩე და გაბანა და კავალიე?..

— მგონი, კი. მეგობრული და კონტაქტური ტიპი ვარ. ერთი „ჩავარდნა“ მინდა მაგათ „სასტავში“ და მერე მე ვიცი (*იცინის*).

— საზღვარგარეთ საცხოვრებლად და სამუშაოდ წასვლაზე თუ გიფიქრია?

2009 წლის ივნისის ბოლომდე ტარდება განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, 5-დან 10 წლამდე ბავშვების შერჩევა, გამოცდილი, 40 წლის სტაჟის მქონე პედაგოგის, მარიამ მაისურაძის კერძო, საქველმოქმედო, საფორტეპიანო ჯგუფში (კლასიკური მუსიკა) ჩასარიცხად.
ტელ: 92 08 44; 92 06 28

წარმატებული ბავშვების სწავლება იქნება უფასო, საუკეთესო ბავშვებს დაენიშნებათ სახელობითი სტიპენდია

— ძალიან მიჭირს, ჩავალაგო ჩემოდანი, უცხო ქვეყანაში გადავბარგდე და ვიყო გამართლების იმედად. მერე ვიღაც იქ ბებერი ბაბუის მომვლელი ხდება, აქ ჩამოსული კი ტრაბახობს, რომ უცხოეთში ბუტიკები აქვს... ეს მე არ შემიძლია. თან, თითქოს პატრიოტიც ვარ, აქაურობის დატოვება მიჭირს. მოსკოვში, წლების წინ, მქონდა დარჩენის შანსი, მაგრამ შეგნებულად გავუშვი ხელიდან. ვურთიერთობდი მაშინდელი მოდის სამყაროს წარმომადგენლებთან. დღეს ყველა მათგანი მოდის კრიტიკოსია ან თავისი ჟურნალი აქვს. მაშინ რომ დავრჩენილიყავი, იუდაშკინის თუ არა ჩაპურინის დონის მაინც ვიქნებოდი (*იცინის*).

— **ისე, 1995 წლიდან ხარ ამ სფეროში და უფრო მეტის მიღწევა რატომ ვერ შეძელი?**

— ბიზნესის კეთების ნიჭი არ მაქვს. იცი, ამ სფეროში კარგი მენეჯმენტი როგორ სირთულესაც წარმოადგენს და ისიც, რომ რთულია საქართველოში ამ საქმით ფულის შოვნა და წინ წასვლა.

— **როგორ ფიქრობ, რა განსხვავებაა ქალ და მამაკაც დიზაინერებს შორის?**

— ვფიქრობ, რომ დიზაინერი ქალი არ უნდა არსებობდეს...

— **რატომ?**

— ...ქალის როლი, როგორც ყველგან, ამ სფეროშიც დაკნინებულია.

— **ეს ახლა მგონი, შენი სავანური გამოსვლაა (***ზალიკო ხომ გვარად ხეცურიანია. — ავტ.***)!**

— თუნდაც (*იცინის*) და ცოტა ხუმრობითაც, მაგრამ რეალურად, ასე ვფიქრობ... შეიძლება, გამონაკლისები არსებობენ და მარტო კოკო შანელი რად ღირს, მაგრამ... მამაკაცის თვალით დანახული ქალი უფრო სხვა არის...

— **კარგი, წარმატებები მინდა, გისურვო...**

ჟურნალისტი – ზალიკო ბერგერი
რესპონდენტი – ია კიწმარიშვილი

— **ია, ახლა შენ მითხარი, როგორ მოხვდი სამოდელო ბიზნესში?**

— ყოველთვის მაინტერესებდა ეს სფერო, და ბოლოს (რამდენიმე წლის წინ), გადავწყვიტე, ჩემი სამოდელო სააგენტო გამეხსნა, რომელიც მსოფლიო სტანდარტებზე ორიენტირებული იქნებოდა და რომელსაც უნდა მოეცვა სამოდელო სკოლა; ასევე უზრუნველყო საერთაშორისო სააგენტოებში მოდელების გაგზავნა და სილამაზის კონკურსები. ასე რომ, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დღეს უკვე მრავალპროფილიანი სააგენტო გვაქვს. ახლა განვაახლეთ მამაკაცი მოდელების მიმართულებითაც მუშაობა.

— **დღეისთვის საკუთარი სააგენტოს საქმიანობით კმაყოფილი ხარ?**

— აბსოლუტურად, რადგანაც ყველა აღნიშნული მიმართულება მუშაობს. 4 გოგონა საზღვარგარეთ მყავს გაგზავნილი (პარიზსა და მილანში). ახლა მიმდინარეობს მზადება კონკურსისთვის („ელიტ-მოდელ ლუქ"), რომელიც საერთაშორისო ბრენდია. მაქვს „მის მსოფლიოსა" და „მის სამყაროს" ჩატარების ლიცენზიები. ბოლო დროს შევიძინე „მისტერ მსოფლიოს" ლიცენზიაც და ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ.

— **საინტერესოა, ჩვენში არსებულ სამოდელო სააგენტოებს რა ურთიერთობა გაქვთ ერთმანეთთან?**

— სააგენტოების სიმრავლე არ მაკვირვებს. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის დედაქალაქში ასეა. თითოეული თავის საქმეს აკეთებს და ცდილობს, საქმით დაამტკიცოს პროფესიონალიზმი. ჩვენთან

კი, სამწუხაროდ, ბევრი რამ ერთმანეთის ლანძღვით კეთდება. ეს ეხება როგორც სააგენტოებს, ასევე დიზაინერებს. საერთოდ, შოუბიზნესში ადამიანებს ასეთი ურთიერთობა აქვთ, სხვას თუ გალანძღავენ, ამით თვითონ ქულებს იწერენ. ეს ჩემთვის მიუღებელია. სხვისი კრიტიკა იოლია, მაგრამ ადამიანისგან, რომელსაც თვითონ არაფერი შეუქმნია და სხვას აკრიტიკებს, ეს უბრალოდ, მიუღებელია.

— **მოდელობა ბევრს სურს?**

— მე ყველას ჩემს პირობებს ვთავაზობ. მათ შეუძლიათ, არჩევანი გააკეთონ და ამის შემდეგ, ისე მოიქცნენ, როგორც თავად სურთ. რადგან თუ მოდელმა თავად არ მოინდომა და ვერ გადაწყვიტა, რა უნდა, რაც მონაცემებიც უნდა ჰქონდეს, ჩვენ ვერაფერში დავეხმარებით. მაგრამ ყველაფერს მაინც საკონტრაქტო სისტემა არეგულირებს. საქართველოში გაჩნდა იმის პრეცედენტი, რომ როდესაც მოდელი არღვევს კონტრაქტს, ის პირგასამტეხლოს იხდის და მიდის.

— **„მის საქართველოები" რომ გითხოვდებიან, რას იტყვი?**

— თავიდან ამაზე ვნერვიულობდი, მაგრამ ახლა ამასაც შევეჩვიე, რადგანაც უკვე ძალიან ხშირია ადრეულ ასაკში გათხოვება და ამას ვერაფერი შეაკავებს.

— **ასე რომ, შენს კონკურსში გამარჯვებულის სტატუსი შესანიშნავი ნაბიჯია კარგი საქმროს მოსაძებნად...**

— კი (*იცინის*), რადგანაც ყველაზე „სარფიანად" „მის საქართველოს" შემდეგ თხოვდებიან... გული რაზეც მწყდება, ის არის, რომ ამ კონკურსიდან ვერც ერთმა, 100%-ით ვერ გამოიყენა თავისი ტიტული (უცხოეთში კარიერის გაგრძელებას ვგულისხმობ)... თუ არ ჩავთვლით „სარფიან" გათხოვებასა და პრიზებს, რომლებსაც ისინი იღებენ. სამწუხაროა, რომ ესაა მათი ყველაზე დიდი მიზანი. ალბათ, ნელ-ნელა გოგონების მენტალიტეტიც შეიცვლება და ამასაც გადავლახავთ.

— **რაც შეეხება ყველაზე სკანდალურ, „მის საქართველოს 2007"-ს, ნინო ლიკუჩოვას?**

— კი, მეხუთე „მის საქართველო" სკანდალური აღმოჩნდა. ამ შემთხვევამ დიდი გამოცდილება შემძინა. მას მერე ჩემს საქმიანობაში ბევრი რამ შევცვალე. როდესაც ის სკანდალი მოხდა, ძალიან განვიცადე. მეგონა, რომ ეს იყო ჩემი კარიერის დასასრული, რადგანაც თვითონ აღმოვჩნდი ტყუილის მსხვერპლი. ჩემი მხრიდან ადამიანურად მოვიქეცი. იმ გოგონას მაქსიმალურად მხარი დავუჭირე და მისგანაც ველოდი, რომ ამას დაინახავდა... მას არაჩვეულებრივი სამოდელო მონაცემები ჰქონდა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ამერიკიდან სამწლიანი სამოდელო კონტრაქტი ჩამოვუტანე, მაგრამ... და მაშინ მივხვდი, რომ გოგონას მოდელობა თუ არ უნდა, ძალით ვერ გააგრძელებ.

— **გავრცელებული აზრია, რომ ყველა გოგონას, ვისაც ია კიწმარიშვილი „მის საქართველოს" გვირგვინს ადგამს, თავად ია სჯობიაო. ამაზე რას იტყვი?**

— ეს კომპლიმენტია, თუმცა არც ვიცი, რა ვთქვა...

— **რომელი დიზაინერის სამოსს ანიჭებ უპირატესობას?**

— ერთ საიდუმლოს გაგიმხელ — პირველი ქართველი დიზაინერი, რომლის სამოსიც შევიძინე და ჩავიცვი, ირაკლი ნასიძეა და სწორედ ახლა, მისი ტანსაცმელი მაცვია. ეს ტანსაცმელი ბევრად უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა.

— **ოჯახში მარტო შენ არ ხარ ცნობილი ადამიანი და დასაქმებული. გყავს ასევე ცნობილი მეუღლე — ეროსი კიწმარიშვილი. რამდენად იქონია გავლენა შენზე მეუღლის ბოლო პერიოდის პოლიტიკურმა განცხადებებმა?**

— ზოგადად, არ ვარ კონფლიქტური ადამიანი. ეროსისთან მიმართებაშიც, თუ მისთვის რჩევის მიცემის საშუალება მეძლევა, ვცდილობ, ყოველთვის გავანეიტრალო სიტუაცია და ისე მივაწოდო ჩემი აზრი, რომ მას რაღაც პოზიტიური შევძინო... მისი განცხადებების შემდეგ, ჩემ მიმართ რამდენად შეიცვალა ამა თუ იმ პიროვნების დამოკიდებულება, არ ვიცი, რადგანაც არაფერი მიგრძნია... ისე, წელს ეკონომიკური კრიზისის გამო, როგორც სხვებს, პრობლემები მეც შემექმნა. მაგრამ მისი განცხადებების გამო არავინ არაფერს მერჩის.

— **თვითონ რას განიცდი?**

— ძალიან ვწუხვარ, ისეთი ენერგიის, ცოდნის, განათლებისა და გამოცდილების ადამიანს, როგორიც ეროსია, თავისი საქმის კეთების საშუალება რომ არ აქვს და

გაგრძელება იხ. გვ. 94

„ბაჩეგნოპით ყოველთვის ბაკოვიჩჩეოლი...

და ბაშიშვლეაბაც შემიძლია“...

ეს უკვე გაზრდილი, დაქალებული შორენას სურათია...

„ძალიან მიყვარს სურათების გადაღება. როდესაც კამერა ირთვება და მუშაობას ვიწყებ, ირგვლივ ყველა და ყველაფერი მავიწყდება. მერწმუნეთ, როცა ფოტოკამერის წინ ვპოზირებ, იმ მომენტში ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ არსებობს“, — მითხრა მსახიობმა შორენა ბეგაშვილმა, რომელმაც „გზას“ თავისი ქორწილის სურათის დაბეჭდვის ნებაც დართო. მანამდე ეს ფოტო (ისევე როგორც ქორწილის სხვა ფოტოები) მის ალბომში, ჟურნალისტებისგან საგულდაგულოდ იყო გადამალული.

მარეხ ჭონიშვილი

— შორენა, შენი თამამი ფოტოები, პირველად, მამაკაცების ჟურნალიდან მახსოვს...

— დიახ, მართალია. იმ ჟურნალის გარეკანზეც იყო ჩემი ფოტო. მსახიობი ვარ და თამამი ფოტოს გადაღება ჩემთვის ძნელი არ არის... აი, რატომ გავშიშვლდი მამაკაცების ჟურნალისთვის, სურათების გადაღება ძალიან მიყვარს. კამერის წინ თავს ყოველთვის ლაღად და ბედნიერად ვგრძნობ.

— ფოტოალბომს ხშირად ათვალიერებ?

— იშვიათად, რადგან ბინას ხშირად ვიცვლი და სურათების აქეთ-იქით ტარება მეზარება. ალბომებს დედაჩემთან ვინახავ. ვიდრე თქვენ მოხვიდოდით, სწორედ ახლა, ძველ სურათებს გადავხედე და ჩემი ცხოვრებიდან ბევრი კარგი ეპიზოდიც გამახსენდა.

ეს სურათი ესენგუკიში გადავიღეთ, სადაც ზაფხულობით დასასვენებლად ხშირად დავდიოდით

— როგორი ბავშვი იყავი?

— ძალიან პრანჭია ბავშვი გახლდით. თითქმის მთელ დღეს სარკის წინ, კოპწიაობაში ვატარებდი და ათასნაირ ვარცხნილობას ვიკეთებდი. მახსოვს, როცა ჩვენს ოჯახში ვინმე მოვიდოდა, ტანსაცმელს რამდენჯერმე ვიცვლიდი, რათა მისთვის თავი მომეწონებინა...

— სკოლის დამთავრების შემდეგ, გოგონები იმიჯს რადიკალურად იცვლიან ხოლმე. შენ თუ შეიცვალე გარეგნობაში რაიმე?

— პირველ რიგში, წარბების კორექცია გავიკეთე, რადგან ძალიან ხშირი და უხეში წარბები მქონდა. ახლა ჩემს ძველ სურათებს რომ გადავხედე, გამეცინა — ჩემი წარბები ნამდვილი „კოშმარი“ იყო. ახლობლებს ვეუბნები, ვიდრე მათ თავად გამოვიხშირავდი, ძალით რატომ არ დამაპუტეთ-მეთქი?

— თანატოლებისგან თავს რით იწონებდი?

— თავმომწონე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ თანატოლებში გარეგნობით ყოველთვის მართლაც, გამორჩეული გახლდით. მერვე კლასში ვიყავი, როცა რუსთავში გამართულ სილამაზის კონკურსში მივიღე მონაწილეობა და „მის რუსთავი“ გავხდი. იმ დღეს ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— როცა ფოტოალბომს ათვალიერებ, შენი თავი უფრო რომელ ასაკში მოგწონს?

— აი, ამ სურათში, სადაც დასთან ერთად ვარ... ეს ერთადერთი ფოტოა, სადაც ჩემი თავი მომწონს. სხვათა შორის, ეს ბერეტი ძალიან მიყვარდა, მას თავიდან არასდროს ვიშორებდი

ეს ერთადერთი ფოტოა, სადაც ჩემი თავი მომწონს

მერვე კლასში ვიყავი, როცა რუსთავში გამართულ სილამაზის კონკურსში მივიღე მონაწილეობა და „მის რუსთავი“ გავხდი

ეს ბიჭი ჩემი პირველი შეყვარებული იყო

ნახავ და ვუფრთხილდები, რადგან ეს ბიჭი ჩემი პირველი შეყვარებული იყო (*იცინის*), მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი, როცა ცეკვაში მისი მეწყვილე გახლდით. კმაყოფილი ვარ და მეღიმება. ეს სახეზეც მეტყობა.

ბევრნაირი ქუდი მაქვს

— შორენა, მაკიაჟს ხშირად იკეთებ?!

— მაკიაჟს მხოლოდ გადაღებების დროს ვიკეთებ, ყოველდღიურ ცხოვრებაში — არა. ამის გამო, ხშირად ქუჩაში გაოცებულები მიყურებენ. ეტყობა, უკვირთ, უმაკიაჟოდ რომ მხედავენ.

ეს არის დღე, როცა ძალიან ბედნიერი ვიყავი და მეგონა, სულ ასე იქნებოდა

— ამ ფოტოზე დედასთან ერთად ხარ, მაგრამ აშკარაა, რომ ფოტო საქართველოში არაა გადაღებული...

— დიახ, ეს სურათი ესენტუკიში გადავიღეთ, სადაც ზაფხულობით დასასვენებლად ხშირად დავდიოდით. სხვათა შორის, ახლობლები მეუბნებიან, რომ დედას ძალიან ვგავარ.

— პირველად თმა რა ასაკში შეიღებე?

— სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე, რომ თმა წითლად შემეღება. დედას ეს იდეა არ მოეწონა, მაგრამ ჩემი გავიტანე და თმის შესაღებად სალონში წავედი. დედაც გამომყვა. ყველგან, სადაც მივედი, მეუბნებოდნენ, რომ წითელი საღებავი არ ჰქონდათ. თურმე, დედა სტილისტებს წინასწარ აფრთხილებდა, რომ ჩემთვის უარი ეთქვათ. ჩემი ბუნებრივი თმა წაბლისფერია. ახლა რატომღაც ის ძალიან მომწონს და ვცდილობ, ხშირად არ შევიღებო.

— ამ სურათში მშენებლის ტანსაცმელი გაცვია...

— მშენებლობაზე არასოდეს მიმუშავია. სურათებს „ცხელი კალენდრისთვის“ ვიღებდით და მოულოდნელად, გადაწყვიტეს, რომ ფოტო ასეთ ფორმაში გადამეღო. მშენებლები მუშაობდნენ, მე კი მათ ფონზე ფოტოკამერის წინ პოზირება მიწევდა... მიუხედავად იმისა, რომ ტანსაცმელი სულ ცემენტით მქონდა მოსვრილი, ამას ჩემთვის დისკომფორტი არ შეუქმნია. ამ კონკურსში „მის სექტემბერი“ გავხდი და ბაკურიანში დასასვენებელი ერთკვირიანი საგზურიც მომცეს.

— ეს კი შენი ქორწილის ფოტოა, არა?

— დიახ, ეს არის დღე, როცა ძალიან ბედნიერი ვიყავი და მეგონა, სულ ასე იქნებოდა. მაგრამ სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა... მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს დავშორდით. მიუხედავად ყველაფრისა, არაფერს ვნანობ. რადგან მყავს ძალიან საყვარელი შვილი — ევა, რომლის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია.

— ევა რამდენი წლისაა?

— 7-ის. აი, ეს ფოტო კი მის დაბადების დღეზეა გადაღებული. იმ დღეს თავი მოვიგიჟიანეთ და ბევრი ვიხალისეთ. ეს არა მარტო ჩემი, არამედ ევას საყვარელი ფოტოცაა. ამ სურათზე კარგად ჩანს, თუ როგორ გვიყვარს და ზაფხულშიც კი ვიხურავდი.

— ქუდები გიყვარს?

— ბევრნაირი ქუდი მაქვს. ვფიქრობ, რომ ქუდი მიხდება და ამიტომაც ვიხურავ.

— ამ სურათში პატარა ბიჭთან ერთად ხარ...

— ოოო... ამ სურათს წლებია, ვი-

ეს არა მარტო ჩემი, არამედ ევას საყვარელი ფოტოცაა

ამ ფოტომე დამწყები მოდელი ვარ

ერთმანეთი.

— **ეს ფოტო სადაა გადაღებული?**

— კიკალას სტუდიაში. ამ ფოტოზე დამწყები მოდელი ვარ. აქ სამოდელო კარიერაში ჩემი პირველი ნაბიჯებია ასახული.

— **შორენა, ფოტოების დახევა თუ გჩვევია?**

— არა, ყველაზე საშინელი ფოტოც კი შენახული მაქვს. ქმართან დაშორების შემდეგ ბევრი, ალბათ, ჩემს ადგილზე ქორწილის ფოტოებსაც დახევდა ან დაწვავდა. მე კი სათუთად ვინახავ, რადგან მათზე ჩემი წარსულია ასახული.

მშენებლები მუშაობდნენ, მე კი მათ ფონზე ფოტოკამერის წინ პოზირება მიწევდა...

— **სოლარიუმში თუ დადიხარ?**

— მოლურჯო-მოყვითალო კანი მაქვს და ამიტომაც ზამთარში სოლარიუმში დავდივარ. ზაფხულში კი ზღვაზე ვირუჯები.

— **ეს ფოტოები სადაა გადაღებული?**

— ეს უკვე გაზრდილი, დაქალებული შორენას სურათებია, ერთ-ერთი ჟურნალის გარეკანისთვის გადამიღეს. მახსოვს, ბორჯომიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი. ღამის 3 საათი იყო და სურათების გადასაღებად მომიწია წასვლამ. ძალიან დაღლილი ვიყავი, მეძინებოდა, მაგრამ მაკიაჟი რომ გამიკეთეს და კამერა ჩაირთო, დაღლა აღარ მახსოვდა. ვშიშობდი, რომ კარგი სურათები არ გამოვიდოდა, მაგრამ ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა.

— **როდის გააცნობიერე, რომ ქალი ხარ?**

— სკოლა რომ დავამთავრე, კედი გავიხადე და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩავიცვი. ამ დროს ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან მეგონა, ყველა მე მიყურებდა (*იცინის*).

— **ამ საკმაოდ თამამი ფოტოების გამო ახლობლები ხომ არ გსაყვედურობდნენ?**

— მამა გარდაცვლილია, დედამ და ახლობლებმა კი იციან, რომ ეს ჩემი პროფესიაა და ამაზე გართულება არა აქვთ. მათ ისიც იციან, რომ ქუჩაში

მხოლოდ ფოტოკამერების წინ შემიძლია, გავშიშვლდე

გახდილი არ ვივლი, და მხოლოდ ფოტოკამერების წინ შემიძლია, გავშიშვლდე.

— **შენს შვილს თუ მოსწონს შენი ფოტოები?**

— ეს სურათები ევას ძალიან მოსწონს. სხვათა შორის, თუ რაიმე არ მოეწონება, შენიშვნასაც მაძლევს. ევა კარგი ბავშვია და ძალიან მინდა, ყველაფერში მე დამემსგავსოს.

იყიდეთ!
ივნისის ნომერი



თქვენ ხომ გვმოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ფეიერვერკი – სარკმელი სამყაროში თუ მრუდე სარკე

ერთხელ, ოთარ იოსელიანისთვის უკითხავთ: ტელევიზორს თუ უყურებთო? ეგ რომელია, უთოსავით „შტეფსელში“ რომ უნდა შეაერთოო?.. — კითხვითვე, ირონიულად უპასუხია რეჟისორს. დღეს ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის ყველაზე პოპულარული საშუალებაა. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ტელევიზორი სარკმელია სამყაროში და ხშირ შემთხვევაში, ადამიანები ისე აღიქვამენ სინამდვილეს, როგორც ის ამ „სარკმლიდან“ მოჩანს. ჩვენ გადავწყვიტეთ, ქართულ სატელევიზიო სივრცეს წერილების ციკლი მივუძღვნათ და მაყურებლებისგან მოვისმინოთ, თუ რა და როგორ მოჩანს მათი „სატელევიზიო ფანჯრებიდან“.

ემა ტუხიაშვილი

ვახემალ ღალანძე, *მსახიობი:*

— სიმართლე, სიმართლე და სიმართლე — ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი ყველა ტელევიზიისთვის. სატელევიზიო პიესებისთვის სცენარებს უგემოვნოდ არ უნდა არჩევდნენ. მართალია, მსგავსი დადგმები, ტელესერიალები ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, ახალი ხილია, მაგრამ უკვე, ბევრი ცოდვა მიგვიძღვის.

— თქვენ რას უყურებთ ყველაზე ხშირად?

— ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ საინფორმაციო გადაცემებს ვერ გამოტოვებ, ახალი ამბავი არ უნდა გამოგეპაროს. მომწონს ჯანსაღი იუმორის მქონე „შუა ქალაქში“. მისი სცენარი კარგადაა დაწერილი და რაც მთავარია, სხვა ქართული იუმორისტული ტელესერიალების (მაგალითად, „მესამე თაობის“) მსგავსად, შეურაცხმყოფელი არ არის. შეიძლება, მე ძველი შეხედულების მსახიობი ვარ, მაგრამ ტელეეკრანიდან ღიად გინება არ მომწონს და არა მგონია, ამას ოდესმე შევეგუო. სიამოვნებით ვუყურებ ინგა გრიგოლიას გადაცემას და მას ვენდობი კიდეც. საზოგადოებრივ არხზე ნათია სორდიას გადაცემასაც ვუყურებ. ტელეწამყვანს დამაჯარებლობა არ უნდა აკლდეს, მაყურებელს მისი უნდა სჯეროდეს. როდესაც პოლიტიკური გადაცემა მიგყავს, ტენდენციური არ უნდა იყო... ჩემი თაობის ტელეწამყვანებს ცოტა არ იყოს, იოლი სამუშაო ჰქონდათ, რადგან ტელევიზია ახალი გახსნილი გახლდათ და კომუნისტურ წყობაში ყველაფერი პლაკატური იყო. მაყურებელმაც იცოდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო და მორჩა! ახლა, როდესაც სიტყვის თავისუფლებაა, როდესაც ყველაფერი უფრო გახსნილია, მეტად მომთხოვნები გავხდით და გვინდა, ჟურნალისტებმა ჭეშმარიტი, ობიექტური ინფორმაცია მოგვაწოდონ... მსახიობი კაცი ვარ და როცა, მაგალითად, სერიალ „ყავა და ლუდის“ გადაღებები დაიწყო, არ ვიცოდი, მხატვრულ ფილმსა და სატელევიზიო სერიალს შორის რა სხვაობა იყო, რადგანაც სერიალში მონაწილეობა ჩემთვის, ისევე, როგორც სხვა მსახიობებისთვის, ახალი ხილი გახლდათ. აღმოჩნდა, რომ მათ შორის უდიდესი სხვაობაა და ყველაფერი ნელ-ნელა ავითვისეთ. ჰოდა, ქართულ ტელესივრცეში უკვე ისეთი სატელევიზიო ფილმებიც გამოჩნდა, რომელთა ყურება შეიძლება. ალბათ, დროთა განმავლობაში, ჩვენი ტელევიზიები უფრო დაიხვეწება.

მომწონს ინგა გრიგოლიას გადაცემა

ნატო გელაშვილი, *მომღერალი:*

— რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქართულ ტელეარხებს თითქმის არ ვუყურებ. ბევრად საინტერესო გადაცემები აქვთ რუსულ ტელევიზიებს... მომწონს ინგა გრიგოლიას გადაცემა. ის არ არის ჟურნალისტი, რომელიც რაღაცის გამო უკან დაიხევს. თუ ქვეყანაში რაიმე განსაკუთრებული არ ხდება, საინფორმაციო გამოშვებებს არ ვუყურებ. მივხვდი, რომ ნეგატიურ მოვლენებზე არიან ორიენტირებული და მათი გადმოცემით, ჩვენთან კარგი რაღაცები არასდროს ხდება. როდესაც „კურიერის“ საყურებლად ვჯდები, ვიცი, რომ უარყოფითი ენერგიით უნდა დავიტვირთო... რაც შეეხება გასართობ გადაცემებს, ვუყურებ საბავშვო მუსიკალურ გადაცემას — „ანაბანა“, რადგან იქ ნიჭიერი ბავშვები გამოდიან. ერთგული მაყურებელი მაშინ გქვია, როდესაც გადაცემა ისე მოგწონს, რომ ჩასაფრებული ხარ და გინდა, ის არ გამოგეპაროს. ჩემთვის კი ქართულ ტელეარხებზე ასეთი გადაცემა არ არსებობს. ზოგჯერ, „მაესტროს“ ვუყურებ. მომწონს „პროფილი“, რადგან ამ გადაცემაში ბევრი პრობლემატური საკითხი შუქდება და მას ვუყურებ იმის მიხედვით, თუ რა თემაზეა მომზადებული. ჩემს შვილებს ძალიან მოსწონთ „შუა ქალაქში“ და მეც ჩამითრიეს, მისი ყურება დამაწყებინეს. აშკარაა, ამ ტელესერიალს ნიჭიერი ადამიანები აკეთებენ და საკუთარი

ტელევარსკვლავებმა უნდა იცოდნენ, რომ ქართველი მაყურებელი ძალიან მომთხოვნი, კრიტიკულია

შესაძლებლობები ჯერ არ ამოუწურავთ. სხვა გასართობი შოუები თითქოს, ერთმანეთს დაემსგავსა, არანაირი სიახლე აღარ აქვთ. „შუა ქალაქის“ ყურებისას კი ყოველთვის სიახლის მოლოდინში ხარ.

ნატა ერგემლიძე, *პედაგოგი:*

— თუ საკაბელო ტელევიზია არ გაქვს, იძულებული ხარ, ქართულ არხებს უყურო, სადაც, სამწუხაროდ, ერთფეროვანი გადაცემები გადის, წამყვანთა უმეტესობა კი არაპროფესიონალია. ერთ მაგალითს მოგახსენებთ: ცოტა ხნის წინ, საზოგადოებრივ არხზე ნინო ქაჯაიას საავტორო გადაცემას — „ცხოვრება მშვენიერია“ — ვუყურებდი. ჯერ ერთი, გადაცემის სახელწოდება, ისევე, როგორც მისი ფორმატი, რუსულის კალკაა, მაგრამ სახელწოდების თარგმანია არასწორი. უნდა იყოს — „სიცოცხლე მშვენიერია“. ამას თავი დავანებოთ. გადაცემაში ნინოს მოწვეული ჰყავდა საინტერესო ქალბატონი და ვიდრე სტუმარი სტუდიაში შემოვიდოდა, წამყვანმა მისი უამრავი რეგალია ჩამოთვალა. როდესაც სტუმარი სტუდიაში შემოვიდა, წამყვანმა აღნიშნა: ეს რამდენი ტიტრი გქონიათო. მინდა მჯეროდეს, რომ ნინოს, ტიტულის ნაცვლად, ტიტრი, უბრალოდ, წამოსცდა. ჩვენმა ტელევარსკვლავებმა უნდა იცოდნენ, რომ ქართველი მაყურებელი ძალიან მომთხოვნი, კრიტიკულია და ამიტომაც, საკუთარ თავზე მეტი უნდა იმუშაონ. ახლა ქართულ ტელესივრცეში მაია ასათიანის „პროფილია“ პოპულარული. ზოგჯერ, გადაცემის თემა მართლაც, საინტერესოა, მაგრამ წამყვანის ქცევა, მსუბუქად რომ ვთქვათ, დასახვეწია. ის ხან პატარა ბავშვივით ებუტება სტუმრებს, ხან — იპრანჭება, ხანაც თავი დედოფალივით უჭირავს. ასეთი მანერები მაყურებელს ძალიან აღიზიანებს და გადაცემის ნაცვლად, ყურადღება წამყვანის ქცევაზე გადააქვს. ან რა საჭიროა ერთ გადაცემაში ამდენი სტუმრის მოწვევა?! არ ვიცი, გადაცემის ჩაწერის დროს რა ხდება, მაგრამ ეთერში, თითო სტუმარი — თითო სიტყვის თქმასაც ვერ ასწრებს. შე დალოცვილო, თუ არ ალაპარაკებ, რაღას მოგყავდა? ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ცოტა ხნის წინ „ვანო ჯავახიშვილის შოუში“ ვნახეთ. მე შვილს იმას ვასწავლიდი, რომ პატიოსნად ეცხოვრა, ამათ კი კრიმინალი „კოხორა“ ლამის სახალხო გმირად აქციეს. წესიერი, განათლებული ბიჭები ვერ შოულობენ სამსახურს, „კოხორამ“ კი ქურდობით სამსახურიც იშოვა და პოპულარულიც გახდა. ამას კიდევ რა უშავს — დავით კიკალიშვილის გადაცემაში „კოხორას“ ათწუთიანი სიუჟეტი მიუძღვნეს, რომლის გამოც (სანდო წყაროდან ვიცი), გადაცემიდან ირაკლი ფარჯიანზე მომზადებული მასალა ამოიღეს და მისი ეთერში გაშვება ერთი კვირით გადადეს. გამოდის, ქართული ტელევიზია ქურდობისა და კრიმინალის პროპაგანდას ეწევა.

დათო ტურაშვილი, *მწერალი:*

— ერთი წლის წინ ოპერაცია გავიკეთე და ექიმებმა ტელევიზორის ყურება ამიკრძალეს, რადგანაც ჩემთვის ნერვიულობა არ შეიძლება.

— როგორ, გასართობი გადაცემების ყურებაც გეკრძალებათ?

— ეგენი რომ გასართობს ეძახიან, ყველაზე მეტად, ამ გადაცემების ყურება ამიკრძალეს — მათი ყურებისას უფრო ვნერვიულობ.

გია გულაძე, *მხატვარი:*

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სამოქალაქო გემოვნების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს ისეთი გრანდიოზული საშუალება, როგორიც ტელევიზიაა. ის ტელევიზიები, რომლებიც დღეს გვაქვს, ამ პრობლემას ისე ვერ აგვარებს, როგორც საჭიროა. ერთი რამ აშკარაა — რატომღაც, გართობაზე, სიცილ-ხარხარსა და რაც ყველაზე ცუდია, აგრესიულ პოლიტიკურ შოუებზე აკეთებენ აქცენტს, ხოლო მთავარი, ინტელექტუალური, ადამიანური ფასეულობები უკან დაგვრჩა. ქართულ ტელესივრცეში არ მეგულება გადაცემა, რომელიც ხელოვნებას, კულტურას ან მეცნიერებას ეხება. შემეცნებითი ხასიათის გადაცემების დეფიციტია. ალბათ, გახსოვთ, „მზეზე“ გადიოდა გადაცემა — „კვირის მზერა“, სადაც კულტურული მოვლენების ერთსაათიანი მიმოხილვა კეთდებოდა და ფაქტობრივად, ის ქართულ ტელესივრცეში „სუფთა სუნთქვის“ ერთადერთი საშუალება იყო. სამწუხაროდ, გადაცემა შარშან დახურეს... რა თქმა უნდა, ტელევიზიაში შოუც უნდა იყოს, მაგრამ ტელესივრცის იმ რელსებზე გადაყვანა, რომელზეც გადავედით, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. ქართული ტელევიზიები სრულიად უაზრო ხუმრობებისა და ტაკიმასხარაობის დონეზე დავიდა, რაც კულტურას კი არ ქმნის, არამედ ანგრევს მას და ანტიკულტურის დამამტკიცებელია. საზოგადოებრივი არხი, ჩემი აზრით, ადამიანებს აზროვნებისკენ უნდა უბიძგებდეს. რეალურად, ამ ტელევიზიას საზოგადოება აფინანსებს და ის არ უნდა იყოს მხოლოდ რეკლამაზე, მის მოზიდვაზე ორიენტირებული ტელევიზია. საზოგადოებრივ არხზე აუცილებლად უნდა მზადდებოდეს შემეცნებითი გადაცემებიც. არ მინდა, აღქმული ვიყო როგორც ადამიანი, რომელსაც გადაცემა დაუხურეს, მაგრამ საზოგადოებრივ არხზე მეგობრებთან ერთად ვამზადებდი გადაცემას, სადაც სხვადასხვა საინტერესო თემას ვიხილავდით და მაყურებელიც გვყავდა. ჰოდა, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როდესაც მსგავს გადაცემას ხურავ და ეთერს კორკოტას „ნაცნობს“ უთმობ. ნიჭიერად გაკეთებული ტაკიმასხარაობაც კარგია, გართობასა და სიცილ-ხარხარს რა სჯობია, მაგრამ ყოველთვის გართობა ან პოლიტიკური ტოქშოუებით შიშის, აგრესიისა და უნდობლობის დათესვა დაუშვებელია. დღეს, ჩვენი ტელევიზიები სამოქალაქო გემოვნების ჩამოყალიბების თუ სამოქალაქო ცნობიერების გაფართოების საქმეში არცთუ ისე დადებით როლს ასრულებს. ვფიქრობ, ამ მიმართულებით ბევრად მეტია გასაკეთებელი და უფრო მეტია საფიქრალი.

— თუმცა, ქართულ ტელესივრცეში იკვეთება მაღალი რეიტინგის მქონე გადაცემები, პოპულარული წამყვანები. მაგალითად, ტელეწამყვანებს შორის ინგა გრიგოლია ლიდერობს, ყველაზე მეტი მაყურებელი კი „პროფილს“ ჰყავს...

— ინგასა და მაიას მიმართ პირადი სიმპათია მაქვს. რეალურად, ორივე ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ მათი გადაცემა მომწონს თუ არა, ეს სხვა საკითხია. ინგამ სწორი სვლა გააკეთა, როდესაც მთლიანად პოლიტიკაზე გადაერთო. საბოლოოდ მიხვდა, რომ პოლიტიკაა მისი საქმე და პროფესიონალად ჩამოყალიბდა. რაც შეეხება „პროფილს“, მშვენიერი გადაცემაა, რომელსაც სენტიმენტალური წამყვანი ჰყავს,

რეალურად, ორივე ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ მათი გადაცემა მომწონს თუ არა, ეს სხვა საკითხია

მაგრამ ეს ყველაფერი შოუა. შეუძლებელია, მაია ასათიანის გადაცემაში ისეთ სერიოზულ თემაზე ილაპარაკო, როგორიცაა, მაგალითად, სამეცნიერო კვლევები. ინგამ და მაიამ მართლაც, მოძებნეს თავიანთ პროფილი, მაგრამ ეს არაა საკმარისი იმისთვის, რომ სამოქალაქო გემოვნება განვითარდეს. რა დაშავა კულტურის იმ დარგებმა, როგორიცაა: ლიტერატურა, კლასიკური მუსიკა, მხატვრობა და თუნდაც, კინო? ვფიქრობ, ამ მიმართულებით ძალიან მოვიკოჭლებთ და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი ქუჩები ნაგვითაა სავსე, რომ მთელი ქალაქი შარდის სუნად ყარს. პირდაპირ დაუკავშირეთ ჩვენი გადაცემების კულტურული დონე ჩვენს სამოქალაქო გემოვნებასა და ქუჩებში არ-

დავით კიკალიშვილის გადაცემაში „კოხორას“ ათწუთიანი სიუჟეტი მიუძღვნეს

სებულ სიბინძურეს.

ანანო ერისთავი, *12 წლის:*

— ბევრი ჩემი მეგობარი ბრაზილიურ სერიალებს უყურებს. ისე მოსწონთ, რომ მეორე დღეს განმეორებითაც უყურებენ ხოლმე. ძალიან უყვართ სერიალის გმირები და ამიტომაც, სასკოლო სახელმძღვანელოები და რვეულები მათი ფოტოების სტიკერებით აქვთ აჭრელებული. ადრე მეც ვუყურებდი სერიალებს, ბებიასთან ერთად, მაგრამ დედამ სასტიკად ამიკრძალა. ტელევიზიით ძალიან ცოტა საბავშვო გადაცემა გადის. დილით, სკოლაში წასვლამდე, დილის გადაცემაში მულტფილმს ვუყურებ, კვირაობით — „საბავშვო ახალ ამბებს“. ძალიან მომწონს „ვისწავლოთ ხატვა, ზაალ სულაკაურთან ერთად“. ტელესერიალს — „შუა ქალაქში“ მთელი ოჯახი ვუყურებთ. მე და ჩემს თანატოლებს ამ სერიალის გმირები ძალიან გვიყვარს და ხშირად, მათი ფრაზებით ვლაპარაკობთ. არ მომწონს „კურიერი“ და ის გადაცემები, სადაც პოლიტიკოსები ერთმანეთს ლანძღავენ. ზოგჯერ, „პროფილსაც“ ვუყურებ. ვნახე ის გადაცემა, სადაც უდედმამო ბავშვები ჰყავდათ მოწვეული. ამ გადაცემის წამყვანის ფარფატა კაბებიც მომწონს.

ნინა ვაჩეიშვილი, *კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის მოადგილე:*

— ტელევიზორის ყურება არ მიყვარს. იშვიათად — „კურიერს“, გასართობ გადაცემებს კი საერთოდ არ ვუყურებ.

— არც პოლიტიკურ დებატებს ადევნებთ თვალს?

— ნინო შუბლაძის გადაცემას თუ შევავლებ თვალს.

ძეთი დოლიძე, *რეჟისორი:*

— ტელეარხებმა იაფფასიანი ხუმრობებით, შეცდომებით სავსე ცუდი ქართულით სრულიად გაანადგურა ადამიანების გემოვნება. ადამიანები ტელეეკრანიდან გველაპარაკებიან: „მადლობა მოგიხადო, გადმომირეკე, გადმოგირეკავ“. ეს კიდევ პატარა მარგალიტებია. მგონია, რომ ჩვენი გემოვნების სრული დეგენერაცია შეგნებულად ხორციელდება, რათა ნაკლები ვიფიქროთ და მეტად გავერთოთ. ყველაფრის კვინტესენცია კი „კოხორას“ გარშემო შექმნილი აჟიოტაჟი იყო. კარგია, რომ დანაშაული აპატიეს და ციხეში არ ჩასვეს, მაგრამ მის პიროვნებაზე აგებული, მთელი სატელევიზიო სიუჟეტის არსი მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ მოიპარა მან საფულე, ახლა კი ის საქვეყნოდ ცნობილ მსახიობთან, გივი ბერიკაშვილთან ერთად მულტფილმს ახმოვანებს და სერიალში მთავარ გმირად გვევლინება. ეს შეგნებულად კეთდება. ყველაფერი გათვლილია იმაზე, რომ თითქოს, ცხოვრება მშვენიერია. გადაცემა — „ცხოვრება მშვენიერიას“ არაფერს ვერჩი. ნინო, ისევე, როგორც მაია ასათიანი, ცდილობს, კარგი სიუჟეტები მოამზადოს. ეს ორი გადაცემა გამორჩეულია, მაგრამ ტელევიზიების ფორმატი და ცენზურა მათ იმ თემების გაშუქებას ავალებს, რაც თავად აძლევს ხელს. მაგალითად, არაფერი მკვეთრი და მწვავე არ შეიძლება, გაშუქდეს. თუმცა, მაიაც და ნინოც ცდილობენ, ადამიანურები იყვნენ და ამას ვერაფრით დაუკარგავ. მშვენიერია „ჟურნალისტის დღიური“, „ჩვენებურები“ და არა უშავს გადაცემას — „მოწყვიტე წამი“, მაგრამ რესპონდენტებს იქაც არჩევენ. მაგალითად, მასში მონაწილეობა რომ მინდოდეს, სოფო მოსიძეს არ მისცემენ უფლებას, სიუჟეტი ჩემზე გააკეთოს. ასე რომ, ტელეგადაცემების ხარისხზე ცენზურაც მოქმედებს. ტელესერიალი „მესამე თაობა“ („ჩვენი ოფისი“), რომელიც საზოგადოებრივ არხზე გადის, არის სერიალი, საიდანაც ადამიანებს ეუბნებიან, რომ დედ-მამა შეიძლება, ცუდი იყოს, ბებია კი მალე უნდა მოკვდეს... ინტერნეტში რომ შევიდნენ და ოპრას გადაცემები ერთხელ მაინც ნახონ, მიხვდებიან, ამერიკული საზოგადოებაც კი ცდილობს, ყველას დაუმტკიცოს, რომ მეზობლები უნდა მეგობრობდნენ, ნათესავებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ და ა.შ. აქ კი ყველაფერი პირუკუ ხდება. საზოგადოებას რასაც მიაწვდი, იმას გადაყლაპავს. მაგალითად, როდესაც პოლონეთში „რეალითი-შოუები“ ფეხს იკიდებდა და კერძო სექტორი საამისოდ ფულს არ იშურებდა, ერის მამებმა (როგორებიც არიან: იეჟი კავალეროვიჩი, მაზოვეტსკი და სხვები) ერს მიმართეს: განწირულები ვართ იმისთვის, რომ დამკვიდრდეს ის, რაც ახალგაზრდა თაობას ძალიან აღაგზნებს, მოეწონება და დაიწყება ჩვენი გემოვნების დაცემაო. მათი მიმართვის შემდეგ, პოლონეთის სატელევიზიო ბაზარზე „რეალითი-შოუებმა“ ადგილი ვერ დაიმკვიდრეს. სამწუხაროდ, ჩვენსა და პოლონელებს შორის განსხვავება ძალიან დიდია. მათ შეუძლიათ, კრიზისის დროს ერთ მუჭად გაერთიანდნენ, ჩვენ კი — არა.

— პოლიტიკურ ტოქშოუებს თუ უყურებთ?

— ინგა გრიგოლიას გადაცემას ვუყურებ. ინგა არის ის გამორჩეული ჟურნალისტი, რომელიც სატელევიზიო ეთერში რაღაცის თქმას ახერხებს მანამ, ვიდრე გადაცემას დაუხურავენ... როგორც ეკრანზე საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე, გია ჭანტურია ჩნდება, ტელევიზორს მაშინვე ვთიშავ — მისგან საშინელი ენერგეტიკა მოდის. ძალიან მაღიზიანებს ეკა კვესიტაძე, მაგრამ მაინც, ვულოცავ ბავშვის დაბადებას და ვუსურვებ, რომ მის შვილს თავისუფალ საქართველოში, ბედნიერად ეცხოვროს. ეკა მაღიზიანებს იმიტომ, რომ ჰგონია, მხოლოდ თვითონ იცის ყველაფერი და ოპონენტებს, პრაქტიკულად, არ ალაპარაკებს, მათ საუბარში ერევა და უნდა გვაიძულოს, რომ მისი აზრი გავიზიაროთ. ამასთანავე, აგრესიულია. ხშირად ვუყურებ ამერიკულ და ბრიტანულ ტელევიზიებს. ჰოდა, ჩვენს ჟურნალისტებს ვურჩევ, უყურონ უცხოელი კოლეგების გადაცემებს და მათგან აიღონ მაგალითი.

კახა ლეჟავა, *სტუდენტი:*

— მშვენიერი გადაცემაა „რა, სად, როდის“; ყოველ შაბათს და კვირას ველოდები ტელესერიალს — „შუა ქალაქში“ და „ღამის შოუს“ იუმორიც მომწონს. პოლიტიკურ ტოქშოუებსაც ვუყურებ ხოლმე, მაგრამ გადაცემაში მოწვეული პოლიტიკოსები ახალს ველარაფერს ამბობენ და გადაღეჭილი თემების მოსმენა მოსაბეზრებელი გახდა. ჩვენი ტელევიზიების ნაკლი ის არის, რომ ახალ ფილმებს თითქმის არ უჩვენებენ. გარკვეული პერიოდულობით, ერთი და იგივე

შაბათს და კვირას ველოდები ტელესერიალს — „შუა ქალაქში“

ქართული თუ უცხოური ფილმი გადის. დავიზეპირეთ, ბატონო, „საბუდარელი ჭაბუკი“ და „დრაკონის კოცნა“. რა, ახალი ფილმების საყიდლად ფული ენანებათ?..

მარინა ბალიაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— ტელევიზია საზოგადოებაზე დიდ გავლენას ახდენს. ფსიქოლოგიაში დამუშავებულია კვლევები პიარტექნოლოგიებთან დაკავშირებით და მთელი ტომებია დაწერილი მასობრივი საშუალებების გავლენაზე. ახლა კი მუშავდება მეთოდები, თუ როგორ დავიცვათ მაყურებელი მასმედიის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებისგან. როდესაც სატელევიზიო სივრცეში რაღაცას ქმნი, ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინო, თუ ვინ არის შენი აუდიტორია, მსმენელი, მაყურებელი. როდესაც ქართულ გადაცემებს ვუყურებ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს საზოგადოებაზე ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვთ. მაყურებლისადმი მათი დამოკიდებულება გადაცემების მომზადების დონიდან ჩანს. ფიქრობენ: თავის შეწუხება საჭირო არ არის, რასაც ვუჩვენებთ, იმას მიიღებენო. ტელევიზიების მისამართით კრიტიკაც ხშირად ისმის, მაგრამ ტელეჟურნალისტები თავს იმართლებენ: რა ვქნათ, ხალხს მოსწონს, რეიტინგზე ვმუშაობთო. სინამდვილეში კი საინტერესოა, რომელ რეიტინგზე ლაპარაკობენ? ალბათ, იმაზე, მაყურებელი ცუდსა და უარესს შორს რომ აკეთებს არჩევანს. ქართული ტელესივრცე ძალიან უფერული, ერთფეროვანი, ბანალური, აბსოლუტურად არააქტუალური გადაცემებითაა სავსე... თუ კარგი ფეხსაცმლის ფული არ მაქვს, ფეხშიშველი ხომ ვერ ვივლი? იძულებული ვარ, წავიდე და იაფფასიანი, უხარისხო ფეხსაცმელი ვიყიდო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე გემოვნება არ მაქვს, რომ კარგისა და ცუდის გარჩევა არ შემიძლია. ყველა გადაცემას, შინაარსის გარდა, აქვს ფარული მესიჯი, მიმართვა და ეს გზავნილი ადამიანის ქვეცნობიერზე მოქმედებს. მაგალითად, გადაცემაში მოიყვანენ ვიღაც მაიმუნს (უკაცრავად, გამოთქმისთვის) და აქებენ. გვეუბნებიან, — ნახეთ, როგორი ლამაზიაო. ამ დროს კი მართლა ლამაზ ადამიანს უჩნდება კომპლექსი და ფიქრობს, ვინაიდან იმ „ლამაზმანს“ არ ჰგავს, უშნოა. მე თუ მკითხავთ, ყველაზე პოპულარული გადაცემა — „პროფილი“ საშინელებაა, რადგანაც ის აბსოლუტურად ცარიელი და არაფრის მთქმელია. ის, რაც სხვა ქვეყნისთვის მისაღებია, ჩვენთვის შესაძლოა, დაცინვა იყოს. წამყვანზეც ბევრი რამაა დამოკიდებული, მას სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება. სხვადასხვა თვალსაზრისით, ტელეწამყვანი სანიმუშო უნდა იყოს. სამწუხაროდ, ქართულ ტელესივრცეში ამ მხრივაც ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ზოგიერთს აშკარად ეტყობა, რომ საკუთარ თავზე არასდროს უმუშავია, რომ საიდანღაც უცებ გამოჩნდა და „პრაიმ ტაიმის“ დროში, ტელეეთერში ჩასმული გადაცემის წამყვანი გახდა. ისინი უფრო სერიოზულად უნდა ეკიდებოდნენ საქმეს, მით უმეტეს, რომ ყველა პირობა აქვთ საამისოდ, ძალიან მაღალ ანაზღაურებას იღებენ. მათ წლიდან წლამდე ზრდა უნდა ეტყობოდეთ, ერთ ადგილას კი არ უნდა იყინებოდნენ. საწუხაროდ, რატომღაც ჰგონიათ, რომ ძალიან კარგები არიან და პროფესიონალური ზრდა არაფერში სჭირდებათ, რადგანაც ჯანსაღი კრიტიკა აკლიათ. იმისთვის, რომ გონს მოეგონ და ამოძრავდნენ, მხოლოდ საიდანღაც შეთითხნილი რეიტინგი არაა საკმარისი. თანაც, პირველ რიგში, ჟურნალისტმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ რომელ გადაცემასთან ან წამყვანთან შედარებითაა რეიტინგული? ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობაც ხომ უნდა გქონდეს!..

P.S. *როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, „გზის“ ფურცლებზე ტელევიზიის თემაზე მომზადებული მასალების ციკლს შემოგთავაზებთ და იმედია, ამ დისკუსიაში თქვენც აქტიურად ჩაებმებით. თქვენი შეხედულებების რედაქციისთვის გასაზიარებლად, შეგიძლიათ, დაგვირეკოთ ან მოგვწეროთ ელფოსტაზე. გაცნობებთ, რომ მომდევნო ნომერში საინფორმაციო და პოლიტიკური გადაცემების ავ-კარგს განვიხილავთ.*

ვინი რომ განათლების მინისტრი იყოს...

მისთვის გამორჩეულად საყვარელი ჟანრი არ არსებობს. წიგნების კითხვა უყვარს, მაგრამ წაკითხულ ნაწარმოებებზე ლაპარაკი — არა. არც საყვარელი ავტორები ჰყავს და არც თანამედროვე ქართული მწერლობა იზიდავს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად „ბეჭდების მბრძანებლიდან“ სემს ირჩევს. ამბობს, რომ ძლიერი ხასიათის მქონე პერსონაჟთან მეგობრობა საინტერესო იქნება. მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარი — ზაალ წულუკიძე გახლავთ. მას საზოგადოება ვინის მეტსახელით უფრო იცნობს.

პრეამბულის მაგივრ

— ვინი, თავად თუ ხარ ძლიერი პიროვნება?

— წინააღმდეგობები არ მაფრთხობს, უბრალოდ, მაფიქრებს. შემიძლია ვთქვა, რომ ძლიერი პიროვნება ვარ, მაგრამ სემივით ძლიერი — ვერა.

— ჩემი რესპონდენტები ამ რუბრიკას ხშირად გამოცდაზე გასვლას ადარებენ...

— (*მაწყვეტინებს*) ოღონდ ჩვეულებრივ გამოცდასა და „ერუდიტს“ შორის ის განსხვავებაა, რომ შენ გამოცდას ყველა საგანში ერთდროულად გვიტარებ (*იცინის*). არ მეთანხმები?

— გეთანხმები.

— სკოლას რომ ვამთავრებდი, ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე თავისუფალი თემა მოვიდა: „მე რომ განათლების მინისტრი ვიყო“... მუზამ „მომასხა“ და სწრაფად დავწერე, სამწუხაროდ, ე. წ. „შავად ნაწერი“ სახლში არ გამომატანეს. როგორც ვიცი, მაშინდელ მინისტრს ჩემი თემა წააკითხეს.

— დღეს რომ განათლების მინისტრი იყო, რას შეცვლიდი?

— რთულ დროს „დამნიშნე“ მინისტრად (*იცინის*). განათლების სისტემაში ბევრი არასწორი რეფორმა გატარდა. ეს სისტემა ფუნდამენტურად ცვლის ქართულ ღირებულებებს. ევროპისკენ სწრაფვა შენი ფასეულობების დაკარგვას არ უნდა ნიშნავდეს. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შესწავლას მეტი დრო უნდა ეთმობოდეს.

— ვინი, ჟურნალ-გაზეთებს თუ კითხულობ?

— იშვიათად.

— რატომ? ამის სურვილი არ გაქვს თუ დრო?

— დრო. ჩემი ოჯახის წევრები ჟურნალებს უფრო კითხულობენ, ვიდრე გაზეთებს. თუ რომელიმე ჩემს მეგობართან ინტერვიუ გამოქვეყნდა, მეც ვკითხულობ.

— საკუთარ ინტერვიუებს?

— ოჯახში ინახავენ, სერიოზული არქივი დამიგროვდა. მათ შორის, რამდენიმე „გზაც“ არის.

თამუნა კვინიკაძე

— „მარცვლეულის ღვინო“ — ასე უწოდებენ მას ჩვენში, ეგვიპტეში — „ხორბლის ნახარშს“. მას ბევრ ქვეყანაში ამზადებენ. დაასახელე ეს სასმელი.

— ეს ის ერთადერთი სასმელია, რომელზე უარის თქმაც არ შემიძლია. არც ერთ სხვა ალკოჰოლურ სასმელს არ ვსვამ.

— პასუხს მეტყვი თუ მე უნდა გამოვიცნო, უარის თქმა რომელ სასმელზე არ შეგიძლია?

— (*იცინის*) ა! ამდენი ვილაპარაკე და არ დავასახელე? ლუდი, თან — ჩაცივებული.

— ინგლისის რომელი ქალაქიდან იყვნენ ლეგენდარული ჯგუფ „ბითლზის“ წევრები?

— ლივერპულიდან.

— ამ მოვლენების შემსწავლელ მეცნიერებას უფოლოგია ეწოდება. რას შეისწავლის იგი?

— ციურ სხეულებს, უცხოპლანეტელებს.

— რა ჰქვია ნავს, რომლითაც ვენეციის არხებში დაცურავენ?

— გონდოლა.

— რომელ მოგზაურსა და მკვლევარს უწოდეს პაპუასებმა „ადამიანი მთვარიდან“?

— არ ვიცი.

— მიკლუხო მაკლაის. რა ჰქვია ორგანიზმებს, რომლებიც სხვა ცოცხალ ორგანიზმზე ან მის შიგნით სახლობს და მის ხარჯზე იკვებება?

— მთავრობა (*იცინის*), ეს — ხუმრობით. ისე, ამ ორგანიზმებს პარაზიტები ჰქვია.

— რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ამჟამად ოშკის ტაძარი?

— ირანის.

— ცდები, თურქეთის ტერიტორიაზეა. თუ წრეწირის სიგრძეს ორჯერ გაზრდიან, რამდენჯერ გაიზრდება მისი რადიუსი?

— რა თქმა უნდა, ორჯერ.

— რომელი უღელტეხილით უკავშირდება მესხეთი ზემო აჭარას?

— ვერ ვიხსენებ.

— მიგანიშნებ, ამ უღელტეხილს მამაკაცის სახელი ჰქვია.

— (*ფიქრობს*) მაინც ვერ გიპასუხებ.

— გოდერძის უღელტეხილით. აკაკის რომელი ნაწარმოების პერსონაჟია ბათუ?

— ბათუ, ბათუ... რა ნაცნობი პერსონაჟია!.. „გამზრდელში“ გვხვდება, არა?

— გამოიცანი. სად გარდაიცვალა ნიკოლოზ ბარათაშვილი?

— საქართველოში რომ არ გარდაიცვალა, ვიცი, მაგრამ სად, ვერ ვიხსენებ.

— განჯაში. რა არის გულანშარო „ვეფხისტყაოსანში“? (*ფიქრობს*)... სავარაუდო პასუხებს გეტყვი: ქაჯეთის, ზღვათა სამეფოს თუ ხატაელთა დედაქალაქი?

— მგონი, ზღვათა სამეფოს დედაქალაქია.

— დიახ. რა ქმნის რუკაზე გრადუსთა ბადეს?

— ხაზები.

— მაგ „ხაზებს“ რა ჰქვია?

— მერიდიანები და პარალელები.

— მოგეხსენება, აფრიკას „ცხელ კონტინენტს“ უწოდებენ. ამ ცხელ კონტინენტზე არის მყინვარი. სად მდებარეობს ის?

— კილიმანჯაროზე.

— ამ ადამიანის მიერ დაწერილი წიგნით უამრავი თაობა აღიზარდა. თავდაპირველად მასში ხშირად ვხვდებოდით ბარბარიზმებს: ფეჩი, სტოლი, შკოლა, კარანდაში, სტაქანი და ა.შ. რომელია ეს წიგნი?

— იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.

— როგორი გეომეტრიული ფორმის მოედანზე თამაშობენ ბეისბოლს?

— რომბისებრი.

— რამდენ სართულადაა განლაგებული ვარძიის სამონასტრო კომპლექსი?

— 9, 10, 11 — ზუსტად არ ვიცი.

— 13 სართულად არის განაგებული. რომელ ქალაქშია ბრანდენბურგის კარიბჭე — ბერლინში, პარიზში, ამსტერდამში თუ ვენაში?

— ბერლინში.

— ვინ მეფობდა კოლხეთში, როცა არგონავტებმა ოქროს საწმისი გაიტაცეს?

— ვა! მაგ კაცს რა ერქვა?

— ამას მე გეკითხები...

— (*ფიქრობს*) აიეტი. სწორად ვთქვი?

— დიახ, რომელი ციხის აღებისას მოკვდა გირშელი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“?

— არ ვიცი.

— ქორსატეველას ციხის აღების დროს. ვინ იყო მუშნი ზარანია დათო თუთაშხიასთვის?

— ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ.

— ეს პოლონელი კომპოზიტორი თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებდა პოლონელ გლეხთა სიმღერებს და ცეკვებს. მისი ნაწარმოებები, მათ შორის სონეტები, საფორტეპიანო მუსიკის უდიდეს საგანძურს განეკუთვნება. იგი პარიზში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, მაგრამ დაკრძალვამდე გული ამოაცალეს. ვარშავაში ჩაიტანეს და ერთ-ერთი ეკლესიის კედელში ჩაატანეს. დაასახელე ეს კომპოზიტორი.

— ვა! ვერ ვხვდები.

— მიგანიშნებ, ის 1810-1849 წლებში ცხოვრობდა.

— სამწუხაროდ, ვერ გიპასუხებ.

— შოპენი. როგორც ლადო გუდიაშვილი იგონებს, 1919 წელს რუსთაველის თეატრის სარდაფში პოეტებმა კაფე გახსნეს. იქ ახალ ლექსებს კითხულობდნენ. მომღერლები და მოცეკვავეებიც იკრიბებოდნენ. რა ერქვა ამ კაფეს?

— არ ვიცი, მაგ კაფეში არ ვყოფილვარ (*იცინის*).

— „ქიმერიონი“. რა სახელი ერქვა დავით აღმაშენებლის ყივჩაღ მეუღლეს?

— გავიხსენებ (*ფიქრობს*) გურანდუხტი.

— დაასახელე სპორტის სახეობა, რომლისთვისაც სათამაშო დრო არ არის განკუთვნილი.

— ფრენბურთი და სხვა არაერთი სახეობაც არსებობს.

— რომელ საუკუნეში ვითარდება მოქმედება ალექსანდრე დიუმას „გრაფ მონტე-კრისტოში“?

— ალბათ, XVIII საუკუნეში.

— XIX საუკუნეში. ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი ამბობდა: „კეთილშობილი ადამიანი ფიქრობს მხოლოდ მომავალზე, სულმდაბალი კი...“

— „...დღევანდელობაზე“.

— ცდები: „...მხოლოდ სარგებელზე“. რისი სახელებია „დავითიანი“, „თამარიანი“, „გორგასლიანი“?

— დროშების.

— დედამიწაზე ხარობს ხე, რომელსაც ხანძრის არ ეშინია. რომელია ეს ხე?

— ვა, რა მაგარი ხე ყოფილა! რომელ კონტინენტზე ხარობს?

— ის უმეტესად, აფრიკაში გვხვდება. წვიმიან ამინდში მისი მსხვილი ღერო წყალს ინახავს, რომელსაც შემდგომ, გვალვის დროს იყენებს.

— ბაობაბი.

— რას ეძახდნენ შინ ნაქსოვ ხევსურულ კაბას?

— სადიაცოს.

— „ამქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ეგრძნოს ოდესმე, არცთუ ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც სისულელე არ ეთქვას“ — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?

— ქართველია?

— დიახ.

— თუ შეიძლება, ციტატა გამიმეორე (*გამეორების შემდეგ*). ვერ ვიხსენებ.

— კონსტანტინე გამსახურდია. საქართველოს რომელ რაიონშია თავმოყრილი ისტორიული ძეგლები: წუღრუღაშენი, ქვეშის ციხე და ორბელიანთა კარის ეკლესია?

— ბოლნისის რაიონში.

— XX საუკუნის დასაწყისში კარიბის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე მძლავრმა ვულკანმა რამდენიმე წუთში კუნძულის 28-ათასიანი მოსახლეობა გაანადგურა. სიკვდილს მხოლოდ 10 ადამიანი გადაურჩა. რა სოციალური სტატუსი ჰქონდა მას?

— არ ვიცი.

— პატიმარი გახლდათ. საპყრობილის კედლები მტკიცედ იყო აგებული. „მე ვხედავ მზეს“, „როცა აყვავდა ნუში“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ — ვინ არის ამ ფილმების რეჟისორი?

— ლანა ღოღობერიძე.

— ამ ქვეყნიდან შეიძლება გადმოხედო მსოფლიოს, რადგან იქ უამრავი მაღალი მწვერვალი იყრის თავს. მას „ყველაზე მაღალ სახელმწიფოსაც“ უწოდებენ, დაასახელე ეს ქვეყანა.

— ნეპალი.

— დაასრულე მონტენის ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანი, რომელიც ცოტას საქმობს, ისეთივე ყბედია, ვინც ცოტას ფიქრობს, იგი...“

— „...ცოტას ყბედობს.“

— პირიქით. „...იგი ბევრს ლაპარაკობს.

ცაბის ამყვარული ვეგაურთელის წინასწარმეტყველება და გოგლა ლეონიძისთვის ნასროლი პომიდორი

როცა „ერისთავის სათვალის“ წამყვანს, ლევან ერისთავს დავუკავშირდით და რუბრიკისთვის — „ადამიანი, რომელიც არასდროს დამავიწყდება“ ჩაწერა ვთხოვეთ, დაუფიქრებლად გვიპასუხა: ეს ის რუბრიკაა, რომელშიც საუბრის სურვილი არაერთ ადამიანზე მიჩნდება, მაგრამ ამჯერად, დათო ყიფიანს გავიხსენებო. როდის იწინასწარმეტყველა დათო ყიფიანმა, რომ ის წარმატებული ფეხბურთელი გახდებოდა? როგორ უხდიდა მეგობარს საკუთარი ჯიბიდან „ხელფასს“ და რატომ გააბრაზეს გოგლა ლეონიძე? ბატონი ლევანი ამ და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო ამბავს იხსენებს.

„დათო ყიფიანი მეგობარზე მეტი იყო...“

თამუნა კვინიკაძე

— 18 ივნისს დათო ყიფიანს 58 წელი შეუსრულდებოდა. დღეს მასზე, როგორც ფეხბურთელზე ლაპარაკს არ ვაპირებ. ვისაც მოედანზე ერთხელ მაინც ჰყავს ნანახი, იცის, რა დონის მოთამაშე იყო. ამჯერად, მინდა ყურადღება დათოს პიროვნულ თვისებებზე გავამახვილო. გამორჩეული და სრულქმნილი კაცი იყო. მასზე ბანალური და გაცვეთილი ეპითეტებით ლაპარაკი არ მინდა, მაგრამ სხვა სიტყვების მოძებნაც მიჭირს. მის კაცობაზე ლაპარაკი ისევე ძნელია, როგორც იმის მოყოლა, თუ როგორ გიყვარდა ქალი. დათოსავით ხელგაშლილი ადამიანი ცხოვრებაში არ მინახავს. მას არანაირი მატერიალური სიმდიდრე არ დარჩენია. სამაგიეროდ, ადამიანების გულებში დატოვა დიდი სიყვარული, რომელიც რამდენიმე ტონა ოქროზე ძვირად ფასობს. გაგიჭირდებოდა? — დაგეხმარებოდა; წამალი დაგჭირდებოდა? — მოგიტანდა; დაგიჭირდნენ? — გაგათავისუფლებდა. მან რამდენიმე ადამიანი დახვრეტასაც გადაარჩინა.

— ამ ყველაფერს როგორ ახერხებდა?

— არ ვიცი, ამ თვისებებით ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა, ლიდერი იყო.

— თქვენ კლასელები იყავით?

— დათო პირველ სკოლაში მეორე კლასიდან სწავლობდა. ნიჭიერი იყო, მაგრამ ხშირად ცელქობდა, რაც სკოლიდან მისი გარიცხვის მიზეზი გახდა. IX კლასიდან სწავლა 53-ე სკოლაში განაგრძო.

— მასთან ერთად ფეხბურთს არ თამაშობდით?

— როგორ არ ვთამაშობდით, მაგრამ გვიშლიდნენ (მაშინ ქალაქში ამდენი მოედანი არ იყო). 7 ნოემბერს ქუჩები იკეტებოდა და ჩვენც ამ თარიღის მოსვლას დიდი სიხარულით ვხვდებოდით, რადგან შეგვეძლო, მთელი დღე ფეხბურთი გვეთამაშა. დათოს ღირსეულ მეტოქეობას ვერც ერთი ვერ ვუწევდით — ყველას მოგვატყუებდა, ბურთით კარისკენ გაემართებოდა და გოლსაც თავად გაიტანდა. ამის გამო ბავშვები ხშირად ვუბრაზდებოდით. გოგლა ლეონიძის შვილიშვილი — ციფო ჩვენი კლასელი იყო. მისი ოჯახი მაჩაბლის ქუჩის კუთხეში ცხოვრობდა. დიდი ბინა ჰქონდათ. ერთხელ მასთან დაბადების დღის აღსანიშნავად შევიკრიბეთ. მეგობრები 2 ჯგუფად გავიყავით და სახლი თავზე დავიმხეთ — ხელში რა ნივთიც მოგვხვდებოდა, ერთმანეთისკენ ვისროდით. ბოლოს, პომიდვრებზეც გადავედით. ამ დროს ოთახში გოგლა შემოვიდა და ნასროლი პომიდორი შემთხვევით, მას



ძმაკაცის დახმარება თუ გინდა, მაგაზე ადვილი რა არის? — საკუთარი ჯიბიდან მიეცი

მოხვდა. იმ საღამოსვე ბებიაჩემის დას (ისინი მეგობრობდნენ) დაურეკა და უთხრა: — ეს რა ვნახე, როგორი ველურები იზრდებიან, ლექსებს მათთვის ვწერო?.. კარგი კლასელები მყავდნენ. „შატალოზე“ ხშირად დავდიოდით — ხან ცირკში, ხან — ზოოპარკში ვიპარებოდით, ზოგჯერ კი ფეხბურთს ვთამაშობდით ან წყნეთში, ციფოს აგარაკზე ავდიოდით. ქეიფიც ადრე დავიწყეთ — ჯერ კიდევ IX კლასში ამის დიდი გამოცდილება გვქონდა. ცოტა ხნის წინ თემურ დიასამიძემ, რომელიც ასევე ჩვენი კლასელი იყო, მკითხა — დათო ყიფიანის ხელწერა გახსოვსო? დავფიქრდი და გამახსენდა — ადრე ერთმანეთს წერილებს ვწერდით. თემურს დათოს წერილი დღემდე შენახული აქვს.

— ამ წერილის შინაარსი როგორია?

— დათომ თითქოს საკუთარი მომავალი იწინასწარმეტყველა: თბილისის „დინამოში“ ვითამაშებ, საუკეთესო ფეხბურთელი გავხდებიო, — უწერია თემურისადმი მიწერილ წერილში. დათოს ლამაზი ხელწერა ჰქონდა, კარგად სწავლობდა. მას სხვისი გახარების უნარი ჰქონდა და სულ იმაზე ფიქრობდა, ვისთვის როგორ ესიამოვნებინა. დღესასწაულების მოწყობა უყვარდა — მოსკოვში, კიევში ან სხვა დიდ ქალაქში წაგიყვანდა და ისეთ დროს გაგატარებინებდა, მთელი სიცოცხლე დაგამახსოვრდებოდა. გემოვნებიანი ადამიანი იყო, კარგად იცვამდა. თუ რამე მოგეწონებოდა, გაიხდიდა და გაჩუქებდა. როგორც მოედანზე, ისე ცხოვრებაშიც, დათოს იმედი ყველას ჰქონდა. ის მეგობარზე მეტი იყო... ვიდრე ტრაგიკულად დაილუპებოდა, აგვისტოში სარფში ვიყავით. სევდიანი ჩანდა. ბულვარში საერთო ნაცნობი ჩამოგვიჯდა და დათოს შესჩივლა, — რა არის,

ცხოვრება როგორ გაძნელდა, ძმაკაცების დახმარებაც გაჭირდაო; დათო ზღვას უყურებდა. ის კი კვლავ განაგრძობდა: ადრე დიდი კომბინატის დირექტორი ვიყავი, 3-4 ძმაკაცს სამსახურში ვაფორმებდი, 300 მანეთ ხელფასს იღებდნენ, ახლა ასე რამეს ველარ გავაკეთებო. იმ ადამიანს ეგონა, დათო წუწუნში აჰყვებოდა, მან კი მოკლედ მოუჭრა: ძმაკაცის დახმარება თუ გინდა, მაგაზე ადვილი რა არის? — საკუთარი ჯიბიდან მიეცი, ამას არც ფაქტურა უნდა და არც — დოკუმენტიო. ეს დათოსთვის იყო ადვილი, თორემ სხვებისთვის ამაზე ძნელი არაფერია. დათოს ხელგაშლილობასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ: მაშინ ის ქუთაისში, „ტორპედოს“ მწვრთნელი იყო. თბილისში ჩამოვიდოდა თუ არა, გავხალისდებოდით ხოლმე. ბოლოს, შემომთავაზა, — აქ რას აკეთებ? სამსახური მაინც არ გაქვს და წამოდი ქუთაისში, მწვრთნელ-სელექციონერად მუშაობას დაგაწყებინებო. — ხელფასი რამდენი მექნება-მეთქი? — ვკითხე გახარებულმა. იმდენად მაღალი ციფრი დამისახელა, გავოგნდი, — ამდენი ფული ერთად არასდროს ამიღია, წამოვალ-მეთქი. გაუხარდა, — რა კარგია, იქაც ერთად ვიქნებითო. თან, დამარიგა: ჯერ გუცაევთან მიდი, განცხადება დაწერე, ის ხელს მოგიწერს და ა.შ. მთელი ფორმალობები ისე გავიარე, როგორც დამარიგა. ქუთაისში ჩავედით თუ არა, ახალ სამსახურს მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდე, ნახაზებს ვაკეთებდი, ვგეგმავდი, ვფიქრობდი, რა როგორ გამეკეთებინა. დათო კი გამუდმებით მიმეორებდა: კარგი, რა, ლევან, თავს ასე ნუ დაიტვირთავ, საჭირო არ არისო. თუ გუნდი მოიგებდა, ხელფასს თანხა პრემიასავით ემატებოდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სამსახურით კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ მალე დათო ქუთაისიდან წამოვიდა და როცა მორიგი თვის ხელფასის ასაღებად მივედი, უარით გამომისტუმრეს. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი სამსახური და თანამდებობა დათოს მოგონილი ყოფილა. თურმე, ხელფასს საკუთარი ჯიბიდან მაძლევდა. დათოსგან ბევრი სიკეთე მახსოვს. როცა მეგობრები სუფრასთან შევიკრიბებოდით, გადახდას ვერავინ დაასწრებდა... ქეიფი უყვარდა, შესანიშნავი თამადა იყო, სუფრის თავკაცად თუ არ აირჩევდნენ, სწყინდა. სიმღერაც იცოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, სიმთვრალეც ძალიან უხდებოდა. ლაზათიანი კაცი იყო... დათო 25 წლის განმავლობაში საქართველოში ყველაზე პოპულარული ადამიანი გახლდათ. ის უყვარდათ და პატივს სცემდნენ. ერთხელ მასთან ბაზაზე ვიმყოფებოდი, სადაც ჩვენი საერთო მეგობარი, გოგი ღარიბაშვილი მოვიდა. ნასვამი იყო და დათოს შესჩივლა, ინსპექტორები გამომეკიდნენ, მანქანა სააკაძის მოედანზე დავტოვე და გამოვიქეცი. დათომ ყურადღებით მოუსმინა, მერე კი უთხრა: პრობლემა არ არის, ვარჯიშს დავასრულებ, ერთად ვისადილოთ და მერე წავიდეთო. კარგად მოლხენის შემდეგ სააკაძის მოედანზე მივედით. შორიდანვე დავინახეთ, გოგის მანქანასთან 2 ინსპექტორი იდგა. ალბათ ფიქრობდნენ, ადრე თუ გვიან, პატრონი მაინც გამოჩნდება, მანქანას ხომ არ მიატოვებსო?! გონებაში ალბათ ასაღებ ქრთამსაც წინასწარ ინაწილებდნენ. გოგი დაინახეს თუ არა, სახე გაუნათდათ, მაგრამ მათკენ მიმავალი დათო ყიფიანიც რომ შენიშნეს, თავში ხელი შემოირტყეს. მანქანაში სიტყვის უთქმელად ჩასხდნენ და წავიდნენ. ასე ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში.

— ასეთ ამბებზე თავად როგორი რეაქცია ჰქონდა?

— იცინოდა და ალბათ, გულის სიღრმეში სიამოვნებდა კიდეც. ნაცნობს და უცნობს ყველას უყვარდა. მოედანზე ტაშს 100000 კაცი უკრავდა. ერთხელ ნაცნობმა ცუდი ტონით ჰკითხა: კი, მაგრამ კარგად თუ ვერ ითამაშებ (რაც იშვიათად ხდებოდა), გასახდელში პირველი გამორბიხარ, პირიქით როცა ხდება, მოედანს ყველაზე ბოლო ტოვებ, რა არის, ტაში გიყვარსო? — დიახ, ტაში მიყვარს და მინდა, ისე ვითამაშო, რომ ტაში დამიკრანო, — მოკლედ მოუჭრა დათომ.

— მატჩის შემდეგ თამაშის შესახებ აზრს არ გეკითხებოდათ?

— არა, თავად ყველაზე კარგად იცოდა, როგორ ითამაშა. თუ წააგებდა, ისეთ ცუდ ხასიათზე იყო, ფეხბურთზე ლაპარაკი საერთოდ აღარ უნდოდა.

— დათო ბოლოს, როდის ნახეთ?

— ვიდრე დაიღუპებოდა, რამდენიმე დღით ადრე მთხოვა, ბათუმში მივდივარ და წამომყევიო. ვიცოდი, იქ გაშლილ სუფრას დაახვედრებდნენ, მე კი იმ დღეებში წამლებს ვსვამდი და ამიტომ, უარი ვუთხარი, — შენ გვერდით ვერ ვივარგებ-მეთქი. დათოს მანქანით მარტო სიარული არ უყვარდა. მეგონა, რომელიმე მეგობარი გაჰყვებოდა, მაგრამ მარტო წასულა. მისი დაღუპვის ამბავი რომ მითხრეს, ვერ დავიჯერე. ყოველთვის მქონდა სურვილი, მასზე ჩანახატი ან სტატია დამეწერა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. როცა ვიდეოკამერა მაჩუქა (მაშინ ეს ძვირად ღირებული სიამოვნება იყო), გამეხუმრა, — ჩემზე ფილმი გადაიღეო. მაშინ მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ეს სიტყვები მისი გარდაცვალების შემდეგ გამახსენდა. საფუძვლად ავიღე ინტერვიუ, რომელიც ეთერში არ გავიდა და რომელშიც დათო თავის ბიოგრაფიას ჰყვება. მონათხრობს იმდროინდელი თბილისის ხედები, დათოს თამაშების ეპიზოდები, ფოტოები დავურთე... ფილმი 1 საათზე მეტხანს გრძელდება და სხვა დოკუმენტური ფილმებისგან განსხვავებით, სხვა არავინ მონაწილეობს. ეს მცირედია იმ პატივისცემისა და ამაგის აღსანიშნავად, რომელიც მისგან მიმიღია. ერთხელ დათოს მამამ დაგვარიგა, — ერთმანეთს ენას ნუ შეაჩვევთ და წლები რაც უფრო მოგემატებათ, ერთურთს მით უფრო გაუფრთხილდით და მოეფერეთო. წლები გადის, დათოს თან ვშორდები და თან, ვუახლოვდები. მჯერა, იმ ქვეყნად ჩვენი გზები აუცილებლად გადაიკვეთება. მის გარეშე ყოფნა ძალიან ძნელია, უფრო სწორად, დათოს გარეშე — სხვა ცხოვრებაა... ■

ლევან ერისთავი (დგას – მეორე) და დავით ყიფიანი (ზის – მეოთხე) თანაკლასელებთან ერთად



საჯარო სიკვდილს ვაღარჩენილი მომღერალი და იღბლიანი მომავალ, რომელსაც მისი ვაჟცოლის შანსი მიეცა

„ბაგვიმართლა, შეყვარებულები რომ არ გვყავს...“

„თემო, ძალიან კარგი ადამიანი ხარ და გაფასებ. გაცნობას არ გთხოვ, უბრალოდ, მინდოდა, შენთვის თბილი სიტყვები მეთქვა და რუბრიკა „სასიძომ“ ამის საშუალება მომცა. ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეს, კარიერაში ყველაზე მაღალ საფეხურზე ასულიყავი და კიდევ, ლამაზ და ფერად სიყვარულს გისურვებ“, — მოსწერა თემო საჯაიას მისმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, სალომ. მომღერლის სახელზე არაერთი მსგავსი „ესემესი“ მოვიდა და მასთან შეხვედრის სურვილიც ბევრს ჰქონდა, მაგრამ ამჯერად, თეოს გაუმართლა. ვიდრე მათი შეხვედრის დეტალებს გაგაცნობთ, თემოს სახელზე მოსულ მესიჯებს შემოგთავაზებთ.

„თემოს გადარეული ფანი არ ვარ. მომწონს, როგორც პიროვნება. მას წარმატებებს ვუსურვებ და გადარჩენას ვულოცავ“.

„ჩვენი, ძალით ელიტა და „დონე“ შოუ-ბიზნესის „დამაბრმავებლად მოკიაფე“ ვარსკვლავებს შორის, ძლივს არ ვნახე სულით ქართველი პერსონა?! ყველაზე მეტად, გაევროპელებულ-გაპიჟონებული ქართველები მიშლიან ნერვებს... საღოლ, ძმაო, მაგარი ხარ. ალალი ბიჭი ჩანხარ და ღმერთმა ამ სიალალით გატაროს შენი ცხოვრების ბილიკებზე. გაიხარე. ლიმონა“.

„გამარჯობა, თემო. ინტერვიუ წავიკითხე და შენით კიდევ უფრო მოვიხიბლე. ბევრი საერთო გვქონია — იურიდიულზე ვაპირებ ჩაბარებას, ლექსებს ვწერ და საკმაოდ ერთგული ადამიანიც ვარ“.

„ძალიან მესიმპათიურები. „ვარსკვლავების აკადემიის“ აქტიური მაყურებელი ვიყავი და იმედი მაქვს, ეს პროექტი გაგრძელდება, რადგან მართლაც კარგები იყავით. ლალოლა“.

„შენი გაცნობა არ მინდა. უბრალოდ, იმიტომ გიმესიჯებ, რომ გითხრა, კარგი ადამიანი ხარ და ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ნინო“.

„გამარჯობა, „სუპერგზას“. თემო კარგი ადამიანი ჩანს და მინდა, გავიცნო, ვეძმაკაცო“.

„ძნელია, როცა ტირილი გინდა,/ ძნელია როცა ტირილს ვერ ბედავ,/ ძნელია, როცა სიცილი გინდა/ და ამ სიცილის მიზეზს ვერ ხედავ./ ძნელია, როცა შენ გული გტკივა,/ როცა ველარ გრძნობ ვერავის სითბოს./ ძნელია, როცა ხელებზე გცივა/ და ამ ცივ ხელებს არავინ გითბობს./ ძნელია, როცა თვალები სველია,/ არ გაძინებენ, გინდება გლოვა./ ძნელია, როცა ვიღაცას ელი/ და თან იცი, რომ ის არ მოვა!“

„ნახვით ვერ გნახულობ, თავი მომანატრე,/ მოდი, ეგ თვალები მალე დამანახვე,/ ღამით ვერ ვიძინებ, დილით მენატრები,/ მალე შეგვიშლები, ისე მენატრები“.

„სიამოვნებით გაგიცნობ. თუ ამის სურვილი გაგიჩნდება, შემეხმიანე. დაგელოდებიი... შენი გოგო“.

„თემო საჯაიას ფანი ვარ. მაგრად მომწონს და მისი გაცნობა მინდა. თეო, 17 წლის“.

„ასეთი უკარება ხარ? თავს აუკრძალე, რომ შენი მეგობრების რიგს კიდევ ერთი დაქალი მიემატოს?..“

„ძალიან ნიჭიერი და საყვარელი ხარ. გამიხარდა, ქართული ტრადიციები რომ მოგწონს. მერწმუნე, მე და შენ მაგარი წყვილი ვიქნებით. თუ მნახავ, აუცილებლად მოგეწონები, როგორც გარეგნულად, ისე სულიერადაც... თან, მეც ტრადიციულ ოჯახში ვარ გაზრდილი. ნინი“.

„გაილამაზე ყოველი დილა,/ იყავი ყოველთვის სათნო და წმინდა,/ არ შეგეშინდეს ძნელი აღმართის,/ გფარავდეს ღმერთი, აწ და მარადის! ინა“.

„კარგი ადამიანი ჩანხარ. წარმატებებს გისურვებ, როგორც შემოქმედებაში, ასევე პირად ცხოვრებაში. ირმა 91, ქუთაისი“.

„შენ ერთს გაჩუქებ, ლამაზ სიყვარულს,/ შენ ერთს მოგიძღვნი ჩემს პატარა გულს!/ შენ ერთს გაჩუქებ ჩემს სათუთ კოცნას/ და მხოლოდ შენთან ვისურვებ ყოფნას“.

თემომ თქვენ მიერ გამოგზავნილ კითხვებსაც გასცა პასუხი:

— თემო, სადაური საჯაია ხარ?

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე. საჯაია მეგრული გვარია, მაგრამ მე წარმოშობით გურიიდან ვარ.

— თემოს გაცნობა ძალიან მინდა, მაგრამ ქუთაისში ვცხოვრობ და ამას ვერ ვახერხებ. მასთან შეხვედრა ჩემი ოცნებაა. გთხოვთ, თემოს გადაეცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ოცნებას ავისრულებ და აუცილებლად შევხვდები. ნეტავ, ამის სურვილი თავადაც თუ გაუჩნდება?

— როცა თბილისში ჩამოხვალ, დამიკავშირდი და გაგიცნობ.

— როგორ ფიქრობ, ქართულ შოუბიზნესს ეშველება რაიმე? მინდა გითხრა, რომ შენი სახით მას კარგი მომღერალი ჰყავს.

— იყო დრო, როცა ქართული შოუბიზნესი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. დარწმუნებული ვარ, მდგომარეობა სულ მალე, სასიკეთოდ შეიცვლება და თუკი იქ ადგილს დავიმკვიდრებ, მოხარული ვიქნები.

— სვირინგი გაქვს თუ არა და რას ფიქრობ იმ გოგონებზე, რომლებსაც სხეული მოხატული აქვთ?

— არა, არ მაქვს და გოგონებსაც სვირინგების მიხედვით ნამდვილად არ ვაფასებ.

— დასვენება ზღვაზე უფრო გიყვარს თუ მთაში?

— თუ მეგობრებთან ერთად ვარ, დასვენება ყველგან მიყვარს. რამდენიმე დღის წინ მეგობრებთან ერთად, სვანეთში წავედი. ზღვის დონიდან 3000 მეტრის სიმაღლეზე ვიყავით, სადაც სვანებმა თავიანთი დღესასწაული, „სკალდობა“ აღნიშნეს. ამ დღესასწაულზე მხოლოდ კაცები იკრიბებიან და იქ ქალს ფეხი ჯერ არ დაუდგამს. მაგრამ როგორც მითხრეს, ლეგენდის თანახმად, XVIII საუკუნეში ერთ ქალს მამაკაცის ტანსაცმელი ჩაუცვამს და იქ ისე შეპარულა. თურმე, ამის გამო, სვანეთს მეწყერი დაატყდა თავს. მინდა გითხრათ, რომ ერთად შეკრებილი ამდენი კაცი, ჯერ არ მინახავს. საკლავი დავკალით და კარგად, კაცურად მოვულხინეთ...

თემო და თეო ერთმანეთს რედაქციაში შევახვედრეთ. ვინაიდან გოგონა ოდნავ ღელავდა, მომღერალმა კითხვა თავადვე დაუსვა.

— თეო, მოდი, უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი. შენზე რაიმე მიამბე.

— მე ვარ თეო წერეთელი, ზესტაფონიდან. იქ დავიბადე და გავიზარდე, მერე კი სასწავლებლად თბილისში ჩამოვედი. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი დავამთავრე და ახლა ვმუშაობ, მაგრამ არა პროფესიით.

— რამდენი წლის ხარ?

— 23-ის — ანუ ასაკით შენზე დიდი ვარ. იცი, მეც მაისში მაქვს დაბადების დღე... თემო, როგორც ვიცი, იურიდიულზე სწავლობ. სამომავლოდ რას აპირებ, სიმღერას თავს დაანებებ და შენი პროფესიით იმუშავებ?

— თუ გავითვალისწინებთ, რამხელა შრომა მაქვს ჩადებული

მუსიკალურ კარიერაში და როგორ მიყვარს სცენა, არა მგონია, ოდესმე სიმღერას შევეშვა. მე მომღერალი ვარ, მაგრამ ვსწავლობ იურიდიულზეც და ეს ორი საქმე ერთმანეთს ხელს ნამდვილად არ უშლის... თეო, რატომ გადაწყვიტე ჩემი გაცნობა?

— „ვარსკვლავების აკადემიას“ ხშირად ვუყურებდი. თავიდანვე შენი გულშემატკივარი ვიყავი, რადგანაც ვფიქრობ, რომ კარგად მღერი და სცენას უხდები. მერე ჟურნალ „გზაში“ შენი ინტერვიუ წავიკითხე და გამიხარდა, ასე კარგად რომ აზროვნებ. უნდა გითხრა, რომ ასეთ სიტუაციაში პირველად ვარ და ეს გამონაკლისი შენ გამო დავუშვი.

— დიდი მადლობა შენ და იმ ადამიანებსაც, ვინც მე მგულშემატკივრობდა. დამერწმუნე, ჩემთვისაც სასიამოვნოა შენი გაცნობა. მიმაჩნია, რაც მეტ ადამიანს გაიცნობ და დაიმეგობრებ, მით უკეთესია. კიდევ ერთხელ გმადლობ, რომ ჩემით დაინტერესდი. ახლა კი ის მითხარი, შეყვარებული თუ გყავს და როგორი ბიჭები მოგწონს?

— შეყვარებული არ მყავს. რაც შეეხება მოწონებას, სიმპათიური ბიჭები მომწონს, მაგრამ მხოლოდ გარეგნობასაც არ ვაქცევ ყურადღებას — ჩემი რჩეული ყურადღებიანი და კეთილი ადამიანი უნდა იყოს... თემო, „ვარსკვლავების აკადემიის“ შემდეგ შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა?

— სერიოზული არაფერი. უბრალოდ, მეტად პოპულარული გავხდი. ახლა უფრო ბევრი ადამიანი მცნობს.

— მაინტერესებს, თავს იღბლიან ადამიანად მიიჩნევ?

— ბევრი ისეთ ვარსკვლავზე იბადება, რომ ყველაფერი იოლად გამოსდის, მე კი პირიქით — დღეს თუკი რაიმეს მივაღწიე, ყველაფერი დიდი შრომის შედეგია. ამ მხრივ არა, მაგრამ მაინც, იღბლიანი ადამიანი ვარ — უკვე სამჯერ გადავურჩი სიკვდილს.

— „ვარსკვლავების აკადემიაში“ მართლაც სასწაულებრივად გადარჩით. საინტერესოა, დანარჩენ ორი შემთხვევაში რა მოხდა?

— ჩემი ჰობი ცხენოსნობაა. 2 წლის წინ ბახმაროში დოღზე ვიყავი. ხიდი, რომელზეც ცხენებით გადავდიოდით, ჩაინგრა. სხვებთან ერთად მეც ჩავვარდი და თავი გავიტეხე, მაგრამ საბედნიეროდ, ისე არ დავზიანებულვარ, რომ „დარტყმული“ დავრჩენილიყავი (*იცინის*). ისე, ნაკერები კი დამადეს. მეორე შემთხვევა იოსებიძის ქუჩაზე მოხდა. მე და ჩემი მეგობრები ბურთს სპორტსკოლაში ვთამაშობდით და უცებ, გაზი აფეთქდა. იქვე ახლოს ვიყავი, მაგრამ საბედნიეროდ, გადავრჩი. ამ მხრივ, მართლაც იღბლიანი ადამიანი ვარ. შენ თუ მიიჩნევ თავს იღბლიან ადამიანად?

— მშობლების წყალობით, ყოველთვის მქონდა ის, რაც მინდოდა. ახლა უკვე ვმუშაობ და საკუთარ თავზე თავადაც ვზრუნავ. ვცდილობ, საკუთარი მოთხოვნილებები დავიკმაყოფილო, უფრო მეტს მივაღწიო და ცხოვრება გავილამაზო. მორწმუნე ადამიანი გახლავართ და ამის გამოც ვერ ვიტყვი, რომ უიღბლო ვარ. კმაყოფილი გახლავართ იმით, რაც მაქვს.

თემომ და თეომ ინტერვიუს ბოლოს სურათებიც გადაიღეს და ბევრიც იხალისეს. ერთმანეთს ეუბნებოდნენ, — გაგვიმართლა, შეყვარებულები რომ არ გვყავს, თორემ ჩვენს სურათებს ჟურნალში რომ ნახავდნენ, იეჭვიანებდნენო.

„ჩემი ძმისგან განსხვავებული მარიკასგან მეუღლეს ვისურვებდი“

მომღერალ მარიკა თხელიძეს უამრავი თაყვანისმცემელი რომ ჰყავს, ეს მის სახელზე მოსულმა მესიჯებმაც დაადასტურა. მარიკას თაყვანისმცემლები საბერძნეთიდანაც კი მირეკავდნენ და მასზე დიდი სითბოთი, სიყვარულით ლაპარაკობდნენ.

„მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო საქმეების კეთება არ გიყვარს, შენი გაცნობა და შენთან დაახლოება მაინც მინდა. დათო“.

„შენი მესიჯი ჩემთვის ისე სანატრელია/ ნუთუ, დაწერა ორი სიტყვის ასე ძნელია?/ ჩემი თვალები ლამაზ სიტყვებს ისევ ელიან“.

„მარიკა, კარგი გოგო ხარ, გამიხარდა, ამ რუბრიკაში რომ გიხილე. თუ ჩემით დაინტერესდები, გამახარებ“.

„არ მეგონა, ასეთი კარგი ხასიათი თუ გქონდა, შორიდან ძალიან „გრუბი“ ხარ. ცხოვრებაში წინსვლას და ბედნიერებას გისურვებ! გელა“.

„კარგი გოგო ხარ და მიხარია, ტრადიციებს პატივს რომ სცემ. შენნაირი ქართველი გოგონები ღმერთმა გვიმრავლოს“.

„ვარ კარგი ბიჭი, განათლებული, მორწმუნე და იუმორის მქონე. ძალიან მინდა, გვერდით შენნაირი ლამაზი და მომხიბვლელი ცოლი მყავდეს. იმედია, ოდესმე შენს გაცნობას შევძლებ“.

„შემოქმედ ადამიანებს დიდ პატივს ვცემ. მინდა, წარმატება და წინსვლა გისურვო. გთხოვ, შენს სიმღერებს ნუ მოგვანატრებ“.

„მე მიყვარს ჩუმად მოსული წვიმა,/ შემოპარული ფიქრსა და ნისლში,/ და ჩემი გული ეკუთვნის იმას,/ ვინც ახლა ჩუმად კითხულობს მესიჯს“.

„მარიკას გაცნობის დიდი სურვილი მაქვს და ამიტომაც გადავწყვიტე მესიჯის მოწერა. მარიკა ნამდვილად იმსახურებს დაფასებას. ჩემი ძმისთვის სწორედ მისნაირ მეუღლეს ვისურვებდი. დღეს, სამწუხაროდ, წინა პლანზე ძალიან გაევროპელებული გოგონები და ბიჭები არიან. მაგრამ მე მათ არ ვაფასებ. თეონა, 20 წლის“.

„ძალიან სასიამოვნო გოგო ხარ. გისურვებ, ცხოვრების გზას მუდამ ჩირაღდნები გინათებდეს და წარმატებით გევლოს. სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან. ნანი“.

„ვიცი, არ შემხვდები, მაგრამ მაინც მინდა გითხრა, რომ კარგი და ლამაზი გოგო ხარ. მე კი ისეთი ბიჭი გახლავართ, როგორიც შენ მოგწონს. თუ მოისურვებ, შემეხმიანე. რეზი“.

„მესიჯს საავადმყოფოდან გწერ. ინტერვიუ ძალიან მომეწონა. ვისურვებდი, რომ შენნაირი აზროვნების გოგონებმა იმრავლონ ჩვენს ქვეყანაში. გაიხარე. მესაზღვრე“.

„მარიკა, გთხოვ, შემხვდი. იმედია, თავს არ დაიფასებ და გამომეხმაურები. გიო“.

„ამ გულს ენატრები, შენს ნახვას მთხოვს/ როცა ვერ გხედავ, ჩემს გულში თოვს/ სად ხარ? მოდი, რატომ ხარ შორს?/ შენი ლოდინით ნუ მომკლავ, გთხოვ“.

„მარიკა, ვიცი, ბევრი „ესემესი“ მოგივა, მაგრამ მინდა, ბედი მეც ვცადო. ინტერვიუ წავიკითხე და შენი შინაგანი სამყარო მომეწონა. გიორგი კახეთიდან“.

„ვფიქრობ, ბევრი ქართველი მანდილოსნისთვის მაგალითის მიმცემი ხარ. რაც შეეხება დედამთილს და მისთვის „დედის“ დაძახებას, მართალი ხარ, ეს საჭირო არაა. როცა ჩემა მეუღლემ დედაჩემს „დედა“ დაუძახა, მეგონა, სახლში სტუმრად სიდედრი მყავდა. ღმერთი გფარავდეს და ბედნიერ მომავალს გისურვებ!“

„გამარჯობა, მარიკა, როგორ ხარ? მე თამთა ვარ და შენი გაცნობა ძალიან მინდა. მსურს, სულ გისმენდე, რადგან შენი სიმღერები მომწონს“.

„ჩემო კარგო ადამიანო, სცენაზე დადექი თუ არა, ჩვენი გული მაშინვე დაიპყარი. ამ მესიჯს ათენიდან გწერთ, დიდი სიყვარულით. გაიხარე და იბედნიერე“.

„მარიკა, გთხოვ, ჩემი გაცნობა მოინდომო. გპირდები, არ ინანებ. გიორგი ახმეტიდან“.

მოამზადა მარეხ ჭონიმვილმა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ქართულ სლენგზე „ხრეში“ — ხურდა ფულია.

2. პოლონელებს ევროპელები „ისტორიის დონკიხოტებს“ ეძახიან.

3. „ასტავტე ხაროშიშ ჟენშჩინ დლია მუჟჩინ ბეზ ვააბრაჟენია“, — ამბობენ რუსები.

4. „ცივი ომი დღესდღეობით ცივმა მშვიდობამ შეცვალა“, — ამბობს დმიტრი რაგოზინი.

5. „გარდაუვალი მხოლოდ სიკვდილი და გადასახადებია“, — ამბობდა ბენჯამინ ფრანკლინი.

6. რეზო ესაძის გადაღებულ „ნეიღლონის ნაძვის ხეს“ ფედერიკო ფელინიმ შედევრი უწოდა.

7. უკრაინელ მომღერალ ვერკა სერდიუჩკას რუსები დაცინვით ვერკა სმერდიუჩკას ეძახიან.

8. „ობერ“ რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია და მთავარს, უფროსს ნიშნავს.

9. საკუთარ სამშობლოს ინგლისელები ზღვის ბეჭედში ჩასმულ უძვირფასეს თვალს ეძახიან.

10. „რაიმეს შექმნის ხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა მისივე განადგურების ხელოვნება“, — ამბობდა პაბლო პიკასო.

11. სერგეი ესენინის მეუღლე, ამერიკელი ბალერინა აისედორა დუნკანი პუანტების გარეშე, ფეხშიშველი ცეკვავდა.

12. დოლარის კუპიურებზე გამოსახულ ადამიანთაგან მხოლოდ ერთი — ბენჯამინ ფრანკლინი არ იყო შეერთებული შტატების პრეზიდენტი.



13. „არ მიკეთია აჩკები, ფულის არა მაქვს პაჩკები, არ მევასება სკაჩკები, გამწითლებია ზრაჩკები, უნდა ვატარო პარიკი, რომ არ გეგონოთ სტარიკი, მიტრიალდება შარიკი, ტარიკი რამტი ტარიკი“, — წერს კოტე ყუბანეიშვილი.

14. „მოვიდა ბენდუქიძე! მოვიდა ბენდუქიძე!“ — „აშინებდა“ თავის გადაცემაში მიწვეულ ინგა გრიგოლიას ვანო ჯავახიშვილი.

15. სოფიკო ჭიაურელისათვის დედამისს, ელენეს დარქმევა უნდოდა, მამამისს — სოფიოსი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, მშობლებმა ორ პატარა ფურცელზე დაწერეს ეს სახელები, ქუდში ჩადეს, ბავშვს მიაწოდეს და მან საკუთარი ხელით ამოიღო ბარათი, რომელზეც მისი მომავალი სახელი ეწერა.

16. „ამერიკელთა მიერ გამოქვეყნებული პრესის მიხედვით შესაძლებელია, ამერიკის ისტორია დაწეროს კაცმა. რაც შეეხება საბჭოთა პრესას, ადამიანი სრული იდიოტი უნდა იყოს, მის მიხედვით საბჭოთა კავშირის ისტორიის დაწერას რომ შეეცადოს“,

მეოცნებე ყმაწვილკაცის მძიმე წარსული და მისთვის მისაბაძი ადამიანის რჩევები

მინდა, ბესო სარჯველაძეს ვგავდე, ვიყო მსავით თამამი, გაბედული, ძლიერი

„ცხოვრებაში ადგილის დასამკვიდრებლად აღარ ვიბრძვი. რამდენიმე ხნის წინ განგებამ საყვარელი ადამიანი წამართვა, მის გარეშე კი ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს“, — ამბობს 21 წლის რუსლან შამათავა, რომელსაც ღია ცის ქვეშ, სავაჭრო დახლთან ადგილის დამკვიდრება ძალიან გაუჭირდა. მას ხობის რაიონიდან თბილისში, საკუთარ ბაღში დაკრეფილი ხილი ჩამოაქვს და მას დედაქალაქის მოსახლეობას ღიმილით სთავაზობს, მაგრამ თვალები მუდამ სევდიანი აქვს.

ჩვენი ცხოვრება ერთი დიდი ბრძოლაა, რომელშიც ფარ-ხმლის დაყრა არ შეიძლება

თიკო კალანდაძე

— არასრული საშუალო განათლება ხობის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში მივიღე. სწავლის დასრულების შემდეგ გადავწყვიტე, ფეხბურთელი გავმხდარიყავი. სამწუხაროდ, ძალიან მალე ფეხის ტრავმა მივიღე და ჩემი სურვილი, ვყოფილიყავი გამოჩენილი ფეხბურთელი, ბავშვობის აუხდენელ ოცნებად დარჩა. ჩემს ცხოვრებაში ეს პირველი იმედგაცრუება იყო.

— არ გიცდია, რომ ტრავმის მიღების შემდეგ, სწავლა გაგეგრძელებინა?

„ცხოვრებამ ჯერ ფიზიკური, შემდეგ კი სულიერი ტრავმა მისახსოვრა“

— მყავდა შეყვარებული — მარი შენგელია. ჩვენ ლამაზი ქართული ოჯახის შექმნაზე ვოცნებობდით. მოულოდნელად, მარი ვიღაც ნარკომანმა მოიტაცა. მოკლედ, ცხოვრებამ ჯერ ფიზიკური, შემდეგ კი სულიერი ტრავმა (თან, არაერთი) მისახსოვრა. მოგვიანებით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. შინ დაბრუნებულმა შევიტყვე, რომ მარი ქმარს გაშორებია და ისევ დავიწყე ოცნება... ვფიქრობდი, ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, მას ცოლად მოვიყვანმეთქი...

უეცრად, რუსლანს თვალები აუწყლიანდა, ლაპარაკი შეწყვიტა, მერე კი თავი მოთოკა და დასძინა:

— მარი ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა. ამ ფაქტის შემდეგ ისიც მიკვირს, ცოცხალი რომ ვარ... მერწმუნეთ, საკუთარ მომავალზე აღარ ვფიქრობ. მე მხოლოდ იმ ოცნებით ვცოცხლობ, რომელიც წარსულში დარჩა — იქ, სადაც დიდი სიყვარულით იქმნებოდა ჩემი და მარის პატარა ოჯახი. შეიძლება, გაგიკვირდეთ, მაგრამ მე მას ხშირად ვესაუბრები, მარი არასოდეს მტოვებს მარტოს. მალე გაზაფხული მოვა და მე მის საფლავზე იმ იებს მივიტან, რომლის ჩუქებაც ვერ მოვასწარი. იცით, როგორ უყვარდა იები?!.

— აქ მუშაობა როდის დაიწყე?

— თბილისში რამდენიმე თვის წინ, მამის ხათრით ჩამოვედი. ჩვენი ბაღის ხილს ვყიდი. უქმად ყოფნას მირჩევნია, ვიმუშაო და ოჯახს მატერიალურად დავეხმარო. პირველ ხანებში ქუჩაში დგომა და ვაშლის გაყიდვა მიჭირდა, მრცხვენოდა, მაგრამ შემდეგ, ყველაფერს შევეჩვიე. მივხვდი, რომ სირცხვილი ქუჩაში უქმად ყოფნაა და არა — მუშაობა, მით უმეტეს, როცა ოჯახს უჭირს, თორემ მხოლოდ საკუთარი თავისთვის არაფერს გავაკეთებდი. მე არ ვარ ისეთი ძლიერი ადამიანი, რომელსაც პრობლემები არ თრგუნავს. ისე კი ძალიან მინდა, გამბედავი და ძლიერი ვიყო. მშურს კიდეც ისეთი პიროვნების, ვინც სიძნელეებს არ უშინდება. ვფიქრობ, თამამი ადამიანები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე — მე. შეიძლება, ცუდ შედარებას ვაკეთებ, მაგრამ ძალიან მინდა, ბესო სარჯველაძეს ვგავდე, ვიყო მასავით თამამი, გაბედული, ძლიერი, შემეძლოს ბევრი რამის მოთმენა, ატანა და რაც მთავარია, დაბრკოლებების მიუხედავად, მქონდეს სურვილი, ცხოვრებაში ადგილის დასამკვიდრებლად ვიბრძოლო...

როდესაც **ბესო სარჯველაძემ** *რუსლან შამათავას არსებობის, მისი ცხოვრების შესახებ შეიტყო, გულწრფელად შეწუხდა და დაიბნა კიდეც.*

— ვეთანხმები რუსლანს, მთელი ჩვენი ცხოვრება ერთი დიდი ბრძოლაა, რომელშიც ფარ-ხმლის დაყრა არ შეიძლება. სხვათა შორის, რუსლანი საკმაოდ ძლიერი ადამიანი ყოფილა. ვიზიარებ მის გულისტკივილს და ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო... არ ვიცი, მსგავს სიტუაციაში რას ვიტყოდი ან რას ვიზამდი. ალბათ, საკუთარი თავის შეცნობას დავიწყებდი და მიზანს დავისახავდი, შემდეგ კი მის მისაღწევად ძალიან ბევრს ვიშრომებდი. მინდა, რუსლანს ვუთხრა, რომ არ შეიძლება, მუდამ სასოწარკვეთილი ვიყოთ. მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად უნდა ვიმოქმედოთ... პირადად მე, ძალიან დაკომპლექსებული ბავშვი ვიყავი, მაგრამ ეს ყველაფერი ფსიქოლოგიური ტრენინგებისა და შესაბამისი ლიტერატურის კითხვით მოვიხსენი. რუსლან, მერწმუნე, ადამიანი, თუ ის მოინდომებს, ნებისმიერი ბარიერის გადალახვას შეძლებს!

— რუსლანი მიიჩნევს, რომ შენ, ცხოვრებაში ადგილი უკვე დაიმკვიდრე...

— ვფიქრობ, მხოლოდ ერთი დასახული მიზნის მიღწევა ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრებას არ ნიშნავს. ახლახან მე მივაგენი საქმეს, რომელმაც გამიტაცა და რომელიც ჩემს ინტერესთა სფეროში შედის. ეს არის „გაყიდვები“ ანუ, რაღაც მომენტში მეც „გამყიდველი“ ვარ (*იცინის*). სხვათა შორის, მიუღწეველი ოცნებაც მრავლად მქონდა და მაქვს. მაგალითად, ძალიან მინდოდა, მსახიობი გავმხდარიყავი, მაგრამ საამისო ნიჭი არ აღმომაჩნდა.

— რას ურჩევდი რუსლანს, რომელსაც უნდა, რომ ბესო სარჯველაძეს ჰგავდეს?

— მან ჩემი სახით არცთუ ისე კარგი ვარიანტი აირჩია. მე, მაგალითად, მის ადგილას, საერო საქმეში ილია ჭავჭავაძეს, ბიზნესში — ჰენრი ფორდს და ა.შ. დაგისახელებდით... მინდა, რუსლანს ასეთი კითხვა დავუსვა: ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ მარის ნაცვლად შენ რომ გარდაცვლილიყავი, საყვარელ ადამიანს რას უსურვებდი — მთელი დარჩენილი ცხოვრება გარდაცვლილ შეყვარებულზე ფიქრსა და ოცნებაში გაეტარებინა თუ ცხოვრება გაეგრძელებინა და ბედნიერება (თუნდაც სხვასთან) ეპოვა? არ ვიცი, რატომ, მაგრამ მჯერა, რომ მას მხოლოდ ბედნიერებას უსურვებდი და ალბათ, იმ ქვეყნად მყოფ მარისაც აწუხებს შენი ბედი. ასე რომ, განაგრძე ცხოვრება!.. და კიდევ, მინდა, რუსლანს მარკოზის სახარება (11:23) შევახსენო: „იქონიეთ ღვთის რწმენა. ჭეშმარიტად გეტყვით, რომ ვინც ეტყვის ამ მთას: აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, და გულში არ შეეეჭვება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, აუსრულდება მას“. ■



ქუჩაში დგომა და ვაშლის გაყიდვა მიჭირდა, მრცხვენოდა, მაგრამ შემდეგ, ყველაფერს შევეჩვიე. მივხვდი, რომ სირცხვილი ქუჩაში უქმად ყოფნაა და არა — მუშაობა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი **უბის წიგნაკიდან:**

— ამბობდა ერთ-ერთ ინტერვიუში აკაკი ასათიანი.

17. ერთხელ სევა ელიავას, თბილისელ კოლორიტს ოპერაცია გაუკეთეს. მის მოსანახულებლად, საავადმყოფოში მეგობარი მივიდა. ხედავს, ზენარშემოხვეული სევა ლოგინზეა წამოწოლილი. ვაა, შენ რა რუბენსის ტილოს ჰგავხარო! — გაეცინა მეგობარს. — შენ კიდევ, „პოლის“ ტილოსო“ — გაბრაზდა სევა.

18. ჭყუმპლა, ხახვილო, მჭადა, მანჭკვალა, თაგუნა, შავჩოხა, საჩეჩელა, კრიანტელი, ქათამბარკალა, კატამჭყავანა, მტრედო, არყა (იგივე სოკოპილპილა), მაჭკუნარა, ქაჩალა, დათვიმჩორა, ცხვარიო, ღვინიო, ღრუბლიო, მარწყვიო, მიქლიო, მწყერიო, ნაბადა, ნიყვი (იგივე სოკოკვერცხა და სოკოწითელა), სილიო, ფიჩხა, ფიჭვა, ფშუკურა, გუდაფშუტა, ყურჭატა, ძერანა, წეროსწვივა, წითლიო, წიფლიო, ქვეყნისგულა, ხარისფაშვა — აქ ჩამოთვლილ სოკოთაგან ზოგიერთი არ იცმება, მაგრამ უმეტესობა, როგორც რაჭაში უყვართ თქმა, ქათმის ხორცზე უფრო გემრიელია.

19. სპარსეთის დაპყრობისას ალექსანდრე მაკედონელი გზად ბერძნულ ქალაქ ლამპსაკს მიადგა, რომლის მოქალაქეებსაც სპარსული ორიენტაცია ჰქონდათ. ქალაქის მცხოვრებლები შეშინდნენ, ალექსანდრე ქალაქს მიწასთან გასწორებსო და მაკედონელთა მეფეს მისი მამის, ფილიპეს მეგობარი ფილოსოფოსი, ანაქსიმენე მიუგზავნეს. ანაქსიმენეს დანახვისთანავე ალექსანდრე მიხვდა, თუ რის სათხოვნელად მიდიოდა მასთან ფილოსოფოსი და შორიდანვე მიაძახა: „ვფიცავ ღმერთებს, არ შევასრულებ შენს თხოვნას!“ მაშინ ანაქსიმენემ ალექსანდრეს უთხრა: „მეფეო, მე გთხოვ, დაანგრიო ქალაქი!“. ალექსანდრემ ფიცი ვეღარ გატეხა და ლამპსაკი დანგრევას გადაურჩა.

20. ლეკიანობის წინააღმდეგ ძალზე ეფექტური აღმოჩნდა ერეკლე მეორის მიერ 1774 წელს შემოღებული კანონი მორიგე ჯარის შესახებ. ქართლსა და კახეთში აღწერეს მამაკაცები, რომელთაგან თითოეული წელიწადში ერთი თვე ვალდებული იყო, საკუთარი ხარჯით ემსახურა მორიგე ჯარში. სამსახური სავალდებულო იყო. ერთადერთი, გუთნისდედები არ მიჰყავდა ლაშქარში, მაგრამ ისინიც ვალდებულნი იყვნენ, თავის მაგივრად, ძმა, ბიძაშვილი, ნათესავი ანდა მეგობარი გაეგზავნათ ჯარში. ლაშქარს ლევან ბატონიშვილი სარდლობდა, რომელიც მოგვიანებით, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. მის დაღუპვას ჯარის დაშლა მოჰყვა. ზოგი განზრახ არიდებდა თავს სავალდებულო სამსახურს, ზოგის კეთილგონიერებას სიზარმაცემ სძლია, ბატონებმა ყმების დამალვა დაიწყეს და მორიგე ჯარიც ნელ-ნელა დაიშალა.

„ბერნიერიც ვუოფიდევარ და – უბედურიც... მაგრამ ცხოვრების ბოლო წლებს ასეთ ჯიჰობებში თუ გავატარებდი, ეს მეგონა“...

„ნეტავ, დამაპატიმრებდნენ, ციხეში ლოგინი და ჭერი მაინც მექნება“, — ასე ოცნებობს 70 წელს გადაცილებული, აფხაზეთის ომის ვეტერანი და მეორე ჯგუფის ინვალიდი, კობა აბრამიშვილი. მოხუცი მარტო, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს, სადაც არც წყალია, არც დენი და არც — გაზი, მაგრამ თბილისის მერია მას ამ ფართობსაც ედავება. ვეტერანის ბედით ჟურნალი „გზა“ მაშინ დაინტერესდა, როდესაც საპროტესტო აქციებში მონაწილეობისა და საკანში ჯდომის გამო, უცნობი პირები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო კობა, რატომ გედავებათ მერია?

— მეუბნებიან, ეს კორპუსი მიწისძვრით დაზარალებულებისთვისაა გამოყოფილი და თქვენ არ გეკუთვნითო. ამასაც თუ სახლი ჰქვია, მხოლოდ 4 კედელია... წასასვლელი არსად მაქვს, თორემ, აქ ერთი დღეც არ გავჩერდებოდი. მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ ოთახი კანონიერად დამიმტკიცონ, მერე კი ვინმეს წყალსა და შუქს მაინც შემოვაყვანინებდი. გაზს აღარ ვჩივი, სიცივეს მივეჩვიე. მთელი ზამთარი ღია კარში გავატარე, რადგან ვფიქრობდი, — თუ გავიყინები, ვინმე კარს მაინც შემოაღებს და მნახავს-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება ჩემს ქვეყანას ვემსახურე, ძაღლად არავინ მაგდებს. რამდენიმე დღის წინ, გამგეობიდან დამირეკეს და მთხოვეს, — საპროტესტო აქციაზე აღარ გახვიდე და ბინას დაგიმტკიცებთო. ჯერ მაინც ვერსად გავდივარ, რადგან საკანში ყოფნის დროს „ჯიპი“ დამეტაკა და დალეწილი მაქვს ნეკნები... ვნახოთ, როგორ მოიქცევიან... თუ მომატყუეს, მერე ოპოზიციამ პროტესტი რომც შეწყვიტოს, შიმშილობას მარტო დავიწყებ. განა, ქალაქის მერიას მაგის ფასი რა უჭირს, რომ ელემენტარული, ადამიანური მოთხოვნა დამიკმაყოფილოს?! უგულავა მხოლოდ ერთ სადილში ხარჯავს იმდენ ფულს, რამდენსაც მე, ნაომარ კაცს მთელი წლის განმავლობაში მიხდიან.

— რამდენი გაქვთ პენსია?

— 130 ლარი. ამ თანხით საჭმელიც უნდა ვიყიდო, წამალიც და შვილიშვილსაც გავუგზავნო რაღაც.

— ოჯახი გაქვთ?

— არა, მეუღლეს ახალგაზრდობისას გავშორდი და ბინაც დავუტოვე. ხელწერილი დამადებინა, რომ ბინის წილს არასოდეს მოვთხოვდი. კაცო, მისი იყო და როგორ შევეცილებოდი?!

— შვილები ხომ გყავთ?

— კი, 2 შვილი მყავს, მაგრამ მათ იქით სჭირდებათ დახმარება. ისინიც აფხაზეთის ომის ვეტერანები არიან. ომში რომ წავედით, უფროსი — იაგო 22 წლის იყო, ზვიადი — 16-ის. მე არტილერისტი ვიყავი, ეგენი კი ყარყარაშვილთან ერთად, „შტურმავოი“ ბატალიონში იბრძოდნენ. ომის დამთავრების შემდეგ ზვიადი სამსახურის საძებნელად, ბელგიაში წავიდა, იაგომ კი საოფიცრო კურსები გაირა და სამხედრო სამსახური გააგრძელა. მოგვიანებით, მან ცოლი შეირთო და ბავშვიც შეეძინათ. ერთხანს ნორმალურად ცხოვრობდა, მაგრამ როდესაც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი გახდა, სამსახურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლეს. სხვა საქმეს გული ველარ დაუდო და დარდისგან გალოთდა. ძალიან კარგი რძალი მყავდა, მაგრამ ქმართან ცხოვრება ველარ შეძლო. ლოთთან ცხოვრებას როგორღაც გაუძლებდა, მაგრამ ბოლოს, ჩემს შვილს ფსიქოლოგიური პრობლემებიც შეექმნა — „ასათიანზე“ 2-ჯერ დავაწვინე, მაგრამ ახლა აღარაფერი შველის, ძალიან ცუდადაა.

— მეორე ვაჟიშვილი არ გეხმარებათ?

— არც მას გაუმართლა — ბელგიაში სამსახური ვერ იშოვა და თბილისში მალევე დაბრუნდა. ახლა ისიც დეპრესიაშია. ისეთი დროა, თუ „ნაციონალების“ გულშემატკივარი არ ხარ, სამსახურს ვერ ეღირსები!.. ეჰ, ერთ დროს ჩემი შვილები მართლა კარგი ბიჭები იყვნენ. საცოდაობაა მათი ამ დღეში ყოფნა. „თავდაცვას“ ნორმალური ხელმძღვანელი რომ ჰყოლოდა, ასეთ ბიჭებს უსაქმოდ არ ამყოფებდა. არც მე ვიყავი გადასაგდები კაცი. აფხაზეთში რომ წავედი, 52 წლის გახლდით, პატარა ბიჭებს ტოლს არ ვუდებდი. აგვისტოს ომი დაწყებისთანავე, თავდაცვის სამინისტროში გამოვცხადდი. მათ მართალია, ცხინვალში არ გამიშვეს, მაგრამ თბილისის შემოსასვლელში სანგრები მათხრევინეს, მერე კი 2 კვირა, მუხროვანში გამაჩერეს.

— 70 წლის კაცმა ასეთ ფიზიკურ დატვირთვას როგორ გაუძელით?

— ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ ზოგიერთ, 35-36 წლის ახალგაზრდასაც ვაჯობე. მუხროვანში, საწვრთნელ ბაზაზე ორკილომეტრნახევრიან სარბენ ბილიკზე გაგვიყვანეს. ზოგიერთმა გადმომხედა და თქვა, — კობა ბაბუ სირბილს ვერ შეძლებს, დავასვენოთო! — რაც ძალიან მეწყინა, ძალა მოვიკრიბე და ისე ვირბინე, რომ ათიოდე ახალგაზრდა უკან ჩამოვიტოვე. გაკვირვებულმა მეთაურმა ბიჭები შავ დღეში ჩააგდო, — ამ ხნის კაცმა როგორ გაჯობათო?!

— ვიდრე ომში წახვიდოდით, რას საქმიანობდით?

— ეროვნული მოძრაობის დაწყებამდე ქართული კულტურის კოლორიტებთან, მძღოლად ვმუშაობდი. 1988 წელს კი ჩემმა ძველმა მეგობარმა, მერაბ კოსტავამ მომძებნა და გვერდით დამიყენა. რასაც ის და მისი თანამოაზრეები დამავალებდნენ, ყველაფერს ვაკეთებდი. მერაბი ნამდვილი ქართველი, ღირსეული ადამიანი იყო. ყველაზე მეტად მისი მწამდა და მჯეროდა! სიცოცხლის ბოლომდე გვერდიდან არ მოვშორებივარ, მისი სიკვდილი ძალიან განვიცადე... ეროვნული მოძრაობა არ დამიტოვებია მანამ, სანამ მის თანამოაზრეებს ვჭირდებოდი, მერე კი ომი დაიწყო და მეც იქ წავედი.

— მერაბ კოსტავას როგორ დაუმეგობრდით?

— ერთად გავიზარდეთ... ბავშვობაში ხაშურში ვცხოვრობდი. 8 და-ძმა

MK

მყავდა. მამა მსოფლიო ომში იყო და დედას ჩვენი რჩენა ძალიან უჭირდა... დღემდე მეტირება, როცა ქართულ ფილმს — „მაგდანას ლურჯას“ ვუყურებ. დედაც მაწონს დაატარებდა და ხაშურში ყიდდა, მაგრამ მაგდანასგან განსხვავებით, სახედარი არ ჰყავდა... დედა კალათებში ჩაწყობილ მაწონს ზურგით დაატარებდა და როცა მათ გაყიდდა, პურის რიგში დგებოდა (მაშინ პურს ტალონით ვიღებდით), იქიდან მობრუნებული კი სამუშაოდ კოლმეურნეობაში მიდიოდა. დეიდაჩემის ქმარმა იფიქრა, — ერთი შვილის გაზრდაში მაინც დავეხმარებიო და თბილისში წამომიყვანა. მაშინ 7 წლის ვიყავი. ჯავახიშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით, მერაბ კოსტავას მეზობლად, რომელიც კეთილი და სამართლიანი ბავშვი იყო. ჩვენ ადამიანის დაჩაგვრას ვერ ვეგუებოდით და ამიტომაც, სხვების დასაცავად ხშირად ვჩხუბობდით. მერაბი დედას ძალიან დიდ პატივს სცემდა. სათამაშოდ რომ მივიდოდი, ის ხან მეცადინეობდა, ხან — პიანინოს უჯდა, მაგრამ ერთად თამაშს მაინც ვახერხებდით... როცა წამოვიზარდეთ, მერეც ხშირად ვიყავით ერთად. მის აზრებს ყოველთვის ვიზიარებდი. 1956 წლის 9 მარტს, როდესაც ხრუშოვის პოლიტიკას ვაპროტესტებდით, რუსი სამხედროებისგან გვარიანად მოგვხვდა. გუშინდელი დღესავით მახსოვს, მარტის თვე იდგა და თოვდა. რუსებმა თოვლი მოსწავლე-ახალგაზრდების სისხლით შეღებეს. მათ ჩემ თვალწინ სკოლის მოსწავლე გოგონა დაჭრეს, რომელიც ხელში ავიყვანე, რათა სამშვიდობოს გამეყვანა და უცებ, 2 ტყვია მეც მომხვდა ფეხში. ბავშვი მერაბმა გამომართვა, მე კი მეგობარმა დავით გიორგობიანმა გამომიყვანა. საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, ჩემი საქმით უშიშროება დაინტერესდა. ბიძამ მისაყვედურა, — ეს რა ჩაგიდენია, შენ გამო შეიძლება, პარტიიდან გამრიცხონო. მისი გაზრდილი ვიყავი და არ მინდოდა, პრობლემები შეჰქმნოდა. ამიტომაც, მათი სახლიდან წამოვედი. მას შემდეგ ხან ჩემს დასთან ვრჩებოდი, ხან — მერაბთან, მერე კი მომერიდა და თბილისიდან სურამში გადავბარგდი, სადაც მექანიზაციის პროფსასწავლებელში ჩავბარე, რადგან იქ სტუდენტებს საერთო საცხოვრებლითა და კვებით უზრუნველყოფდნენ. ერთი წლის მერე, სამხედრო სამსახურში მომიწია წასვლამ. სწორედ ამის გამო, რამდენიმე ხნით, ჩემი და მერაბის გზები გაიყარა, მაგრამ 1988 წელს იგი თავად დამიკავშირდა...

— ქართული კულტურის მოღვაწეებთან მძღოლად მუშაობის პერიოდსაც ხომ ვერ გაიხსენებთ?

— რატომაც არა, ეგ ყველაზე სახალისო პერიოდია ჩემს ცხოვრებაში. ჯარიდან როცა დავბრუნდი, მუშაობა ტროლეიბუსის მძღოლად დავიწყე. ერთ წვიმიან დღეს, ტროლეიბუსიდან „რქა“ ჩამოვარდა, მის გასასწორებლად დიდხანს ვიწვალე და თავიდან ბოლომდე ჭუჭყიანი წყლით გავილუმპე. ტრანსპორტი ახალგაზრდა გოგო-ბიჭებით იყო სავსე. მათი ძალიან შემრცხვა და მას შემდეგ ტროლეიბუსს აღარ გავკარებივარ. ერთი პერიოდი კინოსტუდიაში ვმუშაობდი, სოფიკო ჭიაურელს და სხვა ცნობილ მსახიობებს მთათუშეთში, ხევსურეთში დავატარებდი. გზაში ბევრს ვხალისობდით. მერე ერთი „ცირკაჩის“ მძღოლობა ვიკისრე. ის გერმანელი იყო, ცხოველებს ათვინიერებდა. ქუჩაში მანქანით რომ დავდიოდით, უკან ლომი გვეჯდა, რომლის ცხელი სუნთქვა პირდაპირ კეფაში „მირტყამდა“ და შიშისგან ადამიანის ფერი არ მედო. ნუ გეშინიათო, — მაწყნარებდა, მაგრამ აბა, როგორ არ უნდა შემშინებოდა? 3 წელი გავუძელი... ერთხელ ბიჭები მარჯანიშვილის თეატრთან ვაბირჟავებდით. ვასო გოძიაშვილმა გამოიარა და მკითხა, — კობაჯან, ბირჟაობო?.. — აბა, რა ვქნა, ბატონო ვასო, უმუშევრად დავრჩი-მეთქი. — არ გინდა, ჩემთან რომ იმუშაოო? — კი, რატომაც არა-მეთქი! ჩვენს საუბარს სხვა მსახიობებმა მოჰკრეს ყური. მერე კი გივი ბერიკაშვილმა და თენგიზ არჩვაძემ სიცილი დამაყარეს, — კარგად დაფიქრდი, მაგას მძღოლი 1 თვეზე მეტხანს ვერ უძლებსო...

— რატომ?

— თავისებური კაცი იყო. სულ ცდილობდა, რაიმე მიზეზი ეპოვა და ეჩხუბა. ბოლოს, ისე შემეჩვია, რომ დილით უჩემოდ არ საუზმობდა. როგორც მერე გავიგე, სახლში არც ერთი მძღოლი არ აჰყავდა, არადა, ჩემამდე უამრავი კაცი ემსახურებოდა.

— რატომ არ აჰყავდა, არ ენდობოდა?

— როგორც ჩანს. სახლში ძალიან ბევრი, ულამაზესი, რამდენიმესანტიმეტრიანი სტატუეტი ჰქონდა და თითოეული მათგანი რამდენიმე ათას დოლარად იყო შეფასებული. ეტყობა, ამ ძვირად ღირებულ სტატუეტებს მძღოლები წასვლისას, ხელს გააყოლებდნენ ხოლმე. 3 წელი ვიმუშავე მასთან, მაგრამ მსგავსი რამ თავში აზრადაც არ მომსვლია, ამას როგორ ვიკადრებდი?!. სანდრო ჟორჟოლიანთან მუშაობის პერიოდიც ლამაზად მაგონდება. არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, ცხონებული. ძალიან უყვარდა ხილი, განსაკუთრებით — ალექსანდროულის ჯიშის მსხალი. მანქანაში, სავარძლის ქვეშ ჩადებდა და შესვენებაზე სუსნაობდა ხოლმე. ერთხელ პარკში ჩადებული მსხალი მოვპარე... იმ დღეს მისი რეაქცია არ მინახავს, მაგრამ მეორე დღეს, მსახიობები სიცილით იხოცებოდნენ, — ეს რა გაუკეთე, ბიჭო, სანდრო ამას არასდროს გაპატიებსო. თავად ბატონ სანდროსაც ეცინებოდა, სახის მიმიკებს სწრაფ-სწრაფად იცვლიდა და თან, იმეორებდა, — ეს რა გამიკეთე, ბიჭოო... ეეჰ, ბევრი რამ გამოვიარე და ვნახე. ბედნიერიც ხშირად ვყოფილვარ და უბედურიც, მაგრამ ცხოვრების ბოლო წლებს ასეთ პირობებში თუ გავატარებდი, ნამდვილად არ მეგონა.

■

საინფორმაციო პორტალი
www.ambebi.ge
www.ambebi.ge
www.ambebi.ge

ციფრები, თვითმფრინავები, მოჩვენებები და ცრურწმენა

ავიაკომპანიების: „კონტინენტალ ეირლაინსის“, „ეირ ფრანსის“, „ეირ ტრანსისა“ და „იბერიის“ თვითფრინავებში არ არის სავარძელი №13. წლების განმავლობაში, ცრურწმენის გამო, „მრავალი ადამიანი არ ყიდულობდა ან უკან აბრუნებდა მე-13 ადგილის ბილეთს. ავიაკომპანიის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ეს ნომერი ამოეღო და 600 საჰაერო ხომალდი გადაენომრა,“ — ამბობს „ეირ ტრანსის“ თანამშრომელი ჯუდი გრემ-უივერი. იმავეს ამტკიცებენ სხვა ავიაკომპანიის წარმომადგენლები.

იაპონურად „4“ ისევე ჟღერს, როგორც „სიკვდილი“, ხოლო „9“ — „წამება“. ამ მიზეზის გამო, იაპონიის ავიაკომპანიამ „ნიპონ ეირვეისმა“, თვითმფრინავის სალონებში ნომერი 4 და 9 ადგილები გააუქმა. სხვათა შორის, 13 იაპონურად ცუდს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ევროპელებს თანაგრძნობა გამოუცხადეს და ეს ნომერი სავარძელიც გააუქმეს.

იტალიაში 17 უბედურ ციფრად მიაჩნიათ, რადგან თუ მას რომაული ციფრებით დავწერთ — XVII, გამოდის სიტყვა — „ვცხოვრობდი“. სავარძლების გარდა, გაუქმებულია მე-17 რეისიც.

უიღბლო რეისებისა და სავარძლების შემდეგ, ამერიკელებმა „იღბლიანი“ რეისები — 777 და 711 დანიშნეს. სხვათა შორის, 1 და 7 ყოველთვის არ ამართლებს. 11 სექტემბერს, ნიუ-იორკის ცათამბჯენებს ორი თვითმფრინავი შეეჯახა. მათი რეისი 77 და 11 იყო. ჩინელებისთვის 8-იანი იღბლიანად მიიჩნევა და ამიტომ, „კონტინენტალ ეირლაინსმა“ დანიშნა რეისი — 88, რომლის ბილეთსაც 888 დოლარად შეიძენთ.

13-ს სასტუმროებშიც გაურბიან. აკაპულკოს, სან-ხოსეს, კვებეკისა და ვანკუვერის სასტუმროებში არ არსებობს მე-13 სართული. გარდა ამისა, არ არსებობს ნომრები: 666 და 1313.

ნომრების ცრურწმენასთან ერთად, სასტუმროებში მოჩვენებების თემაც აქტუალურია. კვებეკში, გრაფ ლუი დე ბიუადას სასახლეში ახლა სასტუმრო „შატო-ფრონტენაკი“ მდებარეობს. დე ბიუადას სიკვდილისწინა თხოვნით, მისი გული საცოლეს გაუგზავნეს, მაგრამ ქალმა საჩუქარი არ მიიღო. მას შემდეგ, სასტუმროს არაერთ სტუმარს დაუნახავს საცოლის ძებნაში მოსიარულე გრაფის ლანდი.

თვითმხილველების აზრით, ლონდონის „ჰიტროუს“ აეროპორტში ერთდროულად რამდენიმე მოჩვენება „ბინადრობს“. ერთ-ერთი ყაჩაღი დიკ ტერპინია, რომელიც XVIII საუკუნეში ჩამოახრჩვეს. მას ხშირად შავ ცხენზე ამხედრებულს აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ხედავენ. მგზავრებს ხშირად ეჩვენებათ 1948 წელს ავარიაში დაღუპული ბელგიელი, რომელიც თავის საკვიოაჟს ეძებს.

1979 წელს ჩიკაგოს აეროპორტ „ო'ჰარას“ მახლობლად „ამერიკან ეირლაინსის“ თვითმფრინავი ჩამოვარდა. მას შემდეგ იმ ადგილზე, პერიოდულად თეთრი ნათება ჩნდება. აეროპორტის მახლობლად მცხოვრებ ადამიანებს ხშირად სტუმრობენ უჩვეულო არსებები, რომლებიც დაკარგულ ჩანთებს ეძებენ ან ტელეფონზე დარეკვას ითხოვენ, შემდეგ კი ქრებიან.

1971 წელს კომპანია „ისტერნ ეირლაინსის“ თვითმფრინავი ჩამოვარდა. ავარიის შედეგად დაუზიანებელი ნაწილები კომპანიის სხვა თვითმფრინავებში გამოიყენეს. მგზავრები, რომელთა თვითმფრინავები მეორადი ნაწილებით ააწყვეს, დაღუპული თვითმფრინავის კაპიტან ბობ დოფტის აჩრდილს ხედავენ. ■

სულელური კანონები

● ჰონკონგელ ცოლს უფლება აქვს, მოკლას ეჭვმიტანილი ქმარი, ოღონდ, იარაღის გარეშე, ხელებით.

● კოლუმბიის ქალაქ კალიში ახალდაქორწინებულების პირველ ღამეს აუცილებლად უნდა დაესწროს პატარძლის დედა.

● ბოლივიის ქალაქ სანტა-კრუსში მამაკაცს ეკრძალება რომანი ერთდროულად დედა-შვილთან.

● კონექტიკუტის ქალაქ ჰარტფორდში ქმარს უფლება არ აქვს, ცოლს კვირაობით აკოცოს.

● ინგლისში თუ უცხო ქალს სექსს შესთავაზებთ და მან პოლიციელთან გიჩივლათ, ჯარიმის სახით 180 ევროს გადაგახდევინებენ ან სამი თვე ციხეში გაყურყუტებენ.

● იტალიის ქალაქ ტროპეაში პლაჟზე საცურაო კოსტიუმით ყოფნის საშუალებას მამაკაცები მხოლოდ ახალგაზრდა, ლამაზ ქალებს აძლევენ. კანონში ასე წერია: „მსუქან, მახინჯ, არასიმპათიურ მანდილოსნებს პლაჟზე გახდა ეკრძალებათ!“.

● შვედეთში სწრაფი ფოტოს ჯიხურში სრულიად შიშველი ფოტოს ვერ გადაიღებთ — ამას კანონი გიკრძალავთ. მაგრამ თუ ძალიან გინდათ, შეგიძლიათ, ორი ფოტო გადაიღოთ: წელს ზემოთ და წელს ქვემოთ და შემდეგ სკოჩით მიაწებოთ. კანონი ამას არ გიკრძალავთ.

● ევროპის სალონებში, XIX საუკუნეში უცნაური წესი არსებობდა. თუ მამაკაცი ერთ მანდილოსანს საცეკვაოდ 3-ჯერ გაიწვევდა, მასზე აუცილებლად უნდა დაქორწინებულიყო, მეორე ცეკვის შემდეგ კი ნიშნობა გამოეცხადებინა.

● დიდ ბრიტანეთში ხალხის თანდასწრებით ქსოვა აკრძალულია. ■

„ფორბსმა“ გავლენიანი ვარსკვლავები დაასახელა

ჟურნალმა „ფორბსმა“, შემოსავლებისა და პრესის განსაკუთრებული ყურადღების გამო, მსახიობი ანჯელინა ჯოლი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანად დაასახელა (შარშან ჯოლი მესამე ადგილზე იყო), მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს მსახიობმა მხოლოდ 27 მლნ დოლარი გამოიმუშავა. მის წარმატებაზე გავლენა იქონია ფილმებმა — „განსაკუთრებულად საშიში“ და კუნგ-ფუ პანდა“. ტელეწამყვანმა ოპრა უინფრიმ პირველი ადგილიდან მეორეზე გადმოინაცვლა. შარშან მისმა შემოსავალმა 275 მლნ დოლარს მიაღწია, მესამეზე — მადონა გავიდა, ხოლო მეოთხეზე მომღერალი ბეიონსი. გოლფის მრავალგზის ჩემპიონი ტაიგერ ვუდსი მეხუთე ადგილზეა.

ლიდერის ქმარი პრედ პიტი — მე-9 ადგილზეა; მისი ყოფილი ცოლი ჯენიფერ ენისტონი — მერვეზე. ათეულში ასევე მოხვდნენ: მომღერალი ბრიუს სპრინგსტინი, რომელიც მსოფლიო ტურნეში მონაწილეობს; კინორეჟისორი სტივენ სპილბერგი და კალათბურთელი კობი ბრაიანტი. სიაში პირველად მოხვდა (94-ე ადგილი) სერიალ „ექიმი ჰაუსში“ მთავარი როლის შემსრულებელი — ჰიუ ლორი.

სიიდან ამოვარდა ჯონან როულინგი, რადგან 2008 წელს მისი წიგნი ჯადოქარ ბიჭუნაზე არ გამოსულა.

სიაში ვერ მოხვდნენ მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი (შარშან მე-12 ადგილზე გავიდა), მსახიობები: ჯენიფერ ლოპესი, ჯონი დეპი და კეიტ უინსლეტი, ასევე მოდელი ტაირა ბენქსი. ■

„მე შენ მიყვარხარ“ 20 ენაზე

ინგლისურად — აი ლავ იუ;
სომხურად — ეს ქეს სირუმემ;
აზერბაიჯანულად — მენ სენი სევირემ;
ბულგარულად — აზ ტი ობიჩამ;
იაპონურად — ანატა ვა დაი სკუ დეს;
არაბულად — ანა ახებეკ, ანა ახებეკი;
შვედურად — იად ელსკირ დეი;
ფრანგულად — ჟე ტემ;
ფინურად — რაკასტან სინუა;
ბერძნულად — ეგაპო სუ;
უნგრულად — სერეტლეკ;
ივრითზე — ანი ოხევეტ ოხტ, ანი ოხევეტ ოხტა;
ესპანურად — იო ტე ამო;
იტალიურად — იო ტი ამო;
ჩინურად — ვო აი ნი;
გერმანულად — იხ ლიბე დიხ;
თურქულად — ბენ სანა სევიორუმ;
უკრაინულად — ია ტებე კოხაიუ;
პოლონურად — კოხამ ჩებე;
ესპერანტოზე — მი ამას სინ; ■

რას ნიშნავს ბრენდის სახელი?

Adobe-ს სახელი მდინარე adobe creek-იდან მომდინარეობს, რომელიც კომპანიის დამფუძნებლის ჯონ ვორნოკის სახლთან მიედინებოდა.

Adidas ერთ-ერთი დამფუძნებლის ადი დასლერის გამო უწოდეს.

Apple სტივ ჯობსმა კომპანიას საყვარელი ხილის სახელი დაარქვა.

Canon-ს თავდაპირველად Kwanon ბუდისტური ღმერთის სახელი ერქვა, მოგვიანებით, რელიგიური ორგანიზაციის პროტესტის გამო, კომპანიას სახელი გადაერქვა.

Casio — კომპანიას დამფუძნებლის კასიო ტადაოს პატივსაცემად დაარქვეს.

Cisco — შემოკლებულად სან-ფრანცისკოს ნიშნავს.

Daewoo — კიმ ვუ ჩონგმა კომპანიას „დიდი სამყარო“ უწოდა.

Fuji — იაპონიის ყველაზე მაღალი მთის ფუძიამას სახელთან ასოცირდება.

Google — სახელი 100-ნულიანი ციფრის გამო შეერქვა.

HitaCi — იაპონურად განთიადს ნიშნავს.

Hiundai — კორეულად „აწმყოს — ახლანდელ დროს“ ნიშნავს.

Kodak — „კ“ კომპანიის დამფუძნებლის ჯორჯ ისტმენის საყვარელი ასობგერაა. იგი დიდხანს ეძებდა სიტყვას, რომელიც ამ ასოზე დაიწყებოდა და დამთავრდებოდა. საბოლოოდ, სიტყვა „კოდაკი“ შეარჩია და მიიჩნია, რომ ფოტოაპარატი სურათის გადაღების დროს სწორედ ასეთ ხმას გამოსცემს.

LG — ორი კორეული ბრენდის — Lucky-სა და Goldstar-ის პირველი ასოებია.

Microsoft — Microcomputer software. თავდაპირველად Micro-soft იწერებოდა, ბოლოს დეფისი ამოშალეს.

Mitsubishi — კომპანიის სახელი იატარო ივასამ 1870 წელს მოიფიქრა. იაპონურად იგი „სამ ბრილიანტს“ ნიშნავს.

Nissan — იაპონურ ინდუსტრიას ნიშნავს.

Nokia — თავდაპირველად ხის გადამამუშავებელი კომპანია იყო, შემდეგ მობილურების წარმოება დაიწყო. სახელი მშობლიური ქალაქის სახელის მიხედვით ეწოდა.

sanyo — ჩინურად „სამ ოკეანეს“ ნიშნავს.

Toyota — დამფუძნებლის საკაჩი ტოიოდას გამო შეარქვეს, თანაც, იაპონურ ენაზე კომპანიის სახელი 8 ასოსგან შედგება. რვიანი კი მათთვის ბედნიერების მომტანი ციფრია.

Xerox — „Xer“ ბერძნულად მშრალს ნიშნავს. შემქმნელმა — ჩესტორ კარლსონმა კომპანიას ეს სახელი იმ მოსაზრებით შეურჩია, რომ იმ დროისათვის სველი კოპირებაც არსებობდა.

Yahoo — სიტყვა ჯონათან სვიფტმა მოიგონა. „გულივერის მოგზაურობაში“ ასე ერქვა საზიზღარ, საძაგელ ადამიანს. კომპანიის შემქმნელებს მოსწონდათ ეს სახელი, თუმცა დღესდღეობით იგი ასე იშიფრება: yet another hierarchical officious oracle. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

რკინადეფიციტური ანემია

რკინადეფიციტური ანემია ორგანიზმში რკინის დეფიციტთანაა დაკავშირებული, რომელიც იმ შემთხვევაში ვითარდება, თუ მიღებულ და დაკარგულ რკინას შორის ბალანსი დარღვეულია. რკინადეფიციტური ანემია სისხლის დაავადებათა შორის ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა. რისკ-ჯგუფში შედიან: ბავშვები, მოზარდები, რეპროდუქციული ასაკის მქონე ქალები. განსაკუთრებით მაღალია ავადობა ცუდი სოციალური პირობების მქონე ქვეყნებში, ვინაიდან დაავადების პროფილაქტიკაში სრულფასოვან, რკინითა და ცილებით მდიდარ კვებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ანემიის განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს:

- ქრონიკული გარეგანი სისხლდენა. მაგალითად, სისხლდენები საშვილოსნოდან, კუჭ-ნაწლავიდან, ცხვირიდან, ღრძილებიდან, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტიდან და საშარდე გზებიდან;
- ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში რკინის დიდი ხარჯი;
- ორგანიზმში რკინის არასაკმარისი საწყისი დონე ანუ დაბადებიდან მისი არასაკმარისი რაოდენობა;
- რკინით ღარიბი საკვების მიღება.

რკინადეფიციტური ანემიის დროს ავადმყოფს ქრონიკული დაღლილობა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ქვემო კიდურების შეშუპება, მეხსიერების დაქვეითება აწუხებს. ვითარდება გემოს გაუკუღმართება (ავადმყოფები ჭამენ ცარცს, თიხას, მიდრეკილნი ხდებიან ცხარე, მარილიანი საკვებისადმი), თმის ცვენა, ფრჩხილების მტვრევა. აღმოცენდება ანემიისთვის ტიპური ყველა ნიშანი, რაც სისხლნაკლულობაზე მიუთითებს: კანისა და ლორწოვანი გარსის სიფერმკრთალე, გულის ფრიალი, ქოშინი ფიზიკური დატვირთვის დროს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ რამ გამოიწვია რკინის დეფიციტი, რადგან ზემოთ აღწერილ სიმპტომებს თან ერთვის ამ ძირითადი დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც (კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ბუასილი, საშვილოსნოს მიომის, ჭარბი მენსტრუალური სისხლდენები და სხვა).

მკურნალობა. რკინადეფიციტური ანემიის მიზეზის მრავალფეროვნების მიუხედავად, ქალებში იგი ხშირად დაკავშირებულია სისხლდენასთან (მენსტრუალური და არამენსტრუალური), მამაკაცებში — კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიასა და სისხლდენასთან. მთავარია ძირითადი დაავადების მკურნალობა, სისხლდენების (რომელიც ხშირად ფარულია) შეჩერება, რკინის დეფიციტის შევსება.

ფიტოთერაპია. რეკომენდებულია შრომისა და დასვენების რაციონალური მეთოდი, ცილებით მდიდარი დიეტა, განსაკუთრებით კი მენიუში ძროხისა და ხბოს ხორცის შეტანა. გარდა ამისა, კვების რაციონში უნდა იყოს ახალი ბოსტნეული, ხილი, მწვანილი. საკმაო რაოდენობით რკინისა და ჰემოპოეზის (სისხლის წარმოქმნის პროცესი) ფაქტორების შემცველი პროდუქტებია: კარტოფილი, მუხუდო, ლობიო, ჭარხალი, გოგრა, ხახვი, ნიორი, კამა, წიწიბურა, ხურტკმელი, შტოში, ყურძენი. რკინის, სისხლის წარმომქმნელი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების და ასკორბინის მჟავის წყაროს სახით კარგია შემდეგი ნაყენის მიღება: 5-5 გ ჭინჭრის ფოთოლი, მარწყვის ფოთოლი, ფურისულა, კამა, 10 გ ასკილის ნაყოფი უნდა აურიოთ ერთმანეთში, დაასხათ 1 ლ მდუღარე წყალი, წამოადუღოთ, დააფაროთ თავზე 15-20 წუთი, გაფილტროთ და მიიღოთ დღეში 3-4-ჯერ, ჭამის წინ, 100-150 მლ ოდენობით. ფიტოპრეპარატები ფართოდ გამოიყენება კუჭ-ნაწლავის და საშვილოსნოს სისხლდენების შესაჩერებლად. საშვილოსნოდან სისხლდენის შემთხვევაში განსაკუთრებით ეფექტურია: კოწახური, ნიგვზისძირა, მუხის ქერქი, ძახველის ფესვი, წიწმატურა. საშვილოსნოდან სისხლდენის დროს, სასარგებლოა შემდეგი ნაყენი: აიღეთ 5-5 გრამი (1 სუფრის კოვზი) ჭინჭრის ფოთოლი, წალიკა, წიწმატურა, შტოში, 1 დესერტის კოვზი თავსისხლა ფესვი, აურიეთ, დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი, წამოადუღეთ, დააფარეთ თავზე 15-20 წუთი, გაფილტრეთ და მიიღეთ დღეში 3-4-ჯერ, ჭამის წინ, 100-100 მლ ოდენობით. ჰემოპოეზის ნელა აღდგენის გამო მკურნალობა უნდა გაგრძელდეს 1-3 თვე. ■

საინტერესო სიახლეები

ხვრინვა ნეგატიურად მოქმედებს თავის ტვინის მუშაობაზე

როგორც ბრიტანელი მეცნიერები აღნიშნავენ, ხვრინვას ტვინის მუშაობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. მათ ჩაატარეს კვლევა და აღმოაჩინეს ბიოქიმიური ცვლილებები, რომელიც ხვრინვასთან იყო დაკავშირებული. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ტვინის ფუნქციის დარღვევას ხვრინვის დროს სუნთქვის შეჩერებით განპირობებული ჟანგბადის უკმარისობა იწვევს. ხვრინვის უარყოფითი გავლენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ სპეციალისტები ამ დროს ტვინის მოქმედებათა ცვლილებებს ინსულტის დროს აღმოცენებულ დარღვევებს ადარებდნენ. ბრიტანელი მეცნიერების მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 13-მა პაციენტმა, რომელსაც ძილის დროს აღენიშნებოდა აპნოეს (სუნთქვის შეწყვეტა) ძლიერი შეტევა. გაირკვა, რომ ხვრინვის დროს, სუნთქვის ხანმოკლე შეჩერებაც კი ტვინის მუშაობაზე უარყოფითად მოქმედებს. სტატისტიკის მიხედვით, აპნოე მამაკაცთა დაახლოებით 25%-ს და ძილის დროს, ძირითადად საშუალო ასაკის ქალებს აწუხებთ; 3% სუნთქვის შეჩერებას, ასფიქსიას და ძილის შეწყვეტას განიცდის. ექიმები გვირჩევენ, ყურადღებით მოვეკიდოთ ხვრინვას და შესაბამისი მკურნალობა ჩავიტაროთ.

მწვანე ჩაი აივ-ინფექციისგან დაცვის საშუალება

გერმანელმა მეცნიერებმა მწვანე ჩაის აივ-ინფექციისგან დაცვის შესაძლებლობის გარკვევის მიზნით რამდენიმე კვლევა ჩაატარეს. გაირკვა, რომ მწვანე ჩაის კომპონენტებს უჯრედების აივ-ინფექციისგან დაცვის უნარი ჰქონიათ. ადრე დამტკიცებული იყო, რომ სპერმაში შემავალ პროტეინებს აივ-ინფექციის უჯრდებში შეყვანა შეეძლოთ. ამიტომ სპეციალისტებმა ამ პროტეინების მოქმედების მაბლოკირებელი საშუალების პოვნა შეძლეს. ინფიცირების შეჩერების უნარი მწვანე ჩაის კომპონენტებს აღმოაჩნდა. ამ დროისთვის მეცნიერები ცდილობენ, შექმნან ვაგინალური გელი, რომელსაც შეეძლება აივ-ინფიცირების შეფერხება და კანის გაღიზიანებასაც არ გამოიწვევს. ამ გელის ერთ-ერთი აქტიური კომპონენტი მწვანე ჩაის კონცენტრატი გახდება.

ნაპოვნია მენსტრუაციისა და მენოპაუზის დაწყების დროის განმსაზღვრელი გენი

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც პასუხისმგებელია ქალებში მენსტრუაციის და კლიმაქსის დაწყებაზე.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს 17438 ქალი და განსაზღვრეს მენსტრუაციის დაწყების დროსთან დაკავშირებული გენების 19 ვარიანტი და მენოპაუზის დაწყებაზე პასუხისმგებელი გენების 13 ვარიანტი. კვლევის ავტორის აზრით, სქესობრივი მომწიფებისა და მენოპაუზის ვადის განეტიკური ბუნების აღმოჩენა დაეხმარება მეცნიერებს ქალის რეპროდუქციულ ფუნქციასთან დაკავშირებული დაავადებების შესწავლაში. მენსტრუაციისა და კლიმაქსის დადგომა განპირობებულია სასქესო ჰორმონების დონის ცვლილებით. მენსტრუაციის ადრეული და კლიმაქსის გვიანი დაწყება მკერდის კიბოს განვითარების დამახასიათებელ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. ამავე დროს, მენოპაუზის ადრეული დაწყება ზრდის ქალებში ოსტეოპოროზის და გულ-სისხლძარღვთა დავადებების განვითარების რისკს.

ვიტამინები ქალებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს

სპეციალისტების თქმით, მულტივიტამინების მიღება ხელს უწყობს ქალებში სიცოცხლის 10 წლით გახანგრძლივებას. მეცნიერებმა მულტივიტამინური პრეპარატების ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით, რამდენიმე კვლევა ჩაატარეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანი, რომელიც მიიღებს ვიტამინების კომპლექსს, სხვებზე მეტხანს იცოცხლებს. კვლევის პროცესში მეცნიერებმა სხვადასხვა ქრონიკული დაავადებებით დაავადებული 586 ქალის მონაცემი გააანალიზეს. ქალებს რამდენიმე წლის განმვლობაში ვიტამინების მიღების რეკომედაცია ეძლეოდათ. შემდეგ მეცნიერებმა შეადარეს მათი სისხლის ანალიზი (დნმ ანალიზი) და სხვა ქალების (რომლებიც არ იღებდნენ ვიტამინებს) ანალიზებს. მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ უჯრედის დაყოფის პროცესში დნმ-ის მოლეკულების დამოკლება ხდება, რაც სწრაფ დაბერებას იწვევს. აღმოჩნდა, რომ ვიტამინები ხელს უშლის ამ დამოკლების მოვლენის განვითარებას და შესაბამისად — დაბერებას. მულტივიტამინებმა, რომლებსაც ქალები რამდენიმე წლის განმავლობაში იღებდნენ, შეძლეს ქრომოსომის ზომის შემცირების თავიდან აცილება. მეტიც, მათ ქრომოსომის ზომის 5%-ით გაზრდასაც კი შეუწყვეს ხელი, რაც სიცოცხლის 9,8 წლით გახანგრძლივებას ნიშნავს. ■

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

მეტყველების დარღვევები

ენის ბორძიკი ფსიქოემოციური წრის დარღვევის შედეგი გახლავთ, ამიტომ კომპლექსური თერაპიის დიდი ნაწილი სწორედ პრაქტიკულ ფსიქოთერაპიასა და ფსიქოლოგიურ რეკომენდაციებს ეთმობა

რა საჭიროა ძილი

კუთხე, სადაც ბავშვს სძინავს, განურჩევლად იმისა, ცალკეა თუ მშობლების საწოლ ოთახში, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დაცვაზეა დამოკიდებული ბავშვის მშვიდი ძილი

იოდის დეფიციტის პროფილაქტიკა

თუ ჩვილი ბუნებრივ კვებაზეა, მაგრამ დედა პროფილაქტიკის მიზნით იოდს არ იღებს, ჩვილმა 6 თვემდე ყოველდღიურად უნდა მიიღოს, სულ ცოტა, 75 მკგ იოდი, ხოლო 6 თვიდან წლამდე – არანაკლებ 100მკგ-ისა

თქვენთვის, ქალბატონებო!

„თუ მიყვარს, საღამის აზრი ვეღარ შემაშინებს“

მარინა ბაბუნაშვილი

ერთმა ნაცნობმა ცნობილი თბილისური ოჯახის ამბავი მიამბო.

ვაჟმა რისკიანი ნაბიჯი გადადგა და დღეს იგი, არაფერს ნანობს („ცხოვრების უცნაური გადახვევები“, „ჯვირის პალიტრა“, 2008 წლის 1 დეკემბერი).

ამბავი პირველი

ქალი „შავბნელი“ წარსულით

სანდრო ცნობილი ოჯახის შვილი გახლავთ. მისი ძმა ექიმია, სანდრომ კი მამის პროფესია აირჩია, იურისტია. სანდრო ხალისიანი, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული, გულუხვი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი ადამიანია. ცოლის შერთვას არ ჩქარობდა. მისი ყველაზე ახლობელი ოთხი ძმაკაციც უცოლო იყო. სამსახურის მერე ან დასვენების დღეებში ყოველთვის ცდილობდნენ ისეთ ადგილას წასულიყვნენ, სადაც კარგად გაერთობოდნენ. ერთ საღამოს, ძმაკაცებმა სანდროს სამსახურში გაუარეს და თბილისის გარეუბანში მდებარე საუნაში წავიდნენ. იქ გაიცნო ვიკა და იმ დღიდან დაიწყო ყველაფერი... რამდენიმეთვიანი ურთიერთობის მერე, სანდრომ საუნიდან გამოიყვანა ვიკა და ოროთახიანი ბინა დაუქირავა. ძმაკაცები შეშფოთდნენ, „საუნის ქალთან“ ამდენი ხანი ურთიერთობა ვის გაუგიაო? თუმცა, როცა ეს შეკითხვა სანდროსაც დაუსვეს, მან მოკლედ მიუგო: ჩემს საქმეში ნუ ერევითო.

ცოტა ხანში, ვიკამ სანდროს ექიმთან მისასვლელი ფული სთხოვა. ქალი დარწმუნებული იყო, რომ ბავშვის გაჩენაზე უარს იტყოდა, მაგრამ შეცდა. სანდრომ გაიგო, რისთვისაც სჭირდებოდა ვიკას ფული და ექიმთან წასვლა აუკრძალა. გაუხარდა კიდეც ეს ამბავი და მამობისთვის მზადებას შეუდგა. ნაქირავები ბინა კიდევ მეტად კეთილმოაწყო, ვიკას კი თავს ევლებოდა. ეს ამბავი მალევე „გასკდა“. სანდროს მამამისისგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, დედამაც ლოყები ჩამოიხოკა... ვაჟმა არავის ათხოვა ყური... გაჩნდა ბიჭი. ორი წლის შემდეგ კი — გოგო. ვინც კი იცნობდა სანდროს ოჯახს, პირდაღებული დარჩა.



ამბავი მეორე
შვილიშვილებმა ურთიერთობა დაათბეს

სანდროს შემდგომი ცხოვრების შესახებ ჩვენს საერთო ნაცნობს გამოვკითხე.

— მშობლები არ შეურიგდნენ სანდროს?

— პირველმა სანდრომ გადადგა ნაბიჯი შერიგებისკენ. გოგონა რომ შეეძინა, ვერ გაძლო დიდხანს. 4 თვის იყო მარიამი, გიორგი კი ორი წლის, შვილებთან ერთად მშობლებს რომ ესტუმრა. ბავშვების დანახვამ „დაადნო" გაკერპებული უფროსები. ახლა, კვირა არ გავა, შვილიშვილები არ მოინახულონ, თუმცა, ვიკასთან შეხვედრას გაურბიან.

— რძალს არ ელაპარაკებიან?

— არა, არ აქვთ ურთიერთობა. დედა ან მამა დაურეკავს ხოლმე სანდროს და სთხოვს, ბავშვები გამოგვიყვანეო. იმასაც მიჰყავს.

— სანდრო არ განიცდის, რომ დღემდე ვერ დაარეგულირა მშობლებსა და ცოლს შორის ურთიერთობა?

— სხვათა შორის, არ განიცდის... არც ვიკას ეტყობა, ამის გამო ნერვიულობა. მათ იმდენი წინააღმდეგობა გადალახეს, რომ ეს აღარ აღელვებთ... ბავშვებს ძალიან უყვართ ბებია-ბაბუასთან სტუმრობა.

— სანდრო და ვიკა ისევ ნაქირავებ ბინაში არიან?

— არა, რას ამბობ?! სანდრომ სამოთახიანი ბინა იყიდა; სახლის პირველ სართულზე ცოლს „სილამაზის სალონი" გაუხსნა. ვიკა სალონის მეპატრონეა და ძალიან კარგად გრძნობს თავს... ისე კი დამპირდი, რაღაცებს შევცვლიო, მაგრამ იმდენი რამ გითხარი მათ შესახებ, ყველა მიხვდება, ვისზედაც არის ლაპარაკი. სხვათა შორის, „კვირის პალიტრაში" რომ გამოქვეყნდა წერილი, მაშინ სანდრომ მითხრა: იქნებ, ჩემებმა წაიკითხონ ეს ამბავი და თავიანთი სიჯიუტე დათმონო.

— გამოდის, რომ იმ პირველმა წერილმა რაღაც როლი შეასრულა მათ ურთიერთობაში... იქნებ, ამ მეორე წერილმაც გამოიღოს შედეგი?

— ღმერთმა ქნას. აბა, რა აზრი აქვს უაზრო პრინციპულობას? ვიკა არაჩვეულებრივი ადამიანია, კარგი დედაა, გიჟდება ქმარზე; მათ მშვენივრად ააწყვეს ცხოვრება და რაღა საჭიროა, რძლის წარსულში ქექვა?

— შენც ვაჟის მამა ხარ. შენმა შვილმა რომ იგივე გააკეთოს რაც სანდრომ, მოგეწონება?

— შეიძლება, არც მე და არც არავის მოეწონოს თავიდან, მაგრამ თუკი დავინახავ, რომ ჩემს შვილს და რძალს ისევე უყვართ ერთმანეთი, როგორც ახლა სანდროს და ვიკას, ნამდვილად ვერ აღვუდგები წინ მათ ურთიერთობას...

●

მკითხველის წერილები

„ჩემი ეჭვები გაამართლდა"

„კარგა ხანია, ეჭვი მაწუხებდა და ვერავის ვუმხელდი; გამიელვებდა თუ არა ეს სამარცხვინო აზრი თავში, მაშინვე სხვა რამეზე გადამქონდა ფიქრები.

ახალ სამსახურში მისვლისთანავე თეას დავუმეგობრდი. სტაჟიანი თანამშრომელი იყო და მე, როგორც ახალს, ყველაფერში მეხმარებოდა. ხალისიანი, გულკეთილი გოგო იყო და შემიყვარდა, მეგობრად გავიხადე. ქმართან პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ჩემ გარდა, არავის უზიარებდა თავის წუხილსა და დარდს. რამდენჯერ უტირია ჩემთან და დამიმშვიდებია. ვურჩიე, გაშორდი-მეთქი... თეას ერთი ქალიშვილი ჰყავს და მეორე აღარ გააჩინა, რადგან, თამაზი წყალწაღებული ნარკომანი გამოდგა. შვილმა ოჯახურ უსიამოვნებებს თავი გაარიდა, გერმანიაში წავიდა და იქ გათხოვდა. ეს 43 წლის, ახალგაზრდა ქალი, რატომ ეწირებოდა ამ კაცს, ვერ ვიგებდი. ერთხელ, ისეთი დალილავებული მოვიდა სამსახურში, გული დამეწვა. შევთავაზე, ჩემთან წამოდი და რამდენ ხანსაც გინდა იყავი. იქნებ, ამასობაში თამაზი ჭკუაზე მოვიდეს-მეთქი. თეამ ჩემთან ორი კვირა იცხოვრა. რამდენიმე დღით ბიულეტენი აიღო, რათა ჩალურჯებულ-დაჟეჟილი ადგილები მოეშუშებინა. ალბათ ამ პერიოდში ჩაისახა თეასა და ჩემს ქმარს შორის გრძნობა. მოგვიანებით ვამჩნევდი, რომ ერთმანეთის დანახვაზე რაღაც მოსდიოდათ. ჩემი თანდასწრებით თვალებს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს, ლაპარაკიც უჭირდათ. თამაზმა ორი კვირის მერე მოაკითხა ცოლს და შინ წაიყვანა. იმ უბედურს ციროზი ჰქონდა და დიდხანს აღარც უცოცხლია. ალბათ თეაც მის სიკვდილს უცდიდა, იმიტომაც იტანდა ქმრისგან დამცირებასა და ცემა-ტყეპას. სახლი თეას დარჩა... ერთხელ, სრულიად შემთხვევით,

თუ გიყვარს ჭეშმარიტი, მიღმინგი, გინდა და სიყოველი ხარ, ეს ვარაა სიყვარული მიზეზი, რომ ჭეშმარიტობა დაიბარდოს

ქუჩაში ჩემი ქმრის მანქანას თვალი მოვკარი. გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, სამსახურის საქმეების გამო, ავთო ბათუმში იყო 3 დღით. სასწრაფოდ ჩამოვედი ავტობუსიდან და მანქანისკენ გავემართე. სანამ მივუახლოვდი, ავთო მაღაზიიდან დატვირთული გამოვიდა, ჩაჯდა მანქანაში და სახლის კი არა, სულ სხვა მიმართულებით წავიდა. ცნობისმოყვარეობამ და ეჭვებმა ერთიანად დამრია ხელი. გადავწყვიტე, ტაქსით გავყოლოდი უკან. თეას სახლის წინ რომ გაჩერდა, მივხვდი, საქმე ძალიან ცუდად იყო და ჩემი ეჭვებიც გამართლდა. ტაქსის მძღოლს დაცდა ვთხოვე. თეას არც უკითხავს, ისე გამიღო კარი და მიტკლისფერი დაედო სახეზე. გვერდზე გავწიე და თამამად შევაბიჯე მისაღებ ოთახში. ჩემი ქმარი ტელევიზორის წინ, დივანზე მოკალათებულიყო და შამპანურს მიირთმევდა. რომ დამინახა, ხველა აუტყდა. არც ჩხუბი ამიტეხავს, არც ისტერიკა, შევეცადე, მშვიდად მეთქვა: კარგა ხანია, ვეჭვობდი, რომ თქვენ შორის რაღაც ხდებოდა. ახლა დავრწმუნდი, რომ არაფერი მეჩვენებოდა. ერთიც და მეორეც ნაძირლები ყოფილხართ-მეთქი. ორი თვეა იმ დღიდან გასული. ჩემმა ქმარმა ხან ვინ გამომიგზავნა, ხან — ვინ. შერიგებას მთხოვდა. ბოლოს, როცა განქორწინებაზე სასამართლოში გამოიძახეს, მიხვდა, შერიგებაზე ფიქრი წყლის ნაყვა იყო. რაც ავთომ და თეამ მოიმოქმედა, ამას სიყვარულისთვის „დანაშაულს“ ვერ დავარქმევ. მათი საქციელი ამაზრზენი და გულისამრევია.

ნატა“.

„ძალვიმრავლდენ „სირაქლემა კაცები“

„ხშირად, მამაკაცი, რომელიც საქმეს ვერ ააწყობს და ოჯახსაც ვერ უზრუნველყოფს, „სირაქლემას სინდრომით“ ავადდება. ამ დროს იგი გაექცევა ყოველდღიურობას, პრობლემებს ცოლს მიუგდებს და თავად „ქვიშაში“ ჩაყოფს თავს, თითქოს აღარ არსებობდეს საზრუნავი და დაბრკოლებები. ჩემს ქმარს სოფელი აქვს და რამდენჯერაც გაგვიჭირდება, სოფელში მიდის, თითქოს იქ რაიმე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდეს. შეუძლია, 1-2 კვირა ისე დარჩეს, ერთხელ არ მოგვიკითხოს. დავიღალე, ამ ყოველდღიურობასთან ჭიდილში. ჩემი ყოველდღე თენდება იმ დღისა და ხვალინდელზე ფიქრით და ზრუნვით, უფრო შორეულ მომავალზე ვერც კი ვფიქრობ.

მანანა არეშიძე, თბილისი“.

თუ სოლოლი ვინ ოდეს, ნუ ვინ ყინენეშ. სოლოლეშს ყოველთვის ოქსმოლეშთ

„ახლა ის ჩემი ოჯახის დანგრევას ცდილობს"

გვანცა რედაქციაში მესტუმრა და თავის ოჯახურ სიტუაციაზე მიამბო.

— მე და ჯაბამ თბილისში გავიცანით ერთმანეთი. მე ერთ-ერთ იურიდიულ კომპანიაში ვმუშაობდი, მაგრამ როგორც კი ჯაბამ მითხრა, ჩემთან უნდა წამოხვიდე, რუსთავშიო, არც დავფიქრებულვარ, სამსახური მივატოვე და გავყევი. მხოლოდ ჯაბას დაძმას ვიცნობდი, მშობლეს კი — არა. თურმე, გოგომ (და ალბათ, ბიჭმაც) მომავალი ქმრის ოჯახი წინდაწინ უნდა გაიცნოს და მერე გადადგას ნაბიჯი...

— ნანობ რომ ჯაბას გაჰყევი ცოლად?

— თან ვნანობ, თან — არა. ჯაბა ძალიან მიყვარს, როცა მასთან მარტო ვარ, ბედნიერად ვგრძნობ თავს, მაგრამ საკმარისია, დედამისი გამოჩნდეს, ყველაფერი ფუჭდება. ორი თვეა, ცალკე ვცხოვრობთ, მაგრამ შორიდანაც გვწვდება. ვატყობ, ჯაბაზე ძალიან მოქმედებს დედის სიტყვები, როგორც უნდა წინააღმდეგობა გაუწიოს, ბოლოს მაინც მისი ზეგავლენის ქვეშ ექცევა.

— რატომ ვერ ააწყეთ ურთიერთობა?

— მათ ოჯახში შევედი თუ არა, დედამთილმა გამომიცხადა, აქ მე ვარ უფროსი და ამას შეეგუეო. სამოთახიანი ბინა ჰქონდათ და საძინებელი რომ დამითმეს, მაშინვე ახსნა-განმარტებაც მოაყოლა, ეს ჩემი ოთახიცაა და როცა მინდა, მაშინ შემოვალო. რამდენჯერმე დილით ადრეც დაგვდგომია თავზე და დალაგება დაუწყია, ხან შუაღამეს შემოვიდოდა და უაზროდ იქექებოდა კარადაში, სადაც არაფრით არ შემაწყობინა ჩემი ტანსაცმელი. სამზარეულოში ფუსფუსი ყოველთვის მიყვარდა. ერთხელ, სადილი გავაკეთე. მამამთილმა მომიწონა და შემაქო, — ეს რა კარგი ხელი გქონია აწი სულ შენ გააკეთე საჭმელიო. იმ წუთებში არა და მეორე დღეს, როცა ყველა შინიდან გაიკრიფა და სამსახურებში წავიდნენ, ერთი ამბავი დამაღწია დედამთილმა — არ დაგინახო სამზარეულოში გამოსულიო. თავდაპირველად, ეშმაკობდა და ოჯახის წევრების თანდასწრებით არ მსაყვედურობდა, სამაგიეროდ, მარტო დარჩენილს მცოფავდა ხოლმე. ბოლოს, უკვე არც იმათ ერიდებოდა. რაც პირზე მოადგებოდა ყველაფრით მამკობდა. 6 თვის შემდეგ, როგორც იქნა, ცალკე გადავედით, მაგრამ ნაქირავებში ავეჯი არ დაგვხვედრია. ჯაბას უნდოდა, რაღაცები სახლიდან წამოეღო, მაგრამ დედამისმა ისეთი ისტერიკა მოუწყო, თავბედი აწყევლინა. ისევ ჩემმა მშობლებმა აიღეს ვალი და მზითევის გარდა, ბევრი ისეთი რამ მიყიდეს, რაც ყოველდღიურად გვჭირდებოდა. სხვათა შორის, გვიან გავიგე, რომ ჩემს მაზლს ცოლი ჰყოლია და მან იმ ოჯახში მხოლოდ 3 თვე გაძლო. ახლა ორსულად ვარ, ჩემი შვილი შემოდგომით მოევლინება ქვეყნიერებას და მინდა, არაფერი დააკლდეს. გასაკვირია, ჩემი ქმრის ოჯახს ორი ბინა კიდევ აქვს (იმის გარდა, სადაც ახლა ცხოვრობენ), ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ ნაქირავებში? ჯაბას მშობლებს არც ქორწილის გადახდით შეუწუხებიათ თავი და არც საჩუქრებით გავუნებივრებივარ. ჯაბა მამშვიდებს, არ მიაქციო ყურადღება, ეგეთი ხასიათი აქვს და აღარ შეიცვლებაო. ადვილი სათქმელია „ყურადღება არ მიაქციო". ამ ქალმა ჩვენი, ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ცხოვრება თავდაყირა დააყენა და მომავალსაც არ უჩანს „კარგი პირი". თვითონ ხომ არ გვკითხულობს, არც გველაპარაკება, ქმარ-შვილსაც არ აძლევს უფლებას ჩვენთან მოვიდნენ და გვინახულონ.

— და შენ ფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან ჯაბაც მოექცევა მისი ზეგავლენის ქვეშ?

— კი, ამის საშიშროება არსებობს. ბავშვის გაჩენის შემდეგ შეიძლება, უფრო დამოუკიდებელი გახდეს ჯაბა, მაგრამ პატარას დაბადებამდე ჯერ დიდი დროა და არავინ იცის, ის ქალი, რას მოიმოქმედებს.

— შენს მშობლებს როგორი ურთიერთობა აქვთ მძახლებთან?

— მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, საიდანაც ხმამაღალი და უხამსი სიტყვა არ გამოსულა. ახალი შეუღლებულები ვიყავით და ჩემებმა ჯაბას მშობლები ვოიპატიჟეს, თან ქორწილზე უნდოდათ დალაპარაკება. როგორც კი სიტყვა ჩამოვარდა ქორწილზე, დედამთილმა ხმამაღლა განაცხადა: „მე არაფერს არ ვაპირებ!" რაღა უნდა ექნათ ჩემებს? მერე, მთელი საღამო ჩემი დედამთილი იმ შემთხვევებს იხსენებდა, როცა აწყენინეს, როგორ გაუსწორდა თითოეულ მათგანს. ქალი აშკარად სიამაყით ყვებოდა, როგორ „დაუჟეჟა" და „ცხვირ-პირი მოუნგრია" ყველას, ვისაც კი მასთან „შეეშალა". ზოგჯერ ისიც მიკვირს, ჯაბა ცალკე ცხოვრებას რომ დამთანხმდა. იმდენჯერ მაწყენინა წარმოუდგენელია, ჩვენ შორის ოდესმე თბილი ურთიერთობა აღდგეს. ჯაბას ხათრით, დედამისს დაველაპარაკები. თუ სტუმრად მოვა, ნორმალურადაც მივიღებ, მაგრამ დედაშვილური ურთიერთობა ნამდვილად გამორიცხულია. ●

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com



ROMANI

მარი ХაშარიძE

ცუსაღის სიზეპრი

ის სამსახურიდან შინ დაბრუნდა. კისერზე თავისი პირველკლასელი გოგონა ჩამოეკიდა.

— მამა, როგორ გამიხარდა, რომ მოხვედი!

— მეც მომენატრე, ჩემო გოგონავ.

— მამა, დედა სამსახურიდან ჯერ არ დაბრუნებულა. მე კი ამოცანას ვერ ვხსნი. დამეხმარები?

— რა თქმა უნდა, — მამამ გაიღიმა, გოგონა იატაკზე ჩამოსვა და სუსტ მხრებზე ხელი მოხვია, — მაგას კითხვა უნდა?

ის სამყაროში ყველაზე ბედნიერი ადამიანი იყო. ყოველ შემთხვევაში, ახლა სწორედ ასე ფიქრობდა.

მან შვილის რბილ, ფუმფულა თმას ხელი დაუსვა და დაამატა:

— რაღას ვუდგავართ? აბა, წამოდი, მაჩვენე შენი „ურჩი“ ამოცანა!

— წამოდი, — გაიცინა გოგონამ და თავისი ოთახისკენ ხტუნვით წავიდა.

როგორც კი ბავშვის ოთახში ფეხი შედგა, მის შიგნით რაღაც დატრიალდა... ოთახი მილაგებული იყო, მაგრამ გარემო — რაღაცნაირი, შორეული და მტკივნეულად ნაცნობი. მოეჩვენა, რომ მთელი საუკუნე არ ყოფილა აქ.

თავი რამდენჯერმე გააქნია და გაიფიქრა, რომ უბრალოდ, სამსახურში გადაიღალა, რადგან დღე და ღამე გადაბმულად იმუშავა. გაიღიმა და ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდას მიუახლოვდა. ფანჯარაში უზარმაზარი ეზო მოჩანდა. ამ მაგიდას უკვე დიდი ხანია, მისი ნინიკო დაეპატრონა.

— აბა, რა ვერ გავიგეთ? — სიცილით თქვა და სკამის საზურგეს დაეყრდნო.

— აი, მამა, ეს ამოცანა ვერ გავიგე, — გოგონამ ჯერ წიგნს დახედა, შემდეგ კი მამას ამოხედა.

ამ დროს ის მასში მშველელს უფრო ხედავდა, ვიდრე მამას.

— რომელი?

— აი, ეს.

ნინიკო ნაჩქარევად ფურცლავდა წიგნს, თითქოს მამის რცხვენოდა.





მეხანძრეები და ექიმები
— ადამიანები, რომლებიც
იმის წინააღმდეგ იბრძვიან,
რითაც თვლის შოიდობენ

რამდენჯერმე გადაფურცლა ერთი და იგივე ადგილი და როგორც იქნა, საჭირო გვერდი მოძებნა.

— რატომ ნერვიულობ?

— არ ვნერვიულობ, მამა. გაბრაზებული ვარ, რომ ასეთი იოლი ამოცანა ვერ ამოვხსენი. მასწავლებელმა გვითხრა, ეს ძალიან იოლი და უბრალო ამოცანაა.

— კარგი, ნუ ბრაზობ, ერთად ვნახოთ.

— აი, ნახე, რა წერია! ტოტზე ერთი მტრედი იჯდა. მასთან ყვავი მიფრინდა და ტოტზე ჩამოჯდა. რამდენი ჩიტია ტოტზე?

— შენ როგორ ფიქრობ, რამდენია? — გაეღიმა მამას.

— ერთი!

— რატომ?

— იმიტომ, რომ მტრედი კარგი ჩიტია, ყვავი კი შავია და ბოროტი.

— მართალია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ორივე ჩიტია.

— ჰო, მაგრამ ისინი ხომ ერთმანეთისგან განსხვავდებიან?

მამაკაცი ფიქრში თავის მოგონებებს გაჰყვა. რატომღაც გაახსენდა, რომ დიდი ხნის წინ მშობლებთან ერთად ზღვაზე ისვენებდა. ცოლიც გვერდით ჰყავდა.

— მანანა, როგორ ხარ? — ალერსიანად ჰკითხა ცოლს, ერთი

ხელი მხარზე მოხვია, მეორე კი წელზე შემოხვია. საყვარელი ქალის გვერდით ძალიან ბედნიერი იყო.

— კარგად, — რაღაცნაირად, ჩუმად თქვა მანანამ. სახეზე უცნაური, ამოუცნობი ემოცია ეწერა.

— რატომ ხარ დღეს ასეთი უცნაური? — საყვედურით კი არა, მზრუნველად ჰკითხა კაცმა.

— მე სულ ასეთი ვარ. შენ რა, პირველად მხედავ?

ის დაფიქრდა. ზღვის ტალღები ნაპირს „ლოკავდა“ და მათ ფეხებსაც მსუბუქად ეხლებოდა.

მამაკაცს თავში უამრავმა აზრმა გაურბინა.

საღამოს ოთახში იჯდა და დედას კარტს ეთამაშებოდა. თან თვალი კარისკენ ეჭირა და მანანას გამოჩენას ელოდა. ის ნათესავთან, სტუმრად იყო. მერე გულმა არ მოუთმინა და გადაწყვიტა, გარეთ დახვედროდა. ღობესთან, სკამზე ჩამოჯდა. სიბნელეში უფრო გაუძაფრდა შიში. მანანას გამო ღელავდა. უკვე გვიანი იყო, ის კი ჯერ არ ჩანდა. ცოტა ხანში ხმადაბალ ლაპარაკს მოჰკრა ყური. მანანას და უცხო მამაკაცის ხმა მოესმა. ყურები ცქვიტა და სულგანაბული დაელოდა მათ გამოჩენას. წყვილი შორიახლო გაჩერდა. რამდენიმე წუთი ისაუბრეს, გამომშვიდობებისას კი ერთმანეთს ტუჩებში აკოცეს.

კაცს თვალთ დაუბნელდა. ადგილიდან ელვის სისწრაფით წამოხტა და მამაკაცს ყბაში მუშტი ამოსცხო. მანანას კივილმა ქვეყანა შეძრა. მამაკაცი ბურთივით ავარდა ჰაერში და მიწას დაენარცხა... ცოტა ხანში თავი გადააგდო და თვალები თავისით დახუჭა.

მანანა შიშჩამდგარი თვალებით შეჰყურებდა თავზე წამომდგარ ქმარს და ხმას არ იღებდა. კაცის ხელებმა მარწუხივით მოუჭირა ყელზე..

გამოელვიძა და გარშემო მიმოიხედა. საკანში მარტო იყო. მაშინვე გაახსენდა, რომ ცოლისა და მისი საყვარლის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

მას არასოდეს ჰყოლია შვილი და ეს ყველაფერი სიზმარში ნახა. ალბათ მისმა ოცნებამ სიზმარში შეისხა ფრთები.

თვალებიდან ცხელი ცრემლი ჩამოუგორდა. ისინი ბეტონის იატაკს ეწვეთებოდა, თითქოს ხვრეტდა მას და დედამიწის გულს აღწევდა. ცრემლი პერანგის სახელოთი მოიწმინდა და საკნის ფანჯარასთან მივიდა. იქ, ციხის ეზოში სიმშვიდე იყო. ყველაფერი ფაფუკი თოვლით იყო დაფარული და თვალსა და გულს ახარებდა. საწოლის ქვეშ ხელი შეაცურა და დიდი ხნის წინ, ყოველი შემთხვევისთვის მომზადებული თასმა გამოაძვრინა.

ხელებმა თავისი საქმე გააკეთა. თასმის ერთი ბოლო ფანჯრის გისოსზე გამოაბა, მეორე ბოლო კი კისერზე მოიხვია...

ამ დროს არაფერს გრძნობდა...

მალე კაშკაშა შუქი დაინახა...

●

მოკლე ჩართვა

რას შევცვლიდი ჩემს ხასიათში?

• ჩემს ხასიათში? სიფიცხეს და სიჯიუტეს შევცვლიდი, რაც მუდამ პრობლემებს მიქმნის. ეშმაკუნა.

• ზედმეტად ემოციური ადამიანი ვარ და ამის გამო, ზოგჯერ მიჭირს ემოციის გაკონტროლება, რაც ძალიან არ მომწონს. ამ თვისებას გამოვასწორებდი ჩემს ხასიათში. იასამანი.

• აუ, საშინლად ჯიუტი ვარ და ხშირად ვნანობ ხოლმე, სიჯიუტის შედეგს. ასე რომ, ცოტა რბილი გავხდებოდი. ცოტა, ბევრი არა. გკოცნით ყველას. პატარა ლელა.

• ჩემს ხასიათში ბუტიაობას შევცვლიდი და მიამიტობას. ძალიან მიმნდობი ვარ და ზოგჯერ ეს ძვირად მიჯდება. ლალოლა.

• რას გამოვასწორებდი და... აუ, არ ვიცი. ალბათ მოვძებნიდი ზღვარს სიჯიუტესა და მომთმენობას შორის, რადგან ხან ისე ვარ, ხან — ასე :) კიდევ, თავდაჯერებული მინდა ვიყო. აბეზარა.

• ძალიან ფიცხი და ემოციური ვარ, რაც თავადაც არ მომწონს და მაღიზიანებს, მაგრამ ეს ალბათ ბუნებით თანდაყოლილია, რაც თითქმის ყველა მთიულს ახასიათებს. სევდიანი ქალი.

• რას გამოვასწორებდი ჩემს ხასიათში? ცოტა ლმობიერი და მომთმენი რომ ვიყო, კარგი იქნებოდა, მაგრამ... ასეთი, საყვარლად ნაგლი ვარ დაა... :) მიყვარხართ. სასტიკი ქალი.

• ჩემი ხასიათი იმ მუავე, მაგრამ სასარგებლო ციტრუსთან ნაზავია, რომელსაც ლიმონი ჰქვია. არის პერიოდები, როცა სასარგებლოზე მეტი სიმუავეა ხოლმე, მაგრამ ცოტა ხნის მერე ისევ „ვტკბილდები“ და მაშინ ლიმონივით მეწურება ხოლმე გული... ძალიან მინდა, ჩემს მათხოვარ ხასიათში სწორედ ეს მუავიანობის დონე დავწიო ისე, რომ თვით უკიდურესად აღსაშფოთებელ მომენტებშიც კი არ მქონდეს მუავე რეაქცია და უკომენტაროდ გავატარო. ლიმონა.

• ბუტიაობასა და ტირილს გადავეჩვეოდი, ეჭვიანობას დავივიწყებდი... ჰო, კიდევ, ჩემს ხასიათში ირონიას მინიმუმამდე დავიყვანდი. ნწუ, რა ცუდი ბავშვი ვყოფილვااარ. :) პარიუანკა.

>>>19

გამოხმაურება

„ტვინდასეტყვილი დაქალის გამო, „მეგობრობის ინსტიტუტს" ნუ გადაუსვამ ხაზს"

„გზის" №24-ში დაიბეჭდა 18 წლის N.10.A-ის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ დაქალმა ულალატა. „მას შემდეგ საშინლად გავბოროტდი, ნდობა ყველას მიმართ დავკარგე-ჩემში ორი პიროვნება ებრძვის ერთმანეთს — ერთს შურისძიება სწყურია, მეორეს კი უბრალოდ, ის ეცოდება და მიიჩნევს, რომ ყოფილი დაქალი ყურადღების ღირსიც არაა".

„შურისძიებას სიმშვიდე არავისთვის მოუტანია"

ლიკა ქაჯაია

გრუზინკა:

„მართალი ხარ, მის დონემდე არ უნდა დაეცე. მე მუსულმანი ვარ, მაგრამ ღმერთის მწამს და მჯერა, უფალი მას სამაგიეროს აუცილებლად გადაუხდის. ასე რომ, შურისძიებას გულში ნუ გაივლებ. ის შენს ყურადღებას არ იმსახურებს. ეცადე, მხოლოდ კარგზე იფიქრო. წარმატებები!"

ლიმონა:

„ერთი ტუტუცი და ტვინდასეტყვილი ვითომ დაქალის გამო, ნამდვილი „მეგობრობის ინსტიტუტს" საბოლოოდ ნუ გადაუსვამ ხაზს, მაგრამ დაიმახსოვრე, მეგობრების შეძენა არც ისე მარტივია. ხომ გაგიგონია, — ადამიანი კარგად რომ გაიცნო, 10 ფუთი მარილი უნდა ჭამოო... შურისძიება განგებას მიანდე. ადრე თუ გვიან, იმასაც მაგრად „აჭმევენ" და აი, მაშინ დაგაფასებს!"

სვანის ასული:

„საინტერესოა, რატომ იჩხუბეთ ან მან რატომ გიღალატა? ნუთუ, ბიჭის გამო? საკუთარ შეცდომას არ ნანობს? ვფიქრობ, სამაგიერო უკვე მიეზღო, რადგანაც შენი ცხოვრებიდან ამოშალე და ამასთანავე, მოღალატის სახელიც დაერქვა. დროთა განმავლობაში ბრაზი გაგივლის, მას კი სინდისი მეტად დაუმძიმდება. თუ არაფერს ნანობს და ვერაფერს ხვდება, შეეშვი. ხომ გაგიგონია: „ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო?.."

იკუშკები:

„სწორად აზროვნებ — მის დონემდე დაშვება არ ღირს. ერთხელ უკვე ვთქვი და ვიმეორებ, ვისთანაც ყავას დალევ და წაიჭორავებ, ყველას დაქალი არ უნდა დაუძახო-მეთქი. ჩემო კარგო, მერწმუნე, ძალიან ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, ვისაც შენი კარგად ყოფნა მართლა გაუხარდება, თორემ ცუდ ამბავს ყველა თანაგიგრძნობს. საერთოდ, საკუთარ თავზე კარგ მეგობრობას ვერავინ გაგიწევს. ყველა ადამიანშია შურის მომენტი. უღირსი ადამიანის გამო, გლოვას ნუ გამოაცხადებ... პირადად მე, ყველაზე ახლოს ჩემს სიხარულთან ვარ. გადასარევი მეგობრები ვართ და თავსაც ფანტასტიკურად ვგრძნობ მის გვერდით. იმაში მაინც ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ბედნიერება არ შეშურდება და „ლოვეს" არ „ამახევს". P.S. ჩვენს დროში არსებობს კი ნამდვილი მეგობრობა?.."

დამავოი:

„შურისძიება კარგს არაფერს მოგიტანს. ის გოგო „დაიკიდე" და ისიც გაითვალისწინე, რომ ყველა მისნაირი ცუდი მეგობარი არ არის. ადამიანების მიმართ ნდობა უნდა ისწავლო. წარმატებები!"

სოფი 19:

„ჩემი აზრით, მისი არსებობაც კი უნდა დაივიწყო. მოღალატე ადამიანი ყურადღების ღირსადაც არ უნდა ჩათვალო. მოკლედ, დაივიწყე ისიც და შურისძიებაც. მერწმუნე, ამით მხოლოდ საკუთარ უპირატესობას დაამტკიცებ. წარმატებები!"

მისტერ:

„ზოგჯერ თუ ფიქრობ, რომ მის დონემდე დაცემა არ შეგეფერება, ეგ ნამდვილად კარგია, მაგრამ თუ ამ აზრს ბოლომდე მიემხრობი, უკეთესი იქნება. შენი აზროვნება მომწონს. ყოჩაღ!"

ზოკოლადა:

„მესმის შენი, ღალატი დიდ ტკივილს განიჭებს, მაგრამ შურისძიებაც არაა გამოსავალი. ნუ დაიბოღმები და სულს ნუ დაიმძიმებ, მას სამაგიეროს თავად ცხოვრება მიუზღავს. შენ კი მიუტევე. ხომ იცი, ყველაზე დიდსულოვანი შურისძიება — პატიებაა (არ ვგულისხმობ იმას, რომ მასთან ურთიერთობა უნდა გააგრძელო). უფალი შეგეწიოს. P.S. თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე".

ლუნა:

„ნდობას ყველას მიმართ ნუ დაკარგავ, ეს უფრო გაგაბოროტებს. რაც შეეხება სამაგიეროს გადახდას და მის გამწარებს, ვფიქრობ, ეს შვებას არ მოგიტანს. იყავი მიმტევებელი, მაგრამ ისე არ მოიქცე, რომ დებილად ჩაგთვალოს — აგრძნობინე, რომ მოღალატეა და შენს მეგობრობას არ იმსახურებს. თუ მართლა უნამუსო არაა, საკუთარ დანაშაულს იგრძნობს და შერცხვება. ლაღ ცხოვრებას გისურვებ!"

ირმა 9t:

„შურისძიებაზე ნუ ფიქრობ და შეეცადე, არ გაბოროტდე. მშვიდად დაელოდე იმ დღეს, როცა უმეგობროდ, სრულიად მარტო აღმოჩნდება... შენ კი, ბევრ კარგ მეგობარს შეიძენ. მერწმუნე, შენი ყოფილი დაქალით არ იწყება და მთავრდება ყველაფერი. წარმატებებს გისურვებ!"

უცნობი:

„ამ ცხოვრებაში გული ხშირად გეტკინება, მაგრამ ამის გამო არ უნდა გაბოროტდე. გთხოვ, ეკლესიაში იარე, იქ მოიპოვებ სულის სიმშვიდეს. თუ მას გაამწარებ, მერე საქციელს საშინლად ინანებ და დაიტანჯები. შურისძიებას სიმშვიდე არავისთვის მოუტანია. შენს შინაგან „მეს" მიენდე და ყოფილ დაქალს ყურადღებაც არ მიაქციო. ძალიან რთულია, ვიღაცას ენდო, მაგრამ კიდევ უფრო რთულია ისე ცხოვრება, როცა ყველას ეჭვის თვალით უყურებ... არსებობს ასეთი წიგნი — „სანუგეშო" და მის წაკითხვას გირჩევ".

პანკუშკა:

„უკეთესი იქნებოდა, შენი პრობლემა დაგეკონკრეტებინა. ნუ გაბოროტდები, ეშმაკს უნდა აჯობო და ცუდი ზრახვებისგან გული გაითავისუფლო, მას კი ცხოვრება მიუზღავს სამაგიეროს".

„ახლოდან მოძალადესთან კი არა, საკუთარი შვილების მკვლელთან ცხოვრობ"



„გზის" №24-ში დაიბეჭდა 22 წლის უცნობი ბ-ს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ ვიდრე გათხოვდებოდა, პატიმარი უყვარდა, მაგრამ შეეცადა, მისი სიყვარული გულიდან ამოეგდო და საბოლოოდ, ცხოვრება პოლიციელ თაყვანისმცემელს დაუკავშირა. „ქმარი გამუდმებით მეჩხუბება. ყოველთვის, როცა თვრება, ამბობს: ციხის კარზე სიარული არ გენატრებაო? და მცემს ხოლმე. ამის გამო 2-ჯერ მუცელიც კი მომეშალა... ვიდრე გავთხოვდებოდი, მას ვუთხარი: ჩემი ყოფილი შეყვარებული ციხეშია-მეთქი..."

„შენი ქმარი პათოლოგი და სასტიკი ადამიანია"

პანკუშკა:

„ჩემო კარგო, განა, არ იცი, რომ ყველა კარტი არ უნდა გადაშალო? ამ ამბავს ის ვერასდროს დაივიწყებს და ამას ყოველთვის შეგახსენებს. მაპატიე, მაგრამ ყველაფერზე თავიდანვე უნდა გეფიქრა. მგონია, ნაჩქარევად გათხოვდი. შენს ადგილას მეუღლეს გავერიდებოდი".

ირმა 91:

„ცუდია, რომ გცემს. თუ ეს მხოლოდ სიმთვრალეში ხდება, ეცადე, ამ დროს თავი გაარიდო. როგორც ჩანს, ისევ იმ პატიმარზე ეჭვიანობს. შეეცადე, საკუთარ თავთან მართალი იყო, თუ არადა, ოჯახის დანგრევა გარანტირებული გაქვთ. უფალი გფარავდეთ!"

კნოპკა:

„შენი ქმარი ავადმყოფია და ნამდვილად არ იმსახურებს, რომ საუკეთესო წლები შესწირო. მიკვირს, ამდენ ხანს როგორ გაუძელი, საცხოვრებლად მშობლებთან რატომ არ გადახვედი?.. ნუ მისცემ უფლებას, ცხოველივით მოგექცეს. ნუთუ, არ გაქვს სურვილი, ბედნიერება მოიპოვო? ნეტავ, გამაგებინა, ქმარს თავს რატომ აკვლევინებ? ასაკით შენზე პატარა ვარ, მაგრამ შენს ადგილას რომ ვიყო, ქმრის გასანადგურებლად ყველაფერს გავაკეთებდი. აბა, შენ იცი, წარმატებები!"

ლუნა:

„კაცს, რომელსაც ცოლის ცემა შეუძლია, ნეტავ, თავი მართლა კაცად მიაჩნია? ჩემო კარგო, ქმარს დაემუქრე, — თუ ერთხელ კიდევ შემეხები, ჩემზე ხელს აღმართავ, დაგშორდებითქო. თუ ჭკუას ვერ ისწავლის, მაშინ სხვა გზა არ გაქვს, მართლა უნდა მიატოვო, მისი ცხოვრებიდან უნდა გაქრე. სითბო და სიყვარული აგრძნობინე. უთხარი, რომ ის პატიმარი წარსულში დარჩა, რომ ახლა მხოლოდ მისთვის ცოცხლობ. ამანაც თუ არ გაჭრა, კარგად ყოფილა შენი საქმე".

გრუზინკა:

„მისნაირი ადამიანები არასდროს გამოსწორდებიან! ჩემი აზრით, მას უნდა გაეყარო. კარგია, მუცელიც რომ მოგეშალა (ალბათ, ეს ნათქვამი ცოდვაში არ ჩამეთვლება), რადგან მერე, ბავშვის გამო შეეცდებოდი, ოჯახი შეგენარჩუნებინა. როგორ უძლებ მას? ადამიანი პატივს არ გცემს, უარესიც — ხელით გეხება და მაინც მასთან როგორ ცხოვრობ?.. 22 წლის ხარ და ყველაფერი წინ გაქვს".

ზოკოლადა:

„ჩემო კარგო, ოდესმე, იმაზე თუ გიფიქრია, რომ შენ მხოლოდ მოძალადესთან კი არა, მკვლელთან ცხოვრობ, საკუთარი შვილების მკვლელთან! მაპატიე, პირდაპირობა, მაგრამ თავს იბრმავებ. არა მგონია, რთული იყოს არჩევანის გაკეთება. აბა, ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა დაგემართოს?.. ახლობლებს, მშობლებს დაელაპარაკე და ისინი დაგაყენებენ სწორ გზაზე. საქმროს ქორწინებამდე ყველაფერი უთხარი, მისთვის არაფერი დაგიმალავს და ამიტომაც, მის წინაშე დამნაშავე არ ხარ. ნუღარ მისცემ უფლებას, კიდევ უფრო დაგამციროს. ღმერთი შენკენ".

ნინი-18, ბათუმიდან:

„ქმართან ყოფილი შეყვარებულის შესახებ არ უნდა ილაპარაკო. მეც ყველაფერს ვეუბნებოდი და ბოლოს, რა მივიღე? — არ მიშვებდა ისეთ ადგილას, სადაც შეიძლებოდა ყოფილ თაყვანისმცემელს შევხვედროდი. ვწუხვარ და არ ვიცი, რით განუგეშო, მაგრამ თუ ქმარს მიატოვებ, გადაწყვეტილებას მოგიწონებ. შენი დაჩაგვრისა და ცემის უფლება არავის აქვს. წარმატებებს გისურვებ! ღმერთი გფარავდეს".

დამავიი:

„შენი ქმარი ალბათ, კობაზე ეჭვიანობს და ამიტომაც გექცევა ცუდად. როგორც სხვას, არც შენ გაქვს უფლება, საკუთარ თავს ზიანი მიაყენო და ტირანის გვერდით გაატარო სიცოცხლის წლები. გირჩევ, სასწრაფოდ დაშორდე. და კიდევ, თავის მოკვლა გამოსავალი არ არის. უფალი გფარავდეს".

იკუზკები:

„პირველი და უმთავრესი შეცდომა ისაა, საქმროს ყოფილ შეყვარებულზე რომ დაელაპარაკე. შენ მაშინაც შეცდი, როცა პოლიციელზე გათხოვდი ანუ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდი და ამით საკუთარ თავს პრობლემები შეუქმენი. შენი ქმარი პათოლოგი და სასტიკი ადამიანია. ალბათ, სამსახურში „შავი" სამუშაოს შესრულება უწევს და ამიტომაცაა ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი. მშობლები ან ნათესავები არ გყავს? ადექი და დახმარება მათ სთხოვე... ან კი საერთოდ, ასეთი ავადმყოფისგან შვილი რად გინდა, მერე ხომ საერთოდ ვეღარ მოიშორებ?!. არ ვიცი, სხვა რა

უნდა გირჩიო. მხოლოდ მისი მიტოვება თუ მოგიტანს შვებას. ასე რომ, ძალა, გამბედაობა მოიკრიბე, ცხოვრებას ნურავის გამო დაიმახინჯებ და მაგ ვირს (უკაცრავად) საკუთარ ღირსებას ნუ შეალახვინებ".

სვანის ასული:

„ერთმა შეცდომამ, შენი აზრით, უწყინარმა საქციელმა ლამის ცხოვრება დაგინგრია. ქმართან ასეთი გულახდილობა საჭირო არ იყო. ახლა როგორმე უნდა დაარწმუნო, რომ ისაა შენი აწმყოცა და მომავალიც, რომ მხოლოდ მასთან გინდა, ბედნიერება... ისე, ყველანი პოლიციელის სისასტიკეზე რატომ ლაპარაკობენ? ნუთუ, მართლა ასეთი აუტანლები არიან?.."

მტირალა:

„გამარჯობა. ჯერ არ ვიცი, ჩემს ცხოვრებაში რა შეიცვლება, ამ ყველაფერს როგორ გადავიტან, მაგრამ მაინც, მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც რჩევა მომცა. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. ლიკა, შენ და „გზას" უღრმესი მადლობა".

იკუშკები:

„ანიკო, ძალიან გამიხარდა, შენი ამბავი რომ შეგვატყობინე. როგორც ჩანს, ნიკას მართლა ყვარებიხარ. აკი გითხარი, ნამდვილი სიყვარული ბევრ განსაცდელს გაუძლებს-მეთქი. დიდ ბედნიერებას გისურვებთ, ლამაზი და მყარი ოჯახი შეგექმნათ! მერწმუნე, თქვენს ცოლ-ქმრულ სიყვარულს აღარაფერი დაემუქრება. ხალხო, ხომ ხედავთ, ნამდვილ და ღირსეულ სიყვარულს რამდენი რამის გადატანა შეუძლია. ანიკო და ნიკა, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ".

მამიდაშვილისა და ქმრის გაბუტვით გულნატკენი

„თუ ასე გააგრძელებთ, ორივეს მიგატოვებთ"

„ლიკ, ასე როგორ შეიძლება?! ჩემი თხოვნა არაფრად ჩააგდე, არადა, თქვენი დახმარება ძალიან მჭირდებოდა. ნინი", — ეს მესიჯი წინა კვირას მივიღე. მოგეხსენებათ, თქვენ მიერ გამოგზავნილ „ესემესებს" რიგითობის მიხედვით ვბეჭდავ და ამის გამო, გული არ უნდა დაგწყდეთ... ნინი, შენი მესიჯის დაბეჭდვის დროც დადგა და იმედია, „გზის" მკითხველების რჩევებს კვლავ ელოდები.

ნინი:

„გამარჯობა. ლიკა, ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება და იმედი მაქვს, რომ ჩემს ტკივილს გულთან მიიტანთ და არც რჩევებს დაიშურებთ. მეოთხე წელია, რაც მამიდაშვილ ბიჭთან, ბექასთან ერთად ვცხოვრობ (უფრო სწორედ, ვცხოვრობდი). მას გული აწუხებს, ძალიან ცუდადაა და ჩემ გარდა მომვლელი არავინ ჰყავს, რადგან მხოლოდ მე მიჯერებს. თუ მის გვერდით არ ვარ, არც ექიმის მიერ დანიშნულ წამლებს სვამს. ჩემი საქმროც იმავე კორპუსში ცხოვრობდა, სადაც ჩვენ. ბექას მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. რამდენიმე კვირის წინ ნიკას ცოლად გავყევი და საცხოვრებლად მის სახლში გადავედი. მას შემდეგ ბექა ხმას არ მცემს და ნიკაც არ მიშვებს მასთან. უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა, ძალიან დამღალეს. „გზას" ორივე კითხულობს და მინდა, თქვენი მეშვეობით მათ მივმართო: თუ ასე გააგრძელებთ, ორივეს მიგატოვებთ და ჩემს ძმასთან წავალ!.. ხალხნო, დამეხმარეთ და მითხარით, როგორ შევაგნებინო მათ, რომ ჩემთვის ორივე ძვირფასია, რომ უაზრო კინკლაობით გულს მტკენენ. რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას".



„რა ვუთხრა დედამთილს, რომელსაც ჰგონია, კოლეჯში ვსწავლობ?"

ლელა:

„ლიკ, მგზავნელების დახმარება და რჩევა ძალიან მჭირდება. ამ ზაფხულს გათხოვებას ვაპირებ. მომავალი მეუღლის ოჯახში ყველას უმაღლესი განათლება აქვს, ზოგი ბაკალავრია, ზოგი — მაგისტრი, მე კი კოლეჯის დიპლომიც ვერ ავიღე, თანხის გადაუხდელობის გამო. რა ვუთხრა დედამთილს, რომელსაც ჰგონია, კოლეჯში ვსწავლობ?.. უდიპლომობას ძალიან განვიცდი. გთხოვთ, ამ ყველაფრის შესახებ თქვენი აზრი გამიზიაროთ".

P.S. მაშ ასე, თუ ნინის და ლელას წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

ქუდი თუ მოინდომებს...

მარი ხაფარიძე



დასაწყისი იხ. „გზა“ №№22-24

კატო: მე მელოდი თუ თავს იქცევდი ნეტავ, ჩემი წასვლიდან 2 საათის განმავლობაში? პირველს არ დავიჯერებ... მეორე კი არ მინდა, რომ დავიჯერო...

დათო: დილა მშვიდობის...

დათო: აუუუუუ... თავს იქცევ?

დათო: ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.....

კატო: უი, აქ ხარ? საიტი გახსნილი მქონდა და ვმუშაობდი. დღეს შაბათია და არ გელოდი ასე ადრე...

კატო: წახვედი უკვე??? მოხვალ, ნეტავ?

დათო: შენც მუშაობ შაბათს?

კატო: კი, შაბათს და კვირასაც კომპიუტერთან ჯდომა მიწევს.

დათო: სათვალეს ხმარობ? სურათში არ გეკეთა.

კატო: არა, არ ვხმარობ, ჯერ არ მჭირდება...

დათო: კომპიუტერი აფუჭებს თვალებს, ნერვებს, რეალობის შეგრძნებას...

კატო: ვიცი... და პირველ 2 პუნქტს ვეთანხმებოდი... მესამეს ჭეშმარიტებაში კი ახლა ვრწმუნდები.

დათო: დაიწყე ისევ არევა?

კატო: არაფერს არ ვურევ... რა გინდა, რას მეჩხუბები, 2 დღეა?

დათო: მაპატიე, არ მინდოდა შენი წყენა.

კატო: მიბრიყვებ... და შენი გავლენის ქვეშ მაქცევ, ვგრძნობ. ახლა მეტყვი, ისევ აურიეო... და აღარსად მივდივარ.

დათო: არც 19-ში?

კატო: კი, მაშინ კი და ალბათ მანამდეც...

დათო: და სად აპირებ წასვლას?

კატო: ახლა ცოტა დავფრთხი... მეგონა, შენც გინდოდა ჩემთან შეხვედრა...

დათო: მოკლედ, ეს ეჭვები... ჰოდა, სად ვაპირებთ წასვლას?

კატო: ახლა სწორადაა კითხვა დასმული... ეგ შენთვის მომინდვია... მამაკაცი შენ ხარ. შესაბამისად, უფრო გამოცდილიც და იცი, სად შეიძლება, წავიდეთ.

დათო: როდის?

კატო: როცა შევთანხმდებით.

დათო: რაღაც, ვერ ვარ კარგად, ეტყობა, ზედიზედ ორი დღის ქეიფმა იმოქმედა.

კატო: ვგრძნობ, რომ რაღაც ხდება. ვერ გცნობ.

დათო: ჰო, თან დღეს ნათესავი ჩამოვიდა უცხოეთიდან, 2 წლის უნახავი და მგონი, კიდევ მომიწევს დალევა.

კატო: არა უშავს, გაუძელი... იმედია, შენი უგუნებობა ჩემთან კავშირში არაა...

დათო: არა, ჩემო სიცოცხლევ, ახლა შენ თუ მიშველი.

კატო: როგორ? მე რა შემიძლია? იმ შენს ნათესავთან ერთად მე ხომ არ დავლევ? :)))

დათო: შენი ალერსი მჭირდება.

კატო: სიტყვებს ვეძებ, რომ მოგეფერო... ვირტუალური მოფერებისთვის საჭირო ტექსტის მოფიქრება არც ისე იოლია, მაგრამ ვეცდები... ოდნავ განათებული ოთახი... შენ და მე... გავაგრძელო?

დათო: კი.

კატო: შენ დივანზე ზიხარ... მოშვებული... მოდუნებული... ფეხები მუხლებში მოხრილი და გაშლილი გაქვს, ხელები ფეხებზე გიდევს... თავი საზურგეზე მიყრდნობილი და მიყურებ... მე შენ წინ, მაგიდის კიდეზე მიყრდნობილი გიყურებ და ძალიან ვღელავ... ვიცი, ახლა რაღაც ისეთი უნდა მითხრა, რისი გაგონებაც ასე ძალიან მინდა, მაგრამ თან მაფრთხობს...

— მოდი ჩემთან... — ეს ის სიტყვებია, რომელიც ყველაზე სასურველია ამ დროს...

მე ისევ გიყურებ, ადგილიდან არ ვიძვრი იმიტომ, რომ ნაბიჯის გადადგმის უნარი არ მაქვს. მაშინ შენ თავად დგები და მოდიხარ ჩემთან... ხელებს წელზე მხვევ, ცხვირს ჩემს თმაში მალავ და ჩემს სურნელს შეისუნთქავ...

— არ გინდა ჩემთან? — მეკითხები და შენი ხმა ძლივს მესმის...

— ძალიან, — ვჩურჩულებ და მთელი ტანით გეკრობი...

მკოცნი ლოყაზე... კიდევ... თვალებზე, მთელ სახეს მიკოცნი და ტუჩებისკენ მიიწევ ნელა... ტუჩის კუთხეზე მეხები და ჩერდები... თვალებში მიყურებ, თითქოს ჩემს თანხმობას ელი...

მერე კი... კოცნაზე მხურვალედ გპასუხობ... გავაგრძელო?

დათო: კარგი, აღარ შემიძლია ამის გაძლება.

კატო: ხელი არ სჯერდება ქსოვილის შეხებას... კაბის ღილებს ხსნი თითებით... თითოეული ღილის ადგილს ახლა შენი კოცნა იკავებს... აქ გავჩერდები... ეს პირველი სერიის დასასრულია... გაგრძელება ექნება თუ არა, არ ვიცი...

კატო: სად ხარ... ცოცხალი ხარ?

დათო: რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს?

კატო: რატომ, რა იყო?

დათო: ამ ყველაფრის წაკითხვის შემდეგ?!..

კატო: გავაგრძელო? გინდა, დავასრულო ფილმი?

დათო: კარგი, გეყოფა!

კატო: როგორც გინდა...

კატო: ხმა გამეცი... რაღაც გაწყენინე?

დათო: ჰო, ვტირი.

კატო: რაააა??? ტირი? რა გატირებს?

დათო: სატირლად არ მაქვს საქმე?

კატო: არა მგონია...

დათო: ასე გინდოდეს ფიზიკური სიახლოვე საყვარელ ქალთან და ვირტუალური ურთიერთობით ტკბებოდე, ეს მაზოხიზმია.

კატო: ეს იყო ჩემი ოცნების ერთი პატარა ნაწილი...

დათო: და არაა შორს ის დრო, როცა ეს ოცნება ახდება... თუმცა, დღეს არც შენ გცალია და არც მე... როდის მოიცლი? მეტი აღარ შემიძლია.

კატო: მალე!

დათო: მეტს აღარ გეტყვი, შენ დაგელოდები.

კატო: კარგი, მე გეტყვი... გაგაგონებ ჩემს ძახილს...

კატო: და არსაიდან ხმა, არსით ძახილი? მხოლოდ სექსუალური ინტერესი და ამით დავასრულეთ?

დათო: ნუ დაიწყე ახლა ქალური წუწუნი. ვერ ხედავ, ხმას რომ ველარ ვიღებ?

კატო: მე და ვწუწუნებ? არაااა... იყავი მაშინ ასე, მუნჯივით და მიეცი გასაქანი შენს ფანტაზიას. და მე ხომ ქალი ვარ... წუწუნიც მომიხდება, მგონი... დაგავიწყდა?

დათო: რა დამავიწყდა, ქალი რომ ხარ?

კატო: ჰო, ქალი რომ ვარ...

დათო: საქმეც ეგაა, რომ მუდმივად მახსოვს... კარგი, კარგი, დღეს ვატყობ მართლა ვერა ვარ.

კატო: ეს იმას ნიშნავს, რომ მიდიხარ? დაგემშვიდობო?

დათო: ჯერ რაღაც დასამთავრებელი მაქვს, ალბათ 30 წუთი კიდევ ვიქნები. გამიშვებ?

კატო: მეტი გზა არ მაქვს... ვატყობ, რომ ცუდად ვმოქმედებ შენზე... თითქოს „დაგგრუზე" და ცუდ გუნებაზე დაგაყენე... თავს ზედმეტად ვგრძნობ დღეს...

დათო: არა, ჩემო სიხარულო, დღეს ერთი სული მქონდა, შენს „ხმას" როდის გავიგებდი.

კატო: 8.99.25.....

დათო: ენა ჩამივარდა.

კატო: რატომ... არ გეგონოს, ვერ მივხვდი, რომ ხმის გაგონებაში მესიჯებს გულისხმობდი...

დათო: არ ვიყავი მზად ასეთი შემოთავაზებისთვის. ახლა აქედან ვერ დაგელაპარაკები.

კატო: არ ვიცი, რა გითხრა... შენ მაგისთვის არ იყავი მზად და მე იმისთვის უნდა ვიყო მზად, რომ შეგხვდე? იმას მეუბნები, რომ შევხვდებით თუ არა, უნდა მომეფერო და ჩამიხუტო და ნუთუ ამაზე მეტი მომზადება უნდა ტელეფონის ნომრის გამხელას? არ ვიცი, ერთმანეთთან რაღაცები არ ჯდება... მარტო ეს კი არა, ბევრი რამე... ძალიან ბევრი... ნუ დამირეკავ და ნურც დაიმახსოვრებ ნომერს... არაა აუცილებელი...

დათო: დაიწყე ისევ? აქედან ვერ დაგელაპარაკები ნიშნავს იმას, რომ აქედან სასიყვარულო საუბარს ვერ გავაბამ. გასაგებია?

კატო: მაგას არ ვგულისხმობდი... მზად არ ვიყავიო, რომ მითხარი, იმის გამო მოგწერე — ჩათვალე, რომ არ მითქვამს ნომერი-მეთქი... არაფერ შუაში იყო დარეკვა... ასეთი რაღაცები არ მეშლება...

დათო: ხალხი მყავდა. მესმის შენი და ძალიან გთხოვ, ნუ ბრაზდები.

დათო: შევრიგდეთ?

კატო: ჰო.

დათო: აღარ მებუტები?

კატო: არა.

დათო: მაშინ მაკოცე.

კატო: გკოცნი.

დათო: დღეს ეტყობა ნეგატიური დღე მაქვს. ბოდიშს გიხდი, ყველაფრისთვის.

კატო: უკვე 2 დღეა, ნეგატიური დღე გაქვს... არა უშავს, ვიტან, ხომ ხედავ...

დათო: კარგი გოგო ხარ. ისეთ დროს დაგირეკავ, მოულოდნელი რომ იყოს შენთვის ჩემი ხმის გაგონება.

კატო: როგორც გინდა... არ შეგეშინდეს, დაფარული ნომრით დარეკე თუ გინდა... არც ის მეწყინება, თუ არ დარეკავ...

დათო: აბა, შევრიგდითო?!

კატო: შევრიგდით, კი... არ მინდა, თავი ვალდებულად ჩათვალო... ვიცი, ფრთხილობ, გეშინია, ნომერი რომ გავიგო არ დაგირეკო უდროო დროს ან არ დაგიმესიჯო... ეგ არაა პრობლემა. ჩემს ნომერს შენს ტელეფონზე ვერასოდეს დააფიქსირებ...

დათო: აბა, შევრიგდითო??????

კატო: შენ არ გიკოცნია, ეგ მე შეგირიგდი...

დათო: გიკოცნი ფეხის თითებს, მუხლებს, მკერდს და საერთოდ, არც ერთ ადგილს არ დაგიტოვებ უკოცნელს.

კატო: აი, ახლა შევრიგდით...



დათო: უნდა წავიდე სიხარულო, მიშვებ?

კატო: არა, შენთან მინდა!

დათო: გამიშვი, რომ დაგიბრუნდე.

კატო: დროებით, გკოცნი... ჩემი გული თან მიგყვება.

დათო: შენ კი დღეს დამცალე და გამომფიტე. გკოცნი ბევრს, ჩემო სიცოცხლევ.

კატო: კი არ დაგცალე, აგავსე... დაცლა — მერე...

დათო: პკ, პკ.

3 მაისი 11:35

დათო: კარგია, რომ ახლა საიტზე არ ხარ. დღეს კვირაა და სპეცი-

ალურად მოვედი სამსახურში, რომ მოგწერო გუშინდელ გაუგებრობასთან დაკავშირებით: თუ გახსოვს, მე ადრე გითხარი, შენი ცხოვრების დეტალები არ მაინტერესებს-მეთქი. შევეცდები, აგიხსნა: ჩვენი ურთიერთობა დაიწყო მიმოწერით. მიმოწერა გადავიდა ერთმანეთის მიმართ ინტერესში. ინტერესმა გააჩინა დამოკიდებულება, სურვილი და რაც ყველაზე მთავარია — სიყვარულის შეგრძნება, რამაც თავისთავად მოიტანა გიჟური ვნება. საოცარია, რომ ეს ყველაფერი მოხდა ისე, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ (თუ არ ჩავთვლით სურათებს) და ეს არის ყველაზე მეტად დამაინტრიგებელი. მე არ ვიცი შენი გვარი, სად გაიზარდე, სად სწავლობდი, სად მუშაობდი, როდის დაოჯახდი, ახლა რას საქმიანობ, რა შემოსავალი გაქვს, რა მანქანა გყავს, როგორი ტელეფონი და არც მათი ნომრები. არც მაინტერესებს! მე შენ შეგიყვარე ამ ყველაფრის გარეშე და ეს არის გადამწყვეტი. ამიტომ ჩვენ რაც შეიძლება, მალე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, თვალებში ჩავხედოთ და...

არ მინდა, ყოფითმა წვრილმანებმა რაიმე როლი ითამაშოს ჩვენ შორის. არ ვიცი, შევძელი თუ არა ამეხსნა, რასაც შენ მიმართ ვგრძნობ. იმედია, გამიგებ.

4 მაისი. 13:05

კატო: აბსოლუტურად სწორად მესმის, რაც მითხარი... გეთანხმები კიდეც... ჩემს უამრავ ფიქრს შენზე ფიქრიც დაემატა, ამ ბოლო დროს. არ ვიცი, ამას რა ჰქვია... შენ სიყვარულს უწოდებ და შეიძლება, ასეცაა. თავისებური, უცნაური და ალბათ უპერსპექტივოც, მაგრამ მაინც — სიყვარული... იქნებ სწორედ ამიტომაა ასე საინტერესო და ტკბილი... შენ შეავსე რაღაც სიცარიელე, რომელიც არსებობდა... თუმცა, ისეთი შეგრძნება მაქვს, შეიძლება უეცრად აორთქლდე და ეს სიცარიელე ისევ დარჩეს...

ხანდახან ვფიქრობ, მჭირდება კი ის, რასაც ასე ვნატრობ... მჭირდება კი, შენი სიყვარული... ალერსი... ალბათ მჭირდება, რადგან გული ასე ითხოვს... რაც შეეხება ყოფით წვრილმანს, რომელსაც ჩემი ტელეფონის ნომერი ჰქვია და რომელმაც გუშინ შენი ასეთი გაოგნება გამოიწვია, ეს უბრალოდ, კომუნიკაციის საშუალებაა და მეტი არაფერი... ნუთუ შეხვედრის შემდეგაც არ იქნება საჭირო ეს წვრილმანი? თუმცა, მერე უფრო აღარ იქნება საჭირო... ერთადერთი შეხვედრა გაცილებით რომანტიკული იქნება, ვიდრე რამდენიმე... ეს ყველაფერი სიზმარია და სიზმრადვე დარჩება...

დათო: ნუ გამოიჩენ ნათელმხილველურ ნიჭს და წინასწარ ნუ განსაზღვრავ, რა იქნება ხვალ.

კატო: როგორ ხარ?

დათო: კარგად, შენ რასა იქმ? სად დამეკარგე? სამწუხაროა, რომ დღეს ვერ გელაპარაკე. არადა, უკვე საღამოა. დამძიმებული მოვდიოდი დილით, ჩემი გუშინდელი, ვრცელი მესიჯის გამო.

5 მაისი. 07:05

კატო: არ მიყვარს თეთრი იასამანი,
ის გაგიჟებულ თვალებს ამირევს,
ჩემი ფეტიში, ლურჯი დამანი,
შენს მოლოდინში გულს გადამილევს,
ჩვენ თუ ორივეს გრძნობა დაგვნებდა,
დავწურავთ განცდებს, ვით მწიფე მტევანს,
ვნება ავისხათ ტანზე წვეთებად
და წინ გავუსწროთ ადამს და ევას,
ზღვას ჩავეხლართოთ დაშლილ ზოლებად,
დღე ღამე ვკრიფოთ და ღამე — დღისით,
გრძნობა ალერსით გაიზომება
და მე ვიცოცხლებ იმ ერთი დღისთვის,
მაგრამ მე ვნება არ დამასვენებს,
უხმო ლოდინით მოვირკალები,
დაიბნა ხედვა, აღარ მასვენებს,
ურუანტელი და... შენი თვალები.

დათო: მოვედი, შენთან ვარ.

კატო: გამიხარდა... გელოდი...

დათო: მეც.

კატო: როგორ გუნებაზე ხარ?

დათო: კარგი. შენ როგორ ხარ?

კატო: მეც არა მიშავს... ძლივს ვხსნი მესიჯებს. მოკლედ, კომუნიკაცია არ გვივარგა.

კატო: ახლა თითქოს გამოსწორდა. რა ქენი, უმასპინძლე სტუმრებს?

დათო: სხვა რა გზა მქონდა? შენ გუშინ გეტყობა, არ გეცალა.

კატო: საქმე მქონდა. მთელი დღე ვერ მოვიცალე... მარტო საღამოს, გვიან. რაღაცა გაწყდა თითქოს, ჩვენ შორის...

დათო: ნუ ხარ ეჭვიანი!

კატო: აბა, სხვისთვის არ მემეტები და რა ვქნა? არ ვიეჭვიანო?

დათო: მე მხოლოდ შენი ვარ (მეუღლე არ იგულისხმება).

კატო: შემოგევლეეე...

დათო: ანდა, სხვაგვარად როგორ მოიქცევა კაცი, შენი ლექსების მერე?

კატო: ეგ ისე, რომანტიზმისთვის...

დათო: შენ რომანტიზმი დაარქვი, მე კიდენა, ნაწუწნ კანფეტს დამამსგავსე.

კატო: არ გახდე, გამხდარი კაცები არ მომწონს.

დათო: არა, შენთვის პატარა ღიპს („ტრუდოვაია მაზოლ“) დავიტოვებ. :))

კატო: კარგი, ასე მოიქეცი...

დათო: ახლა მუშაობ?

კატო: კი.

დათო: მეც წინ და უკან მიწევს სიარული. ოფისში რაღაცებს ვამონტაჟებთ.

კატო: მანდ უფროსი შენ ხარ თუ გყავს უფროსი კიდევ?

დათო: უფროსიც ვარ და უფროსებიც მყავს.

კატო: ჩემი ბასასუნა უფროსი ვინაა?

დათო: ბასასუნა მაგარია. საიდან დაასკვენი, უფროსი რომ ვარ? ჩემმა სურათმა შეცდომაში არ შეგიყვანოს.

კატო: ვااا... შენ არ მითხარი, 2 წუთის წინ? სურათმა რა უნდა მითხრას შენს უფროსობაზე? კარგი, رااا... დამცინი?

დათო: არა ძვირფასო, მაგას ვერ შევძლებ.

კატო: აბა რა... ხან მეუბნები, უფროსიც ვარო, ხან მეუბნები, საიდან მოიტანეო... ჩემთვის შენს უფროსობა-დამლაგებლობას მნიშვნელობა რომ არ აქვს, ამას კი უნდა მიმხვდარიყავი... არასოდეს მიკითხავს, ამის შესახებ...

დათო: ოოო, დაიწყო ქალური სიკაპასე. უფროსი ვარ, ნიშნავს — დირექტორი ვარ...

კატო: არ მაინტერესეეეეეებს! მენატრები... წავედი ახლა, სამსახურში მივდივარ. მაკოცე

და წავალ...

დათო: როდის მოხვალ?

კატო: დღეს აღარ... ხვალ... დაგავიწყდა ჩემი გრაფიკი?

დათო: არ გიშვებ!

კატო: გამიშვი... მაგვიანდება... მაკოცე და წავალ.

დათო: შენთან მინდა...

კატო: მეც მინდა შენთან.

დათო: როდის!

კატო: არ ვიცი, პარასკევს მოვილაპარაკოთ, მანამდე ვერა...

კატო: გამიშვიიიიიი!!!

დათო: გკოცნი ყელში.

კატო: ამ კვირის ბოლოს თუ მოვახერხეთ, შევხვდეთ... ფრთები არ გაშალო აქ ახლა, მე რომ წავალ და არ მიღალატო, ვიგრძნობ და დაიბრიდები, იცოდე...

დათო: მაგას ვნახავთ, ვინ — ვის და როგორ...

6 მაისი. 16:30

დათო: გიორგობას გილოცავ, მრავალს დაესწარი.

კატო: გმადლობთ, მეც გილოცავ.

დათო: თავი მომანატრე...

დათო: აქ ხარ, ჩემო სიცოცხლევ?

8 მაისი. 12:09

დათო: გუშინ დილით რომ შემოვედი, საიტზე იყავი და უცბად გახვედი. დღესაც იგივე. რა ხდება? ბავშვები ხომ არ ვართ, ერთმანეთს ვემალოთ?

კატო: ეგ რა შუაშია, გაგიჟდი? რატომ უნდა დაგემალო? ასეთმა აზრმა საერთოდ როგორ გაგიარა თავში?

კატო: დილიდან გელოდი. მეგონა, 10 საათისთვის მოხვიდოდი... ისევ აგცდი. მოხვალ, ნეტავ?

დათო: აქ ვარ.

კატო: აქ ხარ და გკოცნი.

დათო: მეც გკოცნი უამრავს. ცოტა მანერვიულე.

კატო: ნუ ხარ ეჭვიანი... ვერ შეგხვდი, უბრალოდ...

დათო: კარგი, მჯერა. როგორ ხარ?

კატო: კარგად, რა მიშავს... ცოტა სიცხე მაქვს და ეგაა.

დათო: რატომ? გაცივდი ხომ, ჩემს არყოფნაში.

კატო: ჰო... საბანი რომ წამართვი, იმიტომ.

დათო: რა ეშველება დღევანდელ ჩვენს შეხვედრას?

კატო: ეეეჰ... სახლიდან ვერ გავდივარ... ყელი მტკივა და სიცხე იმიტომ მაქვს...

დათო: ვერ წარმოვიდგენდი, დღეს თუ ვერ გნახავდი. მოუთმენლად ველოდი ამ დღეს.

კატო: ისე, დღეს პარასკევია.

დათო: მერე?

კატო: მერე, ჩვენ ხომ შაბათს ან კვირას უნდა შევხვედროდით? როგორც მახსოვს, ასე შევთანხმდით.

დათო: წესით, დღეს უნდა შევხვედროდით.

8 მაისი, საღამო.

დათო: როგორ ხარ, ჩემო ავადმყოფო? ახლა მობილურით გწერ. დილით ინტერნეტი გაითიშა. მერე მობილურზე გირეკავდი და გათიშული გქონდა. ხვალ შევეცდები, დაგიკავშირდე.

დათო: მომხედე, თორემ სხვაგან ვარ და ველარ დაგელაპარაკები.

კატო: არა მიშავს... დღეს ისევ სახლში ვარ... სუსტად ვარ და სიცხემაც დამიკლო.

9 მაისი. 12:44

დათო: ტელეფონი გათიშული გქონდა გუშინ?

კატო: კი, ახლაც გათიშულია...

დათო: რატომ?

კატო: სახლში რომ ვარ, ათასი ადამიანი მაწუხებს, საქმეზე მირეკავენ და დედამ „ჩამომართვა“,



რომ რაიმე გადაუდებელ საქმეზე არ დამირეკონ და არ გავექცე სახლიდან... იცის, ჩემი ხასიათი.

დათო: მდა�ა... მე რომ არა ვარ, სხვებს ხომ არ ეკურკურები?

კატო: შენ როგორ ფიქრობ? გინდა, ჩემს ანკეტაზე დავაწერ, აღარ დამეკონტაქტოთ, ვიპოვე, რასაც ვეძებდი-მეთქი? სულ გავაუქმებდი, მაგრამ სხვა შანსი არ მაქვს შენთან საკონტაქტოდ, ჯერჯერობით.

დათო: რა იყო, როგორ მომაყრი ხოლმე საყვედურებს. ვიხუმრე, არისტოფან!

კატო: არ მისაყვედურია... ვიფიქრე, იეჭვიანე და პასუხი დაგიბრუნე... ეეეჰ...

დათო: ჰო, კარგი, ვაღიარებ — ვეჭვიანობ. როდის გნახავ?

კატო: რომ გამოვკეთდები.... ახლა გადაგდებ ანგინას...

დათო: არ ზეიმობ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს?

კატო: ჰო, კი, დილით „დენ პაბედის“ მოვუსმინე :)).

დათო: მე კი მომიწევს დღესაც და ხვალაც ქეიფი. შენს სადღეგრძელოს სიყვარულის სადღეგრძელოთი შევფუთავ.

კატო: კარგი, გამიხარდება... ავადმყოფების გამოჯანმრთელების სადღეგრძელო არ დაგავიწყდეს... როგორაააა? მწოლიარეებს გაუმარჯოსო, არა?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფოტო, რომელიც ნეირონს ღაჯარგვა



• „გაები ჩიტო მახეში?“

• „სუსტი სქესის ძლიერი მხარე“.

• „ეჰ, ვახუშტი, ვახუშტი, ეგ რა ბიჭი გაფუჭდი“. შოკოლადა.

• „მე არ მომიკლავს დედაშენი, ა-აა-ااااا!“

• „დაგასწარი, ზედა პოზა ჩემია“. მისტერ.

• „ტეფიცები, კელაფელს დაგივჯელებ, ოლონდ ამჯელადაც მაპატიე დედიკუნა. მე შენი შვილი ალა ვალ?“ გრუზინკა.

• „ხომ გითხარი, მწვრთნელის გარეშე რინგზე ნუ გახვალ-მეთქი“. გრუზინკა.

• „ტენდერული ომი ანუ გათიშე და იბატონე“. მაკა ფარეიშვილი.

• „ქალმა როგორ დაგამარცხა, არ გრცხვენია ძამია? წელზე შემოგჯდომია და მოგამტვრია მხარია“. ქალი ცდუნება.

• „ტეყო რაც მცემე, მაწვალე, ახლა კი ჩემი ჯერია, შეხედე, ყველა დაგცინის, ქალი რომ შენ მოგერია, თავი სპორტსმენი ტეგონა, თითქოს იყავი მძლეთამძლე, მსაჯი სიცილით კვდებოდა, გათოკილ კაცს რომ ხედავდა, კაცი სირცხვილით იწვოდა, ხმის გაცემას ვერ ბედავდა, რას გაბედავდა საწყალი, ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული, ნუთუ მე ქალი მერევა, რადა ვარ ასე ბედკრული?... სურვილი მქონდა მეცემე, მეტის მოთმენა ვერ შევძლე... სევდიანი ქალი“.

• „ვერ გიშველის ველარც მსაჯი, ვერც პირველი შენი ცოლი, რინგზე ისე დაგაკარი, ვით თონეში — პურის ცომი“. სევდიანი ქალი.

• „მსაჯმაც ველარ შემაჩერა, შენზე ჯავრი ვიყარე, ჩემი დაგრეხილი თოკი ხელ-ფეხში გაგიყარე, შეგკოჭე და ძირს დაგაგდე, ზემოდან მოგავჯექი, ტეგონა შენ მავჯობებდი? რა მხდალი გამოდექი!“ სევდიანი ქალი.

• „მსაჯი: გადაუგრიხე ხელი, მიდი ქალო, მიდი!

• ქალი: გადაუგრიხე კარგია, მიძალიანდება“... ლა-ლილა.

• „ქალმა თუ მოინდომა, კაცს ყოველთვის ასე დაამარცხებს“. ლა-ლილა.

• „— ჩქარა თქვი, მღალატობ თუ არა სხვასთან!

• — ااااარ ვიცი“. სოფიელა.

• „რამდენჯერ უნდა დაგიმტკიცო, რომ ვერ მერევი? ერთით ნული. ქალებო, ვისაც ქმარი არ გივჯერებთ, ამ დღეში ჩააყენეთ და ყველაფერი კარგად იქნება“. სოფიელა. ●

ეშმაკის ძოწეული

დასაწყისი — „გზა“, №38-24

მარი ჯაფარიძე

— შენთან ვართ, კი, — ქართულად მითხრა.

კაცს სულ 3 ნაბიჯი დასჭირდა, რომ საწოლამდე მოსულიყო. ქალი ისევ იქ დარჩა.

ისევ დავხუჭე თვალები და ვცადე გამეხსენებინა, სად მყავდა ეს ადამიანი ნანახი. გონებას ძალას ვატანდი, მაგრამ ვერ ვიხსენებდი.

უეცრად, შემეშინდა, ამნეზია ხომ არ მაქვს-მეთქი და ვცადე, სხვადასხვა დროს მომხდარი ამბები გამეხსენებინა. ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად მახსოვდა. თვალწინ გაირბინა ბავშვობის წლებმა, სტუდენტობამ, მელანოს და ჩემმა ურთიერთობამ, ციხემ, მშობლების სიკვდილმა, ბოლო დროს მომხდარმა მოვლენებმა... ამას ალბათ რამდენიმე წამი დასჭირდა.

უეცრად, გონება გამინათდა და თვალები გავახილე.

თავზე დამდგარ მამაკაცს ყურადღებით დავაკვირდი.

თვითონაც თვალს თვალში მიყრიდა.

— ნუგზარ ქურასბედიანი? — ვიკითხე გაოცებულმა.

სიტყვა „მამას“ წარმოთქმა ვერ გავბედე.

— ჰო, — თავი დააქნია და ჩემკენ დაიხარა. მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

საბანი გადასწია და მკერდზე მაკოცა. შიშით ავწიე მარჯვენა ხელი და თმაზე შევეხე. თავი რომ ასწია, მკერდზე სველი კვალი დარჩა.



ერთადერთი ისე არ გაჩერებს
საქმესხოლში, შოკისაც ოყანა ხედვის
საშიერში დანახული შეთის შანჩანა

თვალი ახლა ქალისკენ გავაპარე. იქ აღარავინ იდგა. ეტყობა, ქალი არც შემოსულა, მომეჩვენა-მეთქი, გავიფიქრე და მზერა ისევ ნუგზარზე გადავიტანე.

— თქვენ მამაჩემი ხართ? — ხმის კანკალით ვკითხე.

თავი დააქნია. ჩემი ხელი ხელში ეჭირა და თითებს ნაზად მიჭერდა. საოცარი სითბო მეღვრებოდა მთელ სხეულში. თვალებით მეფერებოდა...

— ჩვენი შეხვედრა სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი, — ჩუმად ვთქვი. მეგონა, ვერ გაიგონებდა, მაგრამ ტუჩების მოძრაობით მიხვდა, რაც ვთქვი.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, როგორ შევხვდებოდით? მთავარია, რომ ახლა კარგად ხარ და არ დავიღუპეთ. თანაც, ხომ შევხვდით?

— მე ლენინგრადში ვაპირებდი წამოსვლას. ის რომ არ შემმთხვეოდა, მეორე დღეს უნდა წამოვსულიყავი.

— ვიცი, ეგ ყველაფერი ვიცი...

— ის ქალი... — თითი კარისკენ გავიშვირე.

— დედაშენია, — მითხრა და თვითონაც უკან მიიხედა. იქ ვერავინ დაინახა და შეშფოთდა. სწრაფად დაიძრა კარისკენ, მაგრამ ვიდრე მივიდოდა, კარი გაიღო, ექიმი შემოვიდა და ის ქალიც შემოიყვანა. ტირილით თვალები დასივებოდა.

— გაიცანი, ეს დედაშენია, — მითხრა ექიმმა ღიმილით და ქალს მსუბუქად ხელი ჰკრა.

ნუგზარმა იქვე, საწოლთან სკამი დაუდგა და ლამის ძალით დასვა. ქალი ჩამოჯდა. თან თვალს არ მაშორებდა. ვგრძნობდი, რომ ახლა ერთი სული ჰქონდა, გულში ჩავეკარი და აბღავლებულიყო, მაგრამ თავს იკავებდა. არ ვიცი, სხვების ერიდებოდა, ჩემი რეაქციის ეშინოდა თუ იმის, რომ არ ავღელვებულიყავი.

— ბატონო ნუგზარ, თქვენთან საქმე მაქვს, — ექიმმა მამაჩემი გაიყვანა.

მარტო დავრჩი იმ ქალის პირისპირ, ვინც გამაჩინა, ვისი შვილიც ვიყავი და ვისი ნახვაც ასე მინდოდა. მამას ასე თუ ისე, სურათით ვიცნობდი, დედაზე კი

წარმოდგენაც არ მქონდა.

სახეზე დავაკვირდი. თითქოს სარკეში ვიყურებოდი. მზერაც კი მისი მქონდა.

— მეგონა, მამას ვგავდი, თურმე შენ ggavar, — გავუღიმე და ხელი ისე დავდე საწოლზე, რომ მომწვდომოდა.

მიმიხვდა და ხელით თითებზე შემეხო.

— როცა ბოლოს gnaxe, maSin, ai, asetai tiTebi gqonda, — gaiRima da saCvenebeli da cera tiTiT daaxloebiT 3-santimetriani monakveTi damanaxva.

— axla didi biCi var, — ჭირვეული ბავშვივით გამომივიდა ნათქვამი.

— ჰო, — თავი დააქნია, — axla didi xar, ძალიან დიდი.

სკამიდან ნამოვიხედა, მკერდში ჩამეკრო, სახე, ხელები, მკერდი, თმა დამიკოცნა.

— არ გინდა, შენს დიდ ბიჭს აკოცო?

ამის თქმა იყო და სკამიდან წამოვარდა, მკერდში ჩამეკრო, სახე, ხელები, მკერდი, თმა დამიკოცნა. თან ცრემლი სდიოდა. მეც ვტიროდი. როგორც იქნა, მისი სახე ხელებში მოვიქციე და ლოყები დავუკოცნე.

ცოტა ხანში ორივე დავმშვიდდით. მისი ხელი თმაზე მეფერებოდა. დაღლილობას და სისუსტეს თავისი გაჰქონდა და ძილი თავს მართმევდა. ტკბილი იყო ეს პროცესი და არ გავუძალიანდი. თვალები დავხუჭე და როგორც ჩანს, კი არ დავიძინე, გავითიშე.

თვალები რომ გავახილე, უკვე გათენებული იყო. ოთახი მზის სხივებით იყო გაჩახჩახებული. გვერდით ვიღაცის სუნთქვა მომესმა. თავი მივაბრუნე და დედა დავინახე. სკამზე იჯდა, თავი ჩემს თავთან ედო, ერთი ხელი ჩემს თმაზე შერჩენოდა, მეორე — მაჯაზე. არ გავინძერი, რომ არ გაღვიძებოდა, მაგრამ თვითონვე იგრძნო როგორც ჩანს და თავი წამოსწია.

— მთელი ღამე აქ იყავი? — გაოცებულმა ვკითხე.

— ჰო.

— მერე, ექიმებმა როგორ დაგტოვეს? შეიძლებოდა?

— მამაშენმა სთხოვა და დამტოვეს. თვითონ გარეთ ზის, დავუძახებ, — თქვა და ოთახიდან გავიდა.

აი, თურმე როგორები ყოფილან ჩემი მშობლები... როგორც იქნა, ვნახე... ასეთ შეხვედრას მართლა ვერ წარმოვიდგენდი. კედელზე დაკიდებულ საათს გავხედე, დილის 9 საათი იყო. შიმშილის ისეთი გრძნობა მქონდა, ახლა ჩემთვის რამე რომ არ ეჭმიათ, გავგიჟდებოდი.

ორივე შემოვიდა. ნუგზარს სახეზე ღამისთევის კვალი ეტყობოდა. თვალის უპეები ჩაშავებოდა და თვალები ჩასწითლებოდა.

მომიკითხა და ისიც იქვე ჩამოჯდა.

— ისე, რა დროს ესაა, მაგრამ მშია, — ვერ მოვითმინე, რომ არ მეთქვა.

— რას ჰქვია, — რა დროს ესაა? გშია და ახლავე ვეტყვი ექიმს, რა შეიძლება, რომ გაჭამოთ, — დედა გავიდა, მაგრამ ცოტა ხანში შემობრუნდა და თქვა, რომ ექიმი თვითონ მოვიდოდა და ყველაფერს გვეტყოდა.

ჭამის უფლება მომცეს, მაგრამ მხოლოდ ჩაი და გამომშრალი პური უნდა მეჭამა. ისე მშიოდა, ეს რას გამაძღებდა, მაგრამ რას ვიზამდი? უცებ გამიმზადეს ჩაი და დედაჩემმა თავისი ხელით მაჭამა. ვგრძნობდი, რომ ამას დიდი სიამოვნებით აკეთებდა. ისე მექცეოდა, თითქოს პატარა ბავშვი ვიყავი. არც მე ვიყავი ამის წინააღმდეგი.

შუადღის მერე ისევ გაივსო ოთახი ჩემი ახლობლებით. მელანო ისევ არ ჩანდა.

ცოტა ხანში კი ექიმმა ყველა გაყარა ოთახიდან — ავადმყოფს სიმშვიდე სჭირდებაო. ექიმს ვთხოვე, გოგასთვის მიეცა დარჩენის უფლება.

— გოგა, ახლა ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი და არაფერი დამიმალო, — ვუთხარი, როდესაც მარტო დავრჩით.

— რა გაინტერესებს?

— ყველაფერი, მაგრამ პირველ რიგში ის, სადაა მელანო?

— სახლშია, ფეხი აქვს მოტეხილი და წევს. აქ ვერ მოდის და გულზე სკდება.

— სად მოიტეხა ფეხი?

— მე და შენ რომ არკადისთან ვიყავით და მელანოსთვის სამსახური სთხოვე, გაუკეთა ის საქმე და ქარხანაში მოიტეხა ფეხი. უკვე 3 კვირაა, წევს, ფეხი თაბაშირში აქვს.

— სხვა? ნუგზარი საიდან მოვიდა? — რადგან მელანოს მხოლოდ ფეხი ჰქონდა მოტეხილი და სხვა უბედურება არ სჭირდა, ცოტა დავმშვიდდი.

— მამაშენზე მეკითხები?

— ჰო, მამაჩემზე.

— ეგ თავად მოვიდა. სიმართლე რომ გითხრა, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ გაიგო. მე არ მიკითხავს მისთვის და ალბათ თვითონ გეტყვის. კიდევ რა გაინტერესებს?

— ძვირი ჯდება ჩემი მკურნალობა?

— კი, საკმაოდ.

— მერე, ფულს ვინ იხდის?

— არც ეგ ვიცი.

— აბა, რისთვის დარჩი, თუ არაფერი იცი? — გავბრაზდი, რადგან მისგან ვერაფერი გავიგე.

— რა მექნა აბა? მითხარი, დარჩიო და დავრჩი. რა ვიცი, რისთვის მტოვებდი?

— წადი, — გაბრაზებულმა თავი მივაბრუნე და ძილისთვის მოვემზადე.

გოგა წავიდა, მაგრამ ორიოდე წუთში ანდრო შემოვიდა. არა, ამას მაინც დავაფქვევინებ რაღაცებს, გავიფიქრე და გავუღიმე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ითუ ყოველდღეს სიგარეტის მოწევას ანწავლი, ვინებას და ლოთობას თავად დანიყებს

18.06.- 24.06.2009

ფეხბურთი ბილეები

მარი ჯაფარიძე

ერეკლეს ბოლოზე



ხუთშაბათმშვიდობისა, ჩემო კარგებო და ზაფხულივით მშვენივრებო. როგორ ხართ? თუ ამ წვიმებს, ნიაღვრებს, ქარიშხლებსა და წყალდიდობებს გადავურჩით, ალბათ ან ოპოზიცია დაგვლუპავს, ან — „პოზიცია“. რა გვეშველება ნეტავ, ჰაა? უფრო სწორად, გვეშველება რამე? ეჰ, ისევ მე უნდა ვიტვირთო ქვეყნის გადარჩენის სიმძიმე. ძველი ანეკდოტი გამახსენდა, ქმარი გამთენიისას რომ მივა შინ და გაბრაზებულ, დოინჯშემოყრილ ცოლს რომ ეტყვის — ჰე, ქალო, მოიფიქრე რამე და თქვი, სად ვიყავი, თორემ დაგვენგრა ოჯახი. ჰოდა, თუ არ მოვკიდე ამ საქმეს ხელი, „დეგვენგრა ოჯახი“ და ეგაა. თანაც, წარსულში აქტიური პოლიტიკოსი, ყოფილი პარლამენტარი, ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატი, როინ ლიპარტელიანი მეუბნება, რომ თურმე ღვთისგან ყოფილა „დავალება“ მიღებული — საქართველო ჯაფარიძეებმა უნდა გადაარჩინონო. ჰოდა, ბატონო, ჩვენი „მობილი-ზაციის“ განცხადებების არ იყოს, ვარ „საქართველოს გადარჩენის შანსი“. პარტიის შექმნის მიზნით გავიცნობ მაღალ, სიმპათიურ, შეძლებულ (არა, ამერია მგონი, რაღაც — მაღალი და სიმპათიური არაა აუცილებელი, მთავარია, შეძლებული იყოს) მამაკაცს. გართობისთვის არ გამომეხმაუროთ (გასართობად არ გვაქვს საქმე). ტელეფონის ნომერი კი იცით და მსურველებს შეუძლიათ, შემეხმიანონ. ესეც ასე ერთ კარგ საქმეს საფუძველი ჩავუყარე. ახლა თქვენს მესიჯებს გაგაცნობთ.

ეროვნულმოძრაობელი, შეკრიული და სიმეორეხარისხოვანი ერეკლეიანელი ოფიციალურები



გულშემატკივარი

„თემის სათაური ჩემს ფიქრებს დაემთხვა და გადავწყვიტე, მომეწერა და აზრი სხვა მგზავნელებისთვისაც მეკითხა. ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ ერთ ადამიანს. ის ცოლიანია და ორი მოზრდილი, საცოლე, ძალიან კარგი ბიჭი ჰყავს. ცოლი კი თვალსა და ხელს შუა ატყუებს ქმარს და ლამისაა პანელის „პუტანკად“ გადაიქცეს. ქმარს კი ზურგს უკან დასცინიან. არ მესმის, ასე როგორ დაიმონა ქმარი, რომ ვერავინ დაარწმუნებს ცოლის ღალატში? მირჩიეთ რამე, ვუთხრა თუ არა მის ქმარს? ძალიან მეცოდება, საუკეთესო რომ ჰგონია ცოლი. მითხარით, არამკითხე მოამბე გამოვდივარ თუ მართლა უნდა ავუხილო თვალი მეგობარს? დავაბრუნო რეალობაში თუ იცხოვროს მოტყუებულმა და რქიანმა? ძალიან გთხოვთ, მიპასუხოთ. დამარიგეთ, თორემ ლამისაა, გავგიჟდე“.

აქტივისტი

„ნატო ჟურნალისტია და მომიტინგეებთან შეხვედრა ჰქონდა დავალებული. თხოვნაზე უარი ვერ ვუთხარი და „საკნების ქალაქში“ გავყევი. მიტინგი ჯერ არ იყო დაწყებული და ხალხიც აქა-იქ, ჩრდილს შეფარებოდა. პირველმა შოკმა რომ გადაგვიარა, ერთ საკანს მივუახლოვდით. ინტერვიუზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ მე დიდხანს ვერ გავუძელი უსიამოვნო სუნს, „პატიმარი“ კაცების ხარბ მზერას და ქაშუეთის ეზოში გადავინაცვლე. ის იყო, ღრმად ამოვისუნთქე და სკამზე ჩამოვჯექი, რომ უცხო ქალბატონიც მომიჯდა.

— გოგონა, გაწვიმდება? — მოკრიალებულ ცას გავხედე და გადაჭრით დავადგინე უავდრო პროგნოზი.

— მაშიიინ, ჰოპ! — შესძახა სპორტული ჟინით და უცებ გაიძრო სვიტერი.

უხერხულად გავცურდი სკამის ბოლოსკენ და თვალი ნატოსკენ გავაპარე. უცნობის არანორმალურობაში საბოლოოდ მაშინ დავრწმუნდი, როცა იქვე მორბენალ, ათიოდე წლის ბიჭზე მკითხა, შენი შვილიაო? მერე — მიტინგი რომელ საათზე იწყებაო? რომ გაიგო, არ ვიცოდი, საეჭვოდ დაატრიალა ქოლგის ტარი თითზე და გაიოცა: როგორ, აქტივისტი არ ხარო? სასწრაფოდ შევცვალე „პირველი ჩვენება“ და — ნ-ზეა, ქალბატონო-მეთქი, ვუთხარი. მან თავი გადააქნია, არაადეკვატური ხარო, მითხრა და ჩემს ბეჭდებს მიაშტერდა: — ამ ვაჟკაცებს მაგათ ფასად საჭმელი უყიდეო, მითხრა. — ოჰო! — გაოცებულმა გავიხედე „ვაჟკაცებისკენ“ და იმ მობომჟო ტიპების დანახვაზე კი ვიკადრე წამოხტომა. სასწრაფოდ გავშორდი არამკითხეს. ნატო ოპერასთან ძლივს დამეწია. თქვენი პარიჟანკა“.

საიმედო ბიჭი

„ეს იყო დიდი ხნის წინ. ჩვენ უნივერსიტეტის სტუდენტები ვიყავით. მაშინ მხოლოდ სწავლაზე ვფიქრობდი. გაზაფხულის სესიების დამთავრების შემდეგ, სახლებში წამოვედით და ცოტა ხნის შემდეგ ისევ დავბრუნდით, რადგან სასწავლო პრაქტიკა გვეწყებოდა. კათედრაზე რომ მივედი, ჯგუფელებიდან არავინ დამხვდა. მხოლოდ მოპირდაპირე ჯგუფელი ვაჟი შემხვდა, რომელთანაც ახლო ურთიერთობა არ მქონდა. მოვიდა და გადამკოცნა. ცოტა გამიკვირდა, მაგრამ ყურადღება აღარც მიმიქცევია. მხოლოდ ძალიან დიდი ხნის შემდეგ, როცა ცხოვრებაში პრობლემა გამიჩნდება ხოლმე, ყოველთვის ის შემთხვევა მახსენდება. ის ვაჟი ძალიან ჭკვიანი, კეთილი და საიმედო იყო. დღეს კი ძალიან მინდა, კიდევ განმეორდეს ჩვენი შეხვედრა იმ მეგობრული კოცნით. თუმცა კი დიდი ხანია, დავკარგეთ ერთმანეთი“.

დარტყმული

„ერთხელ „პლიტა“ გაგვიფუჭდა... სიტუაცია შემდეგნაირი იყო: ჩემი ძმა სახლში არ იყო, მამაჩემი ცუდად იყო და იწვა. არავის უთხოვია, მაგრამ გადავწყვიტე, გამეკეთებინა (დებილი რომ დაიბადება ადამიანი, რა). დამავიწყდა ჩართული რომ მქონდა და სადენებს ხელი მოვკიდე. დენმა დამარტყა და ისეთი ძალით მომისროლა, ლამის კარი გავანგრიე. ნუ, კი გადავრჩი, მაგრამ ერთი კვირა ხელებს ვერ ვგრძნობდი, თავი კი მეგონა, რომ 2 მქონდა. გაკოცეთ. სოფი19“.

დიდი რაღაც

„ — ქალო, თინაა, დეინახე, ლამარას ბიჭმა რა მოათრია?

— რაი?

— რაი, ქალო და რაღაც დიდია და თურმე რომ დაკეცავ, მაგისი ამოდებაც შეგიძლია.

— უი, ქაა, მართლა?

— ჰო, აპა ქალო, როცა შეაერთებ, დეინახავ ყოლიფერსა.

— ქალოო, შენი ნათია აბანოშია?

— კი, იმას ენაცვალოს ბებია.

— მერე, ქალო, ჩაცვი და გამოიყვანე იქედანა.

— რათა, ქაა?

— იი, ლამარას ბიჭის იმ დიდმა რაღაცამ რო დეინახოს?

— უჰ, უჰ, ნუ ხარ, ქალო, გოუნათლებელი. არც მასეთი ოხერაა, კედლის იქითაც რომ დეინახოს.

— რა მოფიქრება მაგია?

— რათა, გოგოო, ამხელა აქვს მაგის გამკეთებელს და თანაც ეს ერთი ხომ არ ექნება? და რა ფული ღირს, იცი?

— მეხი იმაი დავაყარე, ვინც მაგხელა ამოსადებში ფულს გადაყრის...“

ეს არის ეპიზოდი ჩემი მეზობლების საუბრისა. ის „დიდი რაღაცა“ და თანაც — „ამოსადები“, ნოუთბუქი ყოფილა, მაგრამ თქვენ რას გაიგებდით? „გოუნათლებლები“ ხართ, ბიძია, აქანეე. დამავიო. P.S. ლიმონ, გამეხარე ოჯახშიიი“.

მოკლე

„ჩემს სოფელში არამკითხე მოამბე ძალიან ბევრია, ერთი კი თავის გრძელ ცხვირს ყველგან ჰყოფს. თბილისიდან ახალი ჩასული ვიყავი. „ელასტიკზე“ მოკლე სარაფანი მეცვა. 5 წუთში ჩვენთან გაჩნდა და მეუბნება: ვაიმე, შვილო, სარაფანი როგორ დაგმოკლებია, მომიკვდეს თავიო. რა შემატყე-მეთქი? რა და, შენი ამბავი ხომ ვიცი, მოკლე კაბას არ იცვამ და ე.ი. ეგ მოკლე გაქვსო. ისეთი ცოფები ვყარე, მიხვდა, რომ რაღაც ისე ვერ თქვა და წავიდა. აი, ასეთი არამკითხეა. ლა-ლოლა“.

შურიანი

„ჩემს მეზობლად მრავალშვილიანი და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი ცხოვრობს. ბავშვებს სულ დაგლეჯილ-დაფლეთილი ტანისამოსით აქვთ სხეული დაფარული და მთელი დღე მშიერ-მწყურვალნი დადიან. ოჯახს არანაირი შემოსავალი არ აქვს. მხოლოდ ოჯახის უფროსი მუშაობს და იმასაც ისეთი მიზერული ხელფასი აქვს, რომ მხოლოდ პურის საყიდლად ჰყოფნით. ჩვენთან თითქმის ყველა ოჯახი

რას შეეცვლიდი ჩემს ხასიათში?

<<<6

● ჩემს ხასიათში მართლაც არის ისეთი რაღაცები, რასაც შევცვლიდი. მაგალითად, სიფიცხეს და ბუტიაობას დავივიწყებდი და ემოციების მოთოკვას ვისწავლიდი. იმპულსურ ხასიათს მეტი თავშეკავებით ჩავანაცვლებდი. თუმცა, ჩემს საყვარელ ხალხს ჩემი „ნაკლებითაც“ ვუყვარვარ და მადლობა მათ ამისთვის. ჩუპი.

● ვარ ძალიან პირდაპირი. ვფიქრობ, ყოველთვის პირდაპირ ლაპარაკი ამა თუ იმ თემაზე გამართლებული არაა. არა და, სხვისგანაც იგივეს მოვითხოვ. ირმა91.

● ჩემს ხასიათში გამოვასწორებდი სიმძიმეს. სულ ამ როკის ბრალია. ლი ჰარვი ოსვალდი.

● რომელი ერთი გამოსასწორებელი თვისება აღვნიშნო ჩემი ხასიათის? საერთოდაც, ჩემი ხასიათის შეცვლას ახლის „გაკეთება“ ჯობია, მაგრამ ნურას უკაცრავად! არც შეეცვლები და ვერც ახალ ჩემნაირს „გააკეთებს“ ვინმე! ყველამ კეთილი ინებოს და აქეთ მოერგოს ჩემს ხასიათს. თუ არა და, მეფარიძე მოიყვანოს და „მშვიდობით“ ამღეროს. :) კანიბალკა.

● რომ დავფიქრდეთ, ჩემს ხასიათში, ბევრი რამეა შესაცვლელი. ვარ საკმაოდ ჯიუტი და შემიძლია, უმიზეზოდ ვეჩხუბო სხვას, მაგრამ მე კი შევცვლი თუ შეეცვლები და ვნახოთ. დღეიდან ვიწყებ ამაზე მუშაობას. სოფი19.

● ხშირად არაფრის გამო, ასე ვთქვათ, უმიზეზოდ „ეიგრუზები“.

ძალიან მინდა, ეგ გამოვასწორო. გამოსავალს კი ჯერ კიდევ ვერ ვპოულობ, რაც გულს ძალიან მწყვეტს.

>>>20



ცხოვრების მარილი ია,
მაგ მაჭარი არაა

სახელმწიფო დახმარებას იღებს. ამ ოჯახმაც გადაწყვიტა, განცხადება შეეტანა. გარკვეული დროის შემდეგ, მოვიდა სახელმწიფო მოხელე, შეუმოწმა სახლი, გამოჰკითხა, ოჯახში ვინმე თუ მუშაობსო. იმის შიშით, რომ დახმარებას ვერ მიიღებდნენ, ოჯახის დიასახლისმა დამალა, რომ მეუღლე მუშაობდა. ოჯახს დახმარება დაუნიშნეს, მაგრამ სულ სამჯერ მიიღეს კუთვნილი თანხა, შემდეგ კი შეუწყვიტეს. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ოჯახის ერთი წევრი მუშაობდა და ამის შესახებ ერთ-ერთ მეზობელს განუცხადებია. ამ ოჯახისთვის ეს უდიდესი ტრაგედია გახლდათ. რა უნდოდა იმ ქალს, მის ქონებას ხომ არ აძლევდნენ ამ გაჭირვებულ ოჯახს? გრუზინკა“.



მექალთანის გაჭირვება

„ერთ სოფელში ერთი წყნარი, ცოლშვილიანი კაცი ცხოვრობდა. ისეთი უწყინარი იყო, ჭიანჭველასაც კი არ დაადგამდა ფეხს. ოღონდ, ქალების მუსუსი იყო. გულგრილად ვერც ერთ ქალს ვერ უყურებდა. თუმცა, ყველაფერს ისე აკეთებდა, ცოლი ვერაფერს ხვდებოდა. არადა, საყვარლების მთელი არმია ჰყავდა. ან რატომ არ ეყოლებოდა? ფული ოხრად ჰქონდა. ერთხელ მიხვდა, რომ გადაიწვა და პრობლემები გაუჩნდა. მარტო ხომ ვერ მივიდოდა ექიმთან? მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ეუხერხულებოდა, ძმაკაცს სთხოვა, გაჰყოლოდა. ექიმმა მკურნალობა დაუნიშნა. ძმაკაცს ენდობოდა და ამის გამო არ ჩათვალა საჭიროდ, მისთვის საიდუმლოს შენახვა ეთხოვა. ძმაკაცმა ყველაფერი ცოლთან დაფქვა. ქალსაც მეტი რა უნდოდა? ადგა და იმ კაცის ცოლს მიუტანა ამბავი. იმან არ დაუჯერა და არამკითხე მოამბეს ჩხუბი დაუწყო — ჩემი გშურს, რადგან ჩემი ქმარი მშრომელი და პატიოსანიაო. ის ქალი გალანძღა და შინიდან გააგდო. თუმცა, საიდუმლოს ფარდა მალე აეხადა — ქმარს მაშინ შეუსწრო, როდესაც წამალს სვამდა. მაშინ ატყდა „მესამე მსოფლიო ომი“. ცოლმა, თუ რამე უწმაწური სიტყვა იცოდა, ქმარს ყველაფერი აკადრა მის მიერ ნათქვამი სიტყვებიც გაუხსენა — მეუბნებოდი, ალერსისა და ხვევნა-კოცნის თავი არ მაქვს, რაღა დროს ჩვენი ეგეთებია, ახალგაზრდები ხომ აღარ ვართო და ახია შენზე რომ ვერ განიკურნოო. თუმცა, ყველაფერი იმით

მოკლე ჩართვა

რას შეეცვლიდი ჩემს სასიათში?

<<< 19

● სხვებს რომ ჰკითხოთ, სიზარმაცე, ბუტიაობა, სოჯიუტე და ძილისგუდობა უნდა გამოვასწორო, მაგრამ სამაგიეროდ თბილი, ნიჭიერი, კეთილი, სერიოზული, ერთგული გოგო ვარ და ამ ყველაფერს მშვენივრად აბალანსებს აღნიშნული თვისებები. ჰოდა, სულ არ ვაპირებ რამის გამოსწორებას. დაე, ასეთი ამიტანონ! (რა ვიქე საკუთარი თავი?!) სვანის ასული.

● ჩემს სასიათში უფრო მეტი სიდინჯე რომ ჩამერთო, კარგი იქნებოდა, მაგრამ ამას ვერ ვიზამ, რადგან მე ხომ ნაღდი კახელი, თუმცა კი, ძალიან გრუზინკა ვარ და სიფიცხეც ზომაზე მეტი მაქვს.

ცხოვრება მშვენიერია, თუ ანცალდეკრცანცლებს ცხრაკად შეკრეკ

დამთავრდა, რომ კაცმა ცოლი შეირიგა და იმის მერე ქალებისკენ აღარ გაუხედავს. გრუზინკა“.

ენაწაგდებული

„თეკლემ 24 წელს ისე მიუკაკუნა, გათხოვებაზე არც უფიქრია. ჯერ კიდევ ლაწირაკი იყო, როცა სამეგობროსა და სანათესაოს ხელში ჰყავდა შეკლული, გათხოვდი, სანამ დროა, თორემ შინაბერა დარჩებიო. თეკლე კი ჯიუტად უარობდა. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა და ეგონა, როცა მოუნდებოდა, მაშინ გათხოვდებოდა. „იტყლაშუნა“ მთელი 23 წელი, შეძლებული „ლოვეც“ ჰყავდა და „გახვრეტილი ხუთთეთრიანიც“ რომ არ ჰქონდა ჯიბეში, ისეთიც. ქალაქელიც და სოფლელიც, პატიმარიც, ჯარისკაციც და ბოლოს, პოლიციელზე გააკეთა არჩევანი. გოგა ძალზე ეჭვიანი აღმოჩნდა. თეკლეს ცხოვრებაში დახურული მაისური და გრძელი კაბა არ ჩაუცვამს. ახლა კი იძულებული იყო, ასე ჩაცმულს ევლო. არ ივლიდა და ცუდი დღე დაადგებოდა. გოგაზე გაცილებით უკეთესი თაყვანისმცემლები ჰყავდა, მაგრამ მის კლანჭებს თავი ვერ დააღწია. მისი საქმრო ყველაფერთან ერთად დიდი მექალთანეც აღმოჩნდა. გამვლელ-გამომვლელ გოგონებს თვალს არ აშორებდა, რაც თეკლას ძალიან აღიზიანებდა. ნიშნობის დღეს კი ერთ-ერთმა მეზობელმა დედაბერმა ენა წააგდო — ძლივს არ ვათხოვებთ ამ გოგოს? შენმა თაყვანისმცემლებმა თუ იციან, შენი ნიშნობის ამბავიო? ეშმაკურად ჰკითხა თეკლეს. რაოო? თაყვანისმცემლებმაოოო? თვალები შუბლზე აუვიდა გოგას. კუდიანმა მეზობელმა ენა არ გააჩერა — შენამდე ამ ოჯახში ბევრი ბიჭი მოსულაო, ასეო, ისეო და დაგვრჩა ეს ჩვენი თეკლე ისევ შინაბერა. რამდენიმე დღის შემდეგ კი გაიგო, რომ თურმე გოგა მაშინაც კი ღალატობდა, როცა შეყვარებულები იყვნენ. ჯერ იმის გამო იყო გამწარებული, რომ მიატოვა. ახლა ამას ღალატიც დაემატა და ისეა გამწარებული, ყოველ დღეს ამ სიტყვებით იწყებს და ამთავრებს: — თმასაც გავიწეწავ, სახესაც ჩამოვიხოკავ, წივილ-კივილსაც ავტეხ, ოღონდ ეგ მოღალატე ვაუბატონი ჩაძაღლდესო (ზუსტად ასე ამბობს). ლუნა“.

მეზობლები

„ნინო ისეთი ჭორიკანაა, ენის მიტან-მოტანაში ბადალი არ ჰყავს. ისეთი მწარე ენა აქვს, ზეზეულად გაგაქვავებს. ძლივს, დიდი ვაი-ვაგლახით დაითანხმა ერთ-ერთი ვირტუალური სატრფო შეხვედრაზე. მის მეზობლად ერთი გოგო ცხოვრობს და ერთმანეთი მაინცდამაინც არ ეხატებათ გულზე. სწორედ იმას გადაეკიდა, პაემანზე წამომყევიო. შეწუხდა თიკო — მეგობრების მეტი რა ჰყავს, რაღა მე დამადგა თვალი, ამ ჩემი ცოდვით სავსემო. მისი მწარე ენის ამბავიც იცოდა და უარი ვეღარ უთხრა. ბევრი ეჩიჩინა, თავს უხერხულად ვგრძნობ, ხელს შეგიშლიო, მაგრამ ნინოს ვერ გადაათქმევინა, — ძმაკაცს წამოვაყვანინებ და თავს უხერხულად აღარ იგრძნობო. შეხვედრის ადგილზე რომ მივიდნენ, ისეთი მაგარი ბიჭები შერჩათ ხელში, ლამის გააფრინეს სიხარულისგან. კეკლუცად გაიღიმა ნინომ და ისე, რომ ბიჭებს არ შეემჩნიათ, თიკოს მკლავზე წაჩქმიტა — ახლაც არ ხარ კმაყოფილი, ვერ ხედავ, რა ბიჭები გავჩითეთო? იმ დღეს კარგად იგრიალეს. ნინომ ვერა, მაგრამ თიკომ კარგად „მოიმწყვდია“ დათო და თავიც შეაყვარა. ნინო შურით გასკდა და საბრალო გოგოს ჭორებიც დაუყარა. დათომ თიკოს თავის გამართლების საშუალებაც არ მისცა, ისე მიატოვა. როგორ უნდა იყო ასეთი ბოროტი? თავად არ შეინარჩუნა სიყვარული და სხვასაც დააკარგვინა. „არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო“. აი, ასე! ლუნა“.



ცხოვრებაში ბევრი ისეთი ადგილია, სადაც ვმორბის ჩადენა შესაძლებელია. მითვალია, ამ ადგილიდან მაც შეიძლება ბორბს იყო

პატარა დედოფლის სევდა

„მე, როგორც ყოველი, ადამის მოდგმიდან, პატარა, უსუსური, დაუცველი დავიბადე... უაზროდ ვაფახულებდი წამწამებს და ჩემი ლურჯი თვალები ვერ აღიქვამდნენ, ვინ მეფერებოდა ფაფუკ, შავ თმაზე... სწორედ ასეთი მომიყვანეს სამშობიაროდან სახლში, სადაც ჩემი ძმა, კახა და მეზობელი ძმები —

კახა და კობა მოუთმენლად მელოდნენ... მერე ეს სამი ადამიანი სულ ჩემ გვერდით იყო... „ნახე, როგორ ჭამს“, „ნახე, როგორ გაიღიმა“, „ლანჩო ტირის, ხომ არ შია?“, „მე დავურწევ რა, აკვანს, მე დავაძინებ“... უხაროდათ ჩემი არსებობა... მათთვის პატარა დედოფალი ვიყავი... კობას და კახას ძმებად აღვიქვამდი და არასოდეს ვარჩევდი ჩემი ნამდვილი ძმისგან... ვიზრდებოდი და სიხარულით ხვდებოდნენ თითოეულ ჩემს წარმატებულ ნაბიჯს ცხოვრებაში... 8 წლის წინ კახა რუსეთში წავიდა. ცოტა ხნის წინ კი მისი ძმა, კობა, ძალიან ავად გახდა... წამითაც არ მიფიქრია, რომ ავადმყოფობა რამეს დააკლებდა. ვარდობისთვეს სოფელში რომ ჩავედი, მითხრეს, კობა საავადმყოფოშიაო და სახლში აღარც შევსულვარ, პირდაპირ მის სანახავად წავედი. ვნახე, როგორ გაუბრწყინა ჩემმა დანახვამ ავადმყოფობით დასევდიანებული, შავი თვალები. ცდილობდა ეხუმრა, გაეღიმა ჩემთვის, მაგრამ უჭირდა... 3 დღე ვიყავი სოფელში და ეს 3 დღე თითქმის სულ მის პალატაში გავატარე... ვატყობდი, როგორ უძლურდებოდა დღითი დღე, მაგრამ მჯეროდა, რომ მალე გამოჯანმრთელდებოდა... მერე გონება დაუბინდა ავადმყოფობამ. ხალხის ცნობაც კი უჭირდა, მაგრამ მაინც ვგრძნობდი მისგან სიყვარულსა და მოკრძალებას... იმ დღეს რეანიმაციაში გადაიყვანეს, მე კი თბილისში მომიწია წამოსვლა. მერე კი უკვე იმისთვის ჩავედი, რომ მისი სამუდამოდ დახუჭული თვალები მენახა და გულში პატიება მეთხოვა იმისთვის, რომ მისი ცხოვრების ბოლო წუთებში ასე შორს ვიყავი მისგან... სიკვდილმა წაგვართვა მისი თავი ქრისტეს ასაკში... კანიბალკა“.



სიმართლე

„დიღმის მასივის II კვარტალში, იმ სახლში ვცხოვრობ, რომელიც პოლიციის სამმართველოს ეზოში დგას, სადაც ორშაბათს „სპეცნაზელებმა“ ახალგაზრდები დაარბიეს. ეს ამბები ჩემს ეზოში ხდებოდა. თავდაპირველად უამრავი პოლიციის მანქანა მოვიდა, საიდანაც ზოგი ფორმიანი, ზოგიც უფორმო, ნიღბიანი კაცები გადმოვიდნენ და ზოგმა სადარბაზოში, ზოგმა პოლიციის შენობასთან პოზიციები დაიკავა. ცოტა ხანში ახალგაზრდები გამოჩნდნენ. მშვიდად მოდიოდნენ. სპეცრაზმელებმა ჩიხში შემოსვლა აცადეს და როცა შეგროვდნენ, თავს დააცხრნენ. ხელჯოხებით უმოწყალოდ სცემდნენ ახალგაზრდებს. გოგონები მუხლებზე დაეცნენ და ეხვეწებოდნენ, არ დაგვარტყათო, ბიჭები ხელებაწეული იდგნენ და ეუბნებოდნენ, არაფერს ვაშავებთ, არ დაგვხოცოთო, მაგრამ ისინი უმოწყალოდ დაერივნენ ყველას. თითოს სამი სპეცრაზმელი ურტყამდა გამეტებით. ყველგან სისხლის გუბეები იდგა. კორპუსის პირველ სართულზე მაღაზიაა, სადაც ნიღბიანი ბიჭები შეცვივდნენ, ახალგაზრდა მამაკაცი გამოათრიეს, ხის ძირში დააგდეს და ხელჯოხები დაუშინეს. მაღაზიიდან ქალი გამოვარდა — ნუ სცემთ, დისტრიბუტორია, მაღაზიაში მაწონი მოიტანაო, მაგრამ იმასაც თმაში ჩაავლეს ხელი და ასფალტზე ათრიეს. ასევე დაერივნენ ჟურნალისტებს და სასტიკად გაუსწორდნენ, კამერები დაუმტვრიეს და ხელჯოხებით სცემეს. მხოლოდ პირველი არხის ჟურნალისტი იდგა ამაყად, ხელშეუხებლად და მუშაობდა. ოპერატორი კადრებს იღებდა, ჟურნალისტი კი თვალყურს ადევნებდა. შემდეგ კი სიუჟეტი გაუშვეს, თითქოს ახალგაზრდებს პოლიციის სამმართველოს შენობის აღება უნდოდათ. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ სპეცრაზმელები ბოლოს სამმართველოს ღობესთან მოგროვდნენ, იცინოდნენ და ერთმანეთს მუშტს მუშტზე ურტყამდნენ, აქაოდა, გავიმარჯვეთო. თითქოს აფხაზეთი ან სამაჩაბლო დაიბრუნეს. გულის ამრევია მათი ქმედება. ხვალ ქუჩაში



ყველაფერი მეხმის, მაგრამ 40-ათასიან ვეღოუხში „ოდის“ შეყოლა შა ხაჭირა, ეს ვერ გავიგე



გამოვლენ და ჩვეულებრივად შეერევიან ხალხს, თითქოს წინა დღეს მოსაკლავად არ იმეტებდნენ ახალგაზრდებს. ვინაიდან ტელევიზიებიდან სიმართლეს ვერ გაიგებთ, ამიტომ გადავწყვიტე, დაწვრილებით მომეწერა, რა ხდებოდა სინამდვილეში პოლიციის სამმართველოს შენობასთან. პატივისცემით, ნინო“.

ჯენტლმენები

„ორშაბათი საღამო იყო. გათიშული ვბრუნდებოდი „ყვითელანჯელოთი“ შინ. გაჩერებაზე ჩამოვედი და გავუყევი გზას. ტროტუარზე 2 ბიჭი იდგა და მთელი მონდომებით, ხელფეხის ქნევითა და ასე შემდეგ, აგზავნიდნენ ერთმანეთს „ტრი ბუკვაზე“. დაინახეს, რომ მივუახლოვდი და რამდენიმე წამი მათ უაზრო საქმის გარჩევასაც ვუსმინე, მაგრამ არც ერთს რეაქცია არ ჰქონია; რომ არ გამატარეს. ამომივიდა ყელში. მხარზე ხელი დავუტყაპუნე ერთერთს. კითხვით სავსე მზერით შემომხედა. — აუ, ბიჭებო, ახლა ორივემ დაახვიეთ მაგ თქვენ „ტრი ბუკვაზე“ და ჩემს გზაზე გამატარეთ, მეჩქარება-მეთქი. რეაქცია გაინტერესებთ? — გაიარე, დაიკო (ჰმ), გვაპატიე, თუ გაწყენინეთო. ზუსტადაც რომ მაწყენინეთ, რა... P.S. მარ, ჩემი ნიკი მოგწონს? და — მეე? :) ფეშენა“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„არ მეგონა, ქვეყნად ასეთი „შტეროზიანებიც“ თუ არსებობდნენ. ეკლესიიდან მოვდიოდით მეგობრები. ერთი ბიჭი დაგვემგზავრა და: რად მინდა აღსარების მამაოსთან თქმა, ინტერნეტით ბარემ ღმერთს გავუგზავნიო. გვეგონა, კაიფობდა, მაგრამ... ჩემს ძმაკაცს ხარხარი აუტყდა და. აბა, ბიჭო, „ოდნოკლასნიკებში“ ყოფილა დარეგისტრირებული და რომ მისწერ, ბარემ მეც მომიკითხეო. :) გვეშველება რამეე? დამავოი“.

„დამალული მართლა არაფერი რჩება. მით უმეტეს ის, რაც მე მომივიდა. ძალიან მალე დადგება დრო, როცა მეტყვიან — როგორ? რანაირად? ან ამდენ ხანს რატომ არ თქვიო? შესაძლოა, ვერ გამიგონ და ოჯახი დავკარგო, მე კი მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ!“

„ბევრი არამკითხე მოამბე შემხვედრია. უამრავი! მოდიხარ, საიდან მოდიხარ? მიდიხარ, — საით მიდიხარ? კარგი, რა, ყველაფერი როგორ გაინტერესებთ? ჩემი მეუღლის სადაურობა-ვინაობიდან დაწყებული, ჩემი თმის საღებავის ნომრით დამთავრებული. ვიცი, ახალციხეში ბევრი ადამიანი კითხულობს „გზავნილებს“. ისეთებიც კი, რომ გეგონება, საერთოდ არაფერს კითხულობენო. ჰოდა, ყველას გასაგონად არა, მაგრამ ზოგიერთების საყურადღებოდ მართლა მინდა ვთქვა, რომ ცუდია, არამკითხე მოამბეობა. ყველას თავისი ცხოვრება აქვს და ჯობს, ყველამ სწორედ თავის პირადულს მიხედოს. პატივისცემით, ელისო“.



ავადმყოფობა
ბავშვნიზმის
მდგომარეობაა, შოკა
ისიც ყი ამ ვინდა, შაც
ეჩაქეშმა ავიყრძალოს

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „გაშვებული შანსი“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „ვის ვენდობი ყველაზე მეტად?“

რაზე ოცნებობენ და რომორ ფანტაზიორობენ მამაკაცები

1. საკურორტო.

„მე და ჩემი ცოლი სასტუმროში ვცხოვრობთ, სადაც ყველა ნომერი ერთმანეთს ჰგავს. საღამოს რესტორნიდან დავბრუნდი და დაღლილი საწოლზე მივეგდე. უეცრად, ტანზე სექსუალური და ცხელი სხეული მომეკრო. მთვარის შუქზე ვხედავ, რომ ეს ჩემი ცოლი კი არა, ის ქერათმიანი ქალია, რომელიც რესტორანში ასე ვნებიანი მზერით მიყურებდა“.

შინაგანი ხმა: სადაა ამ დროს ცოლი?

2. სპორტული.

„ფიტნესდარბაზში სავარჯიშოდ მივედი და დავინახე, როგორ ვარჯიშობდა ქალთა მწვრთნელი. მან გასახდელისკენ წამიყვანა, რათა თავისი დაკუნთული და მოქნილი სხეული ეჩვენებინა“.

შინაგანი ხმა: მოსაფიქრებელი მხოლოდ ის დარჩა, ახსნა მიზეზი, რა გინდოდა სავარჯიშო დარბაზში — შენი ღიპი უნდა გეჩვენებინა?

3. სარკინიგზო.

„კუპეში ლამაზ ქალთან ერთად ვმგზავრობ. მან წიგნი დახურა და სინათლე გამორთო. 1 წუთის შემდეგ კი ვიგრძენი, როგორ შემომიძვრა საბნის ქვეშ“.

შინაგანი ხმა: ზღაპარს ჰგავს, მაგრამ შესაძლებელია, ეს რეალურად მოხდეს, ერთხელ მაინც თუ იყიდი ბილეთს ორადგილიან კუპეში.

4. ნოსტალგიური.

„ღმერთმა იცის, რამდენი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს. ჩემი პირველი სიყვარული... ის ხომ მეექვსე კლასიდან მიყვარდა... მაშინ რომ მცოდნოდა, მასაც ვუყვარდი... თუმცა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

შინაგანი ხმა: „ბოლო ზარის“ შემდეგ მთელი 20 წელია გასული და როგორ გგონია, ის ისეთივე პატარა გოგოა, ნაწნავითა და მოკლე კაბით?

5. ელიტური.

„ერთ-ერთ წვეულებაზე ოლიგარქის ცოლი გავიცანი. ის ქმრისთვის მხოლოდ ლამაზი თოჯინაა. ჩემი გრძნობები კი სრულიად განსხვავებულია, ერთი ნახვით შემიყვარდა. აი, ჩვენ კულუარებში განვმარტოვდით და ერთმანეთს ისე ვეალერსებით, თითქოს უკანასკნელად ვხვდებით“.

შინაგანი ხმა: როგორც ჩანს, სიტყვა „კულუარების“ მნიშვნელობა არ იცი, მაგრამ რაც შეეხება „უკანასკნელს“, ეს კი ზუსტად აღნიშნე.

6. კინემატოგრაფიული.

„კინოთეატრში ჩემ გვერდით ლამაზი ქალი ზის. შუქი ქრება. უეცრად ეს ქალი მეხვევა და მკოცნის. „კოლუმბია ფიქჩერსი“ წარმოგიდგენთ“...

შინაგანი ხმა: „კოლუმბია ფიქჩერსს“ ასეთი რამის წარმოდგენა არ შეუძლია...

7. ფუტურისტული.

„საშინელება მოხდა: დედამიწაზე უკურნებელი სენის გამო, ყველა მამაკაცი მოკვდა. ჩემზეა დამოკიდებული სამყაროს გადარჩენა და გამრავლება. პლანეტის ულამაზესი ქალები ჩემთან რიგში, რამდენიმე თვით ადრე ეწერებიან. აი, ამას ურიგოდ მივიღებ. გამარჯობა, ანჯელინა ჯოლი!“

შინაგანი ხმა: გამარჯობა, „პახმელიავ“.

8. სამედიცინო.

„ფეხი მოვიტეხე და საავადმყოფოში ვწევარ. პალატაში მარტო ვარ. საღამოს ჩემთან ახალგაზრდა, ლამაზი ექთანი შემოვიდა. თურმე თეთრი ხალათის ქვეშ არაფერი სცმია“.

შინაგანი ხმა: წარმოდგენაც კი არ გაქვს, რა ძნელია სექსი მოტეხილი ფეხით. სურდო ჯობია.

9. სამსახურებრივი.

„ოფისში ჩემ გვერდით ლამაზი, დიდმკერდიანი ქალი ზის. ერთხელ, დაბადების დღეზე დამპატიჟა. მივედი და აღმოჩნდა, რომ სახლში ჩვენს მეტი არავინაა და დაბადების დღე სულაც არ ჰქონია“.

შინაგანი ხმა: ვის გულისხმობდი? იმ 50 წლის ქალს, რომელიც უკვე დიდი ხანია, სიყვარულის გარეშე ცხოვრობს? ქველმოქმედება გადაწყვიტე?

10 თავადური.

„თავადო, თავს ამის უფლებას ვერ მივცემ“, ჩურჩულებს ჩემს მკლავებში მოქცეული თავადის ასული, მაგრამ ვკოცნი და მორალური პრინციპები ავიწყდება“.

შინაგანი ხმა: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შეგახსენებ, რომ თავადების შთამომავალი არ ხარ.

11. კაპიტალისტური.

„მე არც ისე დიდი კომპანიის მფლობელი ვარ. ჩემთან კაბინეტში ერთი თანამშრომელი გოგონა ყოველდღე შემოდის და... შემდეგი 40 წუთის განმავლობაში არავისთვის არ ვარსებობ“.

შინაგანი ხმა: ის ქერა ქალი, შენ რომ მოგწონს, მყარი მორალური პრინციპების მატარებელია და არა მგონია, მაგაზე დაგთანხმდეს. თანაც, ახალგაზრდობაში სროლაში ვარჯიშობდა.

12. პოლიგამიური.

„მე სულთანი ვარ და ჰარამხანის მფლობელი, სადაც 400, არა — 500 ცოლია. მსახურმა მომახსენა, რომ ქალების ახალი პარტია მოიყვანეს ჩემს გასართობად. ოთახში საოცარი სილამაზის გოგო შემოდის და“...

შინაგანი ხმა: დღეს შენ კიდევ უნდა შეხვდე № 343-ს, 411-ს და 465-ს. სხვათა შორის, უკვე მესამე კვირაა, გელოდებიან.

13. საახალწლო.

„ახალი წლის ღამეს შინ მარტო ვიყავი. კარზე კაკუნი გავიგონე და როდესაც გავაღე, პირი ღია დამრჩა. კართან ულამაზესი ფიფქია იდგა. წითელი პალტოს ქვეშ გრძელი ფეხები უჩანდა“.

შინაგანი ხმა: კარს ბოლომდე ნუ გააღებ, თოვლის ბაბუასაც დაინახავ.

14. სამკითხაო.

„დაბადების დღეზე მეგობრებმა უჩვეულო საჩუქარი მომიძღვნეს. თვალები ამიხვიეს და ოთახიდან გავიდნენ. თუმცა, ყველა კი არა, ერთ-ერთი დარჩა და დაუვიწყარი შეგრძნებები მაჩუქა. ალბათ ვერასოდეს გავიგებ, რომელი იყო. ნინო? ნანა?“

შინაგანი ხმა: გაიოზი?

15. საერთაშორისო.

„ჩემი ხელი მის შავ ხელს ეფერება. შავკანიანი ქალი ყველაზე საუკეთესო ქალია, მსოფლიოში“.

შინაგანი ხმა: ვუპი გოლდბერგი შეგიყვარდა?

16. საყოფაცხოვრებო.

„სიყვარული მაშინ მოდის, როცა არ ელოდები. ის სარეცხის მანქანაზე ზის. ამ დროს შესაძლებელია სექსი — 1000 ბრუნი/წუთში სიჩქარით“.

შინაგანი ხმა: შესაძლო გართულებები: ნერვული წიკი, პარკინსონის დაავადება.

17. ფსიქოანალიტიკური.

„ის დივანზე წევს. ფსიქოანალიზის სეანსი მიმდინარეობს. ახლა გადავიყვანე ჰიპნოზის მდგომარეობაში და ამით ვისარგებლებ“.

შინაგანი ხმა: სხვათა შორის, ეს დანაშაულია და 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

18 პატრულური.

„პატრულის მომხიბვლელი თანამშრომელი ღიმილით მიხსნის, რა დავარღვიე. ბოლოს კი მეუბნება, რომ ერთ-ერთ ძებნილს ვგავარ და ჩემს გაჩხრეკას აპირებს. ნელა და ვნებიანად მიფათურებს ხელებს“...

შინაგანი ხმა: მომხიბვლელი პატრულის თანამშრომელი მხოლოდ ფანტასტიკის სფეროდანაა.

19. პირველყოფილი.

„კოცონთან ჩემ მიერ მოკლულ ირემს ვაგდებ. ცოლი მიახლოვდება. მისი სხეული ვნებიანად მეხვევა. სექსი ვეფხვის ტყავზე გვაქვს და ვფიქრობ: „საუკეთესო მამაკაცს ყოველთვის საუკეთესო ქალი ხვდება“.

შინაგანი ხმა: მაშინ მატრიარქატი იყო, დაგავიწყდა?

20. წარმოუდგენელი.

„ოდესღაც, აუცილებლად შევხვდები მას და სიცოცხლეზე მეტად მეყვარება. ჩვენ ვიცხოვრებთ ტკბილად და ბედნიერად და ერთ დღეს მოვკვდებით“. ●

მობილი-ბაღი

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ბაღიაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ბაბუა



1. მყავს დაქალი, 22 წლის, თბილი და პატიოსანი გოგო, რომელსაც მამაკაცებზე წარმოდგენა აქვს დაკარგული. მოსწონს 40 წლამდე ასაკის მამაკაცები. რა თქმა უნდა, სიმპათიურები. დაუმესიჯეთ.

2. გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით, 30-35 წლამდე. ვარ 25 წლის. დიანა.

3. ვარ 18 წლის. გავიცნობ ბიჭს, 20 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. გამომეხმაურეთ, თეა.

4. მომხიბვლელ, განათლებულ, პატიოსან, მეოჯახე, 50 წლის იმერელ ქალბატონს ოჯახის შექმნის მიზნით დაუმესიჯოს 52 წლამდე ასაკის ჯანმრთელმა, განათლებულმა მამაკაცმა.

5. ვარ ლამაზი გარეგნობის, 21 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 22-30 წლის, დასავლეთში მცხოვრებ, კარგი გარეგნობის, გულწრფელ ბიჭს.

ბებერი

6. გავიცნობ თბილისელ, მოსიყვარულე, ბინით უზრუნველყოფილ მანდილოსანს. ვარ თბილი, მოსიყვარულე, ხევსური ჯარისკაცი.

7. ვარ ხევსურეთიდან და ვმუშაობ ჯარში, კონტრაქტით. გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, რომელსაც შეუძლია სიყვარული და არის ბინით უზრუნველყოფილი. ბექა.

8. ვარ 32/177/65, შავგვრემანი, სუსტი, არამსმელი ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ გოგოს. ბინიანს. თუნდაც განათხოვარს.

9. გამარჯობა. ბიძა მყავს უცოლო, 53 წლის. ცხოვრობს კახეთში. იქნებ ვინმე გამოეხმაუროს. წინასწარ გმადლობთ.

10. გავიცნობ ნორმალურ ქალბატონს, 40 წლამდე. ვარ 32 წლის.

11. ვარ 32/176/65, სუსტი აღნაგობის ბიჭი, რაიონიდან. არამსმელი, ერთგული, მეოჯახე, ქორწინებაში არმყოფი. მინდა ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო თბილისელი გოგო.

12. ჩემი ახლობელი არის წესიერი კაცი, რაჭველი. გამოგვეხმაუროს 60 წლამდე ასაკის წესიერი, ბინიანი ქალი. დანარჩენი — პირადად. მარინა.

13. გავიცნობ საშუალო სიმაღლის, სიმპათიურ მანდილოსანს, 45 წლამდე, იმერეთიდან. ვარ 35/175/75, სიმპათიური ახალგაზრდა.

14. მსურს გავიცნო 30 წლამდე ასაკის გოგონა. დავეხმარები ფინანსურად.

სხვისგან



არ მეგონა, ჩემი შინაბერობა ვინმეს თუ მოვახვევ თავს. თუ არ იცი, რატომ ვარ გასათხოვარი, გეტყვი — კოჭლი ვარ. შენი სიტყვები ტკივილამდე მეამა, მაამებელო. გრუზინკა.

თუ რამ საგანძური და ჯილდო მოუცია ღმერთს

ნუ ჩაკეტავ თავს სოლოლოგიურ მდგომარეობაში. ეგ საჭმე ხალხს მიანდე

ქვეყნიერებისთვის, სიყვარულის ნიჭია. ცოდვაა ის ადამიანი, ვინც ამ დიდი ნიჭის გარეშე წავა ამქვეყნიდან.

რომ იცოდეთ, როგორ მახალისებს და მათბობს თქვენი მესიჯები. ყველანი მიყვარხართ. გისურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში. თქვენით მოხიბლული და თქვენზე შეყვარებული ირმა91.

თავის დროზე გრუზის და ენიგმას სიყვარულმა დამაწყებინა მესიჯის წერა. ტირილამდე მტკივა ეს გაუტანლობა. კამი ლუუნ, პარი და სხვებო, მენატრებით. გეფერებათ ტირიფი73.

გასაღებს და მაამებელს: ორივენი ერთი და იგივე ხართ, „ტრუსიკივით" იცვლით ნიკებს, თავი როგორ შევიკავო, თქვენი ენის გადამკიდემ? ვითომ ჩხუბი არ გინდათ და სიტყვებს ისვრით ავს და მურტალს, არ გაწყენდათ 3 სუტკა მგონი ჩემთან „კამასუტრა". კაცს რომ ნახავთ, არ დაგრჩებათ, ვფიცავ, მერე ბოღმის ბუნდღაც (ბოდიში სხვა მგზავნელებთან). ბერბიჭა.

კამკამ, თოლია, ქალო ცდუნებავ, მე, სევდიანო ქალო და ჩემგან მონაფერებო მგზავნელებო, მივდივარ იქ, სადაც „გზაზე" ხელი არ მიმიწვდება და ამქვეყნიური ამაოებისგან დაღლილი უნდა განვიტვირთო. მარიამულ, გმადლობთ (იცი, რაზეც) და გთხოვ, სანამ არ დავბრუნდები, ჩემზე დამიზნებულ ავ მესიჯებს მწვანე გზას ნუ მისცემ. მიყვარხართ. გკოცნით. ბერბიჭა.

გასაღებო, ვისაც ვუყვარვარ და მაფასებენ, ყველამ იცოდა რომ შინაბერა2 მე ვარ. რა იყო, დავაშავე რამე? მემგონი — არა. ლუნა.

არა, ძველები ნამდვილად კარგები ხართ, მაგრამ ჯობია აგრესიულმა ახლებმაც ისწავლონ სიყვარული. ისე გამოგდით — „მე ახალი არ მინდა, ძველი მირჩევნია". ნნუ, ნნუ. სიკვდილა.

გრუზ, ეს მე და შენ ვართ „გზის" საწყისი და დასასრული? ჰმ, უყურე შენ! მე კი რიგით მგზავნელად მივიჩნევდი თავს. ისე, ნურც ჩემს რეიტინგზე ნერვიულობ, არ დაავადდე. ენიგმა.

გასაღებო, საკუთარი ნიკების ჩამოთვლა დაგავიწყდა. ჩემს ხარჯზე გბლოკავს მარი? მაამებელო, ჩემს ამბიციურობა-ინტიმზე ამაღამ მესტუმრე და განვიხილოთ, O.K.? ენიგმა.

მაამებლის ამბიცია ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება აზაბოჩენობას, თუ გოგო ხარ, ენიგმას მიაკითხე და კაცის გემო რა არის, გაიგებ. ისე, გეამა? გრუზინკა.

მარი, ბოდიში, გვიან რომ გწერ, მაგრამ ვერ მოვითმინე. ერთი თხოვნა მაქვს, თუ შეგიძლია, „ეშმაკის მოციქული" ცოტა ვრცლად დაწერე. ძალიან მომწონს, მართლა მაგარია.

ნუ მეჩხუბები ენიგმა, ჯობს მითხრა, თელავში როდის ჩამოხვალ? მეწყინა შენი ახლობლის გარდაცვალება. სისულელე მაპატიე (ვტირი). უპს, ვიცოდი, მიხვდებოდი, რომ მე ვიყავი. ეჰე.

ყველას მოგესალმებით და გეფერებით ჩემი სევდიანი გულით, რომელსაც თქვენ მიხალისებთ. მოვიკითხავ ბერბიჭას, სიკვდილას, ლუნას, იასამანს, იდუმალ ქალს, ხათაბალას და ქალ ცდუნებას. ყველას გაკოცეთ ბევრიიიი. ტეხასისშტატელო გია-ჩორნა, სად ხარ, სად? სად დაიკარგე, არ გრცხვენია? სევდიანი ქალი.

მგზავნელებო, როგორ ხართ, ჩემო საყვარელო ხალხო? ლუნას, ლიმონას, მოხუცს, ბერბიჭას, სესის და ყველას მოვიკითხავ, დიიიდი სიყვა-

მოკლე ჩართვა

გვინდა თუ არა „ჯურნალმულიორკი"?

● ძალიან მომეწონა „ჯურნალმულიორკის" იდეა და აუცილებლად განვახორციელოთ. მართლა ძალიან მომეწონა... იმედია, ახლა მაინც შეეშინდებათ და ალარ გაგაბრაზებენ. ლუნა.

● მაარ, ძალიან მომეწონა შენი იდეა. მე პირადად მინდა, რომ იყოს „ჯურნალმულიორკი". გული მტკივა, როცა სალანძღავ მესიჯებს ვკითხულობ. არ აქვს მნიშვნელობა, სამართლიანი იქნება ლანძღვა თუ უსამართლო, მაინც ცუდი წასაკითხია. ჩემი აზრით, საინტერესოც იქნება ამ იდეის დამკვიდრება. იასამანი.

● აუცილებელიცაა, რადგან დრეა, მგზავნელები დავლევინდეთ და გავითავისოთ, რომ „გზას" მთელი საქართველო კითხულობს. განა კარგია, ჩვენზე უარყოფითად რომ ფიქრობენ? ალბათ — არა. გრუზინკა.

● „ჯურნალმულიორკი" კარგი აზრია, მაგრად მომეწონა. სწორედ რომ „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო". გაკოცეთ ყველას. უკარება.

● მარი, კარგი აზრია „ჯურნალმულიორკი", მე მომეწონა ეგ აზრი. ასე მოუხდებათ გადარეულებს. ქალი ცდუნება.

● კარგი იდეაა, ნამდვილად. ბევრი ისწავლის ჭკუას. აბა, რომ ლანძღავენ ერთმანეთს, რა ბერნათ? იქნებ ახლა დაუფიქრდნენ ყველა სიტყვას, რასაც წერენ. თუ მე მომიწევს „დაპატიმრება", ტანსაცმა ვარ!

>>> 29



ყველამ იცის, რომ შეფნიერება ეფემერული ვარ ცხოვრება, მაგრამ ამის მიუხედავად ვარ სულერა

რულით. მომენატრეთ ყველანი. გკოცნით, სოფი19.

ვაუ, ვიწყებ ბიზნესს! ჩემი ნიკები გამომაქვს აუქციონზე. საწყისი ფასი: ჭკუა და ერუდიცია ანუ რაც გასაღებს აკლია. ეეჰ, მარტო ეგ რომ აკლდეს, რა გვიჭირს? საცოდაობაა! ენიგმა.

მარ, მიეცი გასაღებს „ყველაზე ჭკვიანის“ სტატუსი, თორემ შურისგან გადაძოვა აქაურობა. ეგ მოჩვენებები კლიმაქსმა იცის, შე პრიმიტივო ჭორიკანა. მიკბინე ნეკზე. ელექტრა.

ჩემი მისამართით მოწერილ არც ერთი უარყოფითი მესიჯის ავტორს პასუხს არ მივწერ, რადგან მათზე მაღლა ვდგავარ. მეგობრებს კი ბოდიში, თუ მათაც ვეღარ მივწერ. გრუზინკა.

მარ, ჟურნალ „გზაში“ წავიკითხე სოფო მაისურაძის ინტერვიუ. მეც სოფო ვარ მაისურაძე და ძალიან მინდა მაგ ადამიანის გაცნობა.

ააუჰ, აქ როგორ ძაან არეულა ყველაფერი... და ვინ დაიწყო? ვასასი.

დაბრუნდნენ ძველი, სულ ძველი მგზავნელებიი! ვასასი.

გრუზინკა ზოგ „სანდო“ მგზავნელთან სხვა მგზავნელებზე ჭორაობს. ეთოზე ამბობს, აკლიაო, იასამანზე — ტირიფიაო, ლუნაზე — მაესტროს საეჭვიანოდ დათო თვითონვეაო, ილინი ჭორიკანააო, დუჩიზე — ქმარმა გააგდო და ახლა ასეო და ისეო. ენიგმა ჭლექიანიაო, ლიმონა მძულს და გასაღები მიყვარსო. მოკლედ, მისი დემონური მე ანუ გასაღები — ზენიტშია!

ოლე, ერთის გვერდით ჩემს სახელს ნუ ახსენებ. მეც მიყვარხარ. დუჩ და სიკვდილა, ღამე დამაძინეთ, დებილებოოო! კამ-კამას, იკუშკებს, 9717-ს და ბოას მოვიკითხავ. Green Girl.

ეჰ, სიკვდილავ, აგვახიეს ქსნის ხეობა. მეც მანდედან ვარ. წამოდი, ერთად მივასიკვდილოთ რუსები. ნუ ჭორაობთ ხალხო, რას დაემგვანა „გზა“? ჭორის ბუდედ იქცა. ნიბუ.

აუ, პროვოკატორისა და ჯაბა ანანიძის ფანი ვაარ. გენაცვალეთ, მაგ გამბედაობასა და ტვინის ხვეულებში. გა-ი-ხა-რეეთ!.. ბიჯოო, შხამიანიც თუ ვიყავი, არ ვიცოდი. ჰმ, ლიმონა.

ოლეგარიო, მეც სიამოვნებით გაგიცნობ. მოგიკითხავ გულთბილად. კუსკუსელა, ირმა91, კამი, სევდიანი ქალი, იდუმალი ქალი, ჯეჯე, თბილი მოკითხვები ჩემგან, ჩემო კარგებო. იასამანი.

ვიტალი ჩოჩიევს: მენატრები, დედიჯან. სად წაგიყვანეს? იქნებ მოახერხო და დამირეკო. გელოდები და გკოცნი. თამო დედა.

აგნეს, ჩემო სიხარულო, სიგიჟემდე მენატრები. უამრავს გკოცნი. იცოდე, გელოდები. ჩემი სუნთქვა ხარ. შენი თამო.

ძველ მგზავნელებს: გთხოვთ, თითო მესიჯით დაგვიდასტურეთ, რომ „მობილიზაციაში“ მხოლოდ სითბო, სიყვარული, მეგობრობა და ერთგულება გვინდა. ყველა მიყვარხართ. ოლეგარიო.

ენიგმა, ბერბიჭა, გრუზინკა, ლიმონ, მოგიკითხავთ და გთხოვთ, ნერვები არ აიშალოთ. აქ ყველამ ვიცით, რა შეგნების ხალხი ხართ. აქ არაფერი იმალება. გული ჩანს, გული... იასამანი.

დღითი დღე ვითარდებიან ადამიანები, ვითარდება ბუნებაც. ადრე თუ კვირაობით ელოდნენ ნიავის ამოვარდნას, რომ მიეღოთ ელექტროენერგია, რომ გაეცხრილათ ხორბალი, რომ ეპოვათ ქარისგან გატაცებული წითელი თუმნიანი. ახლა კი ყველა ამ სიკეთესთან ერთად ქარი უფრო გაძლიერდა და ბებიის მოვალეობასაც ასრულებს. საკმარისია, ბავშვი საწოლზე მიაწვინო. კორპუსები ერთმანეთს ვალსს ეცეკვებიან და ბავშვების ჩაძინება ხომ არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. განსაკუთრებით კი ავჭალაშია ქარი ბავშვების ხშირი სტუმარი. ავჭალა გამოირჩევა კიდევ ერთი თვისებით. მაგალითად, თუ ადრე



ჭერა — თმის ფერი
ყი ვარ, ალიბია

აბორტის გასაკეთებლად და იხდიდნენ საკმაოდ დიდ თანხას, ახლა ჩაჯდები 11 ნომერ „მარშრუტკაში“ და 50 თეთრად ტყუპს მოუშლის მსურველს. აბაა. ჯეჯე.

პეკინელო გიო, შენ ჯუდის გული მოუკალი. ამიტომ ის მიდის შენი ცხოვრებიდან და ვიზრუნებ, რომ ველარ იპოვო. ღმერთმა განგსაჯოს მაგ მძიმე ცოდვისთვის. მშვიდობით. ელექტრა.

მარი, გენაცვალე, ეგ მარიამულები მეც ვნახე და მეც მაგრად გამიკვირდა, გვარი რომ ყოფილა.

მარ, შენი მინირომანი, „3 ამბავი“ ძალიან მომეწონა, რეალური სიტუაციაა. ვფიქრობ, არაფერია მარადიული და მათ შორის არც მეგობრობა. ადამიანის ხასიათი ასეთია, ადრე თუ გვიან ყველაფერი ჰბეზრდება. თუნდაც — ლამაზი ურთიერთობა. დრო ყველაფერს ახუნებს და სილამაზეს უკარგავს. ამიტომ უკეთესია, ურთიერთობას მანამ თუ დავამთავრებთ, სანამ დრო მოსაბეზრებელს გახდის. თაისი.

არაფრის განმეორება არ მინდა ჩემი ცხოვრებიდან. იმიტომ კი არა, რომ კარგი არაფერი მომხდარა. იმიტომ, რომ აწი უკეთესი უნდა მოხდეს. თაისი.

მე ერთადერთ მარიამულს ვცნობ შენი სახით, სიხარულო. ძალიან მიყვარხარ! გკოცნი ლამაზ ლოყებზე.. ლუნას უყვარხარ ძალიან, მარ.

ძვირფასო რედაქციავ, თქვენ არც კი იცით, ყოველი კვირის გათენება მიხარია, რადგან საქართველოდან ჟურნალ-გაზეთებს ველოდები. განსაკუთრებით — ჟურნალ „გზას“. როგორც კი ვიყიდი, გავრბივარ სახლში. მაინტერესებს, რა ხდება საქართველოში. გახარებული ბებოს ვეუბნები, „გზა“ ვიყიდე-მეთქი. ბებოს კარგად არ ესმის და მეუბნება, რა დროს გზაზე გასვლაა, ამ 40 გრადუს სიცხეშიო. ეჰ, ბებო, რა იცი, რა „გზაზე“ მაქვს ლაპარაკი. ჩემი საქართველო და ოჯახი მენატრება. არსენიძე მზია.

დიდი სიყვარულით მოგიკითხავთ. ვეძებ კახელოს. ვნერვიულობ და გთხოვ, მომწერე რა, გიმესიჯებ და არ მწერ. გელოდები. უკარება.

გრუზინკა, დაო, უთქვენობა მიჭირს მხოლოდ. ყველას მოვიკითხავ. ლუნა, ლიმონა, იდუმალო და სევდიანო ქალო, ბერბიჭავ, ირმა91, გასაღებო, გაცოცხლებულო თოჯინავ, ყველას გკოცნით და გეფერებით გულში. ოლეგარიო, მე ანარქია არ ვარ, 3 წლის წინ ლამაზუნა ნიკით ვიყავი „გზაში“. ტყუილი არ მიყვარს, დამიჯერე. ისე, გამისწორდა, რომ დაგაინტერესე. ქალი ცდუნება.

მარი გამარჯობა, როგორ ხარ? იმედია, ამ მესიჯს მაინც დამიბეჭდავ. მინდა, ის დრო დამიბრუნდეს და განმეორდეს, მე და ჩემი მზეჭაბუკი ისევ ერთად ვიყოთ, ჩემს ცხოვრებაში ის 2 წელი ბედნიერი იყო, მაგრამ გაურკვეველ სიტუაციაში მიმატოვა. 2 წელი თუ ბედნიერი ვიყავი, 3 წელზე მეტია, ველოდები, მაგრამ არ ჩანს. მიყვარხარ, მზეჭაბუკ.

თუ ფერმკრთალი ვარ, შენთვის გავწითლდები. თუ ამაყი ვარ, შენთვის ავტირდები, თუ პატარა ვარ, შენთვის გავიზრდები, თუ ჭკვიანი ვარ, შენთვის გავგიჟდები. თუ შეგცივდება, მაშინ მზე ვიქნები, სიცხე შეგაწუხებს? მაშინ ზღვა ვიქნები. სხვა შეგიყვარდა? შენ ნუ დაფიქრდები, იბედნიერე და მსხვერპლი მე ვიქნები. შმაგი, იქნებ ასეა? მარი.

გვინდა თუ არა „ჯურლმულიორკი“?

<<<27

● ძალიან მომწონს ეს იდეა. „გზას“ ბევრი ისე ალარ აფასებს, როგორც ადრე. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე მგზავნელი ნამდვილად იმსახურებს „დაპატიმრებას“. იქნებ ამის მერე მაინც დააფასონ „გზაც“, მარიამულიც, მგზავნელებიც და მკითხველიც. პირადად მე, მარიამულ, მზად ვარ, დანაშაულის შემთხვევაში ღირსეულად ვაგო პასუხი. დამავიო.

● რა თქმა უნდა, გვინდა. იქნებ ამით მაინც დავაშოშმინოთ მოჩხუბრები. ბავშვებო, „გზავნილეთი“ სიხარულით უნდა ავაესოთ და არა იმ პრობლემით, რასაც ჩხუბი ჰქვია. ლა-ლოლა.

● მაგარი იდეაა „ჯურლმულიორკი“. ნუ, ახლა, ჩემი სამსახურიდან გამომდინარე კი არა, ისე, რა, პრევენციის მიზნით. ელისო.

● მე ის მაინტერესებს, რა კრიტერიუმით განსაზღვრავ „დაპატიმრების“ კანდიდატებს? ვაი, მათი ბრალი, ვინც იქ მოხვდება. არადა, წინასწარ უკვე ვიცი, ვინც იქნება, სავარაუდოდ. გასაღები, გრუზინკა, ენიგმა, ლიმონა, მის რეალი... ამაში დარწმუნებული ვფარ, კიდევ 1-2 მგზავნელზე ვეჭვობ.

● მარი, იმედია, დიდი ხნით არ „დააპატიმრებ“ ხოლმე მგზავნელებს. რა საინტერესო იდეაა, არა? ნეტავ მე თუ მოვხვდები „ჯურლმულიორკში“ როდესმე? ვინ იქნებიან პირველი „პატიმრები“? აბა, წარმატებებს გისურვებთ, ბავშვებო, მე რომ არ მოვხვდები იქ, ეგ კი ვიცი და...



ძმოლოდ ტყვიან ჭალის
შეიძლება ტეშმარიტად
სიფიფლეში სიცოცხლის ჩადენა.

გილოცავ



აბე, ჩემო სიყვარულო და სიხარულო, გილოცავ დაბადების დღეს. მუდამ ჯანმრთელი და ბედნიერი იყავი, შენს ოჯახთან ერთად! ვაჟკაცი და გამარჯვებული — მტერთან! შენი ელო.

ეკა ლომიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და ბედნიერება არ მოგაკლოს ღმერთმა. უფალი გფარავდეს, პატარა დაიკოსთან და მშობლებთან ერთად.

ქსნის კოლონიაში კუკურა ნოზაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ჩემო კარგო. სვაბოდა! მეტი რა გისურვო? თამო ნოზაძე, ხაშური.

ჩემს საყვარელ მარინა ბულაშვილს დაბადების დღეს ვულოცავ, 15 ივნისს. მისი ცხოვრების მეგზური იყოს სიყვარული და იესოს ლოცვა, ოჯახთან ერთად. მონატრებული ია.

ჩვენო ტკბილო ნაირა დეიდა, დაბადების დღეს გილოცავთ, დიდხანს სიცოცხლეს და სიხარულს გისურვებთ, მუდამ. ღმერთის მფარველობა არ მოგკლებოდეს. ია და თემო.

ჩემს თვალებბრიალა გოგოს, თაკო ანანიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ და უზრუნველ ბავშვობას. იყავი მშობლების ამაგის დამფასებელი. მამიდა.

გოჩა გეჯაძეს და ირმა ჩადუნელს ვულოცავ გაბედნიერებას. სიყვარული, სიხარული, ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. გფარავდეს ყველაწმინდა. თამილა.

ვანიკო სვანიძეს და მაკა მაჭავარიანს ვულოცავთ სკოლის დამთავრებას, ვუსურვებთ წარმატებებს და ბედნიერ მომავალს. მონატრებული დედა, დეიდა და ანიკო ბებო.

ვანიკო სვანიძეს და მაკა მაჭავარიანს ვულოცავთ სკოლის დამთავრებას. ვუსურვებთ წინსვლას სწავლაში და პირად ცხოვრებაში. გფარავდეთ უფალი. გლოცავთ თქვენი მონატრებული ანიკო ბებოს მეგობრები.

ლუკა გიორგიძეს 12 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს, დაიკოსთან, მშობლებთან და ყველა კეთილმოსურნესთან ერთად. თქვენზე უზომოდ მონატრებული დედიკო და მამიკო.

ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს, ფერიდეს და ბექას ვულოცავ გაბედნიერებას. სიხარული, სიყვარული და ბედნიერება ნუ მოაკლოს ღმერთმა. დეიდა ნინო გორგიძე.

მონატრებულ მეგობარს, თამრიკო გოგისვანიძეს ვულოცავ 16 ივნისს იუბილეს. ვუსურვებ გაბედნიერებას. გაიხარე ლამაზი მომავლით. მუდამ შენი მოსიყვარულე ეკა ფურცხვანიძე

იაგო ფარულავას და ირმა წულაიას ვულოცავთ ქალიშვილის დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი, სასახელო გაგიზარდოთ. უფალი გფარავდეთ. გია, ილზა, შმაგი გიორგაძეები.

ქუთაისში, „პლაშატკაზე“ მცხოვრებ ანზორ და ელიზა ფარულავებს ვულოცავთ შვილიშვილის დაბადებებას. უფალი ფარავდეს. გაიხარეთ. გია, ილზა, შმაგი გიორგაძეები.

ჟინვალში ილია ჯიქურს და ნინო ბეკოშვილს ვულოცავთ გაბედნიერებას. სიხარული, სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. უფალი გფარავდეთ. მარინა და ხათუნა ჯიქურები.

ტყიბულში 4 წლის უნახავ ძმისშვილს, გიორგი ცქიფურიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ულევ სიხარულს და დიდ სიყვარულს. ღმერთი გფარავდეს, ჩემო ლამაზო ბიჭო. გკოცნი ბევრს. მზია.



ადამიანი თავისი
წინაპრების ამაყობს,
მაგრამ — მეამბოხეობით

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფოტო, რომელმაც ქართველი ლაკონური



ამ ფოტოსთვის ზესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:

8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

„აი, ამ მეუფესა ლითი ჰყავს მოკლული“

ოჯახიდან ბევრი ჩვევები

ამას წინათ, ექსპერიმენტის სახით, ჩვენი თანამოქალაქეების სატელეფონო გამოკითხვის შედეგები გაგაცანით. მაშინ რესპონდენტებს ვკითხე, რას შეცვლიდნენ თავის ცხოვრებაში. ამჯერად კი, უფრო სახალისო კითხვა მოვიფიქრე — რა მავნე ჩვევა მაქვს? ვფიქრობ, ისევე იხალისებთ, როგორც მე ვიხალისე რესპონდენტებთან ურთიერთობისას. მანამდე კი ჩემი მეზობლის მავნე ჩვევის შესახებ გეტყვით. ყოველი ჩემი დილა ზემოთ მცხოვრები მეზობლის გინებით იწყება. ზეპირად ვიცი, დილაობით სახლში როგორი „მარშრუტით" დადის. გაიღვიძებს თუ არა, ეს ჩემი ცოდვით სავსე, „ჩახტება" თავის ქუსლიან ფეხსაცმელში და აქეთ-იქით „დაბაკუნებს". ასე გრძელდება თითქმის 2 საათის განმავლობაში, ვიდრე თავის ავ ძაღლს სასეირნოდ არ წაიყვანს. რამდენჯერმე მსუბუქად ვუსაყვედურე, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. ჰოდა, ახლა გადავწყვიტე, შური ვიძიო. მანამდე კი ვნახოთ, რა მავნე ჩვევები აქვთ სხვებს.

ეკა, 25 წლის:

— ძალიან მიყვარს თეფშის მოლოკვა და ვერაფრით გადავეჩვიე ამას. სახლში კიდევ ჰო, მაგრამ თუ რესტორანში ან კაფეში ვარ, მაშინ ვარ ცუდ დღეში. ძლივს ვიკავებ თავს. ასეთ დროს ენას პურის ნატეხით ვცვლი და თეფშს იმით მოვასუფთავებ ხოლმე. წარმოიდგინეთ, ასეთი სურათი. ალბათ ყველას ჰგონია, რომ მშიერი ვარ და რამდენიმე დღეა, არაფერი მიჭამია. ძნელია ამ ჩვევის დავიწყება.

დიანა, 21 წლის:

— მიყვარს ყველაფრის ჩიჩქნა და ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა. მაგალითად, ბოთლზე ეტიკეტის აძრობა, მაგიდის ქვეშ მიწებებული საღეჭი რეზინის მოძრობა. მნიშვნელობა არ აქვს, რა იქნება. მთავარი პროცესია. სახლში ყოველთვის მაქვს წებო „მომენტი". თუ ცუდ გუნებაზე ვარ, ხელებზე წავისვამ ხოლმე და გაშრობას ველოდები. შემდეგ ცელოფანივით ვიძრობ. ძალიან მამშვიდებს.

გელა, 32 წლის:

— ბავშვობიდან მაქვს ასეთი ჩვევა: შინ რომ მივალ, სანამ ქურთუკს ან პიჯაკს გავიხდი, პირველ რიგში ფეხსაცმელსა და წინდებს გავიძრობ ხოლმე. არ შემიძლია სხვაგვარად. ასე მგონია, სუნთქვა მიჭირს.

ვიტალი, 28 წლის:

— ჩვენი მაცივარი ჩემ მიერ მოკბეჩილი პროდუქტითაა სავსე. მიყვარს, როცა ხილს, ბოსტნეულს, ყველს, ძეხვს ჩავკბეჩ და შემდეგ ვინახავ. დედაჩემმა გადაწყვიტა, მაცივარში ყველაფერი უკვე დაჭრილი შეინახოს, მაგრამ იმ პატარა ნაჭერსაც ვკბეჩ და ვტოვებ. ამის განკურნება შეუძლებელია.

ლელა, 28 წლის:

— ერთხელ ფეხსაცმლის მაზი ვიყიდე და ძალიან მომეწონა მისი სუნი. შემეძლო, საათობით ვმჯდარიყავი და ცხვირი მაზის კოლოფში მქონოდა ჩაყოფილი. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სუნი გაუვიდა. ალბათ მთლიანად მე შევისუნთქე. იძულებული გავხდი, ახალი მეყიდა.

ანა, 22 წლის:

— ჩემი ქმარი უთქმელია. ხმას თითქმის არ იღებს და იშვიათად ლაპარაკობს. სამაგიეროდ, როდესაც ტუალეტში შევა, იქ ენად გაიკრიფება ხოლმე. ყველაფერზე ლაპარაკობს, რაც ენაზე მოადგება. სიყვარულიც კი იქიდან ამიხსნა. თანაც, როცა ლაპარაკობს, აუცილებლად შენც უნდა უპასუხო. თუ არა და, ყვირილს იწყებს.

მარი, 25 წლის:

— მუდამ მცხელა ფეხებზე. ამიტომ, ეს ჩემი სხეულის ერთადერთი ნაწილია, რომელიც საბნის გარეთ მიჩანს. ერთხელ სახლში კონდიციონერი გაფუჭდა. ისე დამცხა ფეხებზე, ადგილს ვეღარ ვპოულობდი. ტაშტში წყალი ჩავასხი, ფეხები შიგ ჩავყავი და ისე დავიძინე.

ნატო, 25 წლის:

— მე თავზე თმას ვიგლეჯ. არა, მაშინ კი არა, როცა ისტერიკა მაქვს. ისე, უბრალოდ, როდესაც სამსახურში კომპიუტერთან ვზივარ, ხელი თმაზე მიკიდია და მშვიდად ამოვიგლეჯ ხოლმე. ამას ჩემი თანაკლასელი გოგოსგან დავეჩვიე. ის მთელი 2 წელი იგლეჯდა თმას. პირველად ძალიან მაღიზიანებდა მისი საქციელი, მაგრამ მერე თვითონ „შევჯექი".

მარინა, 29 წლის:

— როდესაც ვლაპარაკობ, თვალი მიშტერდება ხოლმე ერთ წერტილზე და რაღაცნაირად, ვშტერდები. ბოლო დროს ვცდილობ, ვისაც ველაპარაკები, იმის სახეზე შევაჩერო მზერა, თორემ უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდები ხოლმე.

ლადო, 32 წლის:

— ჩემს ცოლზე პულტი ახდენს უარყოფით გავლენას. ის ტელევიზორს კი არ უყურებს, ზის და უაზროდ რთავს არხიდან არხზე. თითქოს რაღაც კაიფს იჭერს.

გამოკითხულთაგან ბევრმა თქვა, უყვარს, როცა სადმე რეკავს. შეუძლიათ, უმიზნოდ და უმიზეზოდ დარეკონ. უბრალოდ, იმის გამო, რომ სხვა საქმე არ აქვთ. ზოგიერთი ფრჩხილებს იკვნეტს, ზოგს კი აბაზანაში სიმღერა ანიჭებს უდიდეს სიამოვნებას.

აი, ასეთი სახალისო მავნე ჩვევები აქვთ ადამიანებს და მეც ისე ვიხალისე, რომ მეზობელზე შურისძიებაც კი გადავიფიქრე. ●

ინგა ჯაყელი



მხიარული ქვრივი...

ჩემმა მეგობარმა ეკამ გამაცნო ჩვენი დღევანდელი ამბის გმირი — ქალბატონი მაშიკო, ამჟამად — მარტოხელა, რომელმაც ბოლო ქმარი 3 წლის წინ დაასაფლავა... ვიცი, თქვენც ჩემსავით გაგიჩნდათ კითხვა: — კი, მაგრამ სულ რამდენი ჰყავდაო?! ძალიანაც არ გაგაწვალებთ და გეტყვით: არც მეტი და არც — ნაკლები, მაშიკოს 6 ქმარი ჰყავდა...

ამ ქალბატონს კარგი სახლ-კარი, ბაღ-ბოსტანი და ვენახი აქვს. ჯანიანი ქალია, მშრომელი — ბარე ორ კაცს აჯობებს შრომაში, ქეიფში, ჭირსა თუ ლხინში, მხარში ამოდგომაშიც. მაშიკო ისე უყვართ ნათესავებს და მეზობლებს, რომ თითსაც არ ამოისვამენ თვალში, თუნდაც, დღეში 9-ჯერ ჩაუვარდეთ ეს ფაშფაშა ქალი...

ეკასაც ძალიან უყვარს და სოფელში ჩასული, ნათესავებზე ადრე, მის მოსანახულებლად გარბის... ერთხელ მასთან მეც წამიყვანა.

მაშიკო ბებერი მსხლის ქვეშ იჯდა და შემოსეულ ინდაურებს ხელით კვებავდა... თან, ისე ეფერებოდა, როგორც მოყვარული ბებია — შვილიშვილებს.

— გაზეთები მომიტანე?! — სალამზე ადრე მიაძახა ეკას.

— გაზეთებიც მოგიტანე, ჟურნალებიც და ცოცხალი ჟურნალისტიც მოგიყვანე. აგერ შენ და აგერ ჩემი სტუმარი! — გადაეხვია ეკა.

მაშიკომ მეც მონატრებული ნათესავივით ჩამიკრა გულში და თავისი ჯანიანი ტორები ისე დამცხო გვერდებში, ხველება დამაწყებინა!..

— თქვენ სამზარეულოს როგორ გაკადრებთ, პირდაპირ სასტუმრო ოთახში მიბრძანდით. ცომიც მზადაა. ჭყინტი ყველიც, სახელდახელოდ გამოვაცხობ თანთალა ხაჭაპურებს. და ამ წუთში გეახლებით! — ხელი ჰკრა ეკას ბეჭებში იმის ნიშნად — მასპინძელივით მოიქეცი! — ჰოდა, ეკაც დიდის ამბით გამიძღვა მაშიკოს სასტუმრო ოთახისკენ. ღია კარში შევაბიჯე თუ არა, თვალში კედელზე ჩამწკრივებული, შავჩარჩოიანი სურათები მომხვდა, საიდანაც სხვადასხვა ასაკის და ზომა-წონის მამაკაცი შემომყურებდა.

— ეს რა გამოფენაა? — მივუბრუნდი მეგობარს, რომელიც ნიშნის მოგებით მიცინოდა:

— ასეთ რამეს მსოფლიოში ვერ ნახავ! ეგენი მაშიკოს გარდაცვლილი ქმრები არიან. ეგ რაა, შენ ის უნდა ნახო, სასაფლაოზე რა მშვიდად განისვენებს ექვსივე ერთმანეთის გვერდით!

— პატრონები არ ჰყავდათ ამ საცოდავებს, რომ წაეყვანათ და ცალკე საფლავი ღირსებოდათ... ანეკდოტად რომ არ ქცეულიყო მათი ამბავი?!

— მაშიკო ის ქალი არაა, თავისი „ქონება“ ვინმეს დაანებოს...

ამ დროს მაშიკოც შემოქაქანდა. ხელში ხილით სავსე უზარმაზარი ლანგარი ეჭირა:

— ხაჭაპურიც ცხვება, დასხედით და ახლავე შემოგიერთდებით! — გვითხრა და კარადიდან შინნახადი არყით სავსე ბოთლი გადმოიღო. — აბა, ჰე, არ მოიწყინოთ, შეიქციეთ თავი...

მაშიკომ მართლაც, სანაქებო და „საფირმო“ ხაჭაპური მოგვართვა, ბევრიც არ ვახვეწნინეთ და „სული რომ მოვითქვითთ“, თვალი ისევ მისი ქმრების სურათებისკენ გამექცა, რაც ჩვენს მასპინძელს არ გამოჰპარვია. ჭიქა შეავსო და ფეხზე წამოდგა:

— გაანათლოს ჩვენი მიცვალებულები! ჩემი საწყალი კაცების თამადობით, ყველას ხსოვნა და არდავიწყება იყოს! — გადაკრა არაყი და წამიერად ცრემლიც კი გაუკრთა თვალებში, მაგრამ უცებ მოვიდა ხასიათზე: — კარგები მყავდნენ! ეგენი არ უნდა მომკვდარიყვნენ, მაგრამ მართალი ყოფილა: ღმერთსაც კარგები უნდაო!.. აი, ეს, — შავულვაშა კაცზე მიგვითითა, მკვდარიც რომ აბრიალებდა დიდ, შავ თვალებს, — ჩემი პირველი სიყვარულია შალიკო. 14 წლის გოგო გავეკიდე. ამ სახლის ადგილზე პატარა ქოხი დამახვედრა. ერთად დავშალეთ და ახალი სახლი რომ წამოვჭიმეთ, მაშინ გამომეცალა ხელიდან — ძილში გაიპარა, კაი ნაქეიფარზე და დამტოვა 5 წლის შვილით... იმის მერე, არც ერთი ქმრისგან არ გამჩენია შვილი. თითქოს მომაჯადოვა იმ სულგანათლებულმა, რომ მისი დატოვებული სახლ-კარი მის ნაშიერს დარჩენოდა და შემცილებელი არ ჰყოლდა...

— ხომ კარგადაა მაია, მაშიკო?!

— რა უჭირს, ამერიკელ მილიონერზეა გათხოვილი, 3 ბუღასავით ბიჭი ეზრდება, — ეგაა, შორს არიან და ამომილამდა თვალები მათ მოლოდინში! შემომითვალა: ჩვენ მაქეთ წამომსვლელები აღარ ვართ და მარტო რატო უნდა იყო? იქნება ერთხელ კიდევ გათხოვდე, პატრონი ხომ გინდაო?!

— რამე რომ იყოს, კიდევ გათხოვდები, მაშიკო?! — გაუბედა ეკამ.

— რატომაც არა! 67 წლისა ვარ, მაგრამ ბევრ 40 წლისასაც ვჯობივარ, ჯან-ღონითაც და სიცოცხლის სურვილითაც! და ისევ ყოფილ ქმრებს გახედა. თითქოს რამე ეყურებოდათ, მოუბოდიშა: — თქვენ ნუ გეწყინებათ! რა ვქნა, გეცოცხლათ და რად მინდოდა სხვა, მაგრამ გაიხურეთ კარი და წახვედით!.. შალიკომ 20 წლისა დამაქვრივა. მომდევნო — შოთა იყო. ძალიან ფიცხი გახლდათ ის ცხონებული, სულ მუშტებზე იხედებოდა. ერთხელაც ისე სცემეს, გაუხეთქეს ნაღველი და საქეიფოდ წასული შინ მკვდარი მომიყვანეს. გული დამწყვიტა, მაგრამ საფლავში ხომ არ ჩავყვებოდი?! 2 წლის შემდე გავყევი ვაჟას. მრავალსულიანი, ღარიბი ოჯახიდან იყო, ზედმეტ ლუკმას დანატრებული. ჰოდა, კაი სმა-ჭამამ აწყინა, გაუსკდა კუჭი და საოპერაციო მაგიდაზე დატოვა სული!..

გურამმა რომ მითხოვა, ახალთახალი „ჟიგული“ ვაჩუქე, მადლიერების ნიშნად. არადა ორ წელიწადში იმ მანქანასთან ერთად დავმარხე — მთვრალმა ავარია მოახდინა და ნაწილ-ნაწილ ჩავაწყვეთ კუბოში...

დურმიშხანმა ყველაზე დიდხანს იცოცხლა — 14 წელიწადი ვიყავით ერთად და აღარც მეგონა, თუ ისევ ქვრივის სახელი დამერქმეოდა. ე იმ ბებერი მსხლის ხიდან „გადმოფრინდა“. თქვა, — არაყი უნდა გამოვხადოო, — აძვრა ხის კენწეროზე და მოიტეხა კისერი.

ყველაზე უმცროსი ქმარი — დათუნა არაფრის გამკეთებელი და უმაქნისი იყო, მაგრამ სიმღერა იცოდა იმისთანა, ყველაფერს ვპატიობდი. აი, ეს გიტარა მისგან დამრჩა! — მაშიკომ კედლიდან ბაფთიანი გიტარა ჩამოხსნა და გულზე მიიხუტა, სიმებს თითი ჩამოჰკრა:

— „შორი გზიდან სატრფოს ველიიი“, — დაამღერა მხიარულმა ქვრივმა და ძალიანაც გვასიამოვნა, — მეც მასწავლა დაკვრა და სიმღერა... ბრმა ნაწლავი გაუსკდა თურმე, მან, კი დამაყუჩებლები სვა და როცა მუცელი ასტკივდა, არაყი დააყოლა და ქე ჩამაკვდა ხელში, უექიმოდ...

— შეიძლება თქვენზე ჟურნალში დავწერო? — ვერ ვძლიე ცდუნებას.

— გინდა ქვეყანაზე გამომაჭენო?! — შემომცინა მაშიკომ და ხელი ჩაიქნია: — მაშინ ისიც დაწერე, რომ კაი, პატიოსან, წყნარ კაცს ვეძებ, მომფერებელს და ტკბილად მოუბარს. მთლად ბებერიც ნუ იქნება. სირცხვილია, ჭირისუფალი სულ მე ხომ არ უნდა ვიყო? მეც მინდა, ვიღაცამ მიტიროს და გული დასწყდეს!.. სიცოცხლეს გაუმარჯოს! — თქვა ბოლოს და ისევ გიტარა მოიმარჯვა: — „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო, ნუ მიხურავ, ნუ მიხურავ კა-ა-რებს!“..

თაღლითების ძახეში გაბმულები

წლები გადის, სამშობლოდან წასულ ადამიანთა რიცხვი არათუ მცირდება, არამედ განუზომლად იზრდება. უცხოეთში წასვლა ხშირად ერთადერთი საშუალებაა, დაგროვილი ვალებისგან თავის დასაღწევად და ოჯახის სარჩენად. გაჭირვებული ადამიანები ტოვებენ ოჯახებს, თვალცრემლიანი ემშვიდობებიან ახლობლებს. იციან, რომ სულ მცირე, 4-5 წელი საქართველოში ველარ დაბრუნდებიან, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, ეს დაგეგმილი ვადაც არ არის საკმარისი დასახული მიზნის მისაღწევად.

მაგრამ მშობლიურ კუთხეს მოწყვეტის, ოჯახთან, ახლობლებთან ხანგრძლივი განშორების გარდა, ემიგრაციაში წასვლის მოსურნისა თუ იქ ჩასულის წინაშე უამრავი სხვა უმწვავესი პრობლემა გაჩნდება ხოლმე.

შეეთხოვეთ გაჯარჩენილი მოვლელი და ვისვალეგულის დაფირვების ახალი „ტრაფიკი"

მარი ჯაფარიძე

2 ათასი. 3 ათასი. ციხე...

ნინო, *33 წლის:*

— ოჯახური პრობლემების გამო ევროპაში გამგზავრება გადავწყვიტე, კერძოდ — ესპანეთში. იქ ჩემი ახლობელი მუშაობს და ასე თუ ისე, ოჯახს ინახავს. სწორედ მისი საშუალებით დავუკავშირდი ერთ საჭირო ადამიანს და ვთხოვე, დამხმარებოდა. მიპასუხა: მე ამ საქმიანობას შევეშვი, ამიტომ სხვას დაგაკავშირებო. ტელეფონის ნომერი მომცა. როდესაც ამ ნომერზე დავრეკე, იმავე დღეს დამინიშნეს შეხვედრა და საღამოს ერთ-ერთ ოფისში მივედი. საკმაოდ საქმიანი ვითარება დამხვდა. რამდენიმე თანამშრომელი ფუსფუსებდა, ზოგი ვიღაცას ელაპარაკებოდა, ზოგი — საბუთებს ავსებდა, ტელეფონს პასუხობდა. ეჭვიც არ შეგეპარებოდა, რომ ეს ხალხი საქმის გამკეთებელი იყო. დამსვეს, ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხეს — სად მინდოდა წასვლა, რა თანხის შოვნა შემეძლო, ვისთან მივდიოდი და ა.შ. ბოლოს მითხრეს, რომ წინასწარ პასპორტი და 1.000 დოლარი უნდა მიმეტანა. რა თქმა უნდა, ეს თანხა შინ არ მქონდა. ბანკში კრედიტი ავიღე და რამდენიმე დღის შემდეგ იმავე ფირმაში მივედი. ვიდრე ფულსა და პასპორტს ჩავაბარებდი, გარანტია მოვითხოვე, რომ თანხას არ დავკარგავდი. სასაცილოდ არ ეყოთ ჩემი ნათქვამი: ქალბატონო, სხვის თანხებს ასე რომ ვითვისებდეთ, 12 წელი ვერ ვიმუშავებდითო, — მითხრეს და მეც დავმშვიდდი. ახლა როგორ მოვიქცე-მეთქი? — ვკითხე, როდესაც ფული და საბუთი ჩავაბარე. — ახლა თქვენი ტელეფონის ნომერი დაგვიტოვეთ და ჩვენს ზარს დაელოდეთო. ველოდი კარგა ხანს და რომ არ დამირეკეს, ისევ მივადექი იმ ოფისს. დამამშვიდეს: ასე იოლად არ ხდება ეს ყველაფერი, თქვენი საბუთები ჩაბარებულია და ვიზას ველოდებით, როგორც კი მივიღებთ, მაშინვე დაგირეკავთ, მაგრამ მანამდე 1.000 დოლარი კიდევ უნდა მოგვიტანოთ, რომელიც თქვენი ყალბი საბუთების დამზადებაში დაიხარჯაო. ცოტა კი გავაპროტესტე: ყალბი საბუთებით წასვლა არ მინდა-მეთქი, — მაგრამ დამამშვიდეს: ყალბი საბუთებით ნამდვილ ვიზას მიიღებთო. კიდევ რამდენიმე კვირა ველოდი... შემდეგ — კიდევ... მოკლედ, მთელი 4 თვე გავიდა ამასობაში და ერთ მშვენიერ დღეს, ისევ რომ მივადექი ფირმის კარს, დაკეტილი დამხვდა. აღმოჩნდა, რომ ჩემი 2 ათასი დოლარი დაიკარგა. საგონებელში ჩავვარდი. ჩემსავით, უამრავი ადამიანი დარჩა პირში ჩალაგამოვლებული და თაღლითობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, მაგრამ დამნაშავეები ვერ იპოვეს. გამოხდა ხანი. ჩემს უამრავ ვალს ის 2 ათასიც დაემატა და უკვე თავის მოკვლაზეც კი ვფიქრობდი, როცა გამოჩნდა ადამიანი, რომელიც საბერძნეთში წაყვანას შემპირდა. ვფიქრობდი, რომ უკვე კარგი გაკვეთილი მქონდა მიღებული და აღარ მოვტყუვდებოდი, მაგრამ ისევ მახეში გავები. მითხრეს, რომ ყველაფერი კანონიერად იქნებოდა და პირობა მომცეს, რომ ათენამდე ჩამიყვანდნენ. გარკვეული დროის შემდეგ დამირეკეს და გამგზავრების თარიღი შემატყობინეს. დიდი ამბით ვემზადებოდი გასამგზავრებლად. ოჯახის წევრები ჩემს გასაცილებლად დაიძრნენ. ავტობუსთან რომ მივედი, „ვიზაჩარტყმული" პასპორტი მაშინ გადმომცეს და მეც ფული ჩავუთვალე, ამჯერად — 3 ათასი დოლარი. თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე დამაკავეს, რადგან ვიზა ყალბი აღმოჩნდა. ისევ გავები და ისევ „გადამაგდეს". 3 თვეში თაღლითებმა 5 ათასი დოლარი წამართვეს. ეს ფული რაიმე საქმეში რომ ჩამედო, ალბათ დღეს კარგად ვიქნებოდი... ამის შემდეგ რაღას ვიზამდი?! როდესაც საბერძნეთის ციხეს 1 თვის შემდეგ თავი დავაღწიე და შინ დავბრუნდი, საგონებელში ჩავვარდი. გავიდა ცოტა ხანი და თურქეთში წასვლა შემომთავაზეს. სხვა გზა არ მქონდა, უნდა დავთანხმებოდი, ვინაიდან სხვაგან წასასვლელი ფული აღარ მქონდა და ვერც ვიშოვიდი. თურქეთში კი, მართალია, შედარებით დაბალი ხელფასია, მაგრამ სამაგიეროდ, გზა სულ რაღაც 100 დოლარი ღირს. ჩემი პასპორტი უკვე გაფუჭებული იყო, ყალბი ვიზის გამო და აღარ გამოდგებოდა. ახლობლებმა საჭირო კაცთან დამაკავშირეს, მან კი ახალი, ყალბი პასპორტი გამიკეთა გარკვეული თანხის საფასურად. ჰოდა, მთლად დავიღუპე თავი. ქართველმა მესაზღვრეებმა დამაკავეს საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და საბუთების გაყალბებისთვის. ადვოკატი ავიყვანე, ჩემმა ოჯახმა ბინა გაყიდა, რომ ჩემთვის ეშველა, მაგრამ ადვოკატმა საქმე ბოლომდე არ მიიყვანა და მოსამართლემ გირაოც კი არ შემიფარდა. წელიწადნახევარი ციხეში ვიჯექი. მოვიხადე „სროკი" და ახლა გარეთ ვარ, მაგრამ არ ვიცი, რა მეშველება. აღარც სახლი მაქვს, აღარც ფული და აღარც იმედი, რომ ოდესმე ვალების გასტუმრებას შევძლებ. უამრავი ადამიანი მიდის უცხოეთში და მაინცდამაინც მე არ მომემართა ხელი. ახლა ისევ რაიმე უნდა ვიღონო და როგორმე საზღვარგარეთ წავიდე, თორემ ცუდადაა ჩემი საქმე.

ლამაზი საქართველოს დამსახურება

ლალი, *38 წლის:*

— მე ალბათ ერთ-ერთი პირველთაგანი ვიყავი, ვინც წლების წინ საქართველოდან საშოვარზე უცხოეთში წავიდა. მაშინ 25 წლის გოგონა ვიყავი და გადავწყვიტე, ევროპაში წავსულიყავი. გამიმართლა და გერმანიაში გავემგზავრე. შეიძლება ითქვას, რომ

ბედს ვეწიე და ამ ემიგრაციამ ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა. ჩასვლისთანავე ვიშოვე სამსახური და გარეუბანში, ერთ ლამაზ, პატარა, კოპწია სახლში — მებაღის ადგილი. ისეთი ლამაზი ბაღი იყო, რომ შემეშინდა კიდეც — ვაითუ, საქმეს თავი ვერ გავართვა-მეთქი. იქ მარტო მიწევდა ცხოვრება, რადგან სახლის პატრონი ქალაქში ცხოვრობდა და მუშაობდა. მხოლოდ დიასახლისს ვიცნობდი, სამსახურშიც მან მიმიღო და კვირაში ერთხელაც თვითონ მაკითხავდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ჭიშკარს დიდი ჯიპი მოადგა. თურმე სახლის პატრონი ჩამოვიდა. არ დაუმალავს, რომ ჩემს სანახავად იყო მოსული, ვინაიდან ცოლს უთქვამს, კარგი გოგონა მივიღე სამსახურშიო. ამის შემდეგ ვიზიტებს მოუხშირა და ცოტა ხანში სიყვარულშიც გამომიტყდა. თავი შორს დავიჭირე, ვუთხარი: ცოლი გყავს და ჩვენი ურთიერთობა არ გამოვა-მეთქი. მერე მითხრა: საქართველოში წამიყვანე და თუ შენი ქვეყანა მომეწონება, ცოლს გავშორდები და შენ შეგირთავო. საქართველოში წამოსვლა ცოლისგან

მალულად მოახერხა. მეგონა, აქაურობა არ მოეწონებოდა, ვინაიდან მაშინ ის პერიოდი იყო, როცა შუქი, გაზი და წყალი არ გვქონდა. ვიფიქრე, გადაირევა-მეთქი... ჩემი მშობლები სტუმარს საკადრისად დახვდნენ, ისეთი სუფრა დაახვედრეს, უკეთესს ვერც ინატრებდი, მაგრამ საღამოს სანთელი რომ ავანთეთ, მეგონა, მარკი გაგიჟდებოდა. მას კი უზომოდ გაუხარდა და სულ „გუტ, გუტ, დას ისტ ფანტასტიშ!“ გაიძახოდა... ლამის მთელი საქართველო მოვიარეთ. განსაკუთრებულად, სვანეთი და ხევსურეთი მოეწონა. მთელი თვე იყო აქ და მეც მოვასწარი მისი შეყვარება. უკან რომ დავბრუნდით, ცოლს გაშორდა და ცოტა ხანში დავქორწინდით. ახლა 3 შვილი გვყავს (პირველ ცოლთან შვილი არ ჰყოლია) და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მარკი სულ იმას მეუბნება, — შენს ლამაზ საქართველოს უმადლოდე, ჩემი ცოლი რომ ხარო. მე კი ჩემი ლამაზი საქართველო ძალიან მენატრება. ბოლო 4 წელია, არ ვყოფილვარ ჩემს ქვეყანაში და საშინელი ნოსტალგია მაქვს.

საგიჟეთი

ლაურა, *40 წლის:*

— უკვე 4 წელია, საბერძნეთში ვარ. ოჯახს დიდი ვალი დაედო, ჩემი ქმარი სამსახურს ვერ შოულობდა და იძულებული გავხდი, 3 შვილი მისთვის დამეტოვებინა და წამოვსულიყავი. აქ ბევრი ქართველია. როდესაც შევიკრიბებით, ყველას საწუხარი ისაა, რომ ოჯახი და საქართველო ენატრება. ჩემს აქ ყოფნაში ჩემი შვილი გათხოვდა და უკვე შვილიშვილიც მყავს, რომელიც თვალითაც არ მინახავს და მხოლოდ ფოტოსურათებით ვიცნობ. ჯერ ვერ ვახერხებ საქართველოში დაბრუნებას, რადგან მთელი 2 წელი იმ ვალების გასტუმრებას ვანდომებ, რომელიც მანდ დამიგროვდა და აქ ჩამოსასვლელადაც ვისესხე; მერე, ბავშვების სწავლის გადასახადებისა და ბინის რემონტისთვის დავრჩი; რემონტის შემდეგ, ავეჯის ყიდვაც ხომ მინდოდა?! მერე ჩემი გოგონა გათხოვდა და ქორწილი გადავუხადე, გავამზითვე... ახლა იმისთვის ვმუშაობ, რომ ცოტაოდენი ფული მოვაგროვო და მანდ რომ ჩამოვალ, საკუთარი საქმე წამოვიწყო. ძალიან ბევრი ოჯახი დაინგრა იმის გამო, რომ ცოლები ან ქმრები უცხოეთში წავიდნენ და წლების განმავლობაში ერთმანეთს ვერ ხედავენ. ჩემი ოჯახიც დანგრევის პირასაა: გავიგე, რომ ჩემს ქმარს „ოფიციალური“ საყვარელი ჰყავს და ჩემი ოფლით ნაშოვნ ფულს მას ახარჯავს. ახლა მას აღარ ვუგზავნი ფულს, ჩემი რომელიმე შვილის სახელზე ვგზავნი. ძალიან მწყდება გული, რომ ასე მოხდა და მან ჩემი შრომა და ამაგი ვერ დააფასა. რა გადავიტანე ამ წლების განმავლობაში, ეს მხოლოდ მე ვიცი. ერთი თვე უსამსახუროდ ვიყავი, რადგან მოხუცი, რომელსაც ვუვლიდი, მოკვდა. ვერა და ვერ ვიშოვე სამუშაო. მერე ერთმა ახლობელმა მითხრა, რომ მის მეზობლად (სადაც თავად მუშაობდა) მოხუცი ქალი იყო მოსავლელი და ამაში 1.200 ევროს იხდიდნენ. გამიკვირდა, რადგან ეს საბერძნეთისთვის ძალზე დიდი ხელფასი იყო. აღმოჩნდა, რომ ეს ქალი შეშლილი იყო და ძალიან ძნელი მოსავლელი. ამდენ ფულსაც იმიტომ იხდიდნენ. მე კი მთელი თვე სახლში არაფერი მქონდა გაგზავნილი და რა უნდა მექნა?! დავთანხმდი. თანაც, მთელი 2 თვის ხელფასი-სოდენა თანხას იხდიდნენ და წინა თვის უმუშევრობასაც ავანაზღაურებდი. ჰოდა, შევუდექი საქმეს. თურმე სადა ხარ?! ეს ქალი ისეთი აგრესიული ხდებოდა ხანდახან, რომ ხელჩართული ბრძოლა მიწევდა მასთან. ხან ტაფის ჩარტყმა მოინდომა ჩემთვის, ხან გრაფინი გადამამტვრია და თავი გამიჩეხა... თან, ამ დროს ისეთი ძალა ეძლეოდა, რომ ვერ ვუმკლავდებოდი. ერთ ღამეს ჩემს ოთახში შემოიპარა და ისე წამომადგა თავს, რომ ვერც კი გავიგე. კიდევ კარგი, საწოლის წინ დაგებულ ნოხს ფეხი წამოჰკრა და წაბორძიკდა, თორემ შესაძლოა, მოვეკალი კიდეც... ამ ჯოჯოხეთს 3 თვე გავუძელი, ცოტა ფული მოვაგროვე და თავპირისმტვრევით წამოვედი. აქ ერთი ქალია, რომელიც თავისი დიასახლისის შვილმა იმის გამო დაჭრა, რომ დაუკითხვად აიღო მაცივრიდან მარწყვი და შეჭამა. ხშირად ისეც ხდება, რომ აქაურ ემიგრანტებს ოჯახის წევრები ელუპებიან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, შინ გამგზავრებას ვერ ახერხებენ. ახლა ახალი „ტრადიცია“ დამკვიდრდა: თუ ვინმეს ქმარი, მამა, დედა ან სხვა ახლობელი უკვდება, გასვენებამდე ყოველ საღამოს შინ ტელეფონით რეკავს, შემდეგ სახლში ტელეფონს ისე ჩართავენ, რომ ყველას ესმოდეს ემიგრანტი ჭირისუფლის ხმა, ტელეფონს მიცვალებულს გულზე დაადებენ ხოლმე და ასე დასტირიან თავიანთ ახლობელს ტელეფონით. ვისაც ინტერნეტის საშუალება აქვს, პანაშვიდებსა და დაკრძალვას ვიდეოთვალით უყურებს და თვითონაც ხმამაღლა მოთქვამს. ესაა ცხოვრება?! საკუთარი მიცვალებული ვერ დაგვიტირებია... ვიცით, რომ იმას ველარაფერს ვუშველით, ხოლო თუ აქედან წავალთ, უკან ველარ დავბრუნდებით და იმ მიცვალებულსაც პატრონი და გაპატიოსნება სჭირდება. აი, ასე ვცხოვრობთ ქართველი ემიგრანტები და რა გვეშველება ან როდის გვეშველება, არც კი ვიცით.

■

ვაქა გიგაშვილი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ.
„გზა“ №18-24

ზეინაბი გავიდა. ნოდარი სავარძელში ჩაეზღერთა, მიაჩერდა ტელევიზორს. ისევ ადგა, მივიდა თავისსავე მოტანილ ბოხჩებთან, ერთ-ერთიდან მაგიდაზე მოაპირქვავა ფორთოხლები, ბანანები, ანანასი და მრგვალი ბოთლი ამოიღო — ვისკი „ჩივას რიგალი“, თავი მოახრახნა, მაგიდაზე ჭიქა შეარჩია და დაისხა. ნელ-ნელა წრუპავდა ვისკის ყავის მოლოდინში. მერე, თითქოს ახლაღა გაახსენდაო, მობილურს ებდღვნა და ნომერი აკრიბა.

— ჯოტო, სად ხარ? არა, კაცო, იყავი! ფეხი არ გაადგა! ხო მშვიდობაა? — მოუსმინა ჯოტოს პატაკს, თქვა, — კარქი! ახლა ეგ მითხარი, ვარანცოვზე, ხიდთან, ბაზრობაზე, ხო წრიპაა ისევ? კარქი. დაუკავშირდი! უთხარი, ნოდარს საქმე აქვს და დილას, ცხრა საათზე დაურეკე-თქო! ჰო, კარქი!

ზეინაბმა ყავა შემოიტანა. ნოდარმა მასაც დაუსხა ვისკი. ზეინაბმა სიამოვნებით მოწრუპა და ყავა მიაყოლა. მერე გაახსენდა:

— აჰ! ჭიქები და ყინული არ მოვიტანო?

— იჯექი! აღარ ღირს ფუსფუსი.

ჩუმად სვამდნენ ყავას და უყურებდნენ „ღამის შოუს“.

— რას ვრეკავდი ტუფლის წვერს კუდუსუნში ამ ნაბიჭვარს! — თქვა ნოდარმა, მერე დაამატა, — მასეც ვიზამ, თუ შემხვდა სადმე რესტორანში.

— რა დაგიშავა?

— რა ვიცი? არაფერი! იტყლარჭება ძალიან!

ზეინაბმა დამცინავად გაიცინა. მერე როგორღაც დადარაჯებულად დააკვირდა ნოდარს. ნოდარმა ნალექამდე ჩაწუწნა ყავა და ადგა.

— გავუდექი ახლა მეც!

ზეინაბს არ მოუცილებია ის დადარაჯებული მზერა და ჰკითხა:

— ნოდარ, იცნობ როსტომ ჭანიშვილს?

ნოდარმა ყურები ცქვიტა.

— ვიცნობ ისე, შორიდან! რა არი?

— არის ერთი საქმე და... — გადახედა მძინარე იორამს და ჩურჩულით განაგრძო, — ამან რომ გაიგოს, მომკლავს! არადა სანამ ეს ფეხზე დადგება, ეგ როსტომი ისევ გაქრება ქალაქიდან.

ნოდარმა დაკვირვებით შეხედა ზეინაბს. თვალებში აზარტული ინტერესი გაუკრთა, მხოლოდ წამით.

— მითხარი, ჩემო ზეინაბ! შენ გენაცვალოს ჩემი თავი! რა არი? არი რამე საინტერესო?

თვალებწამონთებულმა ზეინაბმა კიდევ გადახედა იორამს და შეთქმულის იდუმალი ჩურჩულით თქვა:

— არის, მაგრამ ამან არ უნდა გაიგოს, მომკლავს! არადა, თვითონ ახლა გამოთიშულია და მერე კი იმის პოვნას ცეერუ დასჭირდება. ამიტომ შენ უნდა გითხრა! ოღონდ მერე, რომ გაგაცილებ. დერეფანში. მეშინია, არ გაეღვიძოს. კი არ გაჩქარებ! როცა წახვალ.

— მაინც ხო მივდიოდი?! ჰოდა, გავედით!

დერეფანში გასულებმა ერთხანს იჩურჩულეს. მერე მოისმა კარის ჯახუნი.

ნოდარმა „მერსედესი“ მიაყენა თავისი აგარაკის ჭიშკარს, გადმოვიდა, გასაღებით გააღო პატარა კარი, შევიდა ჭიშკრის შიგნიდან გასაღებად, მაგრამ ეზოში ისეთი რამე დაინახა, რომ ადგილზე გაშეშდა. ყბაჩამოვარდნილი მიაჩერდა მისთვის სრულიად წარმოუდგენელ, დაუჯერებელ სურათს.

თეა ჩინურ თუ იაპონურ გრძელ ხალათში იყო გახვეული. თავზე წაკრული მსუბუქი ქალაღაია სახის ნახევარს უფარავდა. ეზოს მარჯვენა ნახევარზე გაჭიმულ ძაღლების სარბენ მავთულთან ჩამჯდარიყო და მის წინ გულაღმა გორაობდა ორი უზარმაზარი ნაგაზი — „წუნკლები“, როგორც მათ ნოდარი ეძახდა. თეა თითოს თითო ხელით, ენერგიულად უმასაჟებდა მუცლებსა და მკერდებს, ფხანდა და უსრესდა ყურებსა და ყურისძირებს. ნეტარებას მიცემული ძაღლები აქეთ-იქით კოტრიალობდნენ, იქნევდნენ გრძელ ენებს, ულოკავდნენ ხელებს მკლავის ძირებამდე.

ნოდარი თვალებდაჭყეტილი და ენაჩავარდნილი მისჩერებოდა ამ ყოვლად გაუგებარ და აუხსნელ სცენას. ბოლოს გონს მოეგო და დაიყვირა:

— გამოდი! გამოდი ახლავე! ნელა გამოდი, წყნარად! დაგგლეჯენ, იცოდე!

თეამ მისკენ მიიხედა, ძაღლებისათვის ხელი არ შეუშვია. მერე ცალი ხელით ქალაღაიას კალთა სახეზე ჩამოიფარა და დაუძახა:

— უჰ, შენა ხარ? შენა გგონია, ესენი შენზე უარესი მხეცები არიან?! ნორმალური ძაღლებია, — ხმა რატომღაც ხრინწიანი და უხეში ჰქონდა.

ნოდარს ისევ რამდენიმე წამი დასჭირდა, დაბნეულობას რომ მორეოდა. მერე ნაგაზებს დასძახა:

— აბა, სახლში! მიდით ახლავე სახლში! სახლში! ახლავე სახლში!

წუნკლებმა გვერდულად, შიშით გახედეს ნოდარს, მორჩილად, მაგრამ უხალისოდ წამოიზლაზნნენ და თავიანთ ხის ბუდრუგანას მიაშურეს, შესასვლელშივე ჩაწვნენ, ცხვირით ნოდარისაკენ და დარცხვენილი, მომლოდინე მზერით მიაჩერდნენ პატრონს.

ნოდარს ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა ხდებოდა აქ და გააფთრებულმა იკითხა:

— ჯოტო სად არი?!

— გავგზავნე!

— რა�ა?!

— გავგზავნე! რაღაცებია მოსატანი.

— ოთახის კარი ღია იყო?

— აბა? დაკეტილი უნდა ყოფილიყო?

ნოდარი აირია ბრაზისა და დაბნეულობისაგან.

— ქალო! გაგზავნე რას ჰქვია?! რა რაღა-

ცებს მოიტანს? რაშია საქმე?! გამაგებინე!

კიბეზე ამავალი თეა შედგა, ცალი თვალით ამრეზილად გამოხედა.

— კაი გვარი კი გაქვს, მაგრამ მაგარი ხეპრე ხარ! ვინაა, შენი „ქალო“? ქალბატონობით მომმართე ანდა სახელით.

თეა სახლში შევიდა. ნოდარიც უკან გამოუდგა.

მაგიდაზე გახსნილი, ჩანახევრებული, მაგრამ ჯერ კიდევ შეორთქლილი შამპანურის ბოთლი იდგა, ერთი სასმისი, ჯამები თხილითა და შოკოლადის კანფეტებით. ტელევიზორი ჩართული იყო, უხმოდ. თეა სავარძელში ჩაჯდა, სასმისი აიღო, მოყლუპა. პულტი აიღო, ხმას მოუმატა. ნოდარიც შემოვიდა, შამპანურის ბოთლს შეხედა, კარადიდან თავისთვისაც გამოიღო ჭიქა და დაისხა. თეას სასმისისკენაც გაიშვირა ბოთლი, იმანაც გამოუშვირა, დაუსხა. ჩუმად დალიეს. ისხდნენ და ერთმანეთს უყურებდნენ. ნოდარმა უკვე მოხარშა ახალი სიტუაცია, თავი აიყვანა და ახლა თითქოს არხეინად ელოდა მოვლენების განვითარებას. აკვირდებოდა თეას, ახლაღა შეამჩნია, რომ ქალი ნასვამი იყო.

— ღია კარზე რატომ გადაირიე? — ჰკითხა თეამ.

— რა მჭირს გადასარევი? უბრალოდ...

თეამ გააწყვეტინა:

— სახეზე ფერი აღარ გედო. ენა კინაღამ ჩაგივარდა. ესე იგი, როცა მეძინა, ჩაკეტილში მტოვებდით, ხომ?

— კაცო, ეგ იმიტომ...

თეამ ისევ გააწყვეტინა:

— „ქალოს“ ნუ მეძახი-მეთქი და „კაცოზე“ გადახვედი?

— კაი, კაი, ქალბატონო თეა! იმიტომა გკეტავდნენ, რომ თუ მარტოკა ეზოში გამობოდიალდებოდი, ძაღლები შეგჭამდნენ. მერე ჩვენ რა გვექნა? შეჭმული ქალი სად წაგვეღო?

თეამ დამცინავად:

— შეგეხვიათ ხალიჩაში. წაგეღოთ ტყეში. ერთი კანისტრა ბენზინი და... მე ძაღლები არ მერჩიან, გესმის? არანაირი ძაღლი. ბავშვობიდან გამომყვა ეგ თვისება.

— ვა!

— ჰო, ვა! ფეხი ძაღლებში ავიდგი და ძაღლებში ვიზრდებოდი. ძაღლსაშენი ჰქონდა მამაჩემს, კინოლოგი იყო, ექსპერტი.

— ვაა!

— რა მოგივიდა? სულ ყვაა და ყვაა! ყვავი ხარ?! აღარ გამაგონო ეგ ყვანჩალი, თუ შეიძლება!

— ვაა?! — წამოსცდა ისევ ნოდარს, ბრძანების ტონით გაკვირვებულს. მერე შემრიგებლურად მიმართა: — ჰო, კარგი, კარგი! „ვა“-ს გარეშე გეკითხები: ეგ მითხარი, წუნკლები როგორ მიიჩვიე?

— არაფერიც არ მიმიჩვევია! პირველივე გარეთ გამოსვლაზე, რომ დამინახეს, ატეხეს ხტუნაობა, წკმუტუნი და კუდების ქიცინი. დამიძახეს!

— ეგ როგორ?

— აი, ასე: მოდი, ჩვენო საყვარელო, რა გაგვახარე! გავგიჟდებით, თუ არ მოგეფერეთო. მეც საშინლად მომინდა მაგათი მოფერება, მივედი, ჩავეხუტეთ ერთმანეთს და კარგა ხანს ვიგორავეთ და ვიალერსეთ.

— მაშაყირებ?

— რა არი საშაყირო? შენ თვითონ არა ნახე? ეგენი სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებია. სხვისგან არანაირ საჭმელს არ აიღებენ. გაკარებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. რითი უნდა მომეთაფლა?

ნოდარი გვარიანად შეფიქრიანებული აკვირდებოდა თეას. მერე ცარიელ ბოთლს შეხედა, ადგა და სამზარეულოსკენ წავიდა.

— საყინულეში დევს კიდევ?! — დაიძახა გზიდან.

— კი! წამოიღე! — დაუძახა თეამაც.

ნოდარი ოდნავ დამუხრუჭდა დერეფანში, გამოხედა, ჩაილაპარაკა თავისთვის:

— ეეე, დათვრა, ეს შობელძაღლი?! რა არი? ბრძანებებზე გადავიდა.

მოიტანა გაყინული ბოთლი, გახსნა, დაასხა. თეამ მოყლუპა, სიგარეტს დაუწყო ძებნა, ნოდარის „მალბორო“ მოიხელთა და მოუკიდა, არ დალოდებია ნოდარის გალანტურობას. ნოდარმაც დააძრო თავისთვის სიგარეტი. შამპანურს ყლუპავს, აბოლებს და თეას მისჩერებია. თეას თავზე მოგრაგნილი, აღმოსავლურნახატიანი ქალაღაიის ქვემოდან მხოლოდ საღად დარჩენილი თვალის კიდე და ლოყის ნაწილი მოუჩანდა. ზოგჯერ ესეც იფარებოდა. ამიტომ ნოდარს მზერა სულ გაფაციცებულ-დადარაჯებული ჰქონდა, ისე, როცა მოუხელთებელი სანახავის ბოლომდე, გარკვეულად დანახვას ცდილობ.

— ისა... ერთი ეგ მითხარი... — დაიწყო ნოდარმა. თეამ ისევ გააწყვეტინა:

— ააა! „ქალო“! „კაცო“! ახლა „ისაც“ გავხდი! ისწავლე, რა, ადამიანისადმი მისი სახელით მიმართვა, რა არი!

ნოდარმა გაიცინა:

— კარგი! ეგ მითხარი, რაღაც მაინც ვერ გავიგე ეს ძაღლებთან ამბავი, — შეეყოვნდა, მერე საკმაოდ აღელვებულმა განაგრძო, — არა, ფაქტი ფაქტია, მაგრამ მაგ ძაღლებს ჩემი და ჯოტოს გარდა არავინ გაჰკარებია... ლეკვობიდან. ვერც გაეკარება. კიდევ ერთი კაცი იყო — მწვრთნელი კიმა. მაგან ჩაუტარა კურსი, კილერების სპეცპროგრამით გაწვრთნა. ეგ გასაიდუმლოებული პროგრამაა, აკრძალულია, რო გაუგონ, ლიცენზიას ჩამოართმევენ. მაგარი ფულიც გადავუხადე.

— ვიცი, გამიგონია, — ჩაერთო თეა, — მაგ პროგრამას მხოლოდ კა-გე-ბეში იყენებდნენ.

— აგაშენა ღმერთმა! გცოდნია! ჰოდა, კურსის დამთავრების მერე აღარც ეგ კიმა დანახვებია მაგათ. წესია ეგეთი. მართალი გითხრა, ძაან გამაკვირვე! თვალებს არ ვუჯერებდი. არადა ფაქტია! მაინც ვერ გამიგია, როგორ?

— გეტყვი! ქალიშვილობაშივე შემამჩნიეს ეგ. ამბობდნენ, რომ ჩემს ენერგოველში არის რაღაც ადამიანისთვის აღუქმელი გამოსხივება-სიგნალი თუ ტალღა, რომელიც ძაღლებზე მოქმედებს, სიხარულსა და ეიფორიას იწვევს.

— ვინ ამბობდნენ?

— სპეციალისტები, ექსტრასენსები, კინოლოგები. ეგეთი ფაქტები დაფიქსირებული ყოფილა, მაგრამ ძალიან იშვიათად.

— ახლა ეგეც მითხარი! ეგ შენი სიგნალია თუ ტალღა, სხვა მხეცებზედაც მოქმედებს?

— მხეცებს გააჩნია! აი, შენზე ხომ არ იმოქმედა? დათვზე, ლომზე, გორილაზე არ გამომიცდია.

— უუხ შენი! — უეცარმა ბრაზმა წამოუარა ნოდარს, მაგრამ უცბადვე დაამუხრუჭა, გაიცინა. მერე თქვა: — კაი, მაგას შევეშვათ! ახლა ეგ მითხარი, ჯოტო სად გაგზავნე?

— ჰოო! ახლა საცაა, უნდა მოვიდეს.

— მე მაგას არ გეკითხები, როდის უნდა მოვიდეს. გეკითხები, სად გაგზავნე და რატომ? რატომ გაგეგზავნა, მაგას თვითონ ჯოტოს ვკითხავ. სად გაგზავნე?!

— სახლში გავგზავნე.

— სახლში? რომელ სახლში?

— ჩემს ნაქირავებ ბინაში, დიდუბეში. წერილიც გავატანე. მე იქ მიმსვლელი აღარა ვარ. ეგლა მაკლია, ასე მნახოს ჩემმა ქოფაკმა დიასახლისმა.

— რა წერილი გაატანე?

— მივწერე: მოულოდნელად და ბედნიერად გავთხოვდი. წავედით ანტალიაში. თავს ზღაპარში ვგრძნობ, მანდ აღარ დავბრუნდები. ჩემი ბარგი ამ ჩვენს შოფერს გამოატანე. ანგარიშსაც ეგ გაგისწორებს-მეთქი.

— ვა, რა კარგად მიგიწერია! ჯოტომ უნდა გაასწოროს ანგარიში?

— რა იყო, ხომ არ გეწყინა? ბევრი არაფერია, ორას დოლარამდე იქნება.

ნოდარმა ბრაზიანად გაიქნია ხელი:

— ეეე, მაგას ვინ ითვლის!

— კიდევ სია გავატანე ჯოტოს.

— რა სია?

— ძირითადად, კოსმეტიკა. ფრანგული მაღაზიიდან. ჩემს რამეებს კი მომიტანს, მაგრამ კიდევ მჭირდება რაღაცები ამასთან დაკავშირებით, — ხელი მიიდო სახეზე, — სპეციალური მალამოები, გასაწმენდები. მარტო ბადიაგას იმედზე ვერ ვიქნები, — სახეში შეხედა და ისევ ჰკითხა, — რა იყო? ხომ არ გეწყინა?

ნოდარმა იგრძნო, რომ ყბა ჩამოშვებული აქვს, სწრაფად იცვალა გამომეტყველება, არხეინად გაიცინა:



— მაგისი დარდი არა გქონდეს! ეგ რა სალაპარაკოა, მაგრამ ჯოტო...

— ჯოტომ თქვა, სამაგისო ფული მე კი მაქვს, მაგრამ ბოსს მაინც უნდა მოვახსენოო.

— მომახსენებს, მა რას იზამს?! ოღონდ დააგვიანდა მოხსენება. ისე, მალადეც შენ! კარგად მოგიფიქრებია!

— რა?

— ყველაფერი... წერილი, რამე...

სავარძელზე არხეინად გადაწოლილი თეა შამპანურს წრუპავდა და ცალ ფეხს ნელა აქანავებდა. გადაწეული ხალათიდან ლამაზად მოყვანილი შიშველი მუხლისთავი მოუჩანდა და ნოდარს წამდაუწუმ თვალი იქით გაურბოდა. თეამ ფეხი შეიცვალა, ახლა მეორეს აქანავებდა. ნოდარს თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— იცი, რას გეტყვი? კარგად ვიცი, რატომაც მკეტავდით და მივლიდით. გეშინოდათ. ახლაც გეშინია, რომ პოლიციაში გავიქცევი, სამედიცინო ექსპერტიზას ავიღებ. ეგრეც ვიზამდი პირველ დღეებში, მაგის თავი რომ მქონოდა. მერე გადამიარა და ახლა სხვანაირად ვფიქრობ.

— რანაირად?

— იმნაირად, რომ ამ სახით არსად გამოჩენა არ მინდა. პოლიციაში რომ მივსულიყავი, აღიძვრებოდა საქმე. ატყდებოდა ხათაბალა. შენ და შენი კამანდა დაიწყებდით ჩალიჩს, მიაყრიდით ფულს პოლიციას, ჩემს მოსათხრელსა და გასაბახებელს ათას რამეს შეთითხნიდით, ჟურნალისტები მოასწრებდნენ ათასი საზიზღრობის გავრცელებას შენზედაც და ჩემზედაც. საბოლოოდ, პოლიციას კი ფული შერჩებოდა, ჟურნალისტებს — მოსაფხანი და სახრავი, შენ — ხარჯი და მსუბუქი სკანდალი. მე დავრჩებოდი მიფურთხებული და ტალახში აზელილი, გაღლეტილი. ვარ მართალი?

— ნამდვილად! ნამდვილად ჭკვიანი ქალი ხარ, ჩემო ქალბატონო თეა! ჰოდა, ჩავთვალოთ, რომ მე და ჯოტო ტყვილა არ ვზრუნავდით და ვცდილობდით შენთვის!

გაიცინა ხმამაღლა. თეას არ გაუცინია. უყურებდა გამჭოლავად და შამპანურს წრუპავდა.

— ჩავთვალოთ! სანახევროდ. ფიფტი-ფიფტი. მე აქ მაწყობს! ვერავინ მნახავს, სანამ არ გამოვშუშდები. ყველანაირი კომფორტია, კარგი ტელევიზორი დიდი ანტენით, ვიდეო, კასეტები. დიდი მაცივარი, გაძეძგილი დელიკატესებით. ყველაფერი კარგი. პლუს კიდევ ბომბორა, კარგი მოვლილი ძაღლები ეზოში. როცა მომინდება, მოვეფერები, ვეთამაშები.

— აჰ! მაგ არ ქნა! ძაღლებს გამიფუჭებ! მაგათი გაწვრთნა კუჩა ფული დამიჯდა!

— ჩემთან თამაში მაგათ ვერ გააფუჭებს. სხვებსაც კი არა აქვთ სიგნალი. თუ კიდევ რამე დამჭირდა, გეტყვით და მომიტანთ. მე მგონი მაინცდამაინც არ შეწუხდები.

ნოდარმა გაიცინა:

— აჰ, რას ამბობ?! შენ ყურებას რა სჯობია.

თეამ ქალაღაია გადაიწია სახიდან და გესლიანად თქვა:

— განსაკუთრებით ამ სიფათის, ხომ?

ნოდარი შეცბა, არაფერი თქვა, გავიდა და კიდევ ერთი ბოთლი მოიტანა მაცივრიდან, დაასხა სასმისებში. სასხვათაშორისოდ იკითხა:

— კიდევ რა გჭირდება?

— ჯერჯერობით — რაც ჯოტოს დავაბარე, მეტი არაფერი. ჰო, იცი, კიდევ რა დავაბარე? რამდენიმე დეტექტივი და ჟურნალები! შე კაი კაცო, ამ ყველაფრით მოწყობილ სახლში ერთი წიგნი ვერ აღმოვაჩინე. შენ წერა-კითხვა არ იცი?

ნოდარს სიბრაზისგან წამოანათა, მკვახედ უპასუხა:

— მაგ არაა შენი საქმე!

თეა თავის კანტურით დაეთანხმა:

— ჰო, რა ჩემი საქმეა! — მერე შეეკითხა: — კაზინოში რა თქვი?

— ჟორიეს ვუთხარი, მიმყავს ეგ ქალი და ჩემთან ვიტოვებ, აღარ დაურეკო-მეთქი.

თეამ ისევ დააკანტურა თავი. კარგად იყო შემთვრალი. დალაგებულად კი ლაპარაკობდა, მაგრამ ინტონაციაზე გახდა შესამჩნევი.

— კარგად გითქვამს! მერე რაო?

— ინვალიდი მამა ჰყავს ქუთაისში, მისახედიაო. ჩვენთან დარეკაო. მე ვუთხარი, მიხედავს, აბა რას იზამს, მაგ შენი სადარდებელი არაა-მეთქი.

— მამაჩემს უკვე ველაპარაკე ჯოტოს ტელეფონით. კაი ადგილას გადავედი და ფულსაც მალე გამოგიგზავნი-მეთქი.

— ეგ არ გადადო! ჯოტოს უთხარი, რამდენს უგზავნიდი თვეში და გადაგზავნის.

— გმადლობ! ახალ სამსახურში ვარ. ნაცემობის სამსახურში... და ჯამაგირსაც ვიღებ! — ისევ წაიგესლა თეამ.

— შენ გქონდა რამე ჟორიესთან? — უცებ იკითხა ნოდარმა.

— ჟორი-ესთან მქოოონდა კაარგი ჯამა-გირი! — გაწელილად თქვა თეამ, — თითონ კი აპირებდა რაღაცებს. ძალიან მივლიდა, მაგრამ გადამწყვეტ ატაკაზე გადმოსვლას ჯერჯერობით ვერ ბედავდა. მეც შიგადაშიგ ვუღვივებდი იმედს. აბა, რა მექნა? ხომ მინდოდა კარგი ჯამაგირი?

— მერე, რას აპირებდი? როგორ გგონია, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მაგ კუკუდამალობანა?

— მე რა ვიცი? ის კი ნაღდად ვიცოდი, რომ ჟორიესთან დამწოლი არ ვიყავი, გინდაც ცოლს გაშორებოდა და მე ვეთხოვე. ვნახავდი, რა, სანამ გამივიდოდა. ზოგჯერ ისე წამომივლის ხოლმე, რომ... ვიცი, რა, მშვენივრად ვიცი, რომ ჩემთვისვე საზიანოს ვაკეთებ, მაგრამ მაინც უნდა გავაფრინო! ვერ გამაჩერებს ვერაფერი!

— კარგი რა! მაშინებ?

— რას გაშინებ? შენც რა, შიშისაგან არ ჩაიფსა! დავთვერი და ჩემს ამბავს ვყვები. პირველ ქმართანაც ეგრე მომივიდა. გავაფრინე და მორჩა! ისე, ძაან ლამაზი ბიჭი იყო.

— მეორეც გყავდა?

— ისე, რა. სანახევროდ.

— როგორ სანახევროდ?

— ხელი არ გვქონდა მოწერილი.

— მაგასთანაც გააფრინე?

— ააბა! მაგასთან გავაფრინე, თუ გავაფრინე! მაგარი ვარიანტი ჩავშალე! დღემდე ჭკუაზე ვერ მოსულა, როგორც ამბობენ.

— ნანობ?

— აარა! არასოდეს არ ვნანობ! კიდე კაი, ეგეთი ვარ, თორე ბოღმა მომკლავდა.

— ვაჰ, კაი ვინმე ხარ, ხო იცი! მიყვარს გამტრაკებელი ხალხი! — გაიცინა ნოდარმა.

— გამტრაკებელი შენა ხარ! — უპასუხა თეამ და გაშლილი მკლავებით დიდი წრე შემოხაზა. — დი-იი-დი გამტრაკებელი! გატყობ, მაგრად უტრაკებ ქვეყანას!

ნოდარმა გაიცინა. ამასაც მოჰკიდებოდა ღვინო. დაიძახა ომახიანად:

— ქვეყანას უნდა გაუტრაკო, აბა რა! თუ არ გაატრაკე, ტრაკი ეგონებით და შეგაჯდებიან! ვა-ხა-ხა-ხა!

თეა სიცილში არ აჰყვა, თავი დაუკანტურა და სერიოზული სახით უთხრა:

— ჰო, მიდი, გაუტრაკე!

ნოდარი იცინოდა, კარგ ხასიათზე დამდგარიყო. თეა წამით მოიღვენთა, მერე თავი აიქნია, თითქოს რაღაც გაახსენდაო, და თქვა:

— ჰო, კიდევ რა უნდა მეთქვა! თავიდან ხომ სულ მეძინა. სამი თუ ოთხი დღე, არ ვიცი! ის ბიჭი, ჯოტო... ჩავავლე, რაღაც აბებს მიხსნიდა წვენში. მეუბნებოდა, დიმედროლიაო. მერე მე თვითონ ვართმევდი, ძილი მინდოდა. ორჯერ დავკაიფდი, მომეწონა. ეტიკეტი ვერა ვნახე. რა იყო, არ იცი?

— მე რა ვიცი? ჯოტოს ვკითხავ, რას გაძლევდა. რა იყო, ახლა გინდა?

— არაა! რად მინდა, მთვრალი ვარ! ჰოდა კიდევ, იცი რა? მაგ ჯოტოს შინაურულად, წყნარად უთხარი, ჩემთან პადხოდებს შეეშვას. არ მინდა, რა!

— რა იყო, იძალადა რამე?

— არა, მაგრამ სულ რაღაცას ცდილობს, მეჩანგლავება. დამღალა, რა! და ერთხელაც იქნება, ვაწყენინებ. ისე კარგი ბიჭია და არ მინდა, ვაწყენინო.

ნოდარი ადგა, ჩამოასხა და იქვე ჩაცალა. თეას აღარც შეუმჩნევია სასმისი, განაგრძობდა ფილოსოფოსობას:

— კაცებს ჰგონიათ, მთავარი მიწოლაა. არ უნდა მოგწყინდეს ჩანგლაობა და მიწოლაც თანდათან გააძლიერო და ქალიც ბოლოს დაგითმობს. მე თუ კაცი მომეწონა და მომინდა, არც ჩანგლაობა უნდა და არც მოწოლა. თუ არა და, წელიწადი რომ იჩალიჩოს, არაფერი გამოუვა. ძალადობა კიდევ რა? მომკალი, რა! და თუ მკვდართან გსიამოვნებს, მიდი, ისიამოვნე! ოღონდ იცოდე, რომ მე არა ვარ! ნურც ჩათვლი, რომ ჩემთან იყავი! თუ ნაღდი მამაკაცი ხარ, უნდა გესმოდეს, რომელ ქალს როგორ მოანდომო! სულ სხვადასხვა ვარიანტია.

ნოდარი როგორღაც გაბეჯითებული უსმენდა, თქვა:

— მაშინ მასწავლე, რა, შენ როგორ მოგანდომო, — და გაიცინა.

თეას მზერა უეცრად ფხიზელი და გამჭოლი გაუხდა. თვალი თვალში გაუყარა ნოდარს და სერიოზულად, რაღაცნაირი დაქადნებით უთხრა:

— გასწავლი! მაგის ხასიათზე როცა მოვალ! ახლა წავედი! — ადგა და ისე სწრაფად გაიარა, რომ მისაშველებლად წამოვარდნილი ნოდარი ადგილზე დარჩა. ერთხანს უყურა საძინებლისაკენ მიმავალ კარს, მერე:

— ვააჰ, კაცო! — წამოიძახა და ისევ შეივსო ფუჟერი, მოიყუდა.

ექიმი გაიოზი თავზე ნაკერებს უთვალიერებდა იორამს. ზეინაბს გასძახა:

— პატარა მაკრატელი და პინცეტი მომიტანე! ბარემ ავხსნი ამ ნაკერებს, რაღა კლინიკაში იაროს.

— შეენ? ქირურგობაზედაც იქაჩები? — თქვა იორამმა.

— მაგ დონის ქირურგობაზე, კი!

— გაკერვითაც გაკერავ, რამე რომ იყოს? — ირონიულად გაიღიმა იორამმა.

— რამე რომ იყოს? თუ მეორეჯერ ისეთ ტერიტორიაზე გაატეხინებ თავს, ჩემს მეტი ქირურგი რომ არ იჭაჭანებს, გაგკერავ, რას ვიზამ!

თავს დაადგა სავარძელში მჯდარს და დაიწყო კვანძების ჩაჭრა-ამოღება.

დერეფანში ზარმა დარეკა, ზეინაბმა გააღო და ოთახში პოლიციის ახალგაზრდა ოფიცერს შემოუძღვა.

— გამარჯობათ, ბატონო იორამ, გამარჯობათ! როგორ ბრძანდებით? — ხელი ჩამოართვა იორამს. გაიოზსაც მიესალმა.

— გამარჯობა! ვარ, არა მიშავს. აი, ნაკერავზე მარღვევს ჩემი ძმაკაცი.

პოლიციის ოფიცერმა გაიცინა:

— ააა! მაგ კაი საქმეა, კაი საქმე! ღმერთმა, — და უცებ დაიბნა, ვეღარ მოიფიქრა, რა უნდა ესურვებინა ასეთ მომენტში.

იორამმა კვიმატად შეაშველა:

— არ მომიშალოს ამისთანა კარგი გარღვევები?

— როგორ გეკადრებათ! ღმერთმა აღარ დაგაჭირვოთ-მეთქი, უნდა მეთქვა.

— რას გვეტყვით ახალს, ბატონო ჯუმბერ! თუ არის მიღწევები სამძებრო მოღვაწეობაში? — ცოტა ირონიულად ეკითხება იორამი.

— მაინცდამაინც ვერაფერს დავიტრაბახებთ! ის მეგრელი მოვაჭრე გაბელია თავს იკლავს, არ მინახავს ის კაცი სახეზეო. ჩემგან რომ გაბრუნდა შათირიშვილი, ვიღაც გრძელკეპიან, დაბალ კაცს დაელაპარაკა. არ დამინახავს არც სახე და არც ტანსაცმელიო. დაბალი იყო და ხალხში მხოლოდ ეგ გრძელი კეპი ჩანდაო. მერე მგონი ერთად წავიდნენ. ერთად კი გატრიალდნენ, მაგრამ ხალხში დაიკარგნენ და მერეც ერთად იარეს თუ არა, რანაირად გითხრათო. მეტი არაფერი ვიციო. გრძელკეპიანი და გრძელკეპიანი! ახლა, იქნება, უკვე ფაფახი ახურავს ანდა შლაპა? თვითონ ბაზარზე კი გვყავს ვიღაც-ვიღაცები, მოდის რაღაც ინფორმაციები, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ხელმოსაკიდი. მაგრამ ჩვენ კარტოთეკა გვაქვს. აგერ წამოვიღე საჩვენებლად...

გახსნა „დიპლომატი“, ვიდეოკასეტა და ფოტოების დასტა ამოიღო. დასტა იორამს გაუწოდა.

— იქნება აქ წააწყდეთ! ვიდეო თუ გაქვთ?

იორამი ფოტოებს ათვალიერებდა. ზეინაბმა ტელევიზორის მაგიდის ქვემო თაროდან ვიდეომაგნიტოფონი „ჰიტაჩი“ გამოაჩოჩა, ძველი მოდელი. პოლიციელმა შეხედა და:

— არა, ამაზე ეს კასეტა არ წავა, ძველია! რა ვქნათ?

— ჰო, ეს ოთხმოციანების დასაწყისშია ნაყიდი. მაშინ ქალაქში თითო-ოროლა იყო და ყველანი ჩვენთან დადიოდნენ, — დანანებით თქვა ზეინაბმა.

— ამ კასეტის იმედი მაქვს, შეიძლება ამოიცნოს! რა ვქნათ? — შეწუხდა პოლიციელი.

— ქიქოძეებს გამოვართმევ, მაგათა აქვთ ახალი, პატარა, ბრტყელი.

ზეინაბი გავიდა. ჯუმბერი მიუჩოჩდა იორამს. ესეც ჩასცქეროდა ფოტოებს, თან იორამს უყურებდა, ელოდა რეაქციას. გაიოზმა თავისი საქმე დაამთავრა.

— ასე იყოს, ღიად, აღარ შეიხვიო. ისე, კარგი ნაკერია, რა გიჭირს! ახლავე გაფრთხილებ! კიდე თუ გაატეხიებ თავს, მე ასე ვერ ჩაგიგვირისტებ. დაბლანდული გამომივა, — გავიდა სააბაზანოში ხელების დასაბანად.

ზეინაბმა პატარა, ბრტყელი ვიდეო შემოიტანა.

— ამაზე წავა?

— კი, ნამდვილად! — წამოხტა ჯუმბერი, ვიდეო ჩამოართვა და ტელევიზორთან ჩაცუცქდა, შეაერთა, კასეტა ჩადო და ჩართო.

ეკრანზე სხვადასხვა ტიპი ჩნდებოდა, ერთსა და იმავე ადგილას, პოლიციის რომელიღაც ოთახში. უკან ცარიელი თაროები და კედელი მოჩანდა. ტიპები ასახელებდნენ თავიანთ გვარ-სახელსა და სხვა ანკეტურ მონაცემებს.

— ბატონო იორამ, ტანსაცმელს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, გამოთიშეთ აღქმიდან. დააკვირდით აგებულებას, თავ-კისრის ფორმას, მოძრაობას. დააკვირდით ტუჩების მოძრაობას, თვალების გამომეტყველებას ლაპარაკის დროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! შეიძლება ნაკვთები წაგეშალოს მეხსიერებიდან, მაგრამ ტუჩების ერთმა მოძრაობამ წამში აღადგინოს ხსოვნა.

სააბაზანოდან ხელებდაბანილი გაიოზი დაბრუნდა.

— დაჯექი, გაიოზ! — უთხრა იორამმა.

— გმადლობ! მაგ კინოს საყურებლად ნამდვილად არა მცალია. ახლა მისმინე! ზეგ ამთავრებ ამ წამლების კურსს. მაგის მერე კიდევ სამი დღე არ გაეკარო არც თამბაქოს, არც ღვინოს. მეტხანს სჯობია, მაგრამ მე მინიმუმს გეუბნები. აბა, ჯერჯერობით!

ზეინაბმა გააცილა დერეფანში. ტელეფონი რეკავდა და ზეინაბმა აიღო. იორამს დაუძახა:

— ნოდარი რეკავს. ახლა მოვა.

— აბა დროზე! გავასწარი, თორემ დამაბრალებს, ჩემს დანახვაზე გარბიხარო, — თქვა გაიოზმა.

ზეინაბმა კარი გაუღო.

იორამი და პოლიციელი განაგრძობდნენ ვიდეოკარტოთეკის თვალიერებას. იორამი მოღვენთილი იჯდა, ფლეგმატური მზერით აცილებდა ეკრანზე ზედიზედ გამოჩენილ პირებს. პოლიციელი ჯუმბერი კი გაფაციცებით მისჩერებია იორამს სახეში, მოელის რეაქციას. ამაოდ. უკვე უიმედობა ეხატება სახეზე და ამ დროს იორამი დაიძაბა, გამოცოცხლდა.

— ერთი წუთით! დააბრუნეთ ეგ! დააბრუნეთ!

პოლიციელმა სასწრაფოდ უკან გადაახვია, თავიდან გაუშვა, გააჩერა, ისევ აამოძრავა, ისევ თავიდან დააბრუნა. იორამი დაძაბული ჩასჩერებია ეკრანს. პოლიციელი იმედით მისჩერებია იორამს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ერუდიტის საკარიერო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეჭცეთ თვალი

1. შეერთებულ შტატებში ამას „ჯიმის ქუდს“ ეძახიან, გერმანიაში — „პარიზელს“, საფრანგეთში — „ინგლისურ კაპიუშონს“, იტალიაში — „ხელთათმანს“, ლიბანში — „პალტოს“, სამხრეთ ამერიკაში — „ფრანგულ წერილს“. რას ვეძახით მას ჩვენ?

2. აფრიკის სახელმწიფო ბენინში მინისტრებს 1-ელ მოადგილეებად ყოველთვის ქალები ჰყავდათ. რატომ?

3. ვინ წაიყვანა საფეხბურთო მატჩის 1-ელი რადიორეპორტაჟი ქართულ ენაზე?

4. სად არის დაკრძალული ხო ში მინი?

5. რით შევიდა ისტორიაში იტალიელი ვინჩენცე პერუჯა?

6. კომპანია „როქსაიდ ინტერნეშენელის“ მტკიცებით, მათი პროდუქცია მომხმარებელთა ყველაზე მაღალ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. იგი მზადდება იმავე მასალით, რა მასალითაც კეთდება ჭოკით ხტომისთვის საჭირო, სუპერთანამედროვე ინვენტარი და ავტომობილთა ბამპერები. სარეკლამო რგოლებში კომპანია ხაზს უსვამს, რომ მათი პროდუქციის ფორმა აეროდინამიკურად ოპტიმიზებულია და მისი მოხმარების დროს სამუშაო ზედაპირზე არ იქმნება ე.წ. საჰაერო ბალიშები. რას აწარმოებს ზემოაღნიშნული ფირმა?

7. ამ ქართველმა დრამატურგმა რუსული სკოლა დაამთავრა, ფრონტიდან დაბრუნებულს კი ქართული თითქმის დავიწყებული ჰქონდა. ერთი წელი დასჭირდა, ენა ხელახლა რომ ესწავლა, მაგრამ ქართულად წერას სიცოცხლის ბოლომდე ვერ ახერხებდა. დაასახელეთ იგი.

8. 1119 წელს, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო IV-სა და ინგლისის მეფე ჰენრიხ I-ელს შორის გამართული საჭადრაკო პარტია უნიკალური იყო ჭადრაკის ისტორიაში. რა თვალსაზრისით?

9. რა არის მისხი?

10. რა არის წილამური?

11. დაასახელეთ მტაცებელი თევზი, რომელიც 6 მეტრამდე იზრდება და 2 ტონამდე იწონის.

ანეკდოტები

* * *

ექიმთან მუნჯი მიიყვანეს, — ლაპარაკი ასწავლეო. ექიმმა ის სკამზე დასვა, ნიკაპში ხელი მოჰკიდა, თავი ოდნავ გვერდზე შეუტრიალა და ყბაში მაგრად მოსდო:

— ა-ა-ა!..

— მშვენიერია! — შესძახა ექიმმა. — ხვალ მოდი და „ბ“-ს გასწავლი!

* * *

ძიძა ახალ სამსახურს ეძებს. დიასახლისი ეკითხება:

— საინტერესოა, იმ ოჯახიდან, სადაც ადრე მუშაობდით, რატომ დაგითხოვეს?

— ერთხელ ბავშვის დაბანა დამავიწყდა.

— დედიკო, ეს ძიძა მომწონს და ავიყვანოთ, რა!

* * *

— ჩემი ქმარი მეზღვაურია. 11 თვე ზღვაშია, 1 თვე — ნაპირზე.

— წარმომიდგენია, როგორ წვალობ.

— არც ისე. ნახევარ შვებულებას მშობლებთან ატარებს.

* * *

მთვრალი მიხო მღვდელს დაეჯახა. მღვდელმა ალმაცერად გადახედა:

— ვეჭვობ, მე და თქვენ სამოთხეში ვერ შევხვდებით.

— ასეთი რა ცოდვა გაქვთ ჩადენილი, მამაო?..

* * *

წესიერ და პატიოსან ოჯახში აღზრდილ გოგონას ღამე შინ არ გაუთევია. სახლში დილით დაბრუნებულს მშობლები ეკითხებიან:

— რას აკეთებდი მთელი ღამე?

— დანამდვილებით არ ვიცი, ამას რა ჰქვია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ დღეიდან ეს ჩემი ჰობი იქნება.

* * *

მათხოვარი კარზე აკაკუნებს. კარი დიასახლისმა გაუღო.

— ერთი ნაჭერი ტორტი მომეცით, რა! — ეუბნება მათხოვარი.

— ადრე სულ ერთ ნაჭერ პურს არ მთხოვდი?

— დღეს დაბადების დღე მაქვს!

* * *

— ჩემი ცოლი ჩემგან ისე წავიდა, კაპიკი არ დამიტოვა.

— შენ კიდევ რა გიჭირს, მე ვიკითხო — ცოლი ჯიბეში არც არაფერს მიტოვებს და თან, სახლშიც მიზის.

* * *

პატარა მიხო მასწავლებელმა დაფასთან გაიძახა და უთხრა:

— აბა, მიხო, შემიდგინე ამოცანა ციფრებით: 300 და 5.

მიხო კეფას იფხანს და მასწავლებელს ეუბნება:

— მამაჩემმა აიღო 300 ლარი ხელფასი, სახლში კი 5 ლარი მოიტანა. ამოცანა გვეკითხება: სად დახარჯა მან 295 ლარი? პასუხი: ბოზებში.

* * *

ჭიჭიკია სამსახურიდან ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა და ცოლს უცხო მამაკაცთან წაასწრო.

— გაიცანი, ძვირფასო, ეს ბიჭიკიაა, — ეუბნება ცოლი, — შენც გაიცანი, ბიჭიკია, ეს ჩემი ქმარი ჭიჭიკიაა. ახლა ცოტა ხანს ერთმანეთს გაესაუბრეთ, მე კი წავალ და „სასწრაფო დახმარებას“ გამოვიძახებ.

* * *

— ჭიჭიკია, რატომ მოაჭერი ძაღლს კუდი?

— ვერ ვიტანდი ჩემი სიდედრის დანახვაზე სიხარულით რომ აქიცინებდა.

* * *

ნიკამ შვილი მოსკოვში, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში სასწავლებლად გაუშვა. პატარა ნიკა სახლში 5 წლის შემდეგ დაბრუნდა. მამა ეკითხება:

— რა ისწავლე, შვილო?

— რა ვისწავლე და ცხოველების ენა.

— მართლა?! — არ სჯერა ნიკას.

— აი, ის ქათამი რომ კაკანებს, გვეუბნება, — სამგულიანი კვერცხი დავდეო.

მივიდნენ, აიღეს კვერცხი, გატეხეს და მართლაც, სამგულიანი აღმოჩნდა.

— აი, ის ძროხა რომ ბღავის, ამბობს, — დიასახლისმა მომწველა და 3 ლიტრი რძე შიგ დამიტოვაო.

მოწველეს ძროხა და მართლაც, 3 ლიტრი გამოვიდა. ამ დროს თავლიდან ვირის ყროყინი გაისმა.

— მაგას არ დაუჯერო, შვილო, გატყუებს! — უთხრა შეშინებულმა მამამ.

* * *

შუაღამისას კარზე აბრახუნებენ. კარი ნიკას ცოლმა გააღო, გარეთ გავიდა და უკან ნახევარი საათის შემდეგღა შემობრუნდა — ნაცემი, ნაგვემი და კაბაშემოხეული.

— რა დაგემართა, ქალო? — ჰკითხა ნიკამ.

— რა და ხუთმა კაცმა დამიჭირა და ყველამ სათითაოდ გამაუპატიურა.

— კიდევ კარგი, მე არ გავედი.

* * *

მივლინებიდან მოულოდნელად დაბრუნებულმა ჭიჭიკიამ საკუთარ კარადაში შიშველი ბიჭიკია აღმოაჩინა:

— აქ რას აკეთებ?

— ტრამვაის ველოდები.

— რა სისულელეს ბოდავ?

— აბა, რა სისულელეს მეკითხები?!.

* * *

— შეხედე, მიხოს ზრდილობა უსწავლია, მარილს დანის წვერით იღებს.

— იმდენი მაგას რა ვუთხარი! თითი აქვს, ჯიგარს, გაჭრილი!

ჭკუიანის სასაცილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(ჰასუხები)

1. პრეზერვატივს.
2. რადგანაც მამაკაცებს მეფის სასახლეში შესვლა ეკრძალებოდათ.
3. ეროსი მანჯგალაძემ. მსმენელს ეს რადიორეპორტაჟი ისე მოეწონა, რომ აკაკი ხორავამ, რომელიც ეროსის თეატრალური ინსტიტუტიდან გარიცხვას უპირებდა, გადაწყვეტილება შეცვალა.
4. არსად. ხო ში მინის ბალზამირებული ნეშტი ხანოის მავზოლეუმში ასვენია.
5. ამ კაცმა ლუვრიდან ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ მოიპარა.
6. „როქსაიდ ინტერნეშენელი“ ბუზის საკლავების დამამზადებელი, მსოფლიოში უმსხვილესი კომპანიაა.
7. მიხეილ თუმანიშვილი.
8. ეს თამაში მიმოწერის საშუალებით მიმდინარეობდა.
9. შორეული ნათესავი („მისხის მისხი“ — იტყვიან ძალზე შორეულ ნათესავზე).
10. ჩიჩილაკის ბურბუშელა.
11. თეთრი ზვიგენი.

ჩვენი ფოტო მაღლია

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

რჩევები ქალებს – ანუ იყავით ერთადერთი და განუმეორებელი

ყოველ მამაკაცს ქალში სხვადასხვა რამ იზიდავს: ზოგს მალალი ფეხები მოსწონს, ზოგი დიდ მკერდზე ჯარგავს ჭკუას; ვინ სასურველი არსების უძირო თვალებში იძირება, ვის ჯი მისი ხავერდოვანი ხმა ნუსხავს... ეს ჯი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ქალი თავისებურად მომხიბვლელი და სექსუალურია.

● იყავით ერთადერთი და განუმეორებელი. კარგი მეგობრის შეძენის გარანტია მხოლოდ სილამაზე და ფული არ არის. მთავარია, განავითაროთ თქვენში თავდაჯერებულობა და ქალური ოპტიმიზმი. თავი დააჯერეთ, რომ იმსახურებთ, გვერდით ღირსეული მამაკაცი გყავდეთ და თამამად მიჰყევით ამ თამაშს.

● პირველი ნუ გამოელაპარაკებით უცნობ მამაკაცს და ნურც საცეკვაოდ გამოიწვევთ.

● ნუ მიაჩერდებით მას დაჟინებით და ბევრს ნუ ილაპარაკებთ. თქვენი სურვილი, გაიცნოთ მამაკაცი, მხოლოდ მომხიბვლელი ღიმილით უნდა შემოიფარგლოს. არ ღირს თვალებში ჩახედვა მაშინაც კი, როცა პირველად შეხვდებით პაემანზე — იგი შეიძლება დაფრთხეს. კარგად და მოთმინებით უსმინეთ და მხოლოდ შემდეგ გამოიტანეთ დასკვნა.

● არასდროს დაურეკოთ პირველმა. ასეთ შემთხვევაში, იფიქრებს, რომ იოლად დაგიპყროთ.

● პაემანზე თქვენ ნუ იზრუნებთ, ისედაც უამრავი საქმე გაქვთ. მას არ უნდა გაუჩნდეს აზრი, რომ დარეკვისთანავე, თანახმა იქნებით შეხვედრაზე.

● არ ინერვიულოთ პაემნის წინ. ამ დღეს, ეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაიტვირთოთ.

● არ განიხილოთ მისი კანდიდატურა დაქალებში. ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ.

● არ წაუყენოთ პირობები და არ მისცეთ განკარგულებანი. მამაკაცები მიიჩნევენ, რომ თავისუფალი არსებები არიან. არ მოუშალოთ მათ ეს ილუზია.

● ნუ ეცდებით, „გამოასწოროთ“ იგი. ზრდასრული ადამიანი არ იცვლება — ეს დაიმახსოვრეთ. ამიტომ დაწვრილებით ჩამოთვალეთ მისი ყველა ნაკლი და ჰკითხეთ საკუთარ თავს: შეძლებთ შეეგუოთ მას?

● არ აჩქარდეთ და არ გადაუშალოთ გული. არც ერთ მამაკაცს არ სურს, იტვირთოს ახალგაცნობილი ქალის პრობლემები. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

● იყავით გულახდილი, მაგრამ საიდუმლოდ მომხიბვლელი. მამაკაცები გიჟდებიან იდუმალ ქალებზე. არ აჩქარდეთ, აუხსნათ ყველაფერი თავიდან — დაე, თვითონ მისცეს ფანტაზიას გასაქანი.

● ცოლიან მამაკაცთან კავშირი საშიში ავანტიურაა — დიდი ნერვების ფასად დაგიჯდებათ.

● მიიღეთ ყველაფერი ისე, როგორც არის. იმედი არ გქონდეთ, რომ იგი თქვენი თვალებით დაუწყებს სამყაროს ყურებას. იყავით მომთმენი.

● ის არა, მაშინ — სხვა. თუ თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა ვერ აეწყო, გულს ნუ გაიტეხთ! მამაკაცის მეტი რა არის...

● ნუ იეჭვიანებთ. თავიდან მაინც ეგონოს, რომ თქვენს ლექსიკონში სიტყვა „ეჭვიანობა“ საერთოდ არ არსებობს.

● გიყვარდეთ საკუთარი თავი, მაშინ მასაც ეყვარებით.

დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: შეყვარებულ მამაკაცს თავისი ტრფობის ობიექტში მხოლოდ ღირსებების დანახვა სურს. ყოველთვის გახსოვდეთ ეს — თუკი გსურთ, მისთვის მართლაც ერთადერთ და განუმეორებელ ქალად დარჩეთ!

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ“

გამოცემის დასახელება	1ᲬᲗ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail:elva@kvirispalitra.com

როგორ მოვუაროთ ტუჩებს...

როდესაც სახის კანის მოსავლელი პროცედურების ჩატარებას იწყებთ, არც ტუჩები უნდა დაივიწყოთ, ისევე, როგორც სახის კანზე, ტუჩებზეც მოქმედებს ატმოსფერული მოვლენები — მზე, ქარი... ტუჩის კანი შეიძლება იყოს მშრალი ან ცხიმიანი. თუ ტუჩები გამომშრალი გაქვთ, აუცილებლად უნდა წაისვათ მკვებავი კრემი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანი დასკდება, აიქერცლება და ამ ხარვეზს ყველაზე ხარისხიანი პომადაც კი ვერ დაფარავს.



ტუჩის ვარჯიში

● ტუჩები წინ წამოსწიეთ და პირი ოდნავ გააღეთ. შემდეგ მოკუმეთ და ტუჩები მოადუნეთ. გაიმეორეთ 10-20-ჯერ.

● ქვედა ყბა რიგრიგობით ამოძრავეთ მარჯვენა და მარცხენა მიმართულებით. ვარჯიში 10-20-ჯერ გაიმეორეთ.

ტუჩის ნიღბები

● ტუჩებს არბილებს ხაჭოს ნიღაბი. ხაჭო წაისვით ბაგეზე და 10 წუთის შემდეგ მოიწმინდეთ.

● ქარში ტუჩები რომ არ დაგისკდეთ, კიტრის ან სტაფილოს წვენში არეული თაფლის, არაჟნისა და ხაჭოს ნაზავი დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ მოიშორეთ და მცენარეული ზეთი გადაისვით.

● თუ ბაგეზე კანი დამსკდარი გაქვთ, გახეხილ ვაშლში აურიეთ 1 ჩ/კ კარაქი და ნაზავი 15-30 წუთით გაიჩერეთ. ეს ნიღაბი აუცილებლად დაგირბილებთ ტუჩებს.

● თუ ამგვარი ნიღბის მოსამზადებლად დრო არ გაქვთ, მაშინ, უბრალოდ, თაფლი გამოიყენეთ. ■

მაკიაჟი 10 წუთში

თუ ძალზე მოუცლელი ხართ და სახელდახელოდ გიწევთ მაკიაჟის განახლება, გირჩევთ ჩვენი რეკომენდაციები გაითვალისწინოთ:

ბამბიანი ჩხირით აკურატულად მოიცილეთ მაკიაჟის ზედმეტი ფენა, გააახლეთ თვალის ჩრდილი, ტუჩის კონტური გაიმკვეთრეთ და წაისვით პომადა. სახეზე კი მსუბუქად გადაისვით პუდრი.

თუ შინ ხართ, სახე კოსმეტიკური რძით გაიწმინდეთ, შეისხით ცივი წყალი, გადაისვით ყინულის ნატეხი — ეს სახეს ბუნებრივ ელფერს მიანიჭებს. შემდეგ მკვებავი კრემი შეიზილეთ. კანი უკვე გაწმენდილია, დასვენებული და მზადაა მაკიაჟის გასაახლებლად. ■

დაიცავით სახეზე კრემის წასმის წესები

✓დღის კრემი სახეზე დილაობით, რაც შეიძლება ადრე უნდა წაისვათ, რათა მან ფორებში შეღწევა მოასწროს.

✓შეეცადეთ, მაკიაჟი კრემის წასმიდან მხოლოდ 20-25 წუთის შემდეგ გაიკეთოთ, რადგან ამ დროისთვის კანში უკვე შეაღწევს ყველა ის საჭირო ნივთიერება, რომელიც მთელი დღის მანძილზე იცავს მას.

✓თუ დილით დროის უკმარისობას არ უჩივით, მაშინ შეეცადეთ, ნიღაბი გაიკეთოთ: კრემი სქელად დაიდეთ სახეზე, გაიჩერეთ 20 წუთი. შემდეგ ზედმეტი ფენა ქაღალდის ხელსახოცით შეიშრეთ. ■

ალუბლის ღვეგელი

მასალად საჭიროა *250 გ კარაქი, 250 გ შაქრის ფხვნილი, ერთი ჩ/კ ლიმონის ცედრა, 5 კვერცხი, 125 გ ფქვილი, ვანილი და სახამებელი.*

მომზადების წესი:

დარბილებული კარაქი კარგად ათქვიფეთ, თანდათანობით ჩაუმატეთ შაქრის ფხვნილი, ვანილი და ლიმონის ცედრა. შემდეგ სათითაოდ ათქვიფეთ კვერცხები, ნაწილ-ნაწილ ჩაუმატეთ გაცრილი ფქვილი, სახამებელი და სოდა ძმრით. ყველაფერი ფრთხილად აურიეთ ერთმანეთში, მიღებული მასა გადაიტანეთ პერგამენტდაფენილ ფორმაში, ზემოდან მოაწყვეთ წინასწარ გარეცხილი, გამშრალი ალუბალი და შედგით ჰაერღუმელში 35 წუთით.

იმისთვის, რომ გაიგოთ, ნამცხვარი მზად არის თუ არა, ცომში ჩაურჭვეთ ხის წვრილი ჩხირი ან ასანთის ღერი. თუ მას ცომი მიეკრა, ნამცხვარი 10 წუთით ისევ შედგით ჰაერღუმელში. ასეთ დროს, უმჯობესია, ზემოდან დააფაროთ სპეციალური ქაღალდი, რათა ღვეზელი ზედმეტად არ გამოშრეს. ■

■

ხითელი ფეხსაცმელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №24

ნია დაიძაბა. რაღაც ხდებოდა მათ შორის და ეს განსაკუთრებით მაშინ გახდა შესამჩნევი, როცა მამაკაცმა იგი კაზინოში დაპატიჟა. ბარიერი, რომელიც ერთმანეთისგან აშორებდათ, თანდათან გაქრა, ალბათ გიგიმ დაიჯერა, რომ ნია მთლად ქუჩის ქალი არ იყო... თუმცა ამწუთას მის თვალებში მხოლოდ გახელებული ვნება შეინიშნებოდა. ნია საუკუნეა, პაემანზე არ ყოფილა, მაგრამ მამაკაცის მზერაში სურვილის ამოკითხვა არ გასძნელებია. მერე როგორი მამაკაცის! ღაწვებშეფაკლულს ოფლმა დაასხა. არა, ეს არ უნდა მოხდეს! მას რომანების დრო არა აქვს. ისედაც არ აკლია პრობლემები, ახლა კი ეს „კრასავჩიკი“ გამოუხტა. არადა, ყოველ მის შემოხედვაზე თავგზა ერევა. არა, არა, ის თავმოყვარე გოგოა, ნებისყოფაც აქვს, ამიტომ იოლად ვერავინ დაითანხმებს, არაფერში სჭირდება თავის ზედმეტად ატკივება.

ჯანდაბას! რომ ვერაფერს ახერხებს? სადღაც რომ გაქრა მისი თავმოყვარეობა და ლამისაა, მკლავებში ჩაუვარდეს ახვლედიანს? მისი გული უფრო თავნება აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. ვეღარ იმორჩილებს, გვერდით მჯდომი მამაკაცისკენ ისე თავხედურად იწევს, ნიას არც ეკითხება. თანაც როდის! ყველაზე არახელსაყრელ მომენტში. კაზინოში მაინც არ ენახა! ხომ იცის, რომ ასეთ მამაკაცს ვერაფრით დაარწმუნებს თავის სიმართლეში. მოდი და აუხსენი ახლა, რომ იძულების წესით მოხვდა კახა დევიძის მეგობართა წრეში. არ არის სასაცილო?

მორჩა! გადაწყვეტილება მიღებულია. მის ცხოვრებაში სასიყვარულო თავგადასავლების ადგილი არ დარჩა, თუნდაც ისეთ თავბრუდამხვევ მამაკაცთან, როგორიც გიგი ახვლედიანია. ერთადერთი, რაზეც უნდა იფიქროს, ვალების გასტუმრებაა. არავითარი რომანი!

თან როგორ უყურებს? ვნებით სავსე თვალებით. დარწმუნებულია, რომ ნიას წასვლა არ უნდა. იქნებ ასეა? იქნებ მართლა დარჩენა სურს? რა მოხდება, მანქანიდან რომ არ გადავიდეს? მშვენივრად იცის, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს! მისი მოგზაურობის შემდეგი გაჩერება აუცილებლად გიგის საწოლი აღმოჩნდება...

არა, ეს შეუძლებელია! მერე რა, რომ იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და ქალებისთვის სასურველი მამაკაცის გვერდით ზის, მერე რა, რომ მისი გული უკითხავად მიიწევს მაცდუნებელი ბიზნესმენისკენ, მაინც უარის თქმა მოუწევს.

მამაკაცის სხეულის სურნელს, რომელსაც ძვირად ღირებული სუნამოს ნაზი არომატიც ერთვოდა, მძაფრად გრძნობდა ნია, რაც კიდევ უფრო აღაგზნებდა.

დრო თითქოს გაჩერდა. გოგონა დაძაბული მიჰყრდნობოდა საზურგეს და თითებს ნერვიულად ატკაცუნებდა. გიგი მისკენ ოდნავ შეტრიალდა და პასუხს დაელოდა.

— არ შემიძლია, — დაიჩურჩულა გოგონამ, — არ შემიძლია.

— რა არ შეგიძლია? — ღიმილი ვერ შეიკავა ახვლედიანმა.

შეკითხვამ მთლად დააბნია ნია.

— მე... მე... უნდა წავიდე, — ხმა აუთრთოლდა.

— გა-სა-გე-ბიაააა... რომ შეეცადო? — შემპარავად იკითხა და გრძელი თითები ნაზად შეასრიალა ქალის თმაში. — შეეცადე, — ძლივს გასაგონად გაისმა მისი ნათქვამი.

წამიც და... ნიამ დაინახა, როგორ მოუახლოვდა მამაკაცის ტუჩები მისას...

კოცნა თავბრუდამხვევი აღმოჩნდა. გოგონამ თვალები დახუჭა და შეეცადა, არ ეფიქრა იმაზე, რაც ამწუთას მის თავს ხდებოდა. მთელი არსებით მიილტვოდა ახვლედიანისკენ. გიგის ბაგეები ცხელი იყო და ვნებიანი, რბილი და, ამავე დროს, მომთხოვნი... ნიას სხეული მოუდუნდა. სამყაროს მის ირგვლივ არსებობა შეწყვიტა. არავინ იცის, სანამ გაგრძელდებოდა თავგზაამბნევი სიამოვნება, გიგის მისთვის ხელი რომ არ შეეშვა.

— ეს წარმატებული ცდა იყო, შენი მხრიდან, პატარავ, — ალერსიანად წარმოთქვა მამაკაცმა, თან ხელებს მაცდურად დაასრიალებდა ქალის შიშველ ყელზე, — მაგრამ... — და კვლავ ჩურჩულით გააგრძელა: — სრულყოფილებას საზღვარი არ აქვს. შემდეგ ჯერზე შეიძლება უფრო სასიამოვნოდ გამოგივიდეს. ხვალ შევხვდეთ, უფრო რომანტიკულ გარემოში.

ნია თითქოს გამოფხიზლდა, შემკრთალმა თავი უკან გადასწია.

— არა!

გიგი წამით გაშეშდა. ნუთუ! დაიჯეროს, რომ გოგონას დაწყებულის გაგრძელება არ უნდა? უარი საკმაოდ გულწრფელი ჩანდა, ზედმეტად გულწრფელიც... მაგრამ ახლახან კოცნაზე რომ კოცნით უპასუხა? ასე მორჩილად რომ დაჰყვა მის ნებას? რა მოხდა? რა შეიცვალა? — გაოგნებული უარის მიზეზს ვერ ხსნიდა.

ნია კარს ისე აეკრა, თითქოს ვინმე მის ძალით დამორჩილებას ცდილობდა.

— დიდი მადლობა, რომ აქამდე მომიყვანეთ, მაგრამ უნდა წავიდე! — ხმაჩახრინწულმა ძლივს ამოთქვა, აკანკალებული ხელებით ჩაიცვა გულზე მიხუტებული ფეხსაცმელი და ერთიანად გაფითრებული სახელურს დაეჯაჯგურა.

გიგი მაჯაში სწვდა. გოგონა ხაფანგში გაბმულივით მოიკუნტა.

— არ მინდა, წახვიდე, — თბილად უთხრა მამაკაცმა.

ის არ ტყუოდა. გიგის მართლა არ უნდოდა, ეს ქალი მანქანიდან გადასულიყო და მისი ცხოვრებიდან დაკარგულიყო. უნდა მოეფიქრებინა, როგორ შეეჩერებინა. მოეფიქრებინა ნებისმიერი რამ, ოღონდ კი დარჩენილიყო.

ნიას უკვე აძაგძაგებდა. იმდენად ხმადაბლა, მაგრამ დარწმუნებით ლაპარაკობდა მამაკაცი, რომ გოგონას სუნთქვა შეეკრა. გაუჭირდა თავის ხელში აყვანა.

— თუკი მგზავრობის გასამრჯელოს ნატურით მოითხოვდით, თავიდანვე უნდა გაგეფრთხილებინეთ! მაშინ მომეცემოდა შესაძლებლობა, უარი მეთქვა თქვენს მომსახურებაზე, — წამოიძახა გოგონამ და მაშინვე მიხვდა, რომ მტკივნეულ ადგილს შეეხო... მაგრამ ამწუთას ეს მისთვის სულერთი იყო, ერთადერთი, რაც უნდოდა, დროზე გასცლოდა აქაურობას.

— მართლა ქუჩის ქალივით ნუ იქცევი, შეწყვიტე, რა! ძლივს დავიჯერე, რომ ასეთი არ ხარ! რა მოგივიდა? — მკაცრად შენიშნა მამაკაცმა.

მისმა სიმკაცრემ უარესად დააფრთხო გოგონა. ახლა მანქანიდან რომ არ გადავიდეს და წავიდეს, აუცილებლად საშინელებას ჩაიდენს, გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებს და ეს საღამო მთელი ცხოვრება სანანებელი გაუხდება.

— ეს მხოლოდ გამოსამშვიდობებელი კოცნა იყო და მეტი არაფერი. ნახვამდის, ბატონო გიგი. ვიმედოვნებ, კახასნაირები არასდროს ესტუმრებიან თქვენს კაზინოს, ისევე, როგორც მე.

ნიას ტონი დამაჯერებლად ჟღერდა, ოდნავ ცინიკურადაც კი. მამაკაცი უფრო ძლიერად ჩააფრინდა მაჯაში.

— რატომ?

— რა რატომ? — გოგონამ კითხვით

სავსე მზერა მიაპყრო.

— რატომ არასდროს ესტუმრები ჩემს კაზინოს? — ჩამქრალი ხმით იკითხა გიგიმ, თან ცოცხალი თავით ხელს არ უშვებდა.

გოგონამ იცოდა, რომ აუცილებლად უნდა გაეთავისუფლებინა ხელი მისი ღონიერი თითებისგან, მაგრამ ძალა აღარ შესწევდა, იმდენად სასიამოვნო იყო მისი შეხება.

— რატომ? გასაკვირი არაფერია. ჩემთვის უცხოა ასეთი ადგილები. ფული არ მაქვს, რომ აზარტული თამაშებით გავერთო, ხოლო სხვის ხარჯზე ცხოვრებას მიჩვეული არ ვარ.

— ძალიან მსიამოვნებს ამის მოსმენა. ერთადერთი მამაკაცი, რომლის გვერდითაც შენს ხილვას ვისურვებდი, მე ვარ, ქალბატონო ნია!.. პატარა ნია!

მოეჩვენა, რომ მამაკაცი დასცინოდა. უკვე ეჭვიც არ ეპარებოდა ამაში და სიბრაზისგან სახე აუპილპილდა. უხეშად გამოსტაცა მაჯა ხელიდან და გაშმაგებით მიახალა.

— სიმართლე გითხრათ, თქვენს სურვილებს ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მე არც ბოზი ვარ და არც ერთი ღამის ქალი! ამიტომ ერთმანეთთან სალაპარაკოც არაფერი გვაქვს. მაპატიეთ უხეში სიტყვებისთვის, მაგრამ ასეა. ვიცი, ბევრი გოგო იქცევა ისე, როგორც თქვენ ამბობთ, მაგრამ მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს. მე სხვა წესებით ვცხოვრობ, — ნიამ კარი გააღო, — კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და... ღამე მშვიდობისა!

გოგონა მანქანიდან გადავიდა და აჩქარებული ნაბიჯებით გაემართა სადარბაზოსკენ. ცდილობდა, უკან არ მიეხედა. ძალიან უნდოდა, გაბრაზებულიყო მამაკაცზე, რომელმაც უხამსი წინადადება შესთავაზა, მაგრამ არ გამოსდიოდა. რაც უფრო შორდებოდა მანქანას, მით უფრო მატულობდა ტკივილი, თითქოს ყველაზე ახლობელს და ყველაზე სასურველს კარგავდა. ადამიანს, რომელსაც ამიერიდან ვერასდროს იხილავდა ცხოვრების გზაზე.

ავტომობილის ფარები იქამდე უნათებდა გზას, სანამ სადარბაზოში არ მიიმალა. რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა დაიქოქა და... ახვლედიანი თავის გზას გაუდგა.

ნია კიბის სახელურს სიმწრით ჩაჰფრენოდა და მომხდარის გააზრებას ცდილობდა. ჯერაც ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის თავს. გააზრებაც ვერ მოასწრო, გიგისთან განშორებამ შვება მოჰგვარა, თუ სინანული. ცოტა ხნის შემდეგ ბარბაცით აუყვა საფეხურებს.

გიგი ახვლედიანი! გიგი ახვლედიანი! — რამდენჯერმე გაიმეორა თავისთვის. გვარსახელი ერთობ მაცდუნებლად ჟღერდა, ისევე, როგორც მამაკაცი, რომელსაც ის ეკუთვნოდა.

თვალწინ მისი მკაცრი ნაკვთები ედგა, მისი ათლეტური აღნაგობა მოსვენებას უკარგავდა. გეყოფა! — შეუძახებდა შიგადაშიგ საკუთარ თავს. რა აზრი აქვს, იოცნებო ადამიანზე, რომელიც შენი არასდროს გახდება? შეიძლება შეგხვდეს კიდეც, დაუვიწყარი დღეებიც გაჩუქოს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დროებითი იქნება? ისეთი ლოველასი, როგორიც ახვლედიანია, რომელიც ქალების კოლექციას აგროვებს, მისთვის არ არის დაბადებული. გარდა ამისა, ნიას ინტრიგული რომანებისთვის არ სცალია, მორჩა და გათავდა! მან ახლა მუშაობაზე უნდა იფიქროს, ფული აქვს დასაგროვებელი. ოდესმე შეძლებს ალბათ იმ უზარმაზარი ვალის გადახდას, ასე რომ უმწარებს ცხოვრებას. ღმერთო, როგორ გაება ასეთ უსიამოვნო ამბავში! რას ფიქრობდა, როცა ფულს სესხულობდა? არა უშავს, მოვა დრო და გამოძვრება. რაც მთავარია, მაკა არ აჩქარებს, მეგობარია, ბოლოს და ბოლოს.

— ნია, ეს რა ჩაიდინე? — მეორე დილით შეშფოთებულმა მაკამ დაურეკა, — ხომ გთხოვე, კახას გვერდიდან არ მოშორდე-მეთქი. არ მეგონა, ასე თუ გამწირავდი!

ნიამ იცოდა, დაქალი სცენებს რომ გაუმართავდა, ამიტომ პასუხი წინასწარ მოამზადა.

— ჰო, მართალი ხარ, მაკა, საღამო იმაზე ადრე დამთავრდა, ვიდრე გვეგონა. მაგრამ ჩემი ბრალი არ არის. შენ არ მეუბნებოდი, კახა მთელ ღამეს თამაშში გაატარებს და დილით შეგიძლია შეუმჩნევლად დატოვო იქაურობაო? რატომღაც, ასე არ მოხდა. შენი კაცი იძულებული გახდა, დროზე ადრე დაეტოვებინა იქაურობა. მერე სასტუმროში წასვლა და იქ საუნაში გართობა გადაწყვიტეს. ჩვენ ამაზე არ შევთანხმებულვართ. ამიტომაც წამოვედი.

— დიდი მადლობა დახმარებისთვის, — ირონიულად გაისმა დაქალის ხმა, — მაგარი სამსახური გამიწიე! შენი შემწეობით კახუჩელამ მთელი ღამე იმ ინდაურნათიასთან გაატარა, რომელიც ახლა ყელმოღერებული დადის. ჰგონია, ჩემთან ეგეთები გაუვა. ჯერ არ იცის, რა ელის. კარგად არ მიცნობს.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, მაკა. რაც შემეძლო, გავაკეთე. მაპატიე, თუ იმედი გაგიცრუე, — უკმაყოფილოდ თქვა ნიამ, მეგობრის პასუხს აღარ დაელოდა და ყურმილი დაკიდა.

„ჩემი დარდიც ეგ იყოს, რაც უნდათ, ის უქნიათ. ცუდი ის არის, რომ მაკას ზურგს ვერ ვაქცევ. ის რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ვერც ბანკის კრედიტს გადავიხდიდი და ვერც მაღაზიას გავხსნიდი. ანგელოზივით მომევლინა. განა შეიძლება ამის დავიწყება? საინტერესოა, ნეტავ, თუ იცის მაკამ, რომ მისი საყვარელი წარმატებული ბიზნესმენი კი არა, გარეწარი და ბანდიტია? ალბათ ეცოდინება. მაკამ რა არ იცის! მიწის გულში რა დევს, ისიც კი იცის!“

შუადღემდე დაყო მაღაზიაში, რამდენიმე კლიენტი გაისტუმრა და ცოტაოდენი თანხა რომ მოაგროვა, შინისკენ გასწია, რათა მერვეკლასელთა საკონტროლო წერის რვეულები გაესწორებინა. მოგვიანებით ჭურჭელი დარეცხა, სადილი მოამზადა და დაქანცული ტელევიზორს მიუჯდა. წუხანდელი საღამო მაინც თავში უტრიალებდა. რა ავტომობილში იჯდა?! თანაც როგორი მამაკაცის გვერდით?! ვერა და ვერ ამოიგდო თავიდან მასზე ფიქრი, რა ეშველება! თუმცა რა მისი ბრალია? გიგიმ თავად მოისურვა მისი გაცნობა, ხელახლა შეხვედრის სურვილიც კი გამოთქვა. მერედა, თუ იცის ნიამ, რატომ სურს ახვლედიანს მისი ნახვა? იმისთვის, რომ ღამე გაათიოს მასთან. ეგ არის და ეგ! მაგრამ ერთი ღამის სექსი ნიას ცხოვრების წესს რომ ეწინააღმდეგება? ამიტომ უნდა დაივიწყოს. ეს არის საუკეთესო გამოსავალი! მთავარია, ცდუნებამ არ სძლიოს და გიგის მომხიბვლელობის მსხვერპლი არ გახდეს, არ გაებას ხაფანგში. ამას ძლიერი ნებისყოფა სჭირდება. ეყოფა კი ძალა?

ამ ფიქრებში იყო, ტელეფონი რომ აწკრიალდა. შეფიქრიანებული ყურმილს დასწვდა.

— ნი, დიანა ვარ, რას შვრები?

— დიკო, სიხარულო! სად დამეკარგე? რატომ არ დადიხარ სკოლაში? — გაუხარდა თანამშრომლის ხმის გაგონება.

— მე გავთხოვდიიიიიიიი!

— რა-ა?! რას ამბობ, დიანა! გილოცავ, ჩემო კარგო, როგორ გამახარე! კარგი ბიჭია სიძე?

— ძალიან კარგი, საკმაოდ შეძლებულია, ნი, რა ვიცი. დარწმუნებული ვარ, რომ გაგიხარდა, ამიტომაც გეპატიჟები ჩემთან შაბათს, ჯვრისწერაზე. ჩემი ქმარი ბინას არემონტებს და ამიტომ დროებით ჩემს ბინაში

ვიცხოვრებთ. ექვს საათზე გელოდები, კარგი?

— აუცილებლად მოვალ, აბა რას ვიზამ, აუცილებლად.

ესეც ასე! დიანამ თავს უშველა, გათხოვდა. კარგია, რომ გაუმართლა. ობოლი გოგოა, არავინ ჰყავს. ღმერთმა ხელი მოუმართოს! ორმაგად სასიხარულოა, რომ ქმარი შეძლებული ოჯახიდანაა. შაბათი როდისაა? ორ დღეში. კარგია, მანამდე შეიძლება ცოტა გამოუკეთდეს გუნება. სალონში წავა, გაიპრანჭება...

საპარიკმახეროდან გამოსულმა ნიამ საგულდაგულოდ დავარცხნილ თმაზე ხელი გადაისვა და საათს დახედა. ორმოცი წუთი დააგვიანა, რას იფიქრებს დიანა? სასწრაფოდ გააჩერა ტაქსი.

— მადლობა ღმერთს, ნი! რატომ დაგაგვიანდა? — გადაკოცნა დიანამ.

— სალონში რიგი იყო და ვერ გამოვაღწიე. მაპატიე... — მოუბოდიშა გოგონამ და „ვუ ლე ვუ-ს“ პარკი მიაწოდა პატარძალს. — შენი საყვარელი სუნამო...

— ვაიმეეე, რა მაგარი ხარ! უღრმესი მადლობა, რატომ შეწუხდი, უამისოდ არ მიგიღებდი?

— რისი მადლობა, არ გრცხვენია? ჩვენ შორის ეგეთები არ იყოს! ბევრი სტუმარი გყავს? — ნიამ ოთახში შეაბიჯა.

— არც ისე, ძალზე ვიწრო წრეში აღვნიშნავთ, იმიტომ, რომ ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. აი, ქორწილს რომ გადავიხდით, მერე ყველას დავპატიჟებთ. შემოდი, ზვიადი უნდა გაგაცნო.

გოგონებს სიმპათიური ქერა ბიჭი გამოეგება. დიანამ ისინი ერთმანეთს გააცნო. ნიას მოეწონა სიძე, რომელიც მოსულს სასტუმრო ოთახში შეუძღვა.

ნიას ლოყები შეეფაკლა, სუფრასთან მსხდომთ რომ გადახედა. სკოლიდან მხოლოდ დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და მათემატიკის მასწავლებელი თამრიკო შენიშნა. მან ხელით ანიშნა, ჩვენთან მოდიო. ნიამაც ღიმილით დაუქნია თავი და თამრიკოს გვერდით დაჯდა. კოლეგები თბილად მოიკითხა და სუფრას თვალი დაკვირვებით მოავლო, რომ სტუმრები შეეთვალიერებინა. მოულოდნელად თვალები გაუფართოვდა, ალმურმა გადაჰკრა სახეზე. სუფრის მეორე მხარეს, მისგან მარჯვნივ... გიგი იჯდა და ეშმაკური ღიმილით შესცქეროდა. აი, სიურპრიზი! აი, შეხვედრა! ამას აქ რა უნდა? ნუთუ სიძის ნათესავია? ნიას ცნობისმოყვარეობა ახრჩობდა, მაგრამ ჯერ ვერც სუფრიდან ადგებოდა და, შესაბამისად, ვერც ვერავის შეეკითხებოდა, საიდან გაჩნდა აქ ახვლედიანი.

მთელი საღამო დაიტანჯა. დაძაბული იჯდა, რეტდასხმულს ლუკმა არ ჩაუდვია პირში. ის კი არა, თავის მიტრიალებასაც ვერ ბედავდა, რათა შემთხვევით გიგის მზერას არ წასწყდომოდა. უყურებდა კი იგი? არც ეს იცოდა. თამადა სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე „აცხობდა“ და ალავერდს მაინცდამაინც „პატივცემულ გიგისთან“ გადადიოდა. აშკარა იყო, ბიზნესმენი ამ სახლში საპატიო სტუმრის სტატუსით სარგებლობდა.

მოგვიანებით სუფრა ახმაურდა. მამაკაცები შეზარხოშდნენ, დანაყრებული ქალები კი ერთ ადგილზე ჯდომით დაიღალნენ და „ფეხის გასაშლელად“ გასვლა-გამოსვლა დაიწყეს. ამით ისარგებლა ნიამ და აივანზე გავარდა, რათა გახურებული შუბლი ნიავისთვის შეეშვირა.

ოცნება, ოცნება... ოცნებაში ამოხდება სული. როგორ მოხვდა აქ? — უკვე მერამდენედ ეკითხებოდა საკუთარ თავს აფორიაქებული.

— ჯვრისწერას რატომ არ დაესწარით? — უცებ ზურგს უკან ნაცნობი ხმა გაისმა.

შემკრთალი მოტრიალდა. მის წინ გიგი იდგა შამპანურის ორი ფუჟერით ხელში, ერთი გოგონას გაუწოდა.

ნია გაწითლდა, თავი ოდნავ დაუქნია მამაკაცს და ფუჟერი ჩამოართვა. მერე ძლივს გასაგონი ხმით თქვა.

— არ მეცალა.

— ქორწილები მოგწონთ? — მოულოდნელად დაინტერესდა გიგი.

— არა. გულწრფელად რომ გითხრათ, ხმაურიანი წვეულებების ატანა არა მაქვს.

— რატომ?

ნია შეიშმუშნა. მას არასდროს ულაპარაკია უცხოებთან ამ თემაზე, ამიტომ პასუხის გაცემა გაუჭირდა.

— როგორ გითხრათ... რატომღაც, უხერხულად ვგრძნობ თავს. იძულების წესით გიწევს ურთიერთობა ისეთ ადამიანებთან, რომელსაც არ იცნობ.

— მერე რა არის ამაში ცუდი?

— ალბათ არაფერი, მაგრამ... ცოტა არ იყოს, მიჭირს უცხო ადამიანებთან კონტაქტის იოლად დამყარება. შეიძლება ეს კომპლექსია...

მამაკაცს ხმამაღლა არაფერი უთქვამს, მაგრამ ისე გადახედა ნიას, თითქოს მისი ნათქვამი ეუცხოვაო. ალმურმა კიდევ ერთხელ გადაჰკრა გოგონას სახეზე. ამწუთას მხოლოდ ერთი რამ სურდა — აქედან უკანმოუხედავად გაქცეულიყო.

— თქვენ დიკოს დაქალი ხართ? — გიგიმ სასმელი მოწრუპა.

— მთლად დაქალს ვერ ვიტყოდი... ჩვენ ერთად ვმუშაობთ სკოლაში, ვმეგობრობთ... — უფრო და უფრო იძაბებოდა ნია.

— რას აკეთებთ?

— მე-ე?

— ჰო, სკოლაში რას აკეთებთ?

— ინგლისურს ვასწავლი.

— ინგლისურს? — გაოცება ვერ დამალა ახვლედიანმა. — თქვენ ასწავლით ინგლისურს?

ქალს საფეთქლებზე სისხლი მოაწვა. ნამდვილად დასცინის ეს კაცი, რა არის აქ გასაკვირი, მართლა მეძავი ხომ არ ვგონივარ!

— მომისმინეთ, ბატონო გიგი. ვიცი, რომ გულზე არ გეხატებით და ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ პიროვნულ შეურაცხყოფას ნუ მომაყენებთ, გთხოვთ. ამას არ ვიმსახურებ, რადგან თქვენ მე არ მიცნობთ. გასაგებია?

მამაკაცს ნაკვთი არ შერხევია სახეზე.

— არც მიფიქრია. უბრალოდ, არ მოველოდი. ჩემი შეკითხვით გაგაკვირვეთ?

— თუ სიმართლე გაინტერესებთ, ნამდვილად არ გამაკვირვეთ, თქვენნაირისგან სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი.

— ჩემნაირისგან? აი, თურმე, რა ყოფილა! და როგორი ვარ?

ეპითეტები — ამპარტავანი, თავმომწონე და ცინიკოსი ენის წვერზე ადგა ნიას, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი.

— უაღრესად თვითკმაყოფილი და ეგოისტი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, — თქვა და მიხვდა, რომ უარესი გამოუვიდა, რადგან ახვლედიანს სახე მოეღუშა.

— როგორც ჩანს, რბილი სიტყვები არ გეხერხებათ. არ მიკვირს, აქამდე გაუთხოვარი რომ ხართ, კაცებს „სტერვა“ ქალები არ უყვართ.

— აქამდე? როგორ გგონიათ, რამდენი წლის ვარ?

— რა მნიშვნელობა აქვს. რამდენისაც უნდა იყოთ, თქვენი ქცევით ათი წლით უფროსად გამოიყურებით, — ცივად წარმოთქვა.

— გმადლობთ, ძალიან თავაზიანი შეფასება იყო თქვენი მხრიდან, — აილეწა ნია.

— ესე იგი, თქვენი აზრით, ძალზე თვითკმაყოფილი და ეგოისტი ვარ? მაშინაც კი, როცა ადამიანებს ვეხმარები?

— მე თქვენთვის დახმარება არ მითხოვია, ეს თავად მოისურვეთ, — ხმა წაერთვა გოგონას.

— უკაცრავად, მაპატიეთ, რომ თავი მოგაბეზრეთ. პირობას გაძლევთ, მეტად აღარ შეგაწუხებთ, — ცივად წარმოთქვა მამაკაცმა და გატრიალდა.

ნიას გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ნერვიულობისაგან ლამის ქვედა ტუჩი მოიკვნიტა. ცოტა ხანს კიდევ შეიცადა აივანზე. ფარდის მიღმა შეამჩნია, რომ გიგი რაღაცას ელაპარაკებოდა დიანას. ამ უკანასკნელს ძალზე შეწუხებული სახე ჰქონდა. მიხვდა, რომ დააშავა და მაშინვე ინანა, ასე რომ მოიქცა.

გიგი გასასვლელისკენ გაემართა. ნიას სუნთქვა შეეკრა. ნუთუ მისი მიზეზით მიდის? ეს რა ქნა, რა ჩაიდინა! მუხლებაკანკალებული დიანას მიეჭრა და ათრთოლებული ხმით უთხრა.

— მგონი, მე გავაგდე...

— რა მითხარი? ვინ გააგდე?

— ამ კაცს საიდან იცნობ?

— ახვლედიანს? ზვიადის შეფია, ბიზნესმენი. ჯვრისწერის მთელი ხარჯი მან გაიღო.

ამის გაგონებაზე ნიას სახე დაემანჭა. სასოწარკვეთილმა თვალები დახუჭა და ამოიკვნესა.

— ღმერთო, ეს რა ვქენი... არ ვიცოდი, თუ...

— მერე რა, აქამდე არც მე ვიცოდი, ასეთი მდიდარი თუ იყო. ზვიადი მასთან სასტუმროში მუშაობს მენეჯერად. ისე უყვარს ჩემი ქმარი, რომ არ ვიცი, თვალდახუჭული ენდობა. თავი გაიგიჟა,

გინდა თუ არა, მე უნდა ვიკისრო ეს საღამოო და ჩვენც ვერ ვუთხარით უარი.

— მართლა? ეს რომ მცოდნოდა, არ ვაწყენინებდი... მგონი, აჯობებს, წავიდე.

— მოიცა, სად უნდა წახვიდე? არც იფიქრო! რის წყენა, ნახევარი საათით დაგტოვებთ, შეხვედრა მაქვს და მოვბრუნდებიო, თქვა. შენ გამო არ წასულა, ნი, რას ნერვიულობ.

დიანას სიტყვებმა ნიას შვება ვერ მოჰგვარა. გონებაგაფანტული ადგილს ვერ პოულობდა, უაზროდ დადიოდა აქეთ-იქით მანამ, სანამ კარი არ გაიღო და გიგი არ გამოჩნდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაწყნარდა. ერთი პირობა დააპირა, მივალ და ბოდიშს მოვუხდიო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. აქეთ დაამცირა და იქით მოუხადოს ბოდიში? ნურას უკაცრავად!

მთელი საღამო ახვლედიანი ახლოს აღარ გაჰკარებია. ისე იქცეოდა, თითქოს მის არსებობას ვერც ამჩნევდა. ნიას იმდენად აწუხებდა მამაკაცის უყურადღებობა, ზედმეტად გრძნობდა თავს ახალშეუღლებულთა საზოგადოებაში. ამწუთას მთელ სამყაროში ყველაზე მეტად ეს კაცი სძულდა. ცოტა კიდევ შეიცადა და ბოლოს შინ წასვლა გადაწყვიტა. ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, რომ დიანას და მის მეუღლეს დამშვიდობებოდა და აქაურობას გარიდებოდა. განმარტოებით მდგარმა ვერც კი შეამჩნია, როდის მიუახლოვდა გიგი. რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი უბრალოდ იდგა და უსიტყვოდ შესცქეროდა. მის დანახვაზე ნიას ჭიანჭველებმა დაურბინეს ტანში.

— ალბათ, როგორ ვერ მიტანთ, არა? — სიჩუმე მამაკაცმა დაარღვია.

— რატომ გგონიათ? — თავდაჭერილად გაიღიმა.

გიგი თვალს არ აშორებდა. მართალია, გოგონას გამაღიზიანებელი მანერები ჰქონდა და ისევ ის საშინელი ფეხსაცმელი ეცვა, სამაგიეროდ მისი ლამაზი თვალები და სექსუალური ტუჩები უშლიდა საღერღელს. ასეთი ქალი ლოგინში ძალიან ცხელი იქნება... ამის გაფიქრებაზე უფრო მეტად მოუნდა ნიასთან განმარტოება. თუ ამაღამ მის ხელში ჩაგდებას შეძლებს, ისე მოეფერება, ყველა წყენას დაავიწყებს და ხვალ დილით აღარაფერი ემახსოვრება.

— შამპანური ხომ არ მოგიტანოთ? — ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა გოგონას.

— არა, გმადლობთ, შამპანურს ვერ ვსვამ.

— რას ამბობთ! წეღან არ გითქვამთ უარი?

— არც წეღან დამილევია, მხოლოდ ზრდილობის გულისთვის გამოგართვით.

— აბა, რას სვამთ?

— უფრო კონიაკს...

— ახლავე მოვიტან.

— გმადლობთ, ნუ წუხდებით.

— სულაც არ ვწუხდები, — გაიღიმა გიგიმ და სამზარეულოსკენ გაემართა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ კონიაკით სავსე ჭიქით დაბრუნდა. ნიას დალევის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. რამდენიმე ყლუპი სიამოვნებით მოსვა, მაგრამ რაღაც მომენტში სასმელი სასულეში გადასცდა და ხველა აუტყდა.

— რა მოგივიდათ? — მიეჭრა მამაკაცი და ზურგზე ხელი დაუტყაპუნა.

— მგონი, არ ღირს მეტის დალევა, — ჩახრინწული ხმით ამოთქვა და აცრემლებული თვალები ცხვირსახოცით მოიწმინდა.

— რადგან დალევა არ გინდათ, სხვა სურვილები გექნებათ. საინტერესოა, როგორი? — ჰკითხა გიგიმ და ხელი ზურგზე ვნებიანად ჩამოაყოლა.

მისი ხმის ტემბრი იმდენად მომაჯადოებლად ჟღერდა, გოგონას ჟრუანტელმა დაურბინა. ხელის შეხებამ კი კინაღამ ჭკუიდან შეშალა, თითქოს ცეცხლი წაეკიდა სხეულზე. რა ემართება? დროზე უნდა უშველოს თავს!

— უნდა წავიდე... სახლში მინდა...

— სახლში? — იკითხა მამაკაცმა და უცებ ეშმაკური გაუხდა გამოხედვა. — მე შემიძლია ალტერნატივა შემოგთავაზოთ, პატარა ნია. არ გინდათ, ეს ღამე ჩემთან ერთად გაატაროთ?

— ღამე? — ძლივს ამოღერღა, იმდენად მოულოდნელი იყო შემოთავაზება.

— თქვენ ალბათ თავქარიანი და ქარაფშუტა გგონივართ, თუ ფიქრობთ, რომ ამ ანკესს წამოვეგები, — დაიწყო გაწიწმატებულმა, — წეღან გაწყენინეთ და ახლა გინდათ, ჭკუა მასწავლოთ თავხედობისთვის? ბრაზობთ, რომ ბოდიში არ მოგიხადეთ? ერთი სული გაქვთ, ისევ დამამცირო ოთ, არა?

გიგის სიცილი აუტყდა. თავში აზრადაც არ მოსვლია, გოგონა ასეთ რამეს თუ იფიქრებდა. არა უშავს, შეძლებს მის გადარწმუნებას.

— ცდებით, პატარა ნია. ეს თამაში არ არის და სულაც არ ველოდები, როდის დაიმცირებთ თავს ჩემ წინაშე. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ეს ღამე ჩემ გვერდით გაატაროთ, ძალიან მინდა. თქვენთვის ეს გასაგებია?

მამაკაცი ყურადღებით აკვირდებოდა ქალის შეცბუნებულ სახეს, აწითლებულ ღაწვებს და ნერვულ ჟესტს, თითით რომ იხვევდა ჩამოშლილ თმას, რაც უფრო მეტად უმძაფრებდა სურვილს. ვერ მოითმინა და ხელისგული ნაზად მოუთათუნა ლოყაზე.

— გასაგებია? — ძალიან რბილად გაიმეორა და მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა.

ნია გაიტრუნა. ჟრჟოლისმომგვრელმა ტალღამ ერთიანად მოიცვა მისი სხეული. რა სიამოვნებით დახუჭავდა ახლა თვალებს და მიეხუტებოდა მკერდზე. გრძნობდა, რომ რაღაც საშინელება ემართებოდა, წინააღმდეგობას ვერ უწევდა იდუმალ სურვილს. უნდოდა, სიგიჟემდე უნდოდა მასთან განმარტოება, მისი ალერსი, მოფერება. ახლაც გრძნობდა მისი ცხელი ტუჩების შეხებას. ამწუთას მზად იყო, სადაც მოესურვებოდა, იქ გაჰყოლოდა ამ კაცს...

ღმერთო, სადამდე მივიდა! სად გაქრა მისი კდემამოსილება, მოკრძალება? ცოტა ხნის წინ იგი არაფრის დიდებით არ დაუშვებდა, დაქორწინების გარეშე ვინმეს ლოგინში ჩაგორებოდა. ახლა კი... რა ხდება? რატომ არის ასეთი უძლური? რა ჯადოს ფლობს ამისთანას ეს ახვლედიანი? ნუთუ მისი სიმდიდრე იზიდავს? არა, არა, რა სისულელეა!

— გასაგებია? — კვლავ გაიმეორა გიგიმ და მისი თითები მძლავრად ჩაბღუჯა. — დროა, წავიდეთ.

— სად? — გაფითრებულს მთლად წაერთვა ხმა.

— სასტუმროში, ჩემთან...

ნიას წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ შერჩა და... ხელჩაკიდებული მორჩილად მიჰყვა მამაკაცს უკან.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

მრავალი ადამიანისთვის მისი სახელი „ბნელეთის მეუფესთან“ ასოცირდებოდა. მას „ეშმაკის ადვოკატს“ ეძახდნენ, უფრო მეტიც, ის თვით ხორცშესხმულ სატანად მიაჩნდათ. სიცრუის უბადლო ვირტუოზი იოლად ახერხებდა ჭეშმარიტების საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვლას და ამასთან ერთად, ადამიანთა ცნობიერებით მანიპულირების ფანტასტიკური უნარით გამოირჩეოდა. კოჭლი, სუსტი და ტანმორჩილი, თითქმის ჯუჯა, „ჭეშმარიტი არიელის“ კარიკატურას ჰგავდა, რომელიც თავისივე პროპაგანდით განიდიდებდა თავს. ავხორცობით შეპყრობილი, გამუდმებით იცვლიდა საყვარლებს, ცოლის საყვედურებს კი ცინიკურად უპასუხებდა, რომ გერმანიისა და ფიურერის საკეთილდღეოდ მისი მუხლჩაუხრელი შრომა თუნდაც მცირედ კომპენსაციას იმსახურებდა.

იოზეფ გებელსი ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე შემზარავი იდეოლოგიის ავტორი. „დიდი სიცრუის პატარა გიგანტი“ — ასე ახასიათებენ ფსიქოლოგები მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრის ფენომენს.

იოზეფ გებელსი — „დიდი სიცრუის პატარა გიგანტი“

თემურ ივანიძე

მძიმე ბავშვობა

იოზეფ გებელსი 1897 წლის 29 ოქტომბერს, რაინის პატარა ქალაქ რაიდტში დაიბადა. მამამისი გაზის ფარნების მწარმოებელი ქარხნის წვრილი მოსამსახურე იყო. ოთხი წლის ასაკში იოზეფი პოლიომიელიტით დაავადდა. მას ოპერაცია გაუკეთეს, რის შედეგადაც, ცალი ფეხი 10 სანტიმეტრით დაუმოკლდა. ამ ნაკლმა შემდგომში დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდა გებელსის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

იოზეფი გიმნაზიაში თანატოლებთან ხმაურიან თამაშებში მონაწილეობას მოკლებული იყო, სამაგიეროდ, თავისი სიბეჯითისა და ნიჭის წყალობით მიიქცია ყურადღება და ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე გახდა. თავგასული თანატოლებისგან თავის დასაცავად კი ისეთი ხერხი შეიმუშავა, რომ ყველაზე აბეზარი ონავრებიც კი ვერ ბედავდნენ მის დაცინვას — იცოდნენ, რომ კოჭლი იოზეფი თავის შემაწუხებლებს მაშინვე მასწავლებლებთან დაასმენდა.

იოზეფის ღრმად მორწმუნე კათოლიკე მშობლები შვილის სასულიერო კარიერაზე ოცნებობდნენ, მაგრამ თვითონ, რელიგიას მეცნიერება ამჯობინა. 1917-დან 1921 წლამდე გებელსი 8 უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს. 1921 წელს კი ჰაიდელბერგში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა გერმანულ ლიტერატურაში.

მაგრამ სულ მალე „ახალგამომცხვარი“ დოქტორი მიხვდა, რომ ინტელექტუალური შრომით შორს ვერ წავიდოდა. რესპექტაბელური გაზეთები უკან უბრუნებდნენ ახალგაზრდა ავტორს ბუნდოვან სტატიებს, ხოლო გამომცემლობები უარს აცხადებდნენ მაღალფარდოვანი სტილით დაწერილი მისი ავტობიოგრაფიული მოთხრობის, „მიქაელის“ და ისტორიული დრამის, „იუდა ისკარიოტელის“ გამოცემაზე.

1923 წელს გებელსი ნაცისტური იდეების თავგამოდებული მიმდევარი გახდა. მან თანამშრომლობა დაიწყო ექსტრემისტულ გაზეთებთან, პარალელურად, ნაცისტური ჯგუფების შეკრებებშიც მონაწილეობდა.

წამყვან ნაცისტებს, რომელთა შორის ჰიტლერიც იყო, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ხელმოცარული ლიტერატორის ტემპერამენტი და ორატორული ოსტატობა, საკუთარ თავზე ყურადღების კონცენტრირებისა და აუდიტორიის ფლობის უნარი და, რაც მთავარია, მისი საოცრად ჟღერადი და ძლიერი ხმა. გებელსმა ჰიტლერი 1925 წელს გაიცნო. ცვალებადი ხასიათისა და ცინიკური ბუნების მქონე გებელსი ადვილად ექცეოდა სხვათა გავლენის ქვეშ. მეტიც, ის თვითონ ცდილობდა, მოეძებნა საიმედო საყრდენი, რომელიც წარმატების მიღწევაში დაეხმარებოდა. ასეთი საყრდენი მან ჰიტლერის სახით პოვა.

„პატარა გიგანტი“

სტუდენტობის დროს ის თანატოლებში მექალთანის რეპუტაციით სარგებლობდა. მუდამ მშიერი მგელივით დაეძებდა საკბილოს და პოულობდა კიდეც. ტანმორჩილი და სუსტი იოზეფი (სიმაღლე — 152 სმ, წონა — 45 კგ.) გაცნობისას ქალებში დედობრივ გრძნობებს აღძრავდა, მაგრამ შემდეგ, შეუხედავი გარეგნობის მიუხედავად, თანდათან აღწევდა საწადელს. თავისი მეტყველი წაბლისფერი თვალებისა და მოდულაციებით მდიდარი, ლამაზი ხმის წყალობით გებელსი ახერხებდა, მომხიბვლელ მამაკაცად წარმოჩენილიყო. გებელსი ირწმუნებოდა, რომ ფეხი ფრონტზე მიღებული ჭრილობის გამო დაუსახიჩრდა... გებელსს ვნებიან, ნაზ და გამოცდილ საყვარლად იცნობდნენ. მისი ცხოვრება სავსე იყო მრავალი წვრილი ინტრიგით, თუმცა ახალგაზრდობაში ორი სერიოზული და ხანგრძლივი რომანიც ჰქონდა. მისი ერთ-ერთი რჩეული, რომლის ცოლად შერთვასაც აპირებდა, სანახევროდ ებრაელი, ელზა იენკე იყო, მაგრამ როდესაც ჰიტლერმა იგი ბერლინის გაულაიტერად დანიშნა, გებელსმა სასწრაფოდ შეწყვიტა მასთან ურთიერთობა. ეს მოხდა 1926 წელს.

ფიურერის არჩევანმა გაამართლა. გებელსის ძალისხმევის წყალობით, 1937 წელს ნაციონალ-სოციალისტებმა რაიხსტაგში ყველაზე მეტი ადგილი დაიკავეს და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ.

ამ თანამდებობაზე გებელსმა, როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა, გამოიჩინა თავი. ნაცისტური იდეების პროპაგანდისათვის ის ხშირად, ყველაზე არაორდინარულ ხერხებსაც მიმართავდა. განსაკუთრებით, დაკრძალვის ცერემონია მოსწონდა. კომუნისტებთან ქუჩურ შეტაკებებში დაღუპული ნაცისტებისა და „ჰიტლერიუგენდის“ წევრთა დაკრძალვას ის ნამდვილ წარმოდგენად აქცევდა ხოლმე, რომლის პროცესშიც ახალი მომხრეების გადაბირება-ჩათრევა ხდებოდა. ყოველი გამოსვლისათვის განსაკუთრებული გულმოდგინებით ემზადებოდა. თავის ბინაში სამსაგდულიანი სარკე დაადგმევინა, რომლის წინაც მომავალი გამოსვლის რეპეტიციას აწყობდა ხოლმე. გამოსვლის ტექსტს ის სხვადასხვა ფერის მელნით წერდა, იმის შესაბამისად, თუ

MK

მოცემული ფრაზით რა ემოციის გამოწვევა სურდა მსმენელში. გებელსი ამტკიცებდა, რომ გამოსვლის დროს წონაში კილოგრამ-ნახევარს იკლებდა.

1931 წელს მან ცოლად შეირთო მაგდა კვანდტი, რომელიც მსხვილ მეწარმესთან იყო გაყრილი. ნაციონალ-სოციალიზმის იდეებით გატაცებული ფრაუ მაგდა ერთხანს გებელსის პირად არქივში მუშაობდა. იოზეფი მოჯადოებული იყო ქერაკულულებიანი ლამაზმანით. სულ მალე ქალიც ვერ გაუმკლავდა შეფის მიმზიდველობას...

გებელსების ოჯახში პირველი შვილი ქორწინებიდან ზუსტად 9 თვისთავზე დაიბადა. გოგონას ჰელგა დაარქვეს. ამის შემდეგ 1940 წლამდე, როდესაც მათი ბოლო შვილი გაჩნდა, მაგდა სულ ფეხმძიმედ იყო. ფეხმძიმობებს შორის ინტერვალი ერთი-ორი თვე იყო.

„სიმართლის“ მინისტრი

გებელსი 1933 წლის მარტში ჰიტლერის მიერ დაარსებული, პროპაგანდის სამინისტროს მეთაურად დაინიშნა. ამ სამინისტროს შექმნით „ტვინის გამოლაყების“ ტოტალური სისტემა შეიქმნა. გებელსი ძალ-ღონეს არ ზოგავდა. ჩვეულებრივ, ის რამდენიმე მდივანთან ერთდროულად მუშაობდა: ერთს სტატიის ტექსტს უკარნახებდა, მეორეს — წერილს, მესამეს — რომელიმე მემორანდუმს.

„ბედნიერი“ ოჯახი

გებელსს კარგად ესმოდა ტექნიკის როლი პროპაგანდის გავრცელების საქმეში. იმისათვის, რომ თავისი აუდიტორია მთელი ქვეყნის მასშტაბით გაეფართოებინა, მან რადიოტექნიკის მწარმოებლებს დაავალა, დროის მცირე მონაკვეთში დაეწყოთ იაფფასიანი, ე.წ. „სახალხო“ რადიომიმღებების გამოშვება. 1939 წლისათვის გერმანიაში ოჯახების 70%-ს რადიომიმღები ჰქონდა. ეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო, მაგრამ გებელსს ესეც ეცოტავებოდა. მან „კოლექტიური მოსმენის“ პრაქტიკა დანერგა: ნაცისტი ლიდერების სიტყვის ტრანსლაციის დროს ქვეყნის საწარმოებში მუშაობა წყდებოდა და ყველა თანამშრომელი რადიომიმღების გარშემო იკრიბებოდა. გებელსი მიიჩნევდა, რომ როდესაც პროპაგანდაზეა ლაპარაკი, ისეთი ცნებაც კი, როგორიც

სპეციალური კროსვორდი



შენიშვნა: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

ა. ცხოველი, რომელსაც აფრიკული სავანის სანიტარს ეძახიან; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **დ.** დოდო აბაშიძის ნამდვილი სახელი; **ა.** სამხედრო გემების დიდი შენაერთი; **გ.** რა ერქვა დათა თუთაშხიას შვილს; **ა.** შოთა, ილია, ..., ვაჟა და გალაკტიონი. ჩაწერეთ გამოტოვებული სახელი; **ვ.** ბანქოს თამაშის დროს მთელი ბანკის მოთხოვნა; **ი.** საზაფხულო საძოვარი მთაში; **წ.** ქალაქი სიღნაღის რაიონში; **ყ.** სამიზნედ დადგმული ძვირფასი ლითონის თასი, რომელსაც მოჯირითენი ცხენდაცხენ ისარს ესროდნენ ჩამოსაგდებად; ვინც ჩამოაგდებდა, ჯილდოდ ამ თასს იღებდა; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ე.** გრაფ მონტე-კრისტოს ახალგაზრდობის სახელი; **ს.** მონადირე ძაღლის ჯიში; **გ.** ქალაქი შოტლანდიაში; **ზ.** ცის სფეროს უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი დამკვირვებლის თავზე; **ი.** ნაწარმოები, სადაც ტროას ომის ბოლო 54 დღეა აღწერილი; **ს.** იაპონური ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; **შ.** რა ერქვა ფუფალას საოცნებო მამაკაცს (მხ. ფილმი „ნატვრის ხე“); **ე.** მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეში; **ძ.** რა ფრინველი მოკლა ლეილა აბაშიძემ ფილმში „ჭრიჭინა“; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ.** რა ერქვა პაგანინის; **ა.** კაა — პითონი, ჰატი — სპილო, ტაბაკი — ტურა, ბაგირა — ?

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ. განგი; **ა.** ამური; **ე.** ელიოზი; **რ.** რიქშა; **თ.** თემიდა; **ე.** ეპარქია; **თ.** თავადი; **ჩ.** ჩოსერი; **ვ.** ვიაგრა; **ე.** ენდემია; **ნ.** ნიანგი; **ს.** სვანეთი; **ჟ.** ჟივჟივი; **უ.** უნიკუმი; **რ.** როსინი; **ნ.** ნიაგარა; **ა.** ანცი; **ლ.** ლონდონი; **თ.** თხუნელა; **ა.** ანგარი; **ნ.** ნოე; **ე.** ერშოვი; **რ.** რეისი; **თ.** თუნგი; **ა.** ავიცენა; **დ.** დიანა;

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
ნუ იძმ ავსა და ავისა ნუ გეშინია

„შრომის ნაყოფიერებაა“, მეორე პლანზე გადადის.

გებელსი ხშირად ამაყად იმეორებდა, რომ მისი პროფესია — სიძულვილის თესვაა. თავისი კარიერის დასაწყისში იგი ზომიერი ანტისემიტი იყო, მაგრამ შემდგომ სრულებით შეისისხლხორცა თავისი კერპის — ჰიტლერის ცხოველური ზიზღი ებრაელების მიმართ.

1938 წელს გებელსის სანქციით, მოეწყო ოპერაცია სახელწოდებით „ბროლის ღამე“ — ებრაელთა ყველაზე მასობრივი დარბევა გერმანიაში. ამ დროს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე დაიწვა უამრავი სინაგოგა, გაიძარცვა ასობით მაღაზია, ათასობით ებრაელი საკონცენტრაციო ბანაკებში გაამწესეს. გებელსი კი საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუებში დაბეჯითებით იმეორებდა, რომ „ებრაელებს გერმანიაში თმის ღერიც კი არ შერხევიათ“.

ამის პარალელურად, გებელსის პირადი ცხოვრება მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო. მაგდას განუწყვეტელი ორსულობა მას საბაბს აძლევდა, საყვარლები გაეჩინა. გასართობად, მეტი შესაძლებლობა გაუჩნდა, რადგან ქალები, რომლებსაც ყოვლისშემძლე მინისტრის ყურადღების დაპყრობა სურდათ, თავზესაყრელად იყვნენ.

მაგდასთვის ბოლო წვეთი, ჩეხ კინოვარსკვლავ ლიდა ბაროვასთან გაბმული რომანი იყო. ახალგაზრდა ლამაზმანმა რაიხსმინისტრს ბედნიერების 2 საუცხოო წელი აჩუქა. უნდა ითქვას, რომ როგორც ბევრ სხვა ქალს, ბაროვასაც გულწრფელად უყვარდა გებელსი.

სკანდალი ნელ-ნელა მომწიფდა. გებელსის კანონიერმა ცოლმა გადაწყვიტა, განქორწინება მოეთხოვა. ჰიტლერი ამ ამბავმა საშინლად გააცოფა. ფიურერმა დაიბარა გებელსი და დაემუქრა, რომ თუ გონს არ მოეგებოდა, თანამდებობიდან გაათავისუფლებდა და ტოკიოში რიგით დიპლომატად გაუშვებდა. იოზეფმა უპასუხა, რომ მზად იყო, ტოკიოში წასულიყო, თუკი ცოლთან გაყრისა და ლიდას თან წაყვანის შესაძლებლობა მიეცემოდა. ამის პასუხად, ჰიტლერმა გადაჭრით მოსთხოვა ბაროვასთან კავშირის გაწყვეტა და მისი ნახვაც კი აუკრძალა. გესტაპომ ბაროვა ესკორტით გაამგზავრა პრაღაში და პოლიციის ზედამხედველობაც დაუწესა. გებელსიც შეურიგდა თავის ხვედრს, და თუმცა ცოლის ღალატის შესაძლებლობას არც შემდგომში უშვებდა ხელიდან, მაგრამ ამას უკვე მეტისმეტი სიფრთხილით აკეთებდა.

„სიცრუის“ მინისტრი

ღვინო, კინო და სხვა

გებელსი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, რომ პრესაში მისი ცხოვრების სტილი ზედმიწევნით პურიტანულად წარმოჩენილიყო. გერინგისაგან განსხვავებით, მას არ უყვარდა გარეგნული და თვალში საცემი ფუფუნება, არ იზიდავდა ძვირფასი ნივთები, სამაგიეროდ, ბერლინის გარეუბანში ორ უმდიდრეს მამულს ფლობდა, უყვარდა ლამაზად ჩაცმა და მისი გარდერობი 300 კოსტიუმზე მეტს ითვლიდა. მინისტრს ძალიან უყვარდა კულტურის მოღვაწეთათვის წვეულებების მოწყობა, მაგრამ იმდენად ძუნწი მასპინძელი იყო, რომ სტუმრები იქიდან მშივრები ბრუნდებოდნენ. ეს ამბავი ყველამ იცოდა, ამიტომ მიწვეული პირები სახლში ან რესტორანში წინასწარ გვარიანად დანაყრდებოდნენ ხოლმე და ისე მიდიოდნენ მიღებაზე. ომის წლებში, როდესაც ქვეყანაში სურსათზე საბარათო სისტემა შემოიღეს, გებელსი მოითხოვდა, რომ სტუმრებს თავიანთი კვების კუპონები მოეტანათ და მისი ლაქიებისთვის ჩაებარებინათ. სამაგიეროდ ამ წვეულებებზე გერმანული და საზღვარგარეთული ფილმების ნახვის შესაძლებლობა იყო. გებელსი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ყველა ფილმს ნახულობდა, რომლის შოვნასაც მისი აგენტები ნეიტრალურ ქვეყნებში ახერხებდნენ.

ომის ბოლო წლებში გებელსისადმი დაქვემდებარებული მასმედიის საშუალებების ვაიპატრიოტული შეძახილები უკვე ძნელად თუ ვინმეს აღაფრთოვანებდა. სულ მალე მისთვის სხვა სამუშაო მოიძებნა. 1944 წლის ივლისში ჰიტლერზე თავდასხმის შემდეგ, ამ საქმის გამოძიება გებელსს დაევალა. აი, მაშინ კი თვალნათლივ დაამტკიცა, რომ მას არა მარტო ადამიანთა სულების, არამედ ხორცის დამახინჯებაც საკმაოდ ოსტატურად შეეძლო. შეთქმულების 8 მოთავე დააპატიმრეს, სასტიკი ცემისა და წამების შემდეგ, საქონლის ხორცის საკიდარ კავებზე ჩამოკიდეს და ფორტეპიანოს სიმებით ნელ-ნელა მოახრჩვეს.

გასროლა ბაღში

1945 წლის იანვარში ჰიტლერმა გებელსი ბერლინის დაცვის პასუხისმგებელ პირად დანიშნა. აპრილის დასაწყისში იოზეფისთვის ცნობილი გახდა, რომ მოწინააღმდეგის მოახლოებასთან დაკავშირებით, ბერლინელები საკუთარ სახლებზე თეთრ ბაირაღებს ჰკიდებდნენ. გებელსმა სასტიკად გააფრთხილა მოქალაქეები. კერძოდ, საგანგებო გამოსვლაში მან თქვა: „ბერლინის რომელიმე ქუჩაზე თუნდაც ერთი თეთრი ბაირაღიც რომ გამოჩნდეს, უყოყმანოდ გავცემ ბრძანებას, რომ მთელი კვარტალი ააფეთქონ“.

ომის ბოლო დღეები მან ცოლთან და 6 შვილთან ერთად, ჰიტლერისა და ევა ბრაუნის გვერდით, ბუნკერში გაატარა. 29 აპრილს ფიურერისა და ევას საქორწინო ცერემონია გაიმართა. მოწმეებად გებელსი და ბორმანი იყვნენ. იმ დღესვე ჰიტლერმა შეადგინა ანდერძი, რომლითაც გებელსს რაიხსკანცლერის პოსტზე თავის მემკვიდრედ ასახელებდა. ახალმა რაიხსკანცლერმა თანამდებობა მეორე დღეს ჩაიბარა — მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა რევოლვერის პირში გასროლით თავი მოიკლა. ახალი რაიხსკანცლერის ძალაუფლება მხოლოდ ბუნკერის მიმდებარე რამდენიმე კვარტალზე ვრცელდებოდა...

საბჭოთა ჯარი რაიხსკანცელარიიდან რამდენიმე ასეულ მეტრში იდგა. გებელსმა თავის ადიუტანტს ბოლო განკარგულება მისცა: მისი სურვილი იყო, რომ მისი და მაგდას გვამებიც ისევე დაეწვათ, როგორც ჰიტლერისა და ევა ბრაუნის გვამები დაწვეს.

საღამოს, ვახშმის შემდეგ მაგდამ შვილებს დასაძინებელი წამალი დააღევინა და ლოგინში ჩააწვინა, შემდეგ კი შხამი მიაღებინა. გებელსმა და მაგდამ რამდენიმე წუთი შეიცადეს და შემდეგ, ბუნკერიდან რაიხსკანცელარიის ბაღში ავიდნენ. კიბეზე დარჩენილმა ადიუტანტმა 2 გასროლის ხმა გაიგონა. მან იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო: გებელსმა ჯერ საფეთქელში ესროლა ცოლს, რომელმაც მანამდე ციანიდის ამპულა გაკვნიტა, შემდეგ კი თვითონაც ჩაიდო პირში შხამის ამპულა და ტყვიაც დაიხალა. სულ ბოლოს ადიუტანტმა შეასრულა თავისი საქმე: გვამებს ნავთი გადაასხა და სანთებელი გააჩხაკუნა.

დილას რაიხსკანცელარიაში შეჭრილმა საბჭოთა ჯარისკაცებმა ეზოში ორი დამწვარი გვამი აღმოაჩინეს. იდენტიფიკაციის შემდეგ, გებელსისა და მაგდას გვამები ფოტოფირზე აღბეჭდეს და რაიხსკანცელარიის ეზოშივე ამოთხრილ უსახელო ორმოში ჩაყარეს... ■

სკარლეტ იოჰანსონი: „ჩემი სხეულის ფორმების გამო უცხოპლანეტელად მიმიჩნევენ"



სკარლეტ იოჰანსონს, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, უკვე კარგა ხანია, წარმატებულ მსახიობად მიიჩნევენ. ფილმმა — „მატჩ პოინტი" თვალნათლივ დაგვანახვა, რომ მოზარდი გოგონა თვალისმომჭრელ ქალად გადაიქცა...

სკარლეტი, რომელიც West Village-ში ცხოვრობს, ჟურნალისტს სოხოში (ნიუ-იორკი), მის სახლთან ახლოს მდებარე რესტორანში შეხვდა. კინოვარსკვლავს ყავისფერი ჩექმები, ლურჯი ჯინსი და რუხი ფერის, კაპიუშონიანი ქურთუკი ეცვა და შორიდან იქვე, მშენებლობაზე მომუშავე მუშებს წააგავდა... იგი გოგონას აღარ ჰგავს, მშვენიერ ქალად ჩამოყალიბდა: საუცხოო აღნაგობა, ლამაზი ყელსაბამით დამშვენებული, ნატიფი ყელი, მოდური ღაწვები, აკვამარინისფერი დიდრონი თვალები და მგრძნობიარე ფუმფულა ტუჩები — დედამიწაზე ჯერ არ დაბადებულა ჟურნალისტი, რომელიც მის აღწერას შეძლებდა.

გარეგნობას, რომლითაც სკარლეტი ბუნებამ დააჯილდოვა, ეკრანიდან სხვადასხვა ემოციური და სულიერი მდგომარეობის გადმოცემის უნართან პირდაპირი კავშირი არ აქვს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი უკანასკნელი ნამუშევარი — ვუდი ალენის მიერ ცოლქმრული ღალატის შესახებ გადაღებულ სურათში — „მატჩ პოინტი" — სკარლეტის თვალისმომჭრელმა სილამაზემ ძალზე დაამშვენა. მას შემდეგ, რაც იოჰანსონი მაღალი კლასის მსახიობად ჩამოყალიბდა, ჰოლივუდში პოპულარული ფორმულა — ჭკუა თუ სილამაზე — გაქარწყლდა: იგი საოცრად იოლად ახერხებდა ამ ორი ცნების შერწყმას და აბათილებდა გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჰოლივუდში წარმატების მისაღწევად, სექსუალური, მაგრამ უჭკუო ან — ჭკვიანი და არასექსუალური უნდა იყო...

ფილმში — „თარგმანის სირთულეები" სკარლეტის გმირი იმ მამაკაცისადმი ლტოლვას განიცდის, რომელიც ასაკით მამად შეეფერება. მსახიობი გადაღებების დროს იმდენად მოკრძალებული იყო, რომ რეჟისორ სოფია კოპოლას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა სკარლეტი გამჭვირვალე ტრუსის ჩაცმაზე დაეყოლიებინა... ფილმში — „მარგალიტისსაყურიანი გოგონა" — ყურის გახვრეტის ცნობილ სცენაში — XVII საუკუნის მოახლის მრავალფენიანი კოსტიუმის მიუხედავად, მსახიობმა სასტიკი ვნების საუცხოოდ გადმოცემა შეძლო და ეს სცენა ფილმში ყველაზე შთამბეჭდავი სექსუალური მომენტია. ორივე დასახელებულ სურათში ეროტიკულ დაძაბულობას ინტელექტი და მოცემული გარემოებები აკავებს. ამ თვალსაზრისით, „მატჩ პოინტი" წინამორბედი ფილმებისგან სრულიად განსხვავდება. მოქმედება ლონდონში ვითარდება (გადაღებებიც ლონდონში მიმდინარეობდა), მსახიობთა უმრავლესობა ბრიტანელი იყო. სკარლეტის გმირი — დამწყები ამერიკელი მსახიობი, ე.წ. საბედისწერო ქალი ჰოლა რაისია, რომლის რომანი სოციალურად ამბიციურ ყოფილ ჩოგბურთელთან ტრაგიკულად სრულდება.

ვუდი ალენი სკარლეტის თამაშით იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ იგი მომდევნო ფილმში, ამჯერად კომედიაში სათამაშოდ მიიწვია, რომლის გადაღებები აგრეთვე ლონდონში ჩატარდება.

„მან ახალი სცენარი გადმომცა და დასძინა: თუ რაიმე არ მოგეწონება, შეგიძლია, შენებურად გააკეთოო. ამ სიტყვებმა გამაოცა, რადგან მისთვის მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ გამოიყურებიან მისი საეკრანო გმირები", — ამბობს სკარლეტი. სამსახიობო ხელობის ათვისებასთან დაკავშირებით კი აი, რას იხსენებს:

„საკუთარი ემოციების მართვა ძალიან სწრაფად ვისწავლე. რაც თავი მახსოვს, ადამიანთა ქცევის ნიუანსებს მუდამ ვამჩნევდი და მათ იმიტაციას ოსტატურად ვახერხებდი. ამიტომ კარგად შემიძლია იმის კეთება, რასაც ვაკეთებ. საერთოდ კი მსახიობები უცნაური საქმიანობით არიან დაკავებულნი. ჩვენი თავი რთულ ემოციურ მდგომარეობაში შეგვყავს და გული იოლად გვეკოდება. სამაგიეროდ, როდესაც ყველაფერი კარგად გამომდის, თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ვიცი, რომ მიზანში მოვარტყი და ძალების საოცარ მოზღვავებას ვგრძნობ".

მაყურებელმა სკარლეტ იოჰანსონი კინოეკრანზე პირველად 9 წლის წინ, რობ რაინერის ფილმში „ჩრდილოეთი" იხილა, რასაც 5 სურათში ნათამაშები, მეორეხარისხოვანი როლები მოჰყვა. მათ შორის იყო ფილმი „მანი და ლო", სადაც სკარლეტმა თავშესაფრიდან გაქცეული გოგონა განასახიერა. ნამდვილი წარმატება კი რობერტ რედფორდის სურათში — „ცხენების შემლოცველი" შექმნილმა გრეის მაკლინმა მოუტანა.

იოჰანსონი — დიდი ქალაქის პირმშოა. იგი ნიუ-იორკში დაიბადა, გაიზარდა და სახლი ლოს-ანჯელესში მოგვიანებით შეიძინა. სკარლეტს ტყუპისცალი ძმა და უფროსი და-ძმა ჰყავს. ბავშვების მამა, წარმოშობით დანიელი კარსტენ იოჰანსონი ნიუ-იორკში არქიტექტორად მუშაობს, დედა — მელანი კი სკარლეტის მენეჯერი და პროდიუსერია. სცენაზე თამაშის სურვილი სკარლეტმა მემკვიდრეობით, დედისგან მიიღო. 8 წლის იყო, როდესაც მისი სასცენო დებიუტი შედგა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ კინო უფრო მეტად იზიდავდა და მანჰეტენზე მდებარე „ნიჭიერ ბავშვთა სკოლაში" დაიწყო სიარული, სადაც მოცეკვავეები, მსახიობები და მუსიკოსები სწავლობდნენ. პარალელურად, კინოშიც მუშაობდა და ყოველ წელს ერთ ფილმში მონაწილეობდა.

13 წლის იყო, როდესაც მისი მშობლები გაიყარნენ. პრესაში ბევრს წერდნენ იმის შესახებ, რომ გოგონა მის ასაკთან შედარებით, მოწიფულად გამოიყურება. ერთხელ

სკარლეტის დედამაც განაცხადა, რომ მის ქალიშვილს „მოხუცი სული აქვს". სკარლეტის შესახებ თქმული ცნობილი ფრაზა „დღეს იგი 13 წლისაა, ხვალ კი 30 წლის იქნება", — რობერტ რედფორდს ეკუთვნის. ამასთან მსახიობი ფილმს „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა" აღმერთებს, ხოლო დაბადების 20 წლისთავი დედამიწის ზურგზე ყველაზე საყვარელ ადგილზე — „დისნეილენდში" აღნიშნა!

როდესაც ახალგაზრდა მსახიობი თავდაჯერებით ამბობს, სამუშაო მარად მექნებაო, უნებლიეთ ფიქრობ, რომ ზოგიერთი ახალ-

გაზრდა მსახიობი ქალის წარმატებული აღმასვლა — ადრეულ ასაკში მიღებული, ძლიერი იმედგაცრუების ერთგვარი კომპენსაციაა. იოჰანსონისთვის დამახასიათებელი მიზანდასახულობა და შრომის დაუოკებელი წყურვილის მიზეზი შესაძლოა, მშობლების განქორწინება იყოს, ხოლო ადრეულ ასაკში დამოუკიდებლობის გრძნობის განვითარება იქნებ, იმანაც გამოიწვია, რომ მას საყრდენი ძალზე ადრე გამოეცალა. ამ უნარების გამომუშავებას ისეთმა თვისებებმაც შეუწყო ხელი, როგორიცაა უნიკალური თავშეკავება, მრავალმნიშვნელოვანი დუმილისა და აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების ნიჭი და უფროსების

სიცრუით სავსე სამყაროს სიძულვილი. მოზარდს მშობლების გავლენისგან ხომ მხოლოდ საკუთარი მოწიფულობა ათავისუფლებს... „ბავშვები ძალზე რთული არსებები არიან. ხშირად უფროსები მათ არ აფასებენ. ადამიანი მთელი ცხოვრება ისეთად რჩება, როგორიც 12-13 წლის ასაკში იყო“.

...ინტერვიუს დასაწყისში სკარლეტის თვალებში ჩამდგარი სიფრთხილე და უნდობლობა თანდათან გაიფანტა. ოფიციანტმა ჩაი და ლიმონის წვენი მოიტანა. ვარსკვლავმა მაგიდაზე რამდენიმე ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი დაყარა და ბავშვივით, ჩხირით ფიგურების ხატვა დაიწყო.

— ფილმის — „მატჩ პოინტი“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ თქვენ ვუდი ალენის კიდევ ერთ სურათში ითამაშეთ. მისი მუზა გახდით?

— არა, მისი მუზა არ ვარ, რადგან მასთან ერთად არ ვცხოვრობ! ვუდი ალენის მუზები — დაიან კიტონი, შემდეგ კი — მია ფეროუ იყვნენ. დაიანმა პირველმა დაარწმუნა, რომ მას ქალისთვის როლის დაწერა შეეძლო. ძალზე თავდაჯერებული ვიქნებოდი, რომ მეფიქრა, თითქოს „მატჩ პოინტის“ შექმნა მე შთავაგონე. ამასთან, ჩემი როლი თავდაპირველად კეიტ უინსლეტს უნდა ეთამაშა, მაგრამ მან ბავშვების მოვლა ამჯობინა.

— ფილმის გადაღებები ინგლისში მიმდინარეობდა. მთელი გუნდიდან მხოლოდ თქვენ და ვუდი ალენი იყავით ამერიკელები, თანაც ორივე — ნიუ-იორკელი. ამან ალბათ დაგაახლოვათ, არა?

— თუ იმის მოსმენა გსურთ, რომ ვუდი ჩემზე მამასავით ზრუნავდა, გიპასუხებთ — არა! ეს მისი სტილი არ არის. ვუდი ალენი ზრდასრულ ადამიანად აღმიქვამს. მასში ნიუ-იორკელი ებრაელისთვის დამახასიათებელი თვისებები — გულისხმიერება, ირონია და იუმორის გრძნობა დავინახე. ჩვენ თავიდანვე გავუგეთ ერთმანეთს.

— „მატჩ პოინტი“ იმის შესახებ მოგვითხრობს, რომ ხშირად ჩვენი ბედ-იღბლის განსაზღვრაში შემთხვევითობის როლს არად მივიჩნევთ. ბედისწერის და იღბლის გწამთ?

— ბედისა და იღბლის იმედი თუ არ გაქვს, კინოში მუშაობის დაწყება არც კი ღირს. კარგად მესმის, რომ დღესდღეობით იღბალი ჩემკენაა, მაგრამ ვინ იცის, ხვალ რა იქნება? შესაძლოა, თვალის დახამხამებაში დამივიწყონ. როდესაც საინტერესო წინადადებას მთავაზობენ, უარის თქმის უფლება არ მაქვს! 3 წლის განმავლობაში შეუსვენებლად ვმუშაობდი და ახლა მოხარული ვარ, რომ ნიუ-იორკში ჩამოვედი და შემიძლია, დავისვენო.

— ვუდი ალენის მრავალი ფილმის მსგავსად, მამაკაცები „მატჩ პოინტშიც“ საკმაოდ არასახარბიელო კუთხით არიან წარმოჩენილნი. მათ ცოლქმრული ერთგულების შესანარჩუნებლად, საკუთარ თავთან მძიმე ბრძოლა უწევთ. ღალატის ატანა შეგიძლიათ?

— კარგად მესმის, რომ მამაკაცებს განსაკუთრებული მოთხოვნილება აქვთ, რომ საკუთარი გენები რაც შეიძლება მეტ ქალთან მიიტანონ. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ამ მოთხოვნილებისადმი მათ წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ! თუ ურთიერთობა ამად ღირს, ზოგიერთი შეცდომის პატიება შემიძლია, მაგრამ მეტისმეტის მოთმენა არ შეიძლება! მაზოხისტი არ ვარ და ეს არანორმალურად მეჩვენება. დედამ, რომელიც ძალიან მიყვარს, სხვაგვარი სულისკვეთებით აღმზარდა. იგი ძალზე ტემპერამენტიანი ქალია და მუდამ მასწავლიდა, რომ მსგავსი ამბების მიმართ გულგრილი არ დავრჩენილიყავი.

— ახალგაზრდა ვარსკვლავისთვის ნორმალური ცხოვრებით ცხოვრება იოლია?

— არა, იოლი ნამდვილად არ არის. ჩემს ცხოვრებას ნორმალურს ვერ დაარქმევ. მთელ ქვეყანაზე დავხეტიალებ და სამ-სამ თვეს გადაღებებზე ვატარებ. მამაკაცს ამდენ ხანს ლოდინი არ შეუძლია. საქმე მხოლოდ ეს როდია. ყველაზე დიდი საშინელება — პრესის აღვირახსნილი ყურადღებაა, რომელიც მთელ რომანტიკას ანადგურებს.

— სახელი მძიმე ტვირთად გაწევთ?

— მხოლოდ მაშინ, როდესაც ვინმესთან განმარტოება მსურს და ამას მოულოდნელად არღვევენ. ამას წინათ ძალზე უსიამოვნო რამ შემემთხვა...

— იმ ავარიას გულისხმობთ, „დისნეილენდთან“ რომ შეგემთხვათ?

— დიახ. პაპარაცები კვალდაკვალ მომდევდნენ. შესაძლოა, ერთი ფოტოს გამო დავლუპულიყავი ან ვინმე მემსხვერპლა. აი, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს აჟიოტაჟმა! პრინცესა დაიანას ტრაგედია ყველას კარგად გვახსოვს. ის, რაც დღეს ჰოლივუდში ხდება, სისასტიკეა და სხვა არაფერი. ჩვენ უკიდურეს ზღვარს მივადექით. მაღაზიაში შესვლაც კი შეუძლებელი გახდა. კაცმა რომ თქვას, ბავშვთან ერთად მოსეირნე ან სურსათით დატვირთული ადამიანის ფოტოსურათები ვის უნდა აინტერესებდეს?!. ძალიან ვბრაზდები, როდესაც იმ ადამიანების ობიექტის როლში ვარ, რომლებიც ჩემი წარმატების ხარჯზე მდიდრდებიან.

— თქვენ ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესს შორის ცხოვრობთ, სხეულის კულტის კალიფორნიული სენი თქვენც ხომ არ შეგყრიათ?

— მსახიობი ქალების სიგამხდრე მაოგნებს. როგორც კი კინემატოგრაფის მექის ზღურბლს გადმოაბიჯებენ, კილოგრამების დაკლებას იწყებენ. ჩემი სხეულის ფორმების გამო, „უცხოპლანეტელად“ მიმიჩნევენ. დღეს მოდა და კინო ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ამიტომ მსახიობებს სურთ, რომ ტოპმოდელებს დაემსგავსონ. ჰოლივუდში რომელ ცერემონიაზეც უნდა მიხვიდეთ, ნახავთ, რომ მსახიობები მოდელიერთა „შედევრების საკიდრებად“ არიან ქცეულნი. ბევრი მათგანი ანორექსიით დაავადდა, რაც ძალზე საგანგაშო მოვლენაა. რა თქმა უნდა, ვცდილობ, დაბალანსებული საკვები მივიღო და სწრაფი კვების პროდუქტი ნაკლებად ვჭამო. ამასთან, იოგის სისტემის ვარჯიშითაც ვარ გატაცებული. მე ენერგიული და მკვირცხლი ადამიანი ვარ, იოგა კი მამშვიდებს.

— თუ დამშვიდდით, იქნებ გაგვიმხილოთ, ფილმში — „თარგმანის სირთულეები“ — ბილ მიურეი ყურში რას ჩაგჩურჩულებდათ?

— ამას არასდროს გავაცხელ! რომ მაწამონ, მაინც არ ვიტყვი! ეს ჩვენი საიდუმლოა.

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

თუთიყუშ ჟაკოს მეგობრების „მოგზაურობა რუკაზე“

რამდენიმე დღის წინ, ჟურნალ „საბავშვო კარუსელში“ გამოქვეყნებული „ჟაკოს თავგადასავლის“ მიხედვით, „ახალი სკოლის“ მეორე კლასის მოსწავლეებმა სპექტაკლი დადგეს. თუთიყუში ჟაკო პატარებში პოპულარობით სარგებლობს. იგი ბავშვებს არა მხოლოდ განწყობილების ამაღლებაში ეხმარება, არამედ მათი ცოდნის გაღრმავებაზეც ზრუნავს.

სახელად — ჟაკო.

— მინდოდა, ძაღლი მყოლოდა, მაგრამ დედიკომ მირჩია, — ძაღლს თუთიყუში სჯობსო. ჰოდა, ვიყიდე თუთიყუში, რომელიც ახლა ძალიან მიყვარს..

ლაშა ბოხუა, *8 წლის:*

— მხატვრის — ჟაკ ლაფონტენის როლს ვასრულებდი. იგი ცნობილი მხატვარი არ იყო: 10 ნახატი ჰქონდა და ცოტა ფული იშოვა...

„ბავშვების მსახიობური ნიჭითა და კოსტიუმებით გაოცებული დავრჩი“

ეთო ყორღანაშვილი

სოფო ძებურია, *პედაგოგი:*

— „ახალი სკოლის“ მეორე კლასის მოსწავლეები თვე-ნახევრის განმავლობაში მუშაობდნენ თემაზე — „მოგზაურობა რუკაზე“, რაშიც მათ ჟურნალ „კარუსელში“ გამოქვეყნებული, მამუკა სალუქვაძის პოემა — „ჟაკოს თავგადასავალი“ ძალიან დაეხმარა. ბოლოს, გადავწყვიტეთ, სპექტაკლი დაგვედგა. მუსიკალურ გაფორმებაში დაგვეხმარნენ მასწავლებლები — ლიკა შეყილაძე და ნინო გულიაშვილი. სპექტაკლში ბავშვები მღეროდნენ სხვადასხვა ქვეყნის სიმღერებს, ცეკვავდნენ ტრადიციულ ცეკვებს, უკრავდნენ მარტივ საკრავებზე. პატარებმა მსოფლიოს ხალხთა შესახებ ბევრი რამ შეიტყვეს. ბავშვები საუბრისას პოემიდან ამოღებულ ციტატებს ხშირად იყენებენ. ისინი წიგნის გამოცემას მოუთმენლად ელიან, რადგან თავს ჟაკოს მეგობრებად მიიჩნევენ.

ირაკლი ჩოლოყაშვილი, *ჟაკოს როლის შემსრულებელი:*

— გამიხარდა, ეს როლი რომ მომცეს, მაგრამ ტექსტის სწავლა გამიჭირდა.

— ვიცი, რომ შინ თუთიყუში გყავს, — ის პოემის გმირი ჟაკოსავით ჭკვიანია?

— ჭკვიანი კი არა, ამდენი ხანია, ლაპარაკს ვასწავლი და ვერაფრით ისწავლა.

— ირაკლი, შენ მიერ განსახიერებული ჟაკო მაყურებელს ძალიან მოეწონა. მომავალში რა პროფესიას უნდა დაეუფლო?

— მსახიობობა და ქიმიკოსობა მინდა...

რუსკა მუმლაძე, *8 წლის:*

— მე ჟაკოს შეყვარებულის — ჟორჟეტას როლს ვასრულებდი. ჟაკოს ვუთხარი, რომ თუ გვინეის სრუტეს გადაიფრენდა, შევიყვარებდი... სპექტაკლის წინ ვნერვიულობდი, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ლადუკა ჩიხრაძე, *7 წლის:*

— მონაკოელის — ფრანჩესკო დელ მონაკოს როლი შევასრულე და მივხვდი, რომ აზარტულმა თამაშებმა ხშირად არ უნდა გაგიტაცოს, რადგან შესაძლოა, ბევრი ფული წააგო. სიმდიდრე მაშინაა კარგი, როცა სხვა ადამიანებზეც ზრუნავ, მონაკოელი კი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა.

ნუცა კერესელიძე, *8 წლის:*

— სპექტაკლმა საკუთარი აზრის პატივისცემა მასწავლა და უკვე გეოგრაფიაშიც კარგად ვერკვევი... თუთიყუშ ჟაკოს დედა — ჟაკლინა განვასახიერე, რომელიც ცოტა არ იყოს, პატივმოყვარე ჩიტია.

კატო სუპატაშვილი, *8 წლის:*

— სპექტაკლში კაპიტანი გომეში ვიყავი. ჩემს გმირს ატლანტიდის პოვნა ძალიან უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. გომეშს მაღალი წოდების მოპოვება უნდა და ეგ არ მომწონს. მე ზომიერად ამბიციური ვარ!

გიორგი ვეკუა, *7 წლის:*

— მე კი ტორეადორის როლი შევასრულე, რომელსაც 200 ხარი ჰყავდა მოკლული!

ლელა მოდებაძე, *„საბავშვო კარუსელის“ რედაქტორი:*

— როცა შევიტყვე, რომ „ახალი სკოლის“ მეორეკლასელები „ჟაკოს თავგადასავლის“ მიხედვით სპექტაკლს დგამდნენ, მეგონა, მხოლოდ 1 თავის ინსცენირებას გააკეთებდნენ. სინამდვილეში, მათ მნიშვნელოვანი მომენტები ამოკრიბეს და მთელი პოემა დადგეს. ბავშვებმა ტექსტები ზედმიწევნით კარგად იცოდნენ. მათი მსახიობური ნიჭითა და კოსტიუმებით გაოცებული დავრჩი! მალე „ჟაკოს თავგადასავალი“ წიგნადაც გამოვა. ჟურნალში მეგზურობას გვიწევდა ბატონი მამუკას შვილი — ლუკა სალუქვაძე, რომელიც პოემისთვის პატარა შესავალს წერდა ხოლმე. „ჟაკოს თავგადასავალი“ შემეცნებითი ხასიათისაა: მკითხველი უამრავ ცნობილ ფაქტს, ცნობილ ადამიანს „შეხვდება“, ეთიკის წესებს ისწავლის... მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ყველა უცხო სიტყვა აქვს გაშიფრული, ჩვენი რჩევა ასეთია: პატარებმა პოემა მშობლებთან ერთად წაიკითხონ. ■

მოდურად ჩაცმული ქალები და უსახსრობის ბალმო დაჩაგრულები

თბილისელი სკოლის მოსწავლეებისგან განსხვავებით, სოფელში მცხოვრებლების უმეტესობა, ჩაცმულობის მხრივ, თავს დაჩაგრულად მიიჩნევს. ისინი ამბობენ, რომ ჯერ ერთი, მათთან მოდის სიახლეები დაგვიანებით აღწევს და ამ სფეროზე ინფორმაციას მხოლოდ ქალაქელი მეგობრებისა თუ ახლობლების მეშვეობით იგებენ და მეორეც, როცა რაღაცის ყიდვა უნდათ, იძულებულნი არიან, ვაჭრებისგან წინა სეზონში „ჩაწოლილი ტავარი“ შეიძინონ. ხოლო მოგვიანებით, როცა ძველ საქონელს გაასაღებენ, ახალი რაღაცებიც მიაქვთ, მაგრამ „ეს მაშინ ხდება, როცა სეზონი უკვე იწურება, ანუ ტანისამოსის ყიდვას აზრი აღარ აქვს“. ამ თემასთან დაკავშირებით, პირველი, მარტვილის რაიონიდან, თეონა მიქაია შემეხმიანა.

ლიკა ქაჯაია

— ჩვენ მართლაც, დაჩაგრული ახალგაზრდები ვართ. კინო არაა ჩვენთან და თეატრი, მაგრამ ამას ვინღა ჩივის. ახლა ჩაის ფაბრიკა გახსნეს და ალბათ, ხალხს ნაცნობობის მიხედვით დაასაქმებენ. ეჰ, იმაზე ოცნებაც კი, რომ ჩემი მშობლები სამუშაოს იშოვიან, აღარ მინდა... ჩვენ, მთელი რაიონის ახალგაზრდობას იმის საშუალებაც არ გვაქვს, რომ ნორმალური ტანისამოსი ჩავიცვათ — ძონძებში ვიქექებით და თუ რაიმე სახეიროს ვიპოვით, თავი ბედნიერ ადამიანად მიგვაჩნია. ჩვენთან მეორადი ტანსაცმელი კი არა, ნამდვილი ძონძები ჩამოაქვთ. სამწუხაროდ, ზოგს ამ დახეული ჩვრების ყიდვის საშულებაც კი არა აქვს და როცა შენს ტანზე თუნდაც, ფერგასულ, მაგრამ მაინც, ახალ მაისურს შენიშნავს, შურით გაყოლებს თვალს. როცა ტელევიზორს ვუყურებ და კარგად ჩაცმულ გოგონებს ვხედავ, ნერწყვს ვყლაპავ, ოცნებებში ვიძირები. დარწმუნებული ვარ, იმ გოგონებს ჩაცმულობასთან დაკავშირებით პრეტენზიები მაინც ექნებათ, მე, ჩემი მეგობრები და ნაცნობები კი მათ გამონაცვალსაც არ დავიწუნებთ.

— ის, რომ თავს დაჩაგრულად მიიჩნევთ, უსახსრობის ბრალი უფროა თუ იმის, რომ კარგი ტანსაცმელი თქვენ რაიონამდე ვერ აღწევს?

— ორივე პრობლემა ერთნაირად გვაწუხებს. ყველაფერ ცუდს ჩვენთან ასაღებენ და თან, ცეცხლის ფასს ადებენ. ერთხელ, ქუთაისში წავედი და შედარებით იაფად ისეთი ტანსაცმელი ვნახე, თვალები ლამის გადმომეკარკლა. მოკლედ, ვიჩაგრებით პატარა რაიონში მცხოვრები გოგოებიჭები... მომავალ წელს სკოლას ვამთავრებ და უკვე იმაზე ვფიქრობ, სწავლის გაგრძელების ნაცვლად ვაჭრობა ხომ არ დავიწყო და ჩემი რაიონის ახალგაზრდობა მოდური ტანსაცმლით ხომ არ მოვამარაგო-მეთქი?!. მერწმუნეთ, ეს უფრო მადლიანი საქმე იქნება, ვიდრე ჩემი სწავლა-განათლებით მშობლების გახარება.

> **„მასწავლებლები ისეთი ტანისამოსით დადიან, რომ მათ მაგვრად მე მრცხვენია“**

— თქვენთან მოზარდები ძირითადად, როგორ იმოსებიან?

— ჰო, ე.წ. მოდური კედი აცვიათ იმიტომ, რომ ყველაზე იაფფასიანი ფეხსაცმელია, ტანსაცმელზე კი უკვე მოგახსენეთ — ყველა ცდილობს, ის მოიხდინოს, რაც აქვს.

— სკოლაში რაიმეს ჩაცმას გიკრძალავენ?

— ადრე რაღაცებს გვიკრძალავდნენ, მაგრამ ახლა, ოღონდ შიშველი ნუ წახვალ და რაც გინდა, ის ჩაიცვი. თავად მასწავლებლები ისეთი ტანისამოსით დადიან (აჩაჩულ-დაჩაჩული, დაკონკილი და ისეთი ტანსაცმელი აცვია, რომელსაც კიდევ ერთხელ თუ გარეცხავ, ხელში შემოგადნება), მათ მაგვრად მე მრცხვენია და საშუალება რომ მქონდეს, პედაგოგების იმიჯზე თავად ვიზრუნებდი...

სალი, *17 წლის, ქუთაისიდან:*

— ჩვენ ვცდილობთ, მოდურად ჩავიცვათ, მაგრამ „ზმანებს“ ცეცხლის ფასი აქვს. შეიძლება, თბილისში მაისური 10 ლარად იყიდო, ჩვენთან კი ამ ფასად ხეირიანს ვერაფერს შეიძენ, ასე „იაფად“ „ძონძო არმანიშიც“ არაფერს მოგყიდიან.

— მეორადებში ხეირიანი რაღაცებიც იყიდება?

— როგორ არა! სხვათა შორის, ასეთ მაღაზიაში შეიძლება, ისეთი კარგი ტანსაცმელი იყიდო, რომ „მოდნიცა“ „დამებიც“ მაგრად გააკვირვო. მაგრამ ვინაიდან, ვილაცის მიერ უკვე ნაცვამი ტანსაცმლის ჩაცმა დიდად არ მხიბლავს, ასეთ მაღაზიაში იშვიათად შევდივარ.

— ტანსაცმელს სად ყიდულობ ხოლმე?

— მირჩევნია, ტანსაცმელი მაღაზიაში შევიძინო. თუმცა, აქვე გამოგიტყდებით და „სეილებს“ ველოდები. ისე, ფასდაკლების დროსაც ყველაფერი საკმაოდ ძვირი ღირს.

— შენ და შენი თანატოლები როგორ იცვამთ?

— ჩვენთან კედი მოდაში ნამდვილად არაა. მას მხოლოდ ისინი იცვამენ, ვისაც ფული არ აქვს. გოგონები ძირითადად, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით დავდივართ. მოდაშია კაბები და ვისაც გარეგნობა უწყობს ხელს, ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილ სარაფანში საკმაოდ სექსუალურად გამოიყურება... პირადად მე, ძალიან მიყვარს აქსესუარები — განსაკუთრებით, გრძელი მძივები, საყურეები და შემიძლია, მათ შესაძენად მამიკოს ფული უაზროდ ვფლანგო. ვცდილობ, მოდის ტენდენციებს არ ჩამოვრჩე...

— სკოლაშიც გაპრანჭული, „ბოლო მოდაზე“ დადიხარ?

— აბა, რა! არავინ არაფერს გვიკრძალავს და სულელი ხომ არ ვარ, საკუთარი თავი რაიმეში რომ შევზღუდო?.. მინდა, თბილისელ თანატოლებს მივმართო: მოდით, დედაქალაქის ლამაზმანებო და იმერლებს ჩაცმის სტილში ან

სილამაზეში შეგვეჯიბრეთ. მერწმუნეთ, ჩვენ ვერ შეგვედრებით (*ციცინის*).

— **თბილისელ თანატოლებზე გაბრაზებული ხარ?**

— ჰო, როცა ქუთაისში ჩამოდიან, საკუთარ ტყავში ვერ ეტევიან და თავი პრიმადონებად მოაქვთ. სინამდვილეში, არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ საკუთარ თავს „თბილისელი“ ხოხბის შთამომავლებად მიიჩნევენ და კუდაბზიკობენ. ამ სიტყვებით, ალბათ, ბევრს გავაღიზიანებ, მაგრამ მეც ვბრაზდები, როცა აქცენტს მხოლოდ მათზე აკეთებენ, ჩვენ კი ჩრდილში ვართ...

მარი, *16 წლის, ზუგდიდიდან:*

— ჩვენ, ზუგდიდელი მოზარდების უმეტესობა მოდურად ვიცვამთ. მართალია, ეს საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა, მაგრამ მშობლები ცდილობენ, გული არ დაგვწყვიტონ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათხოვრულად ჩაცმულს ზუგდიდში ვერავის ნახავთ.

— **მატერიალურად მთელი საქართველოს მოსახლეობას უჭირს. ეკონომიკური კრიზისი თქვენზე არ ასახულა?**

— იცით, რაშია საქმე? ქართველების უმეტესობა მხოლოდ ჭამასმაზე ფიქრობს, ჩვენი კუთხის ხალხი კი ცდილობს, მოდის ტენდენციებს არ ჩამორჩეს და მჭადს შეჭამს თუ პურს, ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. იმასაც ნუ იფიქრებთ, რომ შიმშილით კუჭი გვიხმება — უბრალოდ, არაა აუცილებელი, ყოველდღე შემწვარ-მოხრაკული მიირთვა და მათხოვარივით იარო. ისე, ასეთი ოჯახებიც არიან, მაგრამ თითზე ჩამოსათვლელად.

— **თანამედროვე მოდის ტენდენციებზე რისი თქმა შეგიძლია?**

— წინა სეზონში თუ ყველანი დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ვყიდულობდით, ახლა „მაღლებზე“ შევდექით და მოდის ეს ტენდენცია ძალიანაც მომწონს — ქალს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უხდება. შესაბამისად, შარვლიდან კაბაზე გადავინაცვლეთ, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ მოდაში „გალიფე“ შემოვიდა და უკვე 3 ასეთი შარვალი შევიძინე. მართალია, მამაჩემი დამცინის: ბაბუაშენს — აპოლონს მახსენებ, მასაც ასეთი რაღაც ეცვა. ოღონდ, შენგან განსხვავებით, შარვლის ტოტებს წინდებში იყოლიებდაო, მაგრამ მოდა მსხვერპლს მოითხოვს... მოკლე მაისურები გრძელმა შეცვალა და ამიტომაც, მეც აღარ ვაჩენ ჩემს მშვენიერ პრესს... ზუგდიდელი გოგონები გარეგნობით ყველასგან გამოვირჩევით და მოდაში რაც უნდა შემოვიდეს, ყველაფერს მოვიხდენთ (*ციცინის*)... გამოგიტყდებით და, მოსწავლეები ცოტაოდენ მაკიაჟსაც ვიკეთებთ, მაგრამ მასწავლებლებს არანაირი რეაქცია აღარ აქვთ. საცოდავები, უკვე ყველაფერს შეეჩვივნენ. ის კი არა, იმიტომ, რომ ჩვენგან რაღაცით განსხვავდებოდნენ, ან ძალიან მკვეთრ მაკიაჟს იკეთებენ, რომელიც საოცრად არ უხდებათ, ან შინიდან საერთოდ სახედაუბანლები გამოდიან. იმის ნაცვლად, რომ ჩაცმაში მოსწავლეები შევეჯიბროთ ერთმანეთს, პედაგოგებს ვეჯიბრებით და მათ ვჯობნით კიდეც.

— **შენი აზრით, ეს კარგია?**

— რა ვიცი, მე კი მომწონს და...

— **ასე მგონია, მთელი ზუგდიდის ახალგაზრდობა ჩაცმაზეა გადართული და სწავლაზე აღარავინ ფიქრობს...**

— ვერ დაგეთანხმები! ჩემი კლასელების უმეტესობა ძალიან კარგად სწავლობს და უკვე დიადი მიზნებიც კი დავისახეთ (*ციცინის*)!

— **მაგალითად შენ, რა მიზანი დაისახე?**

— ნამდვილი ვარსკვლავი უნდა გავხდე, ოღონდ — ჰოლივუდის ვარსკვლავი!

— **საკმაოდ ამბიციური მიზანი დაგისახავს...**

— მაგრამ მასში არარეალურს ვერაფერს ვხედავ. ბოლოს და ბოლოს, თუ ჰოლივუდში ვერაფერს გავხდები, ქართველების გულს მაინც დავიპყრობ და ყველა მამაკაცისთვის სასურველი ქალი ვიქნები.

— **ანუ შენი მომავალი პროფესია „მამაკაცების გულების დაპყრობა“ იქნება?**

— არა მარტო მამაკაცების...

ემა, *18 წლის, ლაგოდეხიდან:*

— არ მესმის, ეს თბილისელები რას მიედ-მოედებიან. რამ გააგიჟა ეს ბავშვები ტანსაცმელზე? ხალხს პურის ფული არ აქვს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, შვილები როგორ გამოკვებოს, ეს გატუტუცებული გოგო-ბიჭები კი მოდაზე ლაპარაკობენ.

— **შენთვის სულერთია, რას ჩაიცვამ?**

— არა, სულერთი ნამდვილად არ არის, მაგრამ თუ ვთქვათ, მოდური მაისური არ მეცმევა, არა მგონია, დავიჩაგრო. შეიძლება, სხვისი გამონაცვალი ტანსაცმელი ისე მოვირგო, რომ მოდურ გოგონებს არ დავუდო ტოლი. არ ვამბობ, — მაგარი გოგო ვარ-მეთქი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მოდურ ტანსაცმელს ვერ მიყიდიან, მშობლებთან ურთიერთობას არ გავიფუჭებ.

— **ჩაცმის როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?**

— სპორტულს. თინეიჯერი ვარ და სხვაგვარად ჩაცმა არც მომიხდება. კაბას მხოლოდ მაშინ ვიცვამ, როცა ქორწილში ან დაბადების დღეზე მივდივარ. იმიტომ, რომ მოდაშია, სულ „მაღლებზე“ ვერ შევდგები. ადამიანმა ის უნდა ჩაიცვას (ყოველდღიურად მაინც), რაშიც თავს კომფორტულად გრძნობს. მოდის გამო მსხვერპლის გაღება საჭირო არაა.

— **მაგრამ თუ მატერიალურად არ გიჭირს და შეგიძლია, მოდურად ჩაიცვა, ეს რატომ არ უნდა გააკეთო?**

— ვიდრე მოდურ სამოსს იყიდი, სარკის წინ უნდა დადგე და საკუთარი გარეგნობა კარგად შეათვალიერო. მინახავს მდიდარი ადამიანი, რომელსაც ბოლო მოდაზე აცვია, მაგრამ მაინც, ქაჯს ჰგავს. არ შეიძლება, ჩაიცვა ის, რაც საშინლად გამახინჯებს...

■

დასაწყისი იხ. გვ. 15

საქმით არ მოაქვს სიკეთე ქვეყნისთვის. მას აქვს აღმშენებლობის არაჩვეულებრივი ნიჭი. არაფრისგან შეუძლია, დიდი რაღაც შექმნას.

— რა თანამდებობას ისურვებდა ია კინწარაშვილი საკუთარი მეულლისთვის?

— თანამდებობას — არა. მინდა, ყველას ერთად მოგვეცეს საშუალება, ვიცხოვროთ მშვიდ ქვეყანაში, სადაც მასაც და სხვასაც ექნება შესაძლებლობა, თავისი ბიზნესით მშვიდად დაკავდეს ისე, რომ არანაირ კონფლიქტში ჩართვა არ უწევდეს. ბიზნესის საწარმოებლად თავისუფალი შესაძლებლობა ჰქონდეს. საერთოდ, ეს სფერო პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალი უნდა იყოს. მე, რა თქმა უნდა, ჩემი აზრი მაქვს, მაგრამ პოლიტიკაში საერთოდ არ ვერევი. რადგანაც როდესაც ღრმად ერევი იმ თემებში, რაშიც არ ხარ კომპეტენტური, ყველაზე დიდი გაუგებრობა მაშინ იწყება.

— რა იქნება წელს კონკურსებზე — „ელიტ-მოდელ ლუქსა“ და „მის საქართველოზე“?

— ბოლო სამი წელია, „იმიჯ-ცენტრი“ ორ პროექტს აკეთებს — „მის საქართველო“ და „ელიტ-მოდელ ლუქი“. „მის საქართველო“ წელს შემოდგომაზე ჩატარდება. დღეისთვის კი, უკვე დაწყებულია კონკურსისთვის — „ელიტ-მოდელ ლუქი“ მზადება. ეს არის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სამოდელო კონკურსი, რომელიც ყოველწლიურად სააგენტო „ელიტის“ მიერ ტარდება. წინა ორი წლის გამარჯვებულები — თამთა შედანია და ანა კოვაჩი საზღვარგარეთ უკვე წარმატებულად მოღვაწეობენ. მიხარია, რომ დამწყებ მოდელებს უპრობლემოდ, მოკლე დროში, საშუალება ეძლევათ, თავიანთი კარიერა სწორი მიმართულებით დაიწყონ და გააგრძელონ. შემიძლია, ვიამაყო იმით, რომ თუ ადამიანს აქვს სურვილი, იყოს მოდელი, მე მას ყველაზე მოკლე ვადაში, სწორი მიმართულებით თავისი სურვილისა და იდეის განხორციელებას ვთავაზობ. წელსაც, როგორც წინა წლებში, კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტიდან ჩამოდის ფრანგი სტუმარი, რომელიც თავად აარჩევს გოგონებს. მათი არჩეული კანდიდატურები წარმატებას აღწევენ, რადგანაც მათ სხვა ხედვა აქვთ და უპირატესობას სხვა ტიპაჟებს ანიჭებენ. წელს დაგეგმილი მაქვს, რომ საქართველოდან „მისტერ მსოფლიოზე“ გავგზავნო წარმომადგენელი და ახლა ამ მიმართულებით ვიწყებთ მუშაობას. ამიტომაც გავაახლეთ სააგენტოში მოდელი ბიჭების მიმართულებაც. მათთვის სააგენტოში ყველა პირობაა შექმნილი, რომ წარმატებას მიაღწიონ.

— ისე, კავკასიელი ბიჭის ტიპაჟი შეიძლება, უფრო საინტერესო იყოს „მისტერ მსოფლიოზე“, ვიდრე კავკასიელი გოგონა — „მის მსოფლიოზე“.

— შეიძლება. ასე რომ, წელს, საუკეთესო მოდელი მამაკაცის შესარჩევად, „მისტერ მსოფლიოსთვის“ შესარჩევ ტურს ვაწყობ...

— წარმატებები მინდა, გისურვო. ■

ჰოლივუდის ვარსკვლავმა ბარაკ ობამას კარგი მსახიობი უწოდა

The Washington Times-ს ცნობით, ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჯონ ვოიტმა ბარაკ ობამას კარგი მსახიობი უწოდა. „ის ობამას ადმინისტრაციას ისე უდგება, როგორც ჰოლივუდურ სცენარს, რომელიც ძალზე მარჯვედ და ოსტატურადაა შესრულებული და სიუჟეტიც შთამბეჭდავია, მაგრამ რეალისტური როდია“, — წერს გამოცემა. „ყველა, ვინც ობამას ხმა მისცა, თანდათან ხვდება, თუ რა დაიტეხა თავს. მათ ის ცვლილებები როდი მიიღეს, რაც წარმოედგინათ. ობამა ამერიკის ყველა პრობლემის გადაჭრის განსახიერებად ძალზე მარჯვედ და საგულდაგულოდ წარმართული კამპანიის გზით აქციეს. მაგრამ ამას ჩვენი ქვეყნის ფუძემდებლურ პრინციპებთან საერთო არაფერი აქვს“, — განაცხადა მსახიობმა.

ამ განცხადებამდე 70 წლის ვოიტს კონგრესის ნაციონალური რესპუბლიკური კომიტეტის სხდომაზე ჰქონდა უმკაცრესი გამოსვლა, სადაც ობამა იმ ცრუწინასწარმეტყველად მოიხსენია, რომლის ადმინისტრაციაც ქვეყანას დაცემისკენ წაიყვანს. სხდომაზე შეკრებილმა აუდიტორიამ მსახიობს ნამდვილი ოვაცია მოუწყო.

ინტერვიუში ჯონ ვოიტმა საკუთარი პატივისცემა დაუდასტურა პოლიტიკოს ნიუტ გინგრიჩს, კონსერვატიული ტოქშოუების რადიოს წამყვანებსა და ყველა იმ მიმომხილველს, ვინც ტრადიციული ფასეულობებისთვის იბრძვის, თანამემამულეებს კი ქვეყნის დამფუძნებელი მამების ნაშრომთა ხშირხშირად გადაკითხვა ურჩია. მსახიობის თქმით, „ჯორჯ ვაშინგტონის აზრები და გაფრთხილებები ახლა როგორც არასდროს, აქტუალურია“. გამოცემის აზრით, ვოიტი „ჰოლივუდელი კონსერვატორების იმ მზარდი არმიის „გენერალიცაა“, რომლებიც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, აშშ-ის იმიჯის გამოსწორებისთვის იბრძვიან“. მსახიობი მიიჩნევს, რომ მის ქვეყანას, პირველ რიგში, „ყალბი პოლიტკორექტულობა ღუპავს“. ■

სარკოზი ბრაუნსა და ობამას ეტოლება

ბრიტანული ტაბლოიდი The Daily Mail-ი კვლავაც საფრანგეთის პრეზიდენტის აღნაგობაზე მსჯელობს. მისი თქმით, ნორმანდიაში მოკავშირეების გადასხდომის წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე ნიკოლა სარკოზიმ საკუთარი სიმაღლის ვიზუალური გაზრდა ახალი ხერხით — 6 დუიმის სიმაღლის სპეციალურ სკამზე შედგომით სცადა. ამის გაკეთება საფრანგეთის ლიდერს იმ ტრიბუნიდან ლაპარაკის აუცილებლობამ აიძულა, საიდანაც საზოგადოებას მასზე ბევრად მაღალმა ლიდერებმა მიმართეს.

ენამწარე ტაბლოიდის აზრით, „ტანმორჩილება სარკოზის ის მარადიული პრობლემაა, რომლის შენიღბვასაც სხვა დროსაც და სულ სხვადასხვა საშუალებითაც — სპეციალური ფეხსაცმლითა თუ უბრალოდ, ფეხის წვერებზე შედგომით — ცდილობდა და ცდილობს. ბრიტანული პროპაგანდის მცდელობით, დამკვიდრდა აზრი, რომ არაკეთილმოსურნეების მიერ „პატარა კაპრალად“ მონათლული ნაპოლეონ ბონაპარტის სიმაღლე დაახლოებით 5 ფუტსა და 2 დუიმს შეადგენდა. თუმცა სინამდვილეში ის მთელი 4 დუიმით მაღალი იყო. „ანუ გამოდის, რომ საფრანგეთის მოქმედი პრეზიდენტი სიმაღლეში თავის ტანდაბლობით გამორჩეულ სახელგანთქმულ წინამორბედსაც კი ჩამორჩება“, — სიხარულს ვერ ფარავს ბრიტანული გამოცემა. ■

სექსუალური, მგრძნობიარე და თავდადებული

როგორც The Guardian წერს, წელს კანის კინოფესტივალზე ბევრმა შენიშნა მამაკაცი-კინოგმირის ახალი ტიპის — ე.წ. „მგრძნობიარე ულაყის“ გამოჩენა. „განა გასაკვირი არ არის, რომ მამაკაცის ოც მთავარ როლს შორის მხოლოდ სამი იყო მგრძნობიარე, კულტურული და ლოგინში თავდადებული?!“ — სვამს კითხვას გამოცემა და იქვე დასძენს, რომ ის სამად სამი ფილმიც რეჟისორმა ქალებმა გადაიღეს.

აი, ისინიც: ანდრეა არნოლდის „აკვარიუმი“, ჯეინ კემპიონის „კაშკაშა ვარსკვლავი“ და იზაბელ კოიშეტის „ტოკიოს ხმების რუკა“. პირველ ფილმში რეჟისორი აშკარად ტკბება სტივ მაკქუინის გმირით, რომელიც პერსონაჟ ქალს მოცეკვავის ხელოვნების დაუფლებაში ეხმარება. „კაშკაშა ვარსკვლავში“ კი პოეტი-რომანტიკოსის ტრაგიკული ამბავია გადმოცემული. მამაკაცის ამ ახალი სახის გახსნაში ყველაზე შორს მაინც იზაბელ კოიშეტი წავიდა, რომელიც თავისი ფილმის „ყველაზე ქალურ ნაწილად“ მის მთავარ პერსონაჟ მამაკაცს — დევიდს მიიჩნევს. „და მე ამით ძალიანაც ვამაყობ, — აცხადებს რეჟისორი, — ფილმის გადაღებისას საკუთარი პიროვნებაც არ უნდა დაგავიწყდეს. ჩემი ფილმებით, პირველ რიგში, ჩემსავე ფანტაზიებს გამოვხატავ“.

გამოცემის აზრით, მსგავს ფილმებში რეჟისორები „საზოგადოდ მიღებულ სასცენო კონსტრუქციებს არ მისდევენ, მათი მყიფე სიუჟეტები ძირითადად, ბგერებსა და გრძნობებს ემყარება, რაც არცთუ იშვიათად ქალს მამაკაცისთვის ტრადიციულ ადგილზე აყენებს“. ■

თვითმფრინავით ფრენა სახლში ჯდომაზე უსაფრთხო ყოფილა

„როგორ შეიძლებოდა, XXI საუკუნის კომპიუტერიზებული საფრენი აპარატი მხოლოდ XVIII საუკუნეში გამოგონებული სიჩქარის გადამცემების ე. წ. პიტოს მილების გაუმართაობის გამო ჩამოვარდნილიყო?“ — სვამს კითხვას ავიაკომპანია Air France-ს თვითმფრინავ Airbus-ის ჩამოვარდნაზე მსჯელობისას The Times. თუმცა იქვე იმასაც დასძენს, რომ „თუ შინ მომხდარი შემთხვევების შედეგად მიღებულ ტრავმებს შევაფასებთ, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ დიდი ავიალაინერით ფრენა უფრო უსაფრთხოა, ვიდრე უბრალოდ სახლში ჯდომა. ბოლო 15 წლის მანძილზე ხომ Airbus-ის ტიპის თვითმფრინავებმა მილიონობით ადამიანი გადაიყვანეს და ამასწინანდელ შემთხვევამდე არავინ დაუპულა“.

გამოცემის მტკიცებით, „მსგავსი თვითმფრინავის ჩამოვარდნა მხოლოდ უსიამოვნებების მთელი ჯაჭვის წარმოშობის შემთხვევაშია შესაძლებელი და მწყობრიდან პიტოს მილის გამოსვლა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი იქნებოდა. ფრენის სიჩქარის არასწორ შეფასებას ელჭექის პირობებში კომპიუტერების ცდომილების და კონტროლის დაკარგვის გამოწვევა შეეძლო, რასაც ალბათ, თვითმფრინავის ეკიპაჟი ვეღარ გაუმკლავდა. ასეთი რამ კი ძალზე იშვიათად ხდება“... ■

დაკუნთული და ღორმუცელა

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დაკუნთულ მამაკაცებს, რომლებიც ქალებში დიდი წარმატებით სარგებლობენ, სუსტი იმუნური სისტემა და მოჭარბებული ჭამის მადა აქვთ, — იუწყება The New Scientist-ი.

პიტსბურგის უნივერსიტეტის მეცნიერთა გამოკვლევამ დიდი კუნთების ყველა პლუსი და მინუსი გამოააშკარავა. კვლევის ხელმძღვანელის უილიამ ლესეკის თქმით, რაც უფრო დაკუნთულია მამაკაცი, მით მეტი სექსუალური პარტნიორი ჰყავს და ასეთი ყმაწვილები უბიწოებასაც გამხდრებზე უფრო ადრე კარგავენ.

იმავდროულად, კუნთოვანი მასის მატების შესაბამისად მატულობს ჭამის მადაც. „დღევანდელ დასავლურ საზოგადოებაში ჭამის მადის დაკმაყოფილება პრობლემა არაა, — აცხადებს უილიამ ლესეკი, — მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანები საკვებს გაჭირვებით შოულობდნენ, რაც, სავარაუდოდ, იმას ნიშნავს, რომ მაშინდელი დაკუნთული მამაკაცები სანახევროდ მშივრები დაიარებოდნენ... ამასთან, კუნთმაგარი მამაკაცების ორგანიზმი დაავადებების გამომწევ ორგანიზმებთან მებრძოლ თეთრ სხეულებსა და C-რეაქტიულ ცილასაც უფრო ნაკლები რაოდენობით გამოიმუშავებს“.

მკვლევრის აზრით, დაკუნთული მამაკაცების სექსუალური უპირატესობის ფორმით არსებული პლუსები და ენერგეტიკული დანახარჯების სახით არსებული მინუსები, საბოლოო ჯამში, ერთმანეთს აწონასწორებს. ამიტომაცაა, რომ დღევანდელ მსოფლიოში საკუთარ ადგილს დაკუნთული მამაკაცი იოლად პოულობს. ■

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

წმინდა მიწა და დაკარგული ქართული სავანეები



განვაგრძოთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს, იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან დაკავშირებით. ჯვრის მონასტერსა და წმინდა მიწაზე არსებულ სხვა ქართულ სავანეებზე გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).

— როგორც მოგახსენეთ, XI საუკუნის დასაწყისისთვის ჯვრის მონასტერი თითქმის აღარ არსებობდა. მისი აღდგენა XI საუკუნის პირველ ნახევარში, იერუსალიმის მახლობლად მდებარე, საბა განწმენდილის ლავრაში მოღვაწე ღირსი პროხლე ქართველის თაოსნობით მოხერხდა. ღირს მამას მონასტრის აღდგენაში საქართველოს მეფე, ბაგრატ კურაპალატი და მისი დედა, დედოფალი ელენე დაეხმარნენ. მონასტრის აღდგენა მოხდა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, როდესაც წმინდა მიწაზე არაბთა მოქმედებები შესუსტდა (როგორც ვიცით, ამ დრომდე პალესტინაში მუსლიმანები ბატონობდნენ). არსებობს ვარაუდები, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობებში ქართული არმიებიც მონაწილეობდნენ. ისრაელში, გალილეის მხარეში არსებობს ციხესიმაგრე, რომელსაც ცვატას ციხესიმაგრე ეწოდება. იგი XII საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული. ჩვენ ვიცით, რომ დავით აღმაშენებლის უმცროს ვაჟს — ვახტანგს ცვატას ეძახდნენ და როგორც ჩანს, ეს ციხესიმაგრე სწორედ მისი დაბადების შემდგომ ააგეს... ფაქტი, რომელიც წმინდა მიწასთან ქართველების მჭიდრო კავშირს დაადასტურებს, კიდევ მრავლადაა...

ჯვრის მონასტრის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ღირსმა პროხლემ სავანეში ქართველი მოღვაწეები შემოიკრიბა, რომელთა შორის ბევრი მწიგნობარიც გახლდათ. სულიერ ცხოვრებასთან ერთად, ჯვრის მონასტერში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც დაიწყო და მალე, ის პალესტინის ქართული სავანეების სულიერ-კულტურულ ცენტრად იქცა. ჯვრის მონასტერზე, განსაკუთრებით, მეფე დავით აღმაშენებელი და თამარი ზრუნავდნენ. სავანე ყველაზე ძლიერი თამარის მეფობის ხანაში გახლდათ და სწორედ მაშინ დამკვიდრდა ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველიც. თეიმურაზ ბატონიშვილი წერს: „ესეცა საუწყებელ-არს, რომელ უკანასკნელ შოთა რუსთაველმან დაუტევა სოფელი ესე და წარვიდა წმიდა იერუსალიმად და შევიდა მონასტერსა შინა ქართულთასა... და განაახლა მონასტერი იგი შოთა რუსთაველმან, რამეთუ ფრიადნი სიმდიდრენი შესწირა მონასტერსა მას და ქრისტეს საფლავსა და ყოველთა მათ თვითოეულად ქართულთა მონასტერთა. გინა სხუათა“. შოთა რუსთაველი სიცოცხლის ბოლომდე ჯვრის მონასტერში დარჩა და მისი ერთადერთი ფრესკა სწორედ ამ მონასტერმა შემოგვინახა. ვიცით, რომ რამდენიმე წლის წინ ფრესკა საშინლად დაზიანდა და ის ებრაელმა რესტავრატორებმა აღადგინეს.

შემდგომ საუკუნეებში, როდესაც საქართველოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაუჭირდა, წმინდა მიწაზე არსებულ სავანეებსაც შეუმცირდა დახმარება. 1516 წელს პალესტინა მუსლიმანებმა დაიპყრეს და ეკლესია-მონასტრებს დიდი გადასახადები დააკისრეს. ცხადია, გამონაკლისი არც ჯვრის მონასტერი გახლდათ. სამშობლოდან მიღებული დახმარებით გადასახადების დაფარვა ვერ ხერხდებოდა და ამიტომაც, დროდადრო, ქართველები მონასტრების კუთვნილ მამულებსაც ყიდდნენ, მაგრამ მაინც, დიდი ვალები დაედოთ. ვიდრე საქართველო სახელმწიფოებრივად არსებობდა, ქართველები წმინდა მიწაზე არსებული სავანეების შენარჩუნებას მაინც ახერხებდნენ, შემდგომში კი ნელ-ნელა, ყველა სავანე დაკარგეთ და ამის მთავარი მიზეზი უფლის რწმენისგან განდგომა გახლდათ — ერთეულ ქართველებს თუ შემორჩათ რწმენა და სასოება ღვთისა.

1739 წელს მონასტერს ჯერ კიდევ ქართველი წინამძღვარი ჰყავდა, მაგრამ სავანეში ქართველების რიცხვი თანდათან მცირდებოდა. XVIII საუკუნის ბოლოს, ჯვრის მონასტერში აღარც ერთი ქართველი ბერი არ მოღვაწეობდა.

ჯვრის მონასტერი ბერძნებმა გამოისყიდეს და ამჟამად, ის იერუსალიმის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია, მსახურება კი ბერძნულ ენაზე აღევლინება.

— ვიცით, რომ წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო. ვგულისხმობ, საბა განწმენდილის ლავრას (საბაწმინდა). მცირედი მასზეც გვიამბეთ...

— საბაწმინდა იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბეთლემის მახლობლად, იერუსალიმიდან დაახლოებით, 15 კმ-ს მოშორებით მდებარეობს და ამჟამად, პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზეა. იგი V საუკუნის 80-იან წლებში, საბა განწმენდილმა (439-532 წ.) დააარსა და საბაწმინდის ლავრაში მის სიცოცხლეშივე შეიქმნა უდიდესი მონასტრები. ფაქტობრივად, იმ პერიოდში, მთელი ქრისტიანული სამყარო საბა განწმენდილის ლავრაში იკრიბებოდა და ის ქრისტიანობის მსოფლიო ცენტრად, მსოფლიო მართლმადიდებლური სამყაროს ბერმონაზვნობის გულად იქცა. გადმოცემით ვიცით, რომ ამ ლავრაში 30 ათასამდე ბერი მოღვაწეობდა და მათ შორის ქართველებიც მრავლად იყვნენ. საბაწმინდაში ქართველებს თავიანთი ეკლესია ჰქონდათ, სადაც მსახურება ქართულ ენაზე აღევლინებოდა. სავარაუდოდ, ეს ჯერ კიდევ საბა განწმენდილის სიცოცხლეშივე ხდებოდა. საბაწმინდაში უამრავი ქართული ხელნაწერი შეიქმნა (უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში შემორჩენილი პირველი ხელნაწერები სწორედ საბაწმინდურია). ლავრაში დამზადებულ ხელნაწერთა შორის უმნიშვნელოვანესია 864 წლის მრავალთავი, რომელშიც 18 ავტორის (ეპიფანე კვიპრელის, ეფრემ ასურის, იოანე ოქროპირისა და სხვათა) 50 თხზულებაა შესული... ასევე, აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სწორედ საბაწმინდის სავანიდან გადმოინერგა ტიპიკონი, რომელიც შემდეგ მთელ ქვეყანაში დამკვიდრდა.

საბაწმინდაში ქართველთა მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა — არაბთა ბატონობის ხანაში, როდესაც მონასტრის დარბევის ფაქტი გახშირდა, ქართველმა ბერებმა სხვა სავანეებს მიაშურეს და ხელნაწერი წიგნებიც თან წაიღეს. საბაწმინდის ქართულ ხელნაწერთა უმრავლესობა სინას მთაზეა დაცული.

— წმინდა მთაზე არსებული სხვა ქართული სავანეების შესახებაც ვისაუბროთ...

— საუკუნეების მანძილზე, ქართველებმა წმინდა მიწაზე არაერთი სავანე დააარსეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ქრისტიანულ ცენტრებს აგებდნენ არა ეროვნული არქიტექტურის მიხედვით, არამედ იმ ქვეყნის ტრადიციებისა და არქიტექტურის

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის უწყებით დაარსებული სავანე

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის უამრავი ხატი არსებობს და მათი რიცხვი მხოლოდ ზეციურმა დედოფალმა თუ იცის: „ღვთისმშობლის ხატები ოდითგანვე ღვთიური მადლის მტვირთველნი იყვნენ. ღვთაებრივმა ძემ მას უძლურთა შეწევნად, სნეულთა განსაკურნებლად, მწუხარეთა ნუგეშის საცემად განსაკუთრებული ზეალმატებული ძალა მიანიჭა. ყველა, ვინც რწმენითა და გულმხურვალე ლოცვით მიმართავს, მისგან შუამდგომლობასა და დახმარებას იღებს“. როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ამა თუ იმ ხატს შევთხოვთ შეწევნას, ეს იმას ნიშნავს, რომ თავად ყოვლადწმინდა დედოფალს ვევედრებით და მისგან გვეძლევა წყალობა და მეოხება... მოგითხრობთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ერთ-ერთი სასწაულთმოქმედი ხატის შესახებ, რომელიც „საიდანაის ღვთისმშობლის ხატის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

სასწაულთმოქმედი ხატი დაბრძანებულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საიდანაის ქალწულთა მონასტერში, რომელიც სირიაში მდებარეობს. თურმე, 546 წელს, იმპერატორმა იუსტინიანემ წმინდა მიწაზე იმოგზაურა და იმ ადგილებში, სადაც გზად შეჩერდა, ეკლესია-მონასტრები დააარსა. ის სოფელ საიდანაისთანაც შეჩერებულა. სანადიროდ გასულ იმპერატორს მთის მწვერვალიდან მომდინარე, ზეციური ნათელი შეუნიშნავს. ცნობისმოყვარეობით აღვსილი იუსტინიანე მისკენ წასულა და დიდებითა და ბრწყინვალებით შემოსილი ხატი — თავად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უხილავს. ყოვლადწმინდა ქალწულმა იმპერატორს აუწყა, რომ იმ ადგილას სავანე უნდა დაარსებულიყო, რომ ეს იყო ნება ღვთისა. იმპერატორის ბრძანებით, წმინდა ქალწულის მიერ მინიშნებულ ადგილზე მონასტერი დაარსდა და ღვთისმშობლის შობის სახელზე იკურთხა. საიდანაის გავლენით კი მას საიდანაის ქალწულთა სავანეც ეწოდა. იმპერატორი სიცოცხლის ბოლომდე ზრუნავდა სავანეზე. მონასტერმა სახელი მალე გაითქვა.

VIII საუკუნის დასასრულს მონასტრის იღუმენია ღირსი მარინა გახლდათ. ერთხელ, მონასტრის სასტუმროში ეგვიპტელი ბერი — თეოდორე შეჩერდა, რომელიც იერუსალიმში სიწმინდეების მოსალოცად მიდიოდა. მას ღირსმა მარინამ ფული გაატანა და სთხოვა, იერუსალიმიდან ღვთისმშობლის ხატი ჩამოეტანა, მაგრამ ბერს დანაბარები დაავიწყდა და წმინდა მიწის მოლოცვის შემდეგ, უკან ხატის გარეშე ბრუნდებოდა. იერუსალიმის მახლობლად ხმა ჩაესმა: „რაიმე ხომ არ დაგრჩა იერუსალიმში? იღუმენია მარინას დავალება რად დაივიწყე?!“ ბერი მაშინვე უკან გაბრუნდა და იხილა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც საოცარ ნათელს ასხივებდა. ბერმა ხატი წამოაბრძანა და ქალაქი დატოვა. ღვთისმშობლის ხატმა გზაში არაერთი სასწაული აღასრულა, რის შემდეგაც ბერს სიწმინდის დაუფლების სურვილი გაუჩნდა. გადაწყვიტა, საიდანაისთვის გვერდი აევლო და ეგვიპტეში ზღვით დაბრუნებულიყო, მაგრამ გემზე ასვლისას საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. თეოდორე უკან გამობრუნდა და საიდანაისკენ გაემართა, თუმცა ხატის იღუმენიასთვის გადაცემას მაინც არ აპირებდა — გადაწყვიტა, მონასტრის სასტუმროში მალულად შეჩერებულიყო, შემდეგ კი ღვთისმშობლის ხატთან ერთად, მალულად დაეტოვებინა სოფელი. გამთენიისას, თეოდორე სასტუმროდან გაპარვას აპირებდა, მაგრამ გალავნიდან გასვლა ვერასგზით მოახერხა. ბერი საკუთარ შეცოდებას მიხვდა, სინანულით აღვსილი იღუმენია მარინასთან მივიდა და ყოველივე აუწყა. იღუმენიამ განადიდა უფალი და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, შემდეგ კი სასწაულთმოქმედი ხატი ტაძარში დააბრძანეს. მას სავანის სახელწოდების გავლენით, საიდანაის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი დღემდე უამრავ სასწაულს აღასრულებს. მას ათასობით ადამიანი შესთხოვს შემწეობას. სიწმინდე მონასტრის ტაძრის მარჯვენა მხარეს აგებულ სამლოცველოში, ოქროს კიოტშია დაბრძანებული, რომელზეც პატარა ჩაღრმავებაა — ხატიდან დროდადრო გადმოღვრილი მირონის მოსათავსებლად.

გათვალისწინებით, რომლის მიწაზეც უნდა აშენებულიყო, მაგრამ შიგნით — ხატწერა და ტაძრის სხვა ქართული ტრადიციები შენარჩუნებული იყო.

წმინდა მიწაზე არსებულ ქართულ მონასტრებს შორის უძველესი კატამონის მონასტერი (წმინდა-სვიმონის მონასტერი) გახლდათ და ის ჯვრის მონასტრის საწინააღმდეგო მხარეს მდებარეობდა... გადმოცემით, ეს ადგილი მეფე ვახტანგ გორგასალს შეუსყიდია და ქართველი ბერებისთვის სავანე აუშენებია. 1515-1524 წლებში, ბედუინების თავდასხმების დროს, ზოგიერთი მათგანი დაიღუპა, დანარჩენებმა კი მონასტერი დატოვეს.

ერთ-ერთი უძველესი ქართული სავანე წმინდა იოანე მახარებლის მონასტერი გახლდათ, რომელიც იერუსალიმის აღდგომის ტაძრის მახლობლად, იოანე მახარებლის დაბადების ადგილზე მდებარეობს. VII საუკუნეში, სომეხი პილიგრიმი მას, როგორც ქართველთა საკუთრებას იხსენიებს და უცხოელ მომლოცველთა ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ქართველები იქ XVI საუკუნის შუა ხანებამდე ცხოვრობდნენ.

აღდგომის ტაძრის მახლობლად ქართველებს კიდევ რამდენიმე მონასტერი ჰქონდათ: წმინდა ეკატერინეს მონასტერი, რომელიც XV საუკუნეშია დაარსებული; წმინდა აბრაამის მონასტერი — ეს ის ადგილია, სადაც ძველი აღთქმის მამამთავარ აბრაამს ღმერთისთვის მსხვერპლად თავისი ძე — ისააკი უნდა შეეწირა. ცნობილია, რომ მონასტრის ტაძარი XVI საუკუნის მიწურულს, თავად იოანე აბაშიძის ბრძანებით, გიორგი ჩიკოიძემ განაახლა; წმინდა ნიკოლოზის მონასტერი, რომელიც კახთა დედოფალს — ელენეს XVII საუკუნეში აუგია; მღვდელმთავარ ანას სახლის ადგილზე, ანუ იქ, სადაც მაცხოვარს პირველი სამსჯავრო მოუწყვეს, არსებობს წმინდა ანგელოზთა მონასტერი, რომელიც ქართველებს ეკუთვნოდათ; წმინდა დიმიტრის მონასტერიც ქართველთა ხელში იყო (იგი XIV საუკუნეში, მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს აიგო: არსებობს ცნობა, რომ მეფე გიორგის ეგვიპტეში, სულთანთან მოსალაპარაკებლად ქსნის ერისთავი შალვას ძე — პიპა დიდძალი ძღვენით გაუგზავნია. პიპასთვის მამამისსაც გაუტანებია შესაწირი და სწორედ ამ შესაწირით აუგიათ ქართველებს წმინდა დიმიტრის სავანე. ამას გარდა, კიდევ არაერთი მონასტერი იყო ქართველთა კუთვნილებაში. ცნობილია, რომ მხოლოდ იერუსალიმში ქართველებს 40-მდე ეკლესია-მონასტერი ჰქონდათ.

ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲐᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲖᲐᲐᲑᲜᲔᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ

მახსოვს, ჩემზე უფროსი ასაკის ბავშვები „შავ ხელზე“ საშინელ ამბებს მიყვებოდნენ ხოლმე. გულისყურით ვუსმენდი და თან შიშისგან ვცახცახებდი, მაგრამ ამბავს ბოლომდე ვუგდებდი ყურს... პარანორმალური მოვლენები ადამიანთა ინტერესს გამუდმებით იწვევს. ერთ უცნაურ ამბავზე მეც მოგიყვებით. რამდენიმე ხნის წინ შევიტყვე, რომ გარდაბნის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრის ოჯახში საოცარი ამბები ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მისამართი არ ვიცოდი, გადავწყვიტე, წავსულიყავი და ჭრელი ინფორმაცია მომეპოვებინა.

თავდაპირველად ეკლესიას მივაშურე. ვიფიქრე, მოძღვარს აუცილებლად ეცოდინება, მართლაც, რაიმე „ისეთი“ თუ ხდება-მეთქი. სამწუხაროდ, ადგილზე არ დამხვდა. ჩემი ყურადღება ეკლესიის ეზოში მოსეირნე ორმა ფრინველმა მიიპყრო და იქვე, წყაროსთან მოფუსფუსე, ეკლესიის მსახურ ქალბატონს გამოველაპარაკე.

მარი ᲧᲐᲨᲐᲠᲘᲫᲔ

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ:

— დაახლოებით 7 წლის წინ, თავსხმა წვიმის დროს შევნიშნეთ, რომ ეკლესიის ეზოში დადგმულ ჯვართან რაღაც უცნაური ფრინველი იყო ატუზული. ახლოს რომ მივედით, ვნახეთ, რომ საწყალს ფრთა ჰქონდა მოტეხილი. ვერ დავადგინეთ, რომელი სახეობის ფრინველი იყო. მოვუარეთ, ფრთა მოვურჩინეთ, მაგრამ აღარსად წავიდა. დარჩა და დარჩა ჩვენთან. შემდეგ გვითხრეს, რომ წეროა, ოღონდ ძალზე იშვიათი ჯიშის. ამ ორიოდე წლის წინ კი ერთმა აქაურმა მამაკაცმა მსგავსი წერო მოუყვანა და დამეგობრდნენ. თავისით მოსული ფრინველი განსაკუთრებულად რეაგირებს მამაოს ხმაზე. ლოცვის დროს საოცარი რეაქცია აქვს: ეკლესიის კართან ჩამოდგება, თავს ჩაქინდრავს და ისე ყივის ხოლმე, ხანდახან გარეთ ვაგდებთ, რომ ხელი არ შეუშალოს. მოძღვრის მანქანასაც კი ცნობს. გასვლისას აცილებს, მოსვლისას — ეგებება. უნდა ნახოთ, როდესაც მამაო ეკლესიის ეზოში შემოდის, როგორი რეაქცია აქვს: ერთგული ძაღლივით დაჰყვება მამაოს. მის გარდა ახლოს არავის იკარებს. მხოლოდ მამაოს შეუძლია, მივიდეს და მიეფეროს, სხვას გაურბის. ზაფხულობით მამაო დასასვენებლად მიდის ხოლმე. ამ დროს წერო მოწყენილია. როდესაც მამაო ბრუნდება, მათი შეხვედრის სცენა უნდა ნახოთ: ადამიანივით, მონატრებული არსების ნახვით მოგვრილ სიხარულს გამოხატავს!..

— **ახლა ის მიბრძანეთ, შემთხვევით, ხომ არაფერი გაგიგონიათ იმ ოჯახის შესახებ, სადაც უცნაური მოვლენები ხდება? ამბობენ, იქ გარდაცვლილთა სულები არიან დაბინავებულიო.**

— ამას წინათ ერთ-ერთი მრევლი ჰყვებოდა რაღაც მსგავს ამბავს, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, არ ჩავიებივარ. ამიტომ, ზუსტად ვერ გეტყვით, სად ცხოვრობს ეს ოჯახი და რა ეროვნების არის, მაგრამ შემიძლია გითხრათ, ვის ეცოდინება უფრო ზუსტად.

საკმაოდ ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მივადექი ზუსტ მისამართს. უკვე გვარიანად მოსაღამოებული იყო და შესაძლოა, ამის გამო, როდესაც ჩემთვის საინტერესო სახლზე მიმითითეს, ცოტა შემეშინდა კიდეც. თუ შეიძლება, სახლს პირქუში უწოდო, სწორედ მასზე ითქმის. ქვით ნაშენები კედლები სუროთია დაფარული, ფანჯრებზე — შავი ფარდებია... სანამ შევიდოდით, იმ ადამიანს გავესაუბრე, რომელმაც უცნაური ოჯახის ადგილმდებარეობა მიმასწავლა.

— **თქვენ თუ იცნობთ ამ ადამიანებს?**

— მე ვიცნობ ოჯახის ახალგაზრდა წევრებს. ისე, მანდ ბევრი ადამიანი ცხოვრობს: დედა, მამა, 6 შვილი, ბებია-ბაბუა და რამდენიმე პატარა ბავშვი. ამბობენ, დიდი ბებია-ბაბუაც ცოცხალია, 100 წელს არიან გადაცილებულიო, მაგრამ მათთვის თვალი არავის მოუკრავს.

— **მართალია, რომ იქ უცნაური ამბები ხდება?**

— კი, უცნაური ამბები ნამდვილად ხდება. ადრე ამ ოჯახის უფროსი — მოლა იყო და წინასწარმეტყველებდა. მერე რატომღაც, ხალხმა მასთან სიარული შეწყვიტა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო უცნაური მოვლენები: მათი სახლიდან ღამღამობით უცნაური ხმები ისმის. ჯერ გვეგონა, მამაკაცი ცოლს სცემდა, მაგრამ მერე მივხვდით, რომ ქალის კი არა, პატარა ბავშვის ტირილის ხმას უფრო ჰგავდა. მერე აქვე, მეზობელ სახლებშიც დაიწყო ხალხმა ჩივილი, რომ ღამღამობით ფეხის ხმა, ტირილისა და ჩხუბის ხმა ესმოდათ. მეზობლების სახლებიდან რაღაცები იკარგება. ერთი მეზობლის ძროხა მეორის ბოსელში აღმოჩნდება ხოლმე, ხანდახან კი ძაღლი ისე აყმუვლდება, რომ შიშით ღამის შენც გაგძვრეს სული... რამდენიმე მეზობელმა გადაწყვიტა, ამ ოჯახის წევრებს დალაპარაკებოდა, მაგრამ ერთ-ერთმა შორს დაიჭირა: დაგვწყევლიან და მაგათ რისხვას ვერ გადავურჩებითო, — ამიტომ გადაიფიქრეს... ღამღამობით გარეთ გამოსვლის ყველას ეშინია. ისეც ხდება — გზაზე ადამიანის ლანდს დაინახავ, ადამიანს კი — ვერა. ერთხელ შინ ვბრუნდებოდი და ჭიშკარს ხელით მივაწექი. ვერაფრით გავაღე. მე აქედან ვაწვებოდი, ვიღაც — იქიდან, მერე ხითხითისა და ფეხის ხმა გავიგონე და კარიც თავისუფლად გაიღო... არა მგონია, კარგი აზრი იყოს მათთან მისვლა. იქნებ, გადაიფიქროთ?

— **რადგან მოვედი, აღარ გადავიფიქრებ...**

მძიმე რკინის ჭიშკარს მივუახლოვდი და დავაკაკუნე. ახალგაზრდა მამაკაცმა გამიღო. მისვლის მიზანი დაუფარავად გავუმხილე, არ დამიმალავს, რომ ჟურნალისტი ვარ და ინტერვიუ მინდოდა.

— დამელოდეთ, მამას ვკითხავ, — მიპასუხა და სახლისკენ შებრუნდა.

ცოტა ხანში კარი გამიღეს და შინ შემიპატიჟეს. აივანზე, მაგიდასთან დამსვეს და ჩაიც შემომთავაზეს.

თითქოს განსაკუთრებული არაფერი დამხვდა, ჩემ წინ ჩვეულებრივი, აზერბაიჯანული ოჯახია. უცნაური მხოლოდ ისაა, რომ ყველა ჩუმადაა, არავინ ლაპარაკობს, მდუმარედ მიდი-მოდის. რამდენიმე წუთის შემდეგ, ჯოხზე დაყრდნობილი მამაკაცი გამოვიდა, მომესალმა და მაგიდას მიუჯდა.

— **გამარჯობა!** — **მივესალმე.**

— გაგიმარჯოს! — ქართულად მიპასუხა.

— **ალბათ გეთხრეს ჩემი მოსვლის მიზეზი.**

— კი, მითხრეს და მე წინასწარ ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. სანამ აქ მოხვიდოდი, ქრისტიანულ სალოცავში იყავი, მაგრამ მღვდელი ვერ ნახე, მხოლოდ ქალს ელაპარაკე. აქ კი მაღალმა, გამხდარმა კაცმა მოგიყვანა...

— **ეს ყველაფერი საიდან იცით?**

— ამ ყველაფერს ალაჰი მეუბნება.

— **მაშინ, ის მითხარით — რასაც თქვენს ოჯახში მომხდარ მოვლენებზე ლაპარაკობენ, სამართლია თუ ჭორი?**

— რას ამბობენ?

— **იმას, რომ თქვენს სახლში გარდაცვლილთა სულები არიან ჩასახლებული და ღამღამობით მათი ხმები ისმის, მეზობლებს ნივთები ეკარგებათ ხოლმე და ა.შ.**

— ეს ყველაფერი რომ დაწეროთ, ჩემს სახლში ცნობისმოყვარე ადამიანების ტევა აღარ იქნება. ტელევიზიები გულს გამიწყალებენ... ამიტომ, მირჩევნია, არაფერი გითხრათ.

— **მოდი, შევთანხმდეთ იმაზე, რომ მე თქვენს მისამართს არავის გავუმხელ, სოფლის სახელსაც კი.**

— დაგიჯერებთ... და თუ პირობას არ შეასრულებთ, ამას მაინც გავიგებ და მერე საკუთარ თავს დააბრალეთ, რაც მოხდება.

— **მემუქრებით?**

— აქ თქვენი სურვილით მოხვედით,

M K

არავის დაუძალებია. ჩემი პირობა ასეთია და დანარჩენი თქვენ გადაწყვიტეთ. თუ ამ პირობაზე თანახმა არ ხართ, მაშინ ერთმანეთს დავემშვიდობოთ...

— **შევთანხმდით.**

— თხრობას იმით დავიწყებ, რომ მე ქართველი ვარ. 22 წლის ვიყავი, როდესაც ჩხუბში დამჭრეს და სიკვდილს ძლივს გადავურჩი. მაშინ მესიზმრა, რომ თუ მუსლიმანური წესით მოვინათლებოდი, სიკვდილს გადავურჩებოდი. ამის შესახებ დედას ვუთხარი. ჯერ შეიცხადა, მაგრამ როდესაც ექიმებმა ჩემი გადარჩენის იმედი არ მისცეს, გადაწყვიტა, ეს, ბოლო შანსი გამოეყენებინა და ჩემს გადარჩენაზე თავად ეზრუნა. მართლაც, საჭირო რიტუალის ჩატარებიდან მეორე დღეს ჯანმრთელობის გაუმჯობესება დამეტყო... 1 თვეში ფეხზე დავდექი... ექიმებიც კი, რომლებიც თავიდან ამ ყველაფერს ირონიით უყურებდნენ, გაოცებულნი დარჩნენ.

— **შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

— გრძნეული სიზმრები გაგრძელდა... სიზმარში ვნახე ჩემი მომავალი მეუღლეც და ისიც, თუ სად ცხოვრობდა. იქ მივედი და მართლაც დამხვდა... შემდეგ, ასევე ალაჰმა მიმითითა ის ადგილი, სადაც სახლი უნდა ამეშენებინა. ცოლი მოვიყვანე, მის გვარზე გადავედი და ნამდვილი მუსლიმანის ცხოვრებით დავიწყე ცხოვრება. სიზმარში ვისწავლე ლოცვები, ის, თუ როგორ უნდა განვკურნო ავადმყოფები...

— **ალბათ ჯადოს გაკეთებაცა და მოხსნაც...**

— დიახ. ცნობილია, რომ მოლას ბევრი რამ შეუძლია. ჰოდა, მეც ცოდნას იმ ადამიანების სასიკეთოდ ვიყენებდი, რომლებიც ჩემთან მოდიოდნენ.

— **კონკრეტულად უფრო ხშირად რას გთხოვდნენ ეს ადამიანები?**

— ზოგს ქმრის დაბრუნება უნდოდა, ზოგს — შვილის; ზოგიერთს — მოშურნე და მტრად ქცეული ადამიანის, რძლის, სიძისა თუ დედამთილის დაწყევლა.

— **ეს ხომ საშინელებაა?**

— რატომ?! მათ ვაძლევდი ქაღალდზე დაწერილ ტექსტს, რომელიც ისეთი ანბანით იწერება, რომელიც მხოლოდ მე ვიცი. იმ ადამიანს, რომლის გამოც ეს ტექსტია დაწერილი, ქაღალდი ისეთ ადგილზე უნდა ჩაუდონ, სადაც ვერ მიაგნებს. იქ წერია, რომ წყევლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედებს, თუ ეს ადამიანი ამას მართლა იმსახურებს. ასე რომ, უდანაშაულო არ დაისჯება. დამნაშავე კი უნდა დაისაჯოს.

— **კარგი, მივუბრუნდეთ თქვენს ამბავს.**

— გავიდა წლები. ჩემი სახელი ყველას პირზე ეკერა და პატივსაც მცემდნენ. ერთ დღეს სიზმარში ვნახე, რომ ჩემი დისშვილი, რომელიც მართლმადიდებელი ქრისტიანია, რადაც უნდა დამჯდომოდა, მუსლიმანად უნდა მომექცია: ასე მიბრძანა ალაჰმა და თან მითხრა, რომ თუ ამას არ შევასრულებდი, ჩემს ყველა პრივილეგიას დავემშვიდობებოდი და ცხოვრება ჯოჯოხეთად გადამექცეოდა. ვერ შევბედე ჩემს დას ამის თქმა. ფეხს ვითრევდი. სიზმარში კი ყოველღამ ვნახულობდი, რომ უნდა მივსულიყავი და ჩემი მისია შემესრულებინა. ერთ ღამეს ალაჰმა მითხრა: თუ ამის შესრულებას არ აპირებ, მაშინ, დილით როცა ადგები, ლოცვის დროს წარმოთქვი — მე ამ მისიას ვერ შევასრულებ-თქო... იმ დილით თავს ისევ შევებრძოლე, მაგრამ მივხვდი, რომ ამას ვერ გავაკეთებდი. ამიტომ, ლოცვის დროს ის სიტყვები წარმოვთქვი და თან ალაჰს შევევედრე, რომ ეს ჩემთვის ეპატიებინა... იმ დღიდან, ძალა დავკარგე, მხოლოდ ნათელმხილველობის უნარი შემრჩა. ჩემი არც ლოცვა და აღარც წყევლა ჭრიდა. ღამღამობით ხმები ჩამესმოდა. მეგონა, მხოლოდ მე მესმოდა, მაგრამ თურმე ისინი ჩემი ოჯახის წევრებსაც ესმოდათ. შემდეგ ალაჰმა მითხრა, — ეს იმ ადამიანთა სულებია, რომლებიც შენ დაწყევლეო... მან ჩემი ასე დასჯა გადაწყვიტა. ყოველღამ 100 სული მაინც მოდის და ძილის საშუალებას არ მაძლევს...

— **ბავშვებს არ ეშინიათ?**

— ბავშვებს ისინი არ ერჩიან. ჩემ მიმართ კი აგრესიულები არიან. მთელი ღამე ჩემს ტანზე მიდი-მოდიან, თმას მწიწკნინან, პირს ძალით მიღებენ და შიგ ხელს მიყოფენ.

— **თქვენ მათ ხედავთ?**

— ვხედავ, ოღონდ ყოველთვის — არა.

— **როგორები არიან?**

— ჩვეულებრივი ადამიანის მსგავსი არსებები, ოღონდ — ძალიან პატარები. ჩაშავებული თვალები აქვთ, ზოგჯერ კატასავით უბრწყინავთ.

— **თქვენს შვილებსაც აწუხებენ?**

— არა. საერთოდ, ისინი მხიარული არსებები არიან და მათ მხოლოდ ეხუმრებიან. დარტყმის ობიექტი მხოლოდ მე ვარ. თუ განრისხდებიან, საშინელ ტკივილს მაყენებენ ხოლმე.

— **ეს როდის ხდება?**

— განსაკუთრებულად აგრესიულები საეკლესიო დღესასწაულების დროს არიან. ახლა შინ რომ შეგიყვანოთ, შესაძლოა, სადმე თვალიც კი მოჰკრათ.

— **გარეთ არ გამოდიან?**

— კი. ეზოშიც დადიან. ახლა რატომღაც, არ ჩანან. ამას წინათ ჩემი ცოლის ნათესავი კაცი მოვიდა. ისეთ დღეში ჩაგდეს, ლამის გააგიჟეს. თმას უჩეჩდნენ, პერანგის ღილებს უხსნიდნენ, მისი მანქანაც კი დაქოქეს, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრეს. აბა, წარმოიდგინეთ — ახლა, აქ ზიხართ და თქვენი ავტომობილი რომ ამუშავდეს...

— **იმედია, მიხვდებიან, რომ სამტროდ არ ვარ მოსული და არაფერს დამიშავებენ. როგორ ფიქრობთ, შექმნილი მდგომარეობიდან რა გამოსავალი არსებობს?**

— არ ვიცი. ყოველდღე ვლოცულობ, რომ ალაჰმა მაპატიოს. უკვე თითქმის 1 წელია, ასე გრძელდება და მგონი, გავგიჟდი.

— **მე კი მგონია, რომ სატანურ ძალებთან გაქვთ კავშირი და არა — ალაჰთან... იქნებ, შეგეცვალათ მრწამსი და ისევ მართლმადიდებლობას დაუბრუნებოდით?**

— ამაზე მეც მიფიქრია, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ უარესი მოხდეს?.. არადა, არც არავინაა ისეთი, ვისაც რჩევას ვკითხავ.

— **ეკლესიაში, მოძღვართან მიდით. ის გირჩევთ, სწორი გზა რომელია.**

— მე რომ მრწამსი შეეცვალო, ყველაფერი თავდაყირა დადგება.

— **სამაგიეროდ, მოისვენებთ... რამდენი წლის ხართ?**

— 52-ის.

— **როგორც მითხრეს, ამ სახლში მხცოვანი ადამიანებიც ცხოვრობენ, 100 წელს არიან გადაცილებულნი.**

— ტყუილია. აქ მხოლოდ მე და ჩემი ცოლ-შვილი ვცხოვრობთ.

— **ისინი რას გეუბნებიან?**

— რა უნდა თქვან?! ჩემმა უფროსმა ვაჟმა ვერ გაუძლო ამ ყველაფერს და უკრაინაში გადაიხვეწა. მისი ცოლ-შვილი აქ ცხოვრობს, მაგრამ ვხედავ, რომ მათთაც გაქცევა უნდათ... მოკლედ, ჩემი ოჯახის მდგომარეობა მძიმეა და ჯერჯერობით გამოსავალს ვერ ვხედავ.

— **როდემდე შეიძლება, ასე გაგრძელდეს?**

— არ ვიცი. თავიდან მეშინოდა, ბავშვებისთვის რაიმე არ დაეშავებინათ. რამდენჯერმე ცხადად ვხედავდი, თუ როგორ გაჰყვა ჩემს შვილიშვილს სკოლაში ერთ-ერთი მათგანი. სახითაც თითქმის ყველა მათგანს ვცნობ. ზოგი ძალიან მხიარულია, ზოგი — სევდიანი.

— **სოფელში თუ იციან თქვენ წარმოშობის შესახებ?**

— არა. აქ უმეტესობა ისეთი ადამიანი ცხოვრობს, ვინც სოფლის იქით არ გასულა. ქართულიც არ იციან და ალბათ თქვენს სტატიასაც ვერ წაიკითხავენ. რომ გაიგონ, არ ვიცი, რა რეაქცია ექნებათ. სხვა კატეგორიის ხალხია, სასტიკი და დაუნდობლები არიან და არ არის გამორიცხული, რომ ჩემს სახლს ცეცხლიც კი წაუკიდონ. ვიცი, რომ შეწუხებული არიან, მაგრამ ჯერჯერობით ამის თქმას ვერ მიბედავენ. თუ კიდევ გაგრძელდა ეს ამბავი, ალბათ ამიჯანყდებიან. ამას წინათ ერთი კაცი მოვიდა და მითხრა: ჩემი თვალით ვუყურებდი, ჩემს ცოლს რომ აწვალებდა ის „ურჩხული“ და რას მირჩევ — რამე რომ ვუთხრა, ხომ არ მომკლავსო? — არ ვიცი-მეთქი, — მხრები ავიჩეჩე. ის კაცი მეორედ აღარ მოსულა. არც ის ვიცი, რა ქნა...

მასპინძელს დავემშვიდობე და წამოვედი. მართლმადიდებელ ქრისტიანს, რაღა დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ მღვდელმსახურისთვის მიმემართა?! აი, რა მითხრა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა, **მამა ᲘᲝᲠᲐᲛᲐ**:

— ის, რაც მიამბეთ, ძალზე უცნაურია. რა უნდა ვთქვა?.. — ეს კაცი აუცილებლად უნდა მივიდეს მოძღვართან. ჩემთან რომ მოვიდეს, ვურჩევ, მრწამსი შეიცვალოს და მართლმადიდებლობას დაუბრუნდეს. ამის შემდეგ მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართება. უფალი მოწყალეა და შეცდომას აპატიებს, თუ გულით მოინანიებს. მას სატანა დაეპატრონა და არ მოასვენებს, სანამ ცოდვებს არ მოინანიებს. გზააბნეული, თავისი შემრიგებლური საქციელით, სატანას აზეიმებს, ის კი ფრთებს შლის და თავის ბოროტ ზრახვას ასრულებს. სასწრაფოდ დაუკავშირდით ამ ადამიანს და ურჩიეთ, რომ ეკლესიაში მოვიდეს, მუხლებზე დაეცეს და პატიება ითხოვოს. მისი ხსნა — მხოლოდ უფლისადმი რწმენაშია. ■

ირაკლი ლომაია: ჯადოქრობასთან, მკითხაობასთან და ნათელმხილველობასთან არანაირი კავშირი არ მაქვს!

პიროვნება, რომელიც პაციენტებმა ქართული პარაფსიქოლოგიის მამად აღიარეს, დღეს „გზის“ სტუმარია და საუბრობს განვლილ ცხოვრებაზე, რომელიც მისთვის არცთუ ისე დალხენილი და იავარდით მოფენილი გახლდათ. არც აწმყოა მთლად სახარბიელო, რადგან პროფესიულ ზრდასთან ერთად, მოშურნეების რიცხვმაც იმატა. თუმცა, მათი ძალისხმევა, სახელი გაუტეხონ, ამაოა და ამას მის კაბინეტთან შეკრებილი უამრავი პაციენტი მოწმობს. ალბათ, მიხვდით და თუ ვერ მიხვდით, გეტყვით, რომ „გზის“ სტუმარია საქართველოში ერთადერთი ლიცენზირებული პარაფსიქოლოგი ირაკლი ლომაია და მასთან ერთად გავერკვეთ, არის თუ არა პარაფსიქოლოგია ჯადოქრობა და როგორ მოახერხა უკვე 40 000 პაციენტის „მოჯადოება“.

— ირაკლი, მკითხველთა უმცროსმა თაობამ ცოტა რამ თუ იცის იმ სასწაულების შესახებ, რაც შენ გადაგხდა. მოგვიყევი, რა შეგემთხვა, როცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყავი...

— 7 წლის ასაკიდან ავადმყოფობა დავიწყე. პროფესორებმა თავის ტვინის ლიმფური უჯრედების სიმსივნეც კი დამიდგინეს. გარდა ამისა, მაწუხებდა თირკმელი, ფილტვი, აკვიატებული აზრები, დეპრესია. ეს ყველაფერი მე დამატყდა თავს. წესიერად ვერც კი ვლაპარაკობდი. ჩამოთვლილი დიაგნოზების დამადასტურებელ სამედიცინო დოკუმენტაციას დღემდე ვინახავ. მოგვიანებით, ტანზე ჯვრები და იეროგლიფები, ხოლო ზურგზე — ეკლესია გამომესახა და სხეულიდან მირონი მდიოდა.

— როგორც ვიცი, უწმინდესმაც შეაფასა ეს მოვლენა...

— ჩემმა მოძღვარმა გადაწყვიტა, როგორც მართლმადიდებლური ოჯახის წარმომადგენელს, ყოველივე უწმინდესისთვის მეცნობებინა. არ შეიძლებოდა, რაც მე თავს გადამხდა, უბრალოდ მომხდარიყო... პატრიარქმა კარგად შემათვალიერა, დამლოცა და ეს სიტყვები მითხრა: „ირაკლი, შვილო, შენ ღვთის შვილი ხარ. ეშმაკს არ ძალუძს მსგავსი სასწაულების მოხდენა — ჯვრების გამოსახვა და მირონის გადმოდენა. ღმერთმა ხალხისთვის მოგავლინა და მათ უნდა ემსახურო“. ყველაზე დიდი სასწაული, რაც იმ პერიოდში ხდებოდა, იცით, რა იყო? დღესასწაულებზე, იქ სადაც ხატები იყო დაბრძანებული, კედლებსაც კი მირონი სდიოდა. მე ახლაც მაქვს შენახული ის მირონი და ხშირად ვიყენებ, პაციენტების განსაკურნებლად.

— ირაკლი, პარაფსიქოლოგია ბევრს ნათელმხილველობაში ერევა და ამიტომაც, შენ ბრალს არამართლმადიდებლობაში გდებენ, ასეა?

— რა თქმა უნდა! ტყუილად მდებენ ბრალს. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ მეცნიერებას ჯადოქრობასთან, მკითხაობასთან, ტელეპათიასთან და ნათელმხილველობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. პარაფსიქოლოგი ვერ შეეწინააღმდეგება ეკლესიურ ცხოვრებას და უკვე 9 წელია, ამას ვამბობ. აღნიშნულ მეცნიერებას ისეთი პიროვნება უტეხს სახელს, ვინც ამტკიცებს, რომ პარაფსიქოლოგია, მაგრამ სინამდვილეში, მკითხავია და ხალხის მიზიდვას ამგვარი ხერხით ცდილობს. ასეთები ბევრნი არიან და მათ სათანადო ლიცენზია არ გააჩნიათ. მხოლოდ მე შევძელი და საქართველოში პარაფსიქოლოგიის ცენტრი ოფიციალურად გავხსენი.

საჭიროდ ჩავთვალეთ სასულიერო პირის აზრის მოსმენაც და ირაკლი ლომაიას ამჟამინდელ მოძღვარს, სამების საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტს, ბერ იოანეს მივაკითხეთ, რათა საბოლოოდ გაიფანტოს ის მცდარი აზრი, რომელიც საზოგადოების მართალია, მცირე, მაგრამ გარკვეულ ნაწილს მაინც აქვს.

— მამა იოანე, საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ პარაფსიქოლოგების საქმიანობის შესახებ და იმასაც აღნიშნავენ, რომ ისინი არაქრისტიანულ საქმეს აკეთებენ. ხართ თუ არა ინფორმირებული მეცნიერების ამ დარგის შესახებ და რას გვეტყვით კონკრეტულად ირაკლი ლომაიას პიროვნებაზე?

— ირაკლი ლომაიას ამბავი საპატრიარქოში უკვე განხილულია, მაგრამ ვინაიდან, კვლავ გახდა საჭირო იმის აღნიშვნა, რომ ეს პიროვნება თავისი საქმიანობით ცუდს და არამართლმადიდებლურს არაფერს აკეთებს, მზად ვარ, როგორც მისმა სულიერმა მამამ, ვისაუბრო ამ ადამიანზე. მას შემდეგ, რაც ირაკლის მოძღვარი გარდაიცვალა, ჩემთან მოვიდა. უკვე ის ფაქტი, რომ ადამიანი ეკლესიაში დადის, მოძღვარს აღსარებას აბარებს და ზიარებას იღებს, თავისთავად გამორიცხავს, რომ რაიმე დაუშვებელსა და ეკლესიისათვის მიუღებელს აკეთებს. ირაკლი სხვების აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ამიტომაც, შინაგანად გამუდმებით ღელავს. სწორედ მისი სულიერი სიმშვიდისთვის მინდა, ხელმეორედ მივიყვანო უწმინდესთან და დავალოცვინო. ვფიქრობ, ასაღელვებელი არაფერი აქვს, რადგანაც კეთილ საქმეს ემსახურება. ირაკლიმ ჩემგან მიიღო ლოცვა-კურთხევა, რათა საქმიანობა განაგრძოს. პაციენტებთან ურთიერთობისას პირადად ვნახე და იქ არაკანონზომიერი ვერაფერი აღმოვაჩინე. ირაკლი ლომაიამ თავისი ნიჭიერებით უკვე მოიხვეჭა სახელი და

თუ რომელიმე პაციენტის მკურნალობის პროცესმა სათანადო შედეგი ვერ გამოიღო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ირაკლიმ ავადმყოფისთვის არაფერი გააკეთა. შეგახსენებთ, ადამიანის განკურნებაც ღვთის ნებით ხდება. პარაფსიქოლოგიაზე შემიძლია, მხოლოდ ის ვთქვა, რომ მეცნიერებაა და ირაკლის სურს, მის სიღრმეებს ჩასწვდეს, საფუძვლიანად შეისწავლოს და რაც მთავარია, ქრისტიანობის ჩარჩოებს არ სცილდება.

— ირაკლი, გვითხარი, რა არის პარაფსიქოლოგია და რატომ აირჩიე ეს პროფესია?

— როგორც უკვე აღვნიშნე, პატარაობიდანვე ისეთი რაღაცები მემართებოდა, რომ ბუნებრივია, პარაფსიქოლოგიას გვერდს ვერ ავუვლიდი. გერმანიაში გავემგზავრე და პარაფსიქოლოგიის „შტაოს“ ცენტრში (რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აქვს თავისი ფილიალი) ვსწავლობდი. მომენიჭა კვალიფიკაცია და ვარ მკურნალ-ექსტრასენს-პარაფსიქოლოგი. ეს მეცნიერება იკვლევს ცოცხალი ორგანიზმის ბიოენერგეტიკას, კერძოდ — სად არის უფრო გააქტიურებული ან ნაკლებად აქტიური ენერგეტიკული ველი.

— რა მეთოდებით ხდება პაციენტის მკურნალობა და რა ეტაპებს გადის ცენტრში მოსული ავადმყოფი?

— თავდაპირველად, ვსვამთ დიაგნოზს. თუ აღმოჩნდა, რომ პაციენტი ჩვენი მეთოდებით მკურნალობას ექვემდებარება, მასთან საგარანტიო ხელშეკრულებას ვაფორმებთ, სადაც წერია: თუ ყველაფერს სწორად გააკეთებს, ზუსტად ისე, როგორც დავავალებთ, რაც ნამდვილად არ არის ძნელი, აუცილებლად მიიღებს სასურველ შედეგს. თითოეული პაციენტი თვე-ნახევრის განმავლობაში იმდენჯერ მოდის, რამდენიც საჭირო იქნება მისი უარყოფითი ენერგიისგან გასაწმენდად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ მოსვლაზე თანხა უნდა გადაიხადოს. მკურნალობის საფასურს პაციენტი მხოლოდ ერთხელ იხდის.

— თქვენთან მკურნალობა რა ჯდება?

— 236 ლარი. ამ ეტაპზე მკურნალობის საფასურში შედის ყველანაირი პროცედურა — ენერგეტიკული ველების გაწმენდა, შვიდივე ჩაკრის მოდულაცია, ათამდე დაავადების მკურნალობა და მედიკამენტები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თუ პაციენტი ჩვენი მეთოდებით მკურნალობას არ დაექვემდებარა, გადახდილი თანხის 80 პროცენტი უკან უბრუნდება.

— მკურნალობის პროცესში რა პრეპარატებს იყენებ?

— რასაც მე ვიყენებ, ეს ის პრეპარატები და მედიკამენტები არ არის, რომლებსაც აფთიაქში იყიდით — პარაფსიქოლოგიის ცენტრში მკურნალობა კლასიკური მედიცინის მეთოდებით არ ხდება. რა თქმა უნდა, ჩვენ კლასიკურ მედიცინას არ ვუპირისპირდებით, მაგრამ თუ დაავადების გამომწვევი მიზეზი უარყოფითი ენერგეტიკაა, ავადმყოფმა ექიმთან რამდენიც უნდა იმკურნალოს, სასურველ შედეგს ვერ მიიღებს. ჯერ საჭიროა ორგანიზმის „შლაკებისგან“ გაწმენდა, ბიოენერგეტიკული ველის აღდგენა და მერე კლასიკური მედიცინის მეთოდებით მკურნალობაც გამოიღებს შედეგს.

— რა კატეგორიის ადამიანები მოდიან პარაფსიქოლოგიის ცენტრში?

— ჩემთან თითქმის ყველანაირ ადამიანს შეხვდებით. მათ შორის, ბევრი ცნობილი პიროვნებაა და უცხოელებიც მოდიან. ხშირად მოგვმართავენ პროფილაქტიკის მიზნითაც. აუცილებელი არ არის, ავადმყოფი იყო. სეანსის შემდეგ ადამიანი თავს ჩინებულად გრძნობს, მისი ცხოვრება უფრო ჰარმონიული ხდება, რადგანაც ენერგეტიკული ველი გაწმენდილია.

— შენს პირად ცხოვრებაზე რას გვეტყვი?

— ძალიან ადრე დავოჯახდი. მყავს მეუღლე და 2 შვილი. მერვე კლასიდან თავდაუზოგავად ვშრომობ, არასოდეს მომიპარავს და არ მიყაჩაღია.

— მერვეკლასელი ბავშვი სად მუშაობდი?

— მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ რაღაც პერიოდის განმავლობაში, გარკვეული მიზეზების გამო, მშობლები საცხოვრებლად სენაკში გადავიდნენ... როცა თბილისში ჩამოვედი, პატრონი არავინ მყავდა. ძალიან მინდოდა სწავლა და ფული რომ მეშოვა, ქუჩაში სიგარეტს და ცელოფანის პარკებს ვყიდდი.

— თბილისში ნათესავები არ გყავს?

— დედაჩემმა აქ სწავლისა და მუშაობის პერიოდში ორი ბინა მიიღო და ნათესავს დაუტოვა. ჩემი ავადმყოფობისა და მკურნალობის გამო ოჯახს მატერიალურად ძალიან გაუჭირდა. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ნათესავმა არც შემომთავაზა, — ჩემთან იცხოვრეო. ასე რომ, ყველაფერი ნულიდან დავიწყე. ვწვალობდი, მაგრამ რაღაცას მაინც მივაღწიე. თბილისში პატრონი რომ მყოლოდა, მეტს მივაღწევდი.

— როგორც ვიცი, პარაფსიქოლოგობასთან ერთად, კინომსახიობის კარიერასაც იკეთებ...

— ბავშვობიდან ვოცნებობდი ექიმობასა და კინომსახიობობაზე. ეს ოცნება ქალბატონი მზია კვირიკაშვილის დახმარებით ავიხდინე და ნელ-ნელა წინ მივდივარ. უკვე გადამიღეს პირველი არხის სერიალში — „მესამე თაობა“. დიდ მადლობას ვუხდი ნიკა ქავთარაძეს, რომელმაც საშუალება მომცა, ამ სერიალში მეთამაშა. ბატონმა ზაზა კოლელიშვილმაც მიმიწვია თავის ახალ ფილმში — „ომი და ქორწილი“, სადაც საკმაოდ საინტერესო როლი მაქვს. ძალიან მიხარია, რომ რეჟისორები ჩემი მუშაობით კმაყოფილები არიან. ვხუმრობ ხოლმე, — ახლა კინოინდუსტრიის მამაც უნდა გავხდე-მეთქი და პირობას ვდებ, რომ ჩანაფიქრს შევასრულებ. ყველა ადამიანი თავის ნიჭს შეძლებისდაგვარად ავითარებს. თუ მე მსახიობად დავიბადე, არაფერს დავიშურებ, რომ პარაფსიქოლოგის საქმიანობის პარალელურად, ეს ნიჭიც განვავითარო.

— შენი მიღწევებით კმაყოფილი ხარ?

— რასაც 26 წლის ასაკში, პარაფსიქოლოგიაში მივაღწიე, არც ისე ცოტაა. თუ ამდენივეს კინოხელოვნებაშიც მივაღწევ, ჩავთვლი, რომ მაგარი ვარ (*იცინის*)!

P.S. *საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანი, რომელიც თქვენს ბიოენერგეტიკას გამოიკვლევს, სულაც არ არის იდუმალებით მოცული, როგორც ეს ბევრს ჰგონია. მისი უშუალობითა და ადამიანურობით, ნამდვილად, აღფრთოვანებულები დარჩებით. შეგიძლიათ, ირაკლის დაურეკოთ შემდეგ ნომერზე: 95-12-67 და პირადად დაუკავშირდეთ.*

R

რეკორდები ტრანსფერებში და მძიმე ტვირთი, რომელიც ზიზუს რონალდუმ ჩამოართვა...

იტალიური „მილანიდან“ მადრიდის „რეალში“ ბრაზილიელი ვარსკვლავის, კაკას გადასვლა ფეხბურთის ისტორიაში სატრანსფერო ღირებულებით მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა — მხოლოდ რამდენიმე დღით, რადგან შემდეგ, იმავე „რეალმა“ კრიშტიანუ რონალდუსთვის 93,5 მილიონი ევრო გადაიხადა და ზიდანის რეკორდი მოხსნა.

ფლორენტინო პერესი

საინტერესოა, რომ ზინედინ ზიდანი ამ ფაქტს სიხარულით შეეგება: მისი თქმით, საკმაოდ ეძნელებოდა იმაზე ფიქრი, რომ ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი იყო. „შემიძლია ვთქვა, რომ ახლა, რონალდუს წყალობით, უფრო თავისუფლად ვსუნთქავ“, — დასძინა ზიდანმა.

როგორც ცნობილია, 11 ივნისს „სამეფო კლუბმა“ პორტუგალიელი ნახევარმცველისთვის „მანჩესტერ იუნაიტედს“ 80 მლნ გირვანქა სტერლინგი შესთავაზა, რაც 93,4 მლნ ევროს უდრის. ბრიტანელებმა ეს წინადადება მიიღეს, ამგვარად, კონტრაქტი კრიშტიანუსა და „რეალს“ შორის ივნისის ბოლომდე გაფორმდება.

შეგახსენებთ, რომ რეკორდი, რომელიც ტრანსფერის ღირებულებით, 8 წლის განმავლობაში ძალაში რჩებოდა, ასევე მადრიდის „რეალს“ ეკუთვნოდა: მაშინ კლუბმა ზინედინ ზიდანისთვის ტურინის „იუვენტუსს“ 76 მილიონი ევრო გადაუხადა. წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ, 8 ივნისს „სამეფო კლუბმა“ 67,5 მილიონ ევროდ შეიძინა.

კაკა და ეს ტრანსფერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფეხბურთის ისტორიაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა. მაგრამ სამ დღეში ბრაზილიელმა მესამე ადგილზე გადაინაცვლა და მეორე საფეხური უკვე თავად ყოფილ რეკორდსმენს — ზინედინ ზიდანს დაუთმო...



კაკასთვის „რეალში“ უკვე გათვალისწინებულია 5-ნომრიანი მაისური, რომლითაც წლების წინ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სწორედ ზინედინ ზიდანი ასპარეზობდა. ასეთი გადაწყვეტილება თავად „რეალის“ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა მიიღო.

„მეხუთე ნომრის აღება დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ზიდანი ჩინებული ფეხბურთელი იყო, როგორც „რეალისთვის“, ასევე საფრანგეთის ნაკრებისთვის, ამიტომ სწორედ მისი ნომრის აღება არ მსურდა. ცოტა უნდა მოვიცადოთ, ვიდრე ამ საკითხს გადავწყვეტდეთ“, — დასძინა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა.

კაკამ საგანგებოდ ისიც აღნიშნა, რომ „მილანიდან“ მადრიდის „რეალში“ გადასვლამდე, ყოფილ სამეფოკლუბელებს სთხოვა რჩევა: „ამ თემაზე არა მარტო მეგობრებთან, არამედ იმ ფეხბურთელებთანაც ვისაუბრე, რომლებიც თავის დროზე „რეალის“ ღირსებას იცავდნენ. ჩემმა ყოფილმა პარტნიორმა „მილანში“ და უფრო ადრე, „რეალის“ ფეხბურთელმა დევიდ ბეკჰემმა მიამბო იმის შესახებ, თუ რამდენად სასიამოვნოა მადრიდში თამაში. მან გამამხნევა და მითხრა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, რაც ჩემს კარიერას კარგად წაადგება“.

ესპანურმა გამოცემამ — AS კი გამოაქვეყნა „მილანიდან“ მადრიდის „რეალში“ კაკას გადასვლის ფინანსური დეტალები. როგორც ცნობილია, ტრანსფერის საერთო ღირებულებამ 67,2 მილიონი ევრო შეადგინა, აქედან 64,5 მილიონი იტალიურ კლუბს ერგო, ხოლო 2,7 მილიონი ფეხბურთელის პირველ კლუბს გადაერიცხება. ესაა „სან პაულუ“, რომლიდანაც ბრაზილიელი ვარსკვლავი 2003 წლის ზაფხულში „მილანში“ გადავიდა.

ამ ტრანსფერის განხორციელებით, სოლიდური შემოსავალი მიიღო კაკას მამამ, ბოსკო ლეიტემ, რომელიც, მშობლის გარდა, მისი აგენტის ფუნქციებსაც ითავსებს: ლეიტეს საკომისიო თანხამ 4,5 მილიონი ევრო შეადგინა; გარდა ამისა, იგი ფეხბურთელის ყოველწლიური გასამრჯელოს 10%-საც მიიღებს, რაც 912 ათას ევროს უდრის.

შეგახსენებთ, რომ კაკამ მადრიდის „რეალთან“ 6-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერის პირობების შესახებ კი ინგლისური „ტაიმსი“ გვამცნობს.

„სამეფო კლუბში“ რონალდუ 6 წლის განმავლობაში 107 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. პირველ სეზონში მისი ხელფასი 9,5 მილიონი იქნება. ყოველწლიურად ეს თანხა 25%-ით გაიზრდება და სეზონში 29 მილიონს მიაღწევს. ამგვარად, რონალდუს გასამრჯელო კვირაში 557 მლნ გირვანქა სტერლინგი გახდება, რაც საშუალო-სტატისტიკური ესპანელის შემოსავალს 33-ჯერ აღემატება.

პორტუგალიელ ვარსკვლავს „რეალში“ მისთვის ჩვეული — 7-ნომრიანი მაისურით თამაშის შესაძლებლობა არ ექნება, რადგან მადრიდელთა გუნდში იგი კაპიტანს — რაულს ეკუთვნის. როგორც მოსალოდნელია, რონალდუ 9-ნომრიანი მაისურით

იასპარეზებს. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ცოტა ხნის წინ ფეხბურთელმა ახალი სავაჭრო ნიშანი — CR9 დაარეგისტრირა. როგორც ცნობილია, პორტუგალიელი ფეხბურთელი ლისაბონსა და მადეირაში ფლობს მაღაზიებს, რომლებშიც CR7-ის მარკით ტანისამოსი იყიდება.

ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერები ფეხბურთის ისტორიაში:

კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი“ — „მადრიდის „რეალი“), 2009 წ. — 93,4 მლნ ევრო;
ზინედინ ზიდანი („იუვენტუსი“ — მადრიდის „რეალი“), 2001 წ. — 76 მილიონი ევრო;
კაკა („მილანი“ — „რეალი“), 2009 წ. — 67,5 მილიონი ევრო;
ლუიშ ფიგუ („ბარსელონა“ — „რეალი“), 2000 წ. — 58,5 მილიონი ევრო;
ერნან კრესპო („პარმა“ — „ლაციო“), 2000 წ. — 53,6 მილიონი ევრო;
ჯანლუიჯი გუფონი („პარმა“ — „იუვენტუსი“), 2001 წ. — 49,2 მილიონი ევრო.

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

„პორშეს“ ახალი არასაგზაო



კომპანია „პორშეს“ წარმომადგენლები არასაგზაო სპორტული ავტომობილის სერიულ წარმოებას არ გამორიცხავენ და ის დაახლოებით, 33-35 ათასი ევრო ეღირება. ახალი მანქანის შესახებ ჯერჯერობით, არავითარი მონაცემი არ არსებობს. სავარაუდოდ, „პორშეს“ იაფფასიანი სპორტავტო, რომელიც ალბათ, როდსტერი იქნება, საშუალო მოტორის პლატფორმაზე აიწყობა, რომლის მიხედვითაც, შემდგომში Audi-ს, Volkswagen-ისა და Seat-ის მოდელები გამოვა. სიახლეს 1,4-ლიტრიანი და 170 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ბენზინის ან 125 ცხ.ძ. ტურბოდიზელი დაუმონტაჟდება. ტოპმოდიფიკაციას კი შეიძლება, VW Golf GTI-ის 211 ცხ.ძ. მქონე ბენზინის ტურბომოტორი დაუყენონ. ასეთი ავტომობილის პროტოტიპი Volkswagen-მა დეტროიტის ავტოსალონზე, 2009 წლის დასაწყისში წარადგინა. ეს იყო 180 ცხ.ძ. მქონე დიზელის მოტორით აღჭურვილი როდსტერი — VW Bluesport. იგი 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,2 წამში ავითარებს. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ამ მოდელის სერიულ წარმოებაში ჩაშვება უახლოესი 2 წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ამ პროექტის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ Volkswagen და Porsche საავტომობილო ალიანსის შექმნაზე შეთანხმებას მიაღწევენ. საგულისხმოა, რომ უკვე მეორე თვეა, რაც ამ საკითხზე მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაგრამ ჯერჯერობით, მხარეები ვერ შეთანხმდნენ, თუ რომელმა მხარემ უნდა მიიღოს მეტი კონტროლის უფლება. ■

„კიამ“ ბაზარზე კომპაქტავტო გაიყვანა

სამხრეთკორეულმა კომპანია „კიამ“ ადგილობრივ ბაზარზე კომპაქტური ავტომობილის — morning — განახლებული ვერსია წარადგინა, რომელიც სხვა ქვეყნებში Picanto-ს სახელით იყიდება. წინამორბედთან შედარებით, რომლის რესტაილინგი 2 წლის წინ მიმდინარეობდა, სიახლის გარეგნობა და ინტერიერი მცირედ შეიცვალა. გარდა ამისა, კორეული ბაზრისთვის გათვალისწინებულია 2 ახალი ძრავა. მცირელიტრაჟიანი მანქანისთვის — Kia Morning — ძარას წინა ნაწილის ორგვარი გაფორმებაა გათვალისწინებული, რომელიც კომპლექტაციის მიხედვით შეიცვლება. საბაზო მანქანისგან Special-ის უფრო მდიდარი და სპორტული ვერსია რადიატორის ცხაურის დიზაინით (რომელიც კროსსოვერის — soul — სტილშია შესრულებული) და ტრაპეციის ფორმის ჰაერშემაკავებლის მქონე წინა ბამპერით განსხვავდება. მანქანის სალონში უმნიშვნელოდ შეიცვალა ცენტრალური კონსოლი. თვალში საცემია განსხვავებული საჭე, ხოლო ხელსაწყოთა ნარინჯისფერი პანელი წითლით შეიცვალა. გარდა ამისა, მასზე გამოჩნდა ინდიკატორი, წარწერით — Eco, რომელიც მაშინ ინთება, როდესაც მანქანა უფრო ეკონომიურ რეჟიმში მოძრაობს და მძღოლს საწვავის დაზოგვის შესაძლებლობას აძლევს. სამხრეთკორეულ ბაზარზე ავტომობილი 2 თითოლიტრიანი მოტორით გაიყიდება. პირველი მათგანი ჩვეულებრივ, ბენზინზე მუშაობს და 72 ცხ.ძ. ავითარებს (8 ცხ.ძ-ით მეტს, ვიდრე წინამორბედი), მეორე კი საწვავის სახით ბუნებრივ აირს იყენებს და 67 ცხ.ძ. სიმძლავრისაა. ■

„ლენდ როვერმა“ „არასაგზაო“ ტელეფონი გამოუშვა

კომპანია Land Rover-მა „არასაგზაო“ მობილური ტელეფონის ანონსირება გააკეთა, რომელიც კომპანიამ Sonim Technologies-თან ერთად შეიმუშავა. ეს აპარატი მტვრისგან მთლიანად დაცულია და კორპუსზე 400 კგ მასის დაწოლას უძლებს. გარდა ამისა, ტელეფონი 2 მ სიმაღლიდან ბეტონის იატაკზე დაცემას იტანს და წყალში 30 წუთის განმავლობაში, 1 მ სიღრმეზე ძლებს. მობილური ტელეფონით სარგებლობა -20-დან +55 გრადუსამდე ტემპერატურაზე იქნება შესაძლებელი. ამასთან, ტესტირებისას მისმა კლავიატურამ 500 ათასჯერ ხელის დაჭერას გაუძლო, ხოლო ბატარეები მის მუშაობას 62 დღის განმავლობაში მოლოდინის, ხოლო 18 დღის განმავლობაში საუბრის რეჟიმში, დატენის გარეშე უზრუნველყოფს. ტელეფონს 2-მეგაპიქსელიანი კამერა, GPS-მიმღები, რადიო და Bluetooth-ის სისტემა აქვს. დიდ ბრიტანეთში Land Rover-ის ტელეფონის გაყიდვა მომდინარე თვიდან დაიწყება და იგი დაახლოებით, 490 დოლარი ეღირება. როგორც ცნობილია, საფირმო მობილურ ტელეფონებს ამჟამად, არაერთი საავტომობილო ბრენდი უშვებს. თავიანთი ტელეფონები აქვთ Ferrari-ს, Lamborghini-ს, Porsche-სა და Hummer-ს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ Hummer-ის ტელეფონს არავითარი არასაგზაო მონაცემი არ გააჩნია და იგი განსაკუთრებულ ფერებში შეღებილი, ჩვეულებრივი „სლაიდერია“. ■

1 რუსული სიმებიანი საკრავი
2 იგივეა, რაც ჭანი
3 ნედლეული
4 ქონება, სიმდიდრე
5 ავეჯის ნაწილი
6 ვარდის ბაღი
7 კრძო, ფასიანი მასწავლებელი
8 პერუს დედაქალაქი
9 საუბარი რამდენიმე პირს შორის
10 იაპონური ჭიდაობა
11 ძველი საბერძნეთი
12 კოლუმბის ერთ-ერთი გემი
13 სურათი წმინდანის გამოსახულებით
14 პარადი
15 ცხვირის გარეთა ხვრელი
16 საათამაშო ქაღალდი
17 შხამიანი გველი
18 დედმამიშვილი
19 რუსული ლუდი
20 იაპონური პოეზიის ჟანრი
21 უმიზნოდ სიარული
22 ქართველი ალპინისტი
23 ჩანჩქერი ჩრდ. ამერიკაში
24 შინაური ცხოველი
25 იტალიელი კინორეჟისორი
26 ამერიკელი მწყემსი
27 კრივის მოედანი
28 ხამსა
29 ტბორი
30 სიტყვათა წარმოთქმის მანერა
31 საბრძოლო ნადავლი
32 განსაკურებით პოპულარული სიმღერა
33 უსაფუძვლო მედიდურობა
34 ... დიასამიძე
35 დიდი მსხვილი ჯოხი
36 დიდი ვენახი
37 წონის საზომი ერთეული
38 კორეული ავტომობილი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ავსტრალია; 2. სინოდი; 3. ტიტრი; 4. ალმაცერი; 5. ყალიონი; 6. ჯენტლმენი; 7. ლუდი; 8. ნეი; 9. ფლორა; 10. სეული; 11. პლატინი; 12. ლეონი; 13. პაკისტანი; 14. პორშე; 15. ალია; 16. ასთანა; 17. პაბი; 18. ირმა; 19. კლიმატი; 20. თითა; 21. რიაზანოვი; 22. სირაჯი; 23. ხაშური; 24. ტრიტონი; 25. ბამბა; 26. ლექსიკა; 27. ბრემენი; 28. ბაგა; 29. ზვინი; 30. ჯიქი; 31. დასი; 32. ჯამბაზი; 33. აფროსნობა; 34. ნეზვი; 35. ჯიბრი; 36. სალვადორი; 37. იდილია.

სურათებზე: ანჯელინა ჯოლი; ბრედ პიტი.

ჰოროსკოპი

(18 - 24 აგვისტო)

ვერძი:

ამ დღეებში უცხო ადამიანებთან კონტაქტი გეკრძალებათ. კვირის მეორე ნახევარში განახორციელეთ საკუთარი გეგმები, იდეები და კარგია, თუ ახალ ნივთებსაც შეიძენთ.

ხარი:

მოსალოდნელია ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება ან არსებულის გამყარება. თუ ოჯახური ცხოვრებისთვის უკვე მზად ხართ, მეტი ინიციატივა გამოიჩინეთ.

ტყუპები:

გირჩევთ, საიდუმლო ახლობლებსაც არ გაუმხილოთ. პრობლემების დაძლევაში მშობლები დაგეხმარებიან. მოერიდეთ ვალებისა და კრედიტების აღებას, აზარტულ თამაშებს.

კიბორჩხალა:

დასვენების დღეებში ახალი ნაცნობობა გელით, რომელიც შესაძლოა, რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. შეეცადეთ, უქმე დღეები მეგობრებთან ერთად გაატაროთ.

ლომი:

ახალი იდეები ახლობლებს გაუზიარეთ და მათი დახმარებით წარმატებას მიაღწევთ. კვირის დასაწყისში შესაძლოა, მშობლებისა და საყვარელი ადამიანისგან საჩუქრები მიიღოთ.

ქალწული:

კვირის მეორე ნახევარი კარგია მოგზაურობისთვის, სწავლაში წარმატებისთვის. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, საყვარელ ადამიანსაც ნუ დაივიწყებთ და მას სიურპრიზი მოუწყვეთ.

სასწორი:

თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, თვითმკურნალობას მოეშვით და ექიმს მიმართეთ. კარგი იქნება, თუ სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას გადაეჩვევით. მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრები.

ღორი:

ცოლქმრულ ცხოვრებაში ჰარმონია დაისადგურებს. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს. თქვენს სასიკეთოდ გადაწყდება საბანკო საქმეები. საჭესთან სიფრთხილე გამოიჩინეთ.

ეშვიდღოლსანი:

ხელშეკრულების გაფორმება და საქმიანი შეხვედრები კვირის მეორე ნახევარში დაგეგმეთ. კარგი პერიოდია დიეტის დასაწყებად და ურთიერთობების მოსაგვარებლად.

ია:

საყვარელ ადამიანს დღესასწაული მოუწყვეთ და რომანტიკულ ვახშამზე დაპატიჟეთ. შეეცადეთ, ამ დღეებში მხოლოდ კონკრეტულ თემაზე იმუშაოთ და საქმე ბოლომდე მიიყვანოთ.

ბაირაღი:

თუ ოჯახის წევრებთან პრობლემები გაქვთ, შეეცადეთ, ურთიერთობა დაარეგულიროთ. მერწყულების უმეტესობას ახალი სამსახური ან ახალ ბინაში გადასვლა ელის.

თევზები:

შეეცადეთ, ყოველი საღამო საყვარელ ადამიანთან გაატაროთ და საკუთარი გეგმები მეგობრებსაც არ გაანდოთ. რთულ სიტუაციაში დახმარებას უფროსი კოლეგები გაგიწევენ.

პატარები გვიოსოპენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

4 წლის დიტო დედას პიჟამაზე უთითებს და ეკითხება:

— რო მაცვია, რატომაა პიჟამა და თოკზე რომ ჩამოკიდებ, რატომაა სარეცხი?..

პატარა გელა დედას ეკითხება:

— დედა, შენ ხომ მეგრელი ხარ?

— კი.

— აბა, კახელები როგორ გაგვაჩინე?

თამუნა საწოლში თოჯინას ათამაშებს და არაფრით იძინებს. ბებომ საწოლზე მიუკაკუნა — იქნებ, გაჩერდეს და დაიძინოსო.

— ნუ გეშინია, ბებო აკაკუნებს, — დაამშვიდა თოჯინა გოგონამ.

მიკას წიგნს უკითხავენ:

— აი, ეს „ქაუა“. აბა, მითხარი, როგორ იქნება ქართულად?

— ძოხა.

— ეს „დოგია“. რას ნიშნავს „დოგი“ ქართულად?

— ძაღლს.

— „ჩიკენი“?

— კოცოს (კვერცხი), დედიკო.

— ლელა, ტყუილზე არ დამიფიცო, თორემ, მოვკვდები, — ეუბნება დედა პატარა ლელას.

— რამდენჯერ დაგიფიცე და ისევ ცოცხალი რომ ხარ?..

4 წლის ნიტა მჭედლიშვილს ბებო რუსულს ასწავლის:

— ყაყაჩო არის „მაკ“. დაიმახსოვრე, ეს ადვილია. ხომ იცი, გოგონას სახელი — მაკა.

რამდენიმე საათის შემდეგ:

— ნიტა, როგორ არის რუსულად ყაყაჩო?

— ეკ, — უპასუხა ნიტამ.

პატარა ეკა კვანტალიანს მამა ნაცარქექიას უყვება:

— წავიდა საწყალი ნაცარქექია ლუკმაპურის საშოვნელად. გუდაში ჩადო პური, ჭყინტი ყველი, ნაცარი და...

— მამიკო, ნაცარქექიას პური და ჭყინტი ყველი თუ ჰქონდა, ლუკმაპურის საშოვნელად რაღას მიდიოდა? — შეაწყვეტინა ეკამ.

დედაქალაქი და მისი ტოპონიმები

ნოდარ კოჭლაშვილი

ნახალოვკა

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ამ უბანს დღეს ნაძალადევი ჰქვია, ბევრი ჩვენი თანამოქალაქე კვლავ ძველ სახელს — ნახალოვკას ეძახის.

უცნაურია — რატომ დაერქვა ამ უბანს მაინცდამაინც რუსული სახელი „ნახალოვკა“?

ეს რაიონი ძირითადად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ 60-იან წლებში, თბილისი-ხაშურის რკინიგზის გაყვანის შემდეგ ყალიბდებოდა. იმ ხანამდე ეს ტერიტორია დაუსახლებელი იყო და თბილისის მოსახლეობის ინტენსიური ზრდაც სწორედ მაშინ დაიწყო. საქართველოში, ისევე, როგორც მთელ რუსეთის იმპერიაში, ბატონყმობა გაუქმდა (1864 წ.), რამაც უმიწაწყლო გლეხების ქალაქში საცხოვრებლად გადასვლა განაპირობა. ამ პერიოდშივე იწყებოდა მცირე საწარმოების შექმნა, რომელთაც მუშახელი სჭირდებოდა.

ბუნებრივია, ქალაქში ჩამოსული გლეხობა ძალზე ხელმოკლე იყო და თავშესაფრად სახელდახელოდ აგებულ ქოხებს აგებდა. ჰოდა, სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე სწრაფად მრავლდებოდა მიწურები.

ქალაქის მმართველობითი ორგანოს საგანგებო ბრძანებულებით („უკაზით“), უნებართვოდ სახლის აშენება აიკრძალა, მაგრამ იქვე მითითებული იყო, რომ გადახურული სახლი, იმ შემთხვევაშიც, თუ მისი აშენება სათანადო ნებართვის გარეშე განხორციელდა, დანგრევას არ ექვემდებარებოდა.

სოფლიდან ჩამოსული გლეხებიც, ამ „უკაზით“ გათამამებულნი, ცდილობდნენ, ერთ ღამეში მოესწროთ ქოხის აშენებაცა და გადახურვაც...

სწორედ ასეთი, ერთ ღამეში აშენებული სახლების მეპატრონეებს ჟანდარმები „ნახალებს“ ანუ — თავხედებს უწოდებდნენ და აქედან წარმოიშვა დღევანდელი ნაძალადევის ძველი სახელი — „ნახალოვკა“.

ნავთლუღი

დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი უბნის სახელი — ნავთლუღი უცხოური წარმოშობის სიტყვიდან მომდინარეობს.

ყველასათვის ნათელია, რომ ტოპონიმის ფუძე — „ნავთობი“, „ნავთია“. ეს სპარსული სიტყვაა და ნავთის გავრცელებასთან ერთად, ამავე სახელით ბევრ სხვა ქვეყანაში გავრცელდა.

საერთოდ, ვარაუდობენ, რომ ნავთის სამშობლო ირანია. შესაძლოა, მართლაც, სწორედ ნავთობით მდიდარ ამ ქვეყანაში დაიწყეს პირველად ნავთის, როგორც გათბობისა და განათების საშუალების გამოყენება. ამასთან, გავიხსენოთ, რომ ცეცხლი, როგორც რელიგიური კულტი, სწორედ ირანში ჩაისახა და ცეცხლთაყვანისმცემლობაც. ამ მიმდინარეობას ქართველები კათაკმევლობას ეძახდნენ („კათა“ — ცეცხლს ნიშნავს, ხოლო „კმევა“ — მოგეხსენებათ).

ნავთობი ჩვენს ქვეყანაშიც ძველთაგანვეა ცნობილი. თან, ეს ნედლეული ქართული მიწის წიაღშიც საკმაო რაოდენობით არსებობდა და მას ქართული სახელიც ჰქონდა.

ნიკო ჩუბინიშვილი თავის „ქართულ ლექსიკონში“ გვამცნობს: „ნავთი — მიწის ცხიმი, შავი ან თეთრი“. ცნობილია, რომ ნავთობით განსაკუთრებით მდიდარი იყო საგარეჯოს შემოგარენი, ასევე — ქართლის ზოგიერთი რაიონი, კერძოდ სოფელ რუისის ტერიტორია. დავესესხები დიდ ქართველ მეცნიერსა და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც წერს: „...ხოლო ტფილისის სამჰრეთ-აღმოსავლეთით არს ნავთლუხი. მუნ დის ნავთი კიდესა მტკურისასა, არამედ წყლის სიახლოვით, მრავალი არ აიღების“ („ქართლის ცხოვრება“). აქ ხაზგასმული ის გახლავთ, რომ იმდენი ნავთობი ამოდიოდა მტკვრის მარცხენა ნაპირთან, რომ ეს ნაკადი მტკვარს უერთდებოდა!

სწორედ ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ამ უბნის სახელის პირველი ნაწილი „ნავთიდან“ მოდის, ხოლო მეორე — თურქული სიტყვიდან — „ლუღი“, რაც ველს ნიშნავს ანუ „ნავთლუღი“ — „ნავთობის ველი“.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ №24-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

3	5	9	7	8	2	1	4	6
8	6	7	4	3	1	5	9	2
2	1	4	6	5	9	7	8	3
9	8	6	2	1	7	3	5	4
4	3	2	8	9	5	6	1	7
1	7	5	3	6	4	8	2	9
7	9	8	1	2	6	4	3	5
6	2	3	5	4	8	9	7	1
5	4	1	9	7	3	2	6	8

6	3	4	1	2	5	7	9	8
1	8	2	7	6	9	5	4	3
5	7	9	3	4	8	1	6	2
4	2	1	9	5	6	3	8	7
3	9	7	4	8	1	6	2	5
8	6	5	2	7	3	9	1	4
9	5	6	8	3	4	2	7	1
7	1	8	5	9	2	4	3	6
2	4	3	6	1	7	8	5	9

8	7	3	4	5	6	9	2	1
4	1	2	3	9	7	6	5	8
5	9	6	2	1	8	4	7	3
9	5	7	8	6	1	2	3	4
2	8	4	9	7	3	5	1	6
3	6	1	5	2	4	7	8	9
6	4	8	7	3	2	1	9	5
1	2	5	6	8	9	3	4	7
7	3	9	1	4	5	8	6	2

* მარტივი

	9			6				2
	6				5	3		
		7	1	4				5
4				1				6
6					7			8
1				7	3	4		
		8	5				3	
3				8			5	

** საშუალო

				7		5		
		1		6			8	
	7		2				4	
	6		3				1	
		5	7			2		
	9		5		8		7	
	3				4		6	
	2			5		3		
		9		8				

*** რთული

			1				8	
	6				9		4	
		9			6			1
7				5		6		
	4			2	7		9	
		6	4					3
3			5			2		
	7		8				6	
	1				2			

ფოტოკუჩიოზები



ოსკარი

„მის თინეიჯერი"

ზაფხულის სეზონი

უკვე აგროვებ ოსკარუნებს? დრო „ოსკარის" კიდევ ერთ გრანდიოზულ პროექტში მიიღო მონაწილეობა – „მის თინეიჯერის" შესარჩევი კონკურსი დაიწყო!

თინეიჯერო გოგონებო (13-დან 19 წლამდე), მიიღეთ მონაწილეობა კონკიას ჯადოსნურ ზღაპარში.

მოიტანეთ თქვენი საუკეთესო ფოტოები ჟურნალ „ოსკარის" რედაქციაში (ან გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტით) და გახდით ზაფხულის სეზონის გამარჯვებული.

თამაშდება: ტურისტული საგზურები, ძვირფასი სამკაულები საიუველირო მაღაზია „დელფოსისგან", პერსონალური პორტფოლიო, ფოტოსესია ჟურნალ „ბომონდში", კონტრაქტი სამოდელო სააგენტოსთან და კიდევ ბევრი ძალიან კარგი პრიზი.

კონკურსანტთა ფოტოები დაიბეჭდება ჟურნალ „ოსკარში" და განთავსდება ინტერნეტპორტალზე: www.ambebi.ge.

იჩქარე და პოზდინე ოცნებას!

დამატებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი".